# კვირის პალიტრა

დამოუკიდებელი გაზეთი

№ 39 (500) ◆ 27 სექტემბერი – 3 ოქტომბერი. 2004 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.

## დემოკრატიის შეზღუდვა ყველაზე დიდი სიბრიყვეა



რეალურ საფრთხეს, რომელიც 5 ან 10 წლის შემდეგ იჩენს თავს, ჩრდილო კავკასიიდან ველი და არა რუსეთისგან. ჩეჩნეთის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა, სამწუხაროდ, უკვე ისლამისტურ მოძრაობად გარდაიქმნა, რომელსაც ჩრდილო კავკასიაში ხალიფატის მაგვარი სახელმწიფოს ჩამოყალიბება აქვს განზრახული. და, როგორც ჩანს, ამ ომს რუსეთი წააგებს. გვ.3

რუსეთის ხელისუფლებაში ჩუმი ფსიქოზის მდგომარეობაა, მათ მტრად მივაჩნივართ...

## ალბათ თავხედობასაც უნდა ჰქონდეს საზღვარი




რუსეთს შეუძლია ნებისმიერი სახის ოპერაცია ჩაატაროს, ოღონდ ჩვენი მოქალაქეების მიმართ დამოკიდებულება ცივილიზებულ ჩარჩოებს არ უნდა გასცდეს. არავის აქვს უფლება, საქართველოს მოქალაქე 2 საათით კი არა, 3 წუთითაც ამყოფოს პატიმრობაში. გვ.7

ცოლ-ქმარი დააცილეს ერთმანეთს. ცოლი რუსეთის მოქალაქე ყოფილა და გაუშვეს, ქმარი კი დატოვეს. გიჟს დაემსგავსა კაცი, ეხვეწებოდა — ქალს კაპიკი არ აქვს, ფულის გადაცემის საშუალება მაინც მომეცითო, მაგრამ არც კი დაალაპარაკეს ცოლთან.

## „დიახ, ბეტმენები და ამორძალები მართავენ ქვეყანას“



არ ვიცი, ვინ ლაპარაკობს და რატომ ჩემს გაძლიერებაზე. ეტყობა, ჩემი ეშინიათ.

ერთპიროვნულად არაფერს ვწყვეტ. თუ ჩათვლიან, რომ რამეს არასწორად ვაკეთებ, არ დავიჟინებ — ჩემი უნდა გავიტანო-მეთქი. რა ჩემი ბრალია, თუ ვინმეს თვალში არ მოვუდივარ. გვ.7

### სამხედრო თემაზე:

## ოსურ-რუსული „ძმობა“

ბესლანში, 1-ელ სექტემბერს, მოსწავლეების მძევლად აყვანამდე ორი კვირით ადრე, მოხდა ერთი მნიშვნელოვანი ინციდენტი, რომელიც დღემდე არ გახმაურებულა. გვ.9

სასამართლო

გვერდი 17-20

## კაცი, რომელსაც საკუთარი დაბადება ახსოვს



დიახ, მახსოვს... მახსოვს ლიბრი რომ მქონდა თვალზე გადაკრული და ვერაფერი დავინახე. მერე გაიხსნა ჩემი მხედველობა. პირველი, ვინც დავინახე, მისი სახე მკაფიოდ დამამახსოვრდა. როდესაც ალვწერდი, მეთანხმებოდნენ დედა და ბებია — კი, ნამდვილად ის იყოო... გვ.22

## „წვიმაც ნავთობის მოდის და ღვინოსაც ნავთის გემო ექნება...“



სამი დღის მანძილზე ციდან ნავთობის წვიმა მოდიოდა. სართვლოდ გამზადებული სოფელი გაოგნებულია. ნინოწმინდაში ყურძენსაც ნავთის გემო აქვს... გვ.5,27

კომპანია დაბინძურებულ ტყეს გაჩეხს და მის ნაცვლად ახალი ხეები დაირგვება... სამწუხაროდ, იმ მონაკვეთში ტყის აღდგენას ალბათ ათწლეულები დასჭირდება.

## დანაღმული მთიდან გადმოტანილი კონტრაბანდა




ცხინვალიდან კონტრაბანდული საქონელი, მართალია, იმ რაოდენობით აღარ, მაგრამ მაინც შემოდის. კონტრაბანდისტების მექას კი დღეს წითელი ხიდი წარმოადგენს.

ყოველდღიურად აქედან დაახლოებით 15-20 ავტობუსი შემოდის. სალონი ტანსაცმლითა და საყოფაცხოვრებო ნივთებით არის სავსე. ბოლო დროს კი ავტობუსებში სამალავების მოწყობაც დაიწყეს. გვ.5

საქართველოს ბაზრობებზე გამოტანილი საქონლის 60% განუბაჟებელია, ანუ კონტრაბანდას წარმოადგენს... როცა აზერბაიჯანიდან კონტრაბანდით დატვირთული ავტობუსი შემოვა, იგი საზღვარზე კი არ გადმოდის, პირდაპირ სასაზღვრო ნეიტრალურ ზოლში იცლება. კონტრაბანდისტებს დაქირავებული ჰყავთ ახლომახლო სოფლის მცხოვრებლები, ძირითადად, ქალები, რომლებსაც ფუთებად გადმოაქვთ საქონელი. პატარა ფუთას რომ დაინახავს მებაჟე, მგზავრს დაუბრკოლებლად ატარებს.

## 30 სექტემბერს დიდი ბრძოლა გველის



ხუთშაბათს თბილისის „დინამო“ თავის უახლეს ისტორიაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შეხვედრას გამართავს. კრაკოვის „ვისლასთან“ თუნდაც მინიმალური ანგარიშით გამარჯვება „დინამოელებს“ უეფას თასის ჯგუფური ეტაპის საგზურს მოუტანს...

„ვისლა“ უძლიერესი მეტოქეა, თუმცა წარმატების შანსი თანაბრად გვაქვს და ვიმედოვნებ, მატჩი ჩვენთვის სასურველი შედეგით დასრულდება. გვ.34

ფეხბურთელებს ბოლომდე აქვთ გათავისებული თუ რაოდენ დიდია 30 სექტემბრის გამარჯვების ფასი.

„გულშემატკივართა მხარდაჭერა ჩვენთვის სულიერი სტიმულია“

## გილოცავთ ჯვართამაღლების დღეს!

## პრეზიდენტის იმედით...

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა რუზველტის სამშობლოში, აშშ-ში ხანგრძლივი ვიზიტის შემდეგ სტალინის მშობლიურ ქალაქ გორს მიაშურა.

სანამ პრეზიდენტი გორში იმყოფებოდა, კანცელარიის წინ იმერელი „ნაციონალები“ შეიკრიბნენ, რომლებიც რამდენიმე დღის წინ პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა „ნაციონალების“ რიგებიდან გარიცხულებად გამოაცხადა. ამის შემდეგ იმერეთის რწმუნებულის, დავით მუმლაძისა და თერჯოლის რაიონის გამგეობის გადაყენების მოთხოვნით მომიტინგე იმერლების აქცია დარბეულ იქნა. პრეზიდენტის აშშ-დან დაბრუნების შემდეგ დარბეულები ისევ კანცელარიის წინ დაბრუნდნენ იმ იმედით, რომ პრეზიდენტის საქართველოში ყოფნის დროს მათ ხელს ვერავინ ახლებს. აქციის მონაწილეები დავით მუმლაძის გადადგომას და სააკაშვილთან შეხვედრას ითხოვენ.

## იმერლებს ზუგდიდელი „ნაციონალებიც“ აჰყვნენ

იმერელი „ნაციონალების“ შემდეგ კანცელარიის წინ საპროტესტო აქციები გამართეს ზუგდიდელმა „ნაციონალებმა“. ისინი ორგანიზაციის ახალი ხელმძღვანელის დანიშვნას აპროტესტებენ და აცხადებენ, რომ ვახტანგ ცხადაია მიხეილ სააკაშვილსა და მათთან შეთანხმების გარეშე დანიშნეს. მათი თქმით, ვახტანგ ცხადაიას „ნაციონალურ მოძრაობაში“ არანაირი დამსახურება არ გააჩნია და „ვარდების რევოლუციამდე“ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი იყო. ზუგდიდელების მტკიცებით, ცხადაიას უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, კოტე კემულარიას დისშვილი და რამდენიმე პარლამენტარი ლობირებენ.

იმ შემთხვევაში, თუ ზუგდიდელი „ნაციონალები“ პრეზიდენტთან შეხვედრას ვერ შეძლებენ, ისინი ორშაბათიდან კანცელარიასთან ფართომასშტაბიან საპროტესტო აქციებსა და შიმშილობის დაწყებას აპირებენ. ვახტანგ ცხადაია ზუგდიდის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარედ „გაერთიანებული დემოკრატების“ ერთ-ერთმა ყოფილმა ლიდერმა, ამჟამად კი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ რეგიონულმა მდივანმა მიხეილ მაჭავარიანმა 22 სექტემბერს წარადგინა. როგორც კანცელარიის კულუარებში ამბობენ, იმერელ და ზუგდიდელ „ნაციონალებთან“ ბოლო ხანს გართულებული ურთიერთობების გამო შესაძლოა მაჭავარიანს სერიოზული პრობლემები შეექმნას (ვრცლად იხ. გვ. 7).

## ჟვანია ფერეიდნელებს სახლს დაჰპირდა

როგორც ჩანს, კორუმპირებულ ჩინოვნიკთა კიდევ ერთ სახლს გამოუჩნდება „პატრონი“. საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია საქართველოში სტუმრად მყოფ ფერეიდნელებს დაჰპირდა, რომ „ერთ-ერთი კორუმპირებული ჩინოვნიკის სახლს გადასცემს“, სადაც ირანიდან ჩამოსული ქართველები თბილისში ყოფნის დროს იცხოვრებენ. ჟვანიას თქმით, იგი ორ კვირაში გადაწყვეტს, თუ როგორ დააკმაყოფილოს მათი თხოვნა თბილისში სამუშაო, სასწავლო და საცხოვრებელი პირობების შექმნის შესახებ.

35 ფერეიდნელი საქართველოში პრეზიდენტ სააკაშვილის მოწვევით ჩამოვიდა. მათ საქართველოს სხვადასხვა კუთხე მოინახულეს და იმედი აქვთ, რომ მალე საქართველოს მოქალაქეობასაც მიიღებენ.

## ბაზარი არ დაიხურება

თბილისის ცენტრალურ სუპერმარკეტს, ე. წ. „დეზერტირების ბაზარს“, დახურვის საფრთხე აღარ ემუქრება. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის, ზაზა ბეგაშვილის თქმით, თბილისელებს 1-ელი ოქტომბრისთვის სრულიად განახლებული ბაზარი დახვდებათ. კეთილმოწყობითი სამუშაოები მოვაჭრეთა საქმიანობის შეუფერხებლად, მხოლოდ ღამის საათებში წარიმართება. დაახლოებით 10 ღამის განმავლობაში „დეზერტირების ბაზრის“ ტერიტორიაზე სარემონტო სამუშაოები ჩატარდება. ბაზრის პირველ სართულზე შეკეთდება საფარი, მოწესრიგდება ბაზრის ჰიგიენურ-სანიტარული პირობები, დამონტაჟდება ვენტილაციის სისტემა და რაც ყველაზე მთავარია, მოეწყობა ახალი ლაბორატორია, რომლისთვისაც ტექნიკა, ბეგაშვილის თქმით, ბაზრის ადმინისტრაციამ სანქტ-პეტერბურგში უკვე შეიძინა.

## „ქუთაისი გადამწვარა...“

სამწუხაროდ, არც სამღერლად გვაქვს საქმე და არც ქუთაისური დუქნებისთვის წაუკიდებია ვინმეს ცეცხლი.

25 სექტემბერს, გვიან ღამით, დაიწვა ან დაწვეს ქალაქის მერიისა და სამხარეო რწმუნებულის ადმინისტრაციის შენობა. ხანძრის შედეგად მთლიანად დამწვარია სახურავი და მეოთხე სართული, ხოლო დანარჩენები წყლითაა დაზიანებული. ხანძრის გაჩენის მიზეზებზე ჯერჯერობით დასკვნებს ვერავინ აკეთებს და თბილისიდან ჩასული ექსპერტების კვლევის შედეგებს ელოდებიან. თუმცა, ბევრი ვარაუდობს, რომ ადგილი აქვს დივერსიას. ქუთაისის მერის თქმით, დივერსია ქალაქის ხელისუფლების საწინააღმდეგო აქტია. პარლამენტარი კობა დავითაშვილი კი სხვაგვარად ფიქრობს და აცხადებს, რომ ხანძრის გაჩენა სწორედ მათ ინტერესებში შედიოდა, ვისაც მერიასთან მიმდინარე საპროტესტო აქციის შეჩერება სურდა. „ხანძარი საეჭვოდ დაემთხვა ქუთაისში გამწვავებულ პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ვითარებას“, — განაცხადა კობა დავითაშვილმა. ქუთაისში საპროტესტო აქციები მერის არჩევითა და რეგიონის რწმუნებულის, დავით მუმლაძის გადადგომის მოთხოვნით სწორედ მერიის შენობის წინ იმართებოდა.

## ჭიჭიაშვილს ბრალი არ დაუმტკიცდა

23 სექტემბერს ადამიანთა გატაცებაში ეჭვმიტანილი მევლუდ (შოთა) ჭიჭიაშვილის პროცესზე სასამართლო კოლეგიამ ნუნუ და თამაზ რუსეიშვილების ჩვენება მოისმინა. მათ ოჯახზე 1997 წლის 5 აგვისტოს ყაჩაღური თავდასხმა მოხდა. საბრალდებო მასალების მიხედვით, თავდამსხმელთა შორის ერთ-ერთი შოთა ჭიჭიაშვილი იყო.

დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა დაყაჩაღების შემდეგ თანხის გამოძალვის მიზნით, რუსეიშვილების ოჯახის 2 წევრი — ნათია რუსეიშვილი და მისი მეუღლე მიხეილ დათიკაშვილი გაიტაცეს. პოლიციამ გატაცებაში ეჭვმიტანილი შოთა ჭიჭიაშვილი მალევე დააკავა, რომელიც მაშინ რუსეიშვილების ოჯახის ყველა წევრმა ამოიცნო. მოგვიანებით, დაზარალებულებმა სასამართლო პროცესზე ჭიჭიაშვილის ბრალეულობა უარყვეს, რის გამოც ბრალდებული არასაკმარისი მტკიცებულებების შესაბამისად, საოლქო სასამართლოს დარბაზიდან გაათავისუფლეს. რუსეიშვილების ოჯახის წევრებმა გატაცებაში ჭიჭიაშვილის მონაწილეობა უზენაეს სასამართლოში 23 სექტემბერსაც უარყვეს. ამჯერად შოთა ჭიჭიაშვილი სასამართლო დარბაზიდან აღარ გაუთავისუფლებიათ, რადგან მას ბრალად ედება სხვა რამდენიმე მძიმე დანაშაული, მათ შორის ბრიტანელი ბანკირის, პიტერ შოუსა და ესპანელი ბიზნესმენების გატაცებაც.

## რეფორმას არ ეთანხმებიან

„ვინც განათლების შესახებ ახალ კანონპროექტს არ ეთანხმება, ან პოლიტიკური პოპულიზმის მსხვერპლია, ან არ ესმის არსებული ვითარების სიმძიმე“, — ამბობს მეცნიერებისა და განათლების მინისტრი ალექსანდრე ლომაია. „პოპულისტები“ კი აცხადებენ, რომ განათლების შესახებ ახალი კანონპროექტის დამტკიცებისა და განხორციელების შემთხვევაში, მთლიანად ქვეყნის განათლებისა და მეცნიერების სფეროს დაღუპვა ელის. „საით მივდივართ, წინ, მომავლისაკენ თუ სრული დეგრადაციისკენ? მივმართავთ საქართველოს პრეზიდენტს, დროზე მიიღოს საკადრო გადაწყვეტილება, ბატონი ლომაია გაათავისუფლოს დაკავებული თანამდებობიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ძალიან მძიმე პროცესების მოწმენი გავხდებით“, — აცხადებენ მემარჯვენე ოპოზიციონერები და მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, პედაგოგებთან ერთად ფართომასშტაბიანი აქციებით იმუქრებიან. განათლების შესახებ ახალი კანონპროექტი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა აღშფოთებას იწვევს. კანონპროექტში ასაკობრივი ცენზის შესახებ მუხლი კი, მათი აზრით, ადამიანის უფლებების დარღვევა და უსინდისობაა.

## აფხაზი პოლიტოლოგის პესიმიზმი

აფხაზი პოლიტოლოგი ოლეგ დემენია აფხაზეთში საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ სეპარატისტებისთვის უსიამოვნო განცხადებას აკეთებს. მისი აზრით, აფხაზური საზოგადოება არც ფსიქოლოგიურად და არც მენტალიტეტით საპრეზიდენტო არჩევნებისთვის მზად არ არის. აფხაზები ჯერაც არ გათავისუფლებულან საბჭოთა პერიოდის საარჩევნო სისტემის გავლენისაგან, როცა ყველა ირჩევდა იმ ერთს, ვისაც „ზემოდან“ შესთავაზებდნენ. დემენია შენიშნავს, რომ წინასაარჩევნო კამპანია კანდიდატებს შორის „აკრძალული ილეთებით“ მიმდინარეობს, რაც იმის ნიშანია, რომ „აფხაზური დემოკრატია ჯერჯერობით სამართლებრივ ნორმებს ვერ აკმაყოფილებს“, — აცხადებს აფხაზი პოლიტოლოგი.

დემენია აფხაზეთში სიტუაციის გამწვავებას 4 ოქტომბრიდან ვარაუდობს. მისი აზრით, აფხაზეთში ბოლო დროს მომრავლებულ აგრესიულ ახალგაზრდებს დამარცხებული კანდიდატები საკუთარი მიზნებისთვის გამოიყენებენ.

## რა იქნება 2-3 თვის შემდეგ?

„საქართველოს ელექტროკავშირის“ აბონენტებისთვის წუთობრივი გადასახადის შესაძლო დაწესების გამო ატეხილი აჟიოტაჟი ჯერაც არ ჩამცხრალა. თუმცა, წუთობრივი გადასახადი აღარ დაწესდება. „ელექტროკავშირსა“ და კომუნიკაციების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასთან შეთანხმებით წუთობრივი გადასახადის დაწესების საკითხი კიდევ 2-3 თვით გადაიდება.

1-ელი ოქტომბრიდან დაგეგმილი წუთობრივი გადასახადის შემოღების თაობაზე ლეიბორისტული პარტიის თავმჯდომარემ შალვა ნათელაშვილმა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში სარჩელი შეიტანა.

## იმედისა და ხსოვნის დღე

სოხუმის დაცემის დღეს, 27 სექტემბერს, საქართველოს გახლეჩილი მიწის ორ ნაწილზე სხვადასხვაგვარად აღნიშნავენ. სოხუმში ამ დღეს ზეიმობენ, თბილისი კი კვლავ გლოვობს.

27 სექტემბერს გმირთა მოედანზე საგანგებო მიტინგი გაიმართება, სადაც თავს მოიყრიან არა მარტო აფხაზეთიდან დევნილები, არამედ ყველა, ვისთვისაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საქმედ არის ქცეული. „იმედისა და ხსოვნის დღე“ — ამიერიდან ასე უწოდებენ ამ დღეს საქართველოში. 27 სექტემბრის აღსანიშნავ ღონისძიებებში ქვეყნის პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილიც მიიღებს მონაწილეობას. ამ დღეს აფხაზეთში გმირულად დაცემულთა პატივსაცემად „ლოკომოტივის“ სტადიონზე გაიმართება სოხუმის „დინამოსა“ და სოხუმელებს შორის საფეხბურთო მატჩი.

## პროკურორების „სწავლა სიბერემდე“

26 სექტემბერს უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის ბიბლიოთეკა აბიტურიენტების ნაცვლად პროკურორობის მსურველებს მასპინძლობდა. ისინი სამუშაო ლიცენზიის მისაღებად საკვალიფიკაციო ტესტირებას გადიოდნენ იუსტიციის საბჭოს წარმომადგენლების მეთვალყურეობით. გამოსაცდელებს 100 შეკითხვიდან 85-ზე სწორი პასუხის გაცემის შემთხვევაში ლიცენზია გარანტირებული აქვთ. პროკურატურის თანამშრომლებსა და ამ უწყებაში მუშაობის მსურველებს ულიცენზიოდ მუშაობის უფლება არ ექნებათ. ტესტები რთული იყო, თუმცა მეთვალყურეებიც და გამოსაცდელებიც მიიჩნევენ, რომ გადაულახავი პრობლემა არ არსებობს, მთავარია, მოინდომო. პროკურატურაში მუშაობის მსურველებს კიდევ ერთხელ გაახსენდათ, რომ „სწავლის ძირი მწარე არის“, მაგრამ ამ დაუსრულებელი სიმწარის გამო, აშკარად უკმაყოფილებას გამოხატავდნენ. როგორც ჩანს, „სწავლა სიბერემდე“ ყველას არ ეხალისება.

## „აჭარაც“ „ივერიის“ ბედს გაიზიარებს

თბილისის საკრებულოსა და მერიის კულუარებში სასტუმრო „აჭარის“ ლტოლვილებისგან შესაძლო დაცლის შესახებ ლაპარაკობენ. მოარული ხმების თანახმად, „აჭარაში“ მცხოვრები დევნილები უკვე გააფრთხილეს, რომ ორი კვირის ვადაში შენობა უნდა დაცალონ. ამ საკითხთან დაკავშირებით მერიის შესაბამის სტრუქტურებში კომენტარს არ აკეთებენ. გაფრთხილების შესახებ ინფორმაციას არც დევნილები ადასტურებენ. გავრცელებული ინფორმაციით, „აჭარაში“ მცხოვრებ 300-მდე ოჯახს 7.000 დოლარს მისცემენ თითო ოთახისთვის. ჯერჯერობით არაფერია ცნობილი, ვინ გაიღებს თანხებს „აჭარელი“ ლტოლვილებისთვის.

## წმენდა გრძელდება

გენერალურმა პროკურატურამ 26 სექტემბერს მცხეთის პროკურორი მიხეილ ჭანუყვაძე და პროკურატურის გამომძიებელი თეიმურაზ მარიამიძე დააკავა. ჭანუყვაძეს ბრალად თანამდებობის ბოროტად გამოყენებას სდებენ, მარიამიძეს კი უფლებამოსილების გადამეტებას ედავებიან. გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, გამორიცხული არ არის ჭანუყვაძისა და მარიამიძის ბრალეულობა კიდევ უფრო დამძიმდეს. სავარაუდოდ, მათ შეიძლება ბრალი დაედოთ 31 აგვისტოს ადამიანის გატაცებისთვის დაკავებული პირების უკანონო გათავისუფლებაში. გამოძიება ეჭვობს, რომ პროკურორმაც და გამომძიებელმაც დაკავებულებისგან თავისუფლების ფასად ქრთამი აიღეს. ჭანუყვაძისა და მარიამიძის დაკავებამდე, იმავე საქმეზე, გენერალურმა პროკურატურამ მცხეთის პოლიციის ჩინოსნებიც დააპატიმრა. მცხეთის პოლიციის სამმართველოს უფროსს, გოჩა პარკაულს, მის მოადგილეს, ვაჟა დგებუაძეს, სისხლის სამართლის სამძებროს უფროსს, გოჩიაშვილს და მომკვლევს, თემურ ბაბაევს სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გამო, სავარაუდოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332-ე მუხლის შესაბამისად მოუწევთ პასუხისგება.

წმენდა გრძელდება. „ვისაც არ უნდა „ცოცხს“ გამოედოს, თავს პატივი უნდა სცეს და დანაშაულებრივი ქმედებებით სახელი არ უნდა გაიტეხოს“, — აცხადებენ ძალოვანი სტრუქტურის „მეეზოვეები“.

## რა ელის „თბილგაზს“

თბილისის პრემიერი ბიძინა ბრეგაძე „აღთქმას“ დებს და აცხადებს, რომ „გაზპრომის“ წარმომადგენლების თბილისში ყოფნისას საზოგადოებაში გაჩენილი ეჭვი „თბილგაზის“ გაყიდვასთან დაკავშირებით უსაფუძვლოა და კომპანიის გასხვისებას არავინ აპირებს. „ვმუშაობთ „თბილგაზის“ რეაბილიტაციის პროგრამაზე და დედაქალაქის მთავრობა ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ზამთარში დედაქალაქს ბუნებრივი აირი არ შეუწყდეს,“ — განაცხადა ბიძინა ბრეგაძემ. „თბილგაზის“ რეაბილიტაციის გეგმას კომპანიის გენერალური დირექტორი დავით მორჩილაძე საზოგადოებას ერთ თვეში წარუდგენს. მორჩილაძე „თბილგაზის“ შესაძლო პრივატიზაციასთან დაკავშირებით ბრეგაძეზე თამამ განცხადებას აკეთებს. მისი თქმით, თუ კომპანია გასხვისდა, ამით არაფერი დაშავდება.

სანამ „თბილგაზის“ საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, რუსული კომპანია „გაზპრომი“ საქართველოში გაზის ინდუსტრიის საწარმოებით ინტერესდება და აშკარად გამოხატავს საქართველოს ტერიტორიაზე გამავალ გაზსადენზე კონტროლის მოპოვების სურვილს, რომელიც ჯერ კიდევ ერთი წლის წინ, შევარდნაძის რეჟიმის დროს გამოამჟღავნა. მაშინ რუსების საქართველოში მოხშირებული ვიზიტების გამო ახლანდელი ხელისუფლების, იმ დროს კი ოპოზიციის წარმომადგენლებმა პროტესტი გამოთქვეს და განაცხადეს, რომ ქვეყნის ხელისუფლება ხელს უწყობდა რუსეთის მცდელობას, საქართველოში ენერგეტიკული მონოპოლისტი გამხდარიყო. თუ დღეს მთავრობა რუსეთის მისწრაფებებს რეალობად აქცევს, იმ ნაბიჯს გადადგამს, რისთვისაც თავის წინამორბედს კიცხავდა (ვრცლად იხ. გვ. 13).




## ტერაქტის შიშით...

მოსკოვის დომოდედოვოს აეროპორტში ავიაკომპანია „კრასნოიარსკის ავიახაზების“ ჩარტერული რეისის მგზავრებმა ტერაქტის შიშით ორ შავოსან ქალთან ერთად ფრენაზე უარი განაცხადეს.

გაფრენამდე რამდენიმე წუთით ადრე სალონში დაღესტნელ სტუდენტთა ხუთკაციანი ჯგუფი შევიდა, რომელთა შორის შავებში ჩაცმული ორი ეგვიპტელი ქალი იყო. უშიშროების სამსახურმა ორივე საგულდაგულოდ შეამოწმა. ყველა საბუთი და ბარგი ქალებს წესრიგში ჰქონდათ. თუმცა მგზავრებმა მაინც მოითხოვეს მათი რეისიდან მოხსნა. რამდენიმე საათის განმავლობაში აეროპორტისა და ავიაკომპანიის წარმომადგენლები ამაოდ ცდილობდნენ მგზავრები ეგვიპტელ ქალებთან ერთად ფრენაზე დაეყოლიებინათ, მაგრამ ამაოდ. ამის შემდეგ „კრასნოიარსკის ავიახაზების“ ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, ქალები სხვა რეისით გაემგზავრებინა. Ту-154-ის ბორტზე 120 მგზავრი იმყოფებოდა. ჩარტერული რეისი „მოსკოვი-ჰუგარდა“ ეგვიპტეში დაგვიანებით გაფრინდა.

## თურქმენბაში კვლავ მუზის ტყვეობაშია

თურქმენეთის პრეზიდენტი საფარმურატ ნიაზოვი ნამდვილად აღარ ხუმრობს. მან ახლახან ეროვნული ტელევიზიის სამივე არხის პირდაპირ ეთერში ქვეყნის მოქალაქეებს თავისი ახალი ლექსები წაუკითხა. საათნახევრიანი დეკლამაციის შემდეგ თურქმენბაშიმ მოსახლეობას სთხოვა, მისი პოეტური კრებულის „შთაგონების გაზაფხული“ შესახებ აზრი გულწრფელად გამოეთქვათ. თურქმენეთის სახელმწიფოს მეთაურის შემოქმედების მთავარი თემებია — სამშობლოს სიყვარული და ბუნების სილამაზისა და ადამიანური ფასეულობების ავტორისეული აღქმა.

თურქმენბაში სამი პოეტური კრებულის ავტორია. მეოთხე კრებული ოქტომბერში გამოიცემა და ნიაზოვი მას სახალხო საბჭოს (პარლამენტის) დეპუტატებს აჩუქებს.

### მკითხველის პრემია ✱ მკითხველის პრემია

ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტებს თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი.

იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — **25 ლარს** გადასცემს, II ადგილზე გასულ ჟურნალისტს გადაეცემა **20 ლარი,** III ადგილის მფლობელი კი მიიღებს პრემიას — **15 ლარს.** გამარჯვებულ ჟურნალისტთა ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ. *(რეიტინგის ქვითარი იხ. 35-ე გვერდზე).*

### წინა ნომრის მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:

1. **ვაჟა გავაშელი** — „ხანძარში ჩაფერფლილი „სიყვარული“ — 129 ხმა
2. **ეთერ თარიმანი** — „რაზიკაანთ კაიყმა“ — 56
3. **დაჩი გრძელიშვილი, იზო რიკაძე** — „ჩვენი მტერი სულსწრაფობაა“ — 39

მკითხველის სახელით პირველი პრემია — 25 ლარი გადაეცემა **ვაჟა გავაშელს,** მეორე — 20 ლარი — **ეთერ თარიმანს,** ხოლო მესამეს — 15 ლარს მიიღებენ **დაჩი გრძელიშვილი და იზო რიკაძე.**

*მკითხველის პრემიის მფლობელები 367-მა რესპონდენტმა გამოავლინა*

# რუსეთის ხელისუფლების აზრით, საქართველო შაითანია



რეალურ საფრთხეს, რომელიც 5 ან 10 წლის შემდეგ იჩენს თავს, ჩრდილო კავკასიიდან ველი და არა რუსეთისგან. ჩეჩნეთის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა, სამწუხაროდ, უკვე ისლამისტურ მოძრაობად გარდაიქმნა, რომელსაც ჩრდილო კავკასიაში ხალიფატის მაგვარი სახელმწიფოს ჩამოყალიბება აქვს განზრახული. და, როგორც ჩანს, ამ ომს რუსეთი წააგებს.

## დემოკრატიის შეზღუდვა ყველაზე დიდი სიბრიყვეა

საქართველოს პრეზიდენტი პირველად წარდგა გაეროს გენერალური ასამბლეის წინაშე. „ვარდების რევოლუციის გმირს“ ნიუ-იორკში ყურადღებით უსმენდნენ და არც რეგლამენტის დარღვევის გამო შეუწყვეტინებიათ სიტყვა. როგორც ყოველთვის, მიხეილ სააკაშვილი გაეროშიც გულწრფელი იყო — საქართველოს გასაჭირზეც ილაპარაკა, ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციაზეც და არც ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი დავიწყებია. გენერალური ასამბლეის ტრიბუნიდან რუსეთს, მსოფლიოს გასაგონად, უთხრა, — სეპარატიზმის, ტერორიზმის წინააღმდეგ და კავკასიაში მშვიდობის დასამყარებლად ბრძოლაში ჩემზე უკეთესი მოკავშირე არ გეყოლებაო...

ამერიკელ კოლეგასთან საგულისხმო შეხვედრა ჰქონდა თავდაცვის მინისტრს, გიორგი ბარამიძეს. რამსფელდისა და ბარამიძის საუბრის დეტალები ჯერჯერობით უცნობია. სამხედრო ექსპერტებს ერთი სული ჰქონდათ, გაეგოთ, სთხოვა თუ არა ბარამიძემ თავის კოლეგას ამერიკული თავდაცვის ჰაერსაწინააღმდეგო სისტემაში უკვე ჩამოწერილი ოცდაათიოდე (ამდენი გვჭირდება!) „ჩაპარელი“, რომლის მეშვეობითაც ჩვენს ტერიტორიაზე განავარდების მოყვარულ მავანი ქვეყნის თვითმფრინავებს ფრენის სურვილი სამუდამოდ დაეკარგებათ...

საქართველოს პრეზიდენტს კი ალბათ მოუწევს თავისი ძირითადი პროფესიის — იურისტობის — გახსენება და მთავრობაში გამოძიების ჩატარება იმის გასარკვევად, თუ ვისი გამოისობით და რატომ ჩამოართვეს საქართველოს ხმა იმ ორგანოში, რომლის ტრიბუნიდანაც რამდენიმე დღის წინ სიტყვა წარმოთქვა.

მას რაღაც-რაღაცების გარკვევა მოუწევს საკუთარ პარტიაშიც, სადაც უკვე იმდენად სერიოზული ბიძგებია, რომ გვარიანი შეხლა-შემოხლაც ხდება...

მიხეილ სააკაშვილის შინ დაბრუნებას მოუთმენლად ელოდა ხალხი, განსაკუთრებით კი ისინი, რომელთაც რამდენიმე დღის წინ წესრიგის დამცველებმა გვერდები „დუბინკებით“ აუჭრელეს. პრეზიდენტს ელოდა ოპოზიციაც. ის მისგან პასუხს ელის კითხვაზე — გამოვა თუ არა საქართველო დსთ-დან...

პრეზიდენტს ელოდნენ ისინიც, რომელთაც იმედი აქვთ, რომ მისგან ქართული სახელმწიფოს აშენების კონკრეტულ სტრატეგიულ გეგმას მიიღებენ.

ქართული სახელმწიფოს აშენების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენააო, — გვითხრა ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორმა, თსუ-ის პროფესორმა **კახა კაციტაძემ**, რომელიც ამ და მკითხველისათვის საინტერესო სხვა თემებზე გვესაუბრება:

— გაეროს გენერალურ ასამბლეაზე გამოსვლისას მიხეილ სააკაშვილმა კონფლიქტების დარეგულირებაზე ილაპარაკა. ვფიქრობ, სწორად გააკეთა აქცენტები.

> თუ ხელისუფლება, რაიმე ფორმით, შეეცდება დემოკრატიას ფრთები შეაკვეცოს, თვითონ წაიტეხს კისერს. ტერიტორიების დაბრუნებას დემოკრატიის კი არა, კუჭის შეზღუდვა სჭირდება.

მართალი იყო პრეზიდენტის ნათქვამი — კონფლიქტის ზონების მოსახლეობამ უფრო უნდა განამტკიცოს ურთიერთობა და ურთიერთშორის დაკარგული ნდობა აღადგინოს. ყველა პოსტსაბჭოთა კონფლიქტი დღესდღეობით გაყინულია. არც ერთი არ გადაწყვეტილა. ამიტომ, აჯობებდა მიხეილ სააკაშვილს ეთქვა, — საერთაშორისო კონფერენცია მხოლოდ სამხრეთ ოსეთის კი არა, ყველა პოსტსაბჭოთა კონფლიქტის მოგვარებას მიეძღვნასო. ვგულისხმობ დნესტრისპირეთს, სამაჩაბლოს, აფხაზეთს, ყარაბაღს და, თქვენ წარმოიდგინეთ, ჩეჩნეთსაც. პრეზიდენტმა ისიც აღნიშნა, საქართველოში არც ერთი ქვეყნის ბაზა აღარ იქნებაო. მართალიც იყო, რადგან კლასიკურ სტაციონარულ სამხედრო ბაზებს ყავლი გაუვიდათ. ცივი ომის დროს ამერიკელებს გერმანიაში 4 დივიზია და 6 დივიზიის სამყოფი საჭურველი ჰქონდათ. ახლა ასეთი ბაზები გერმანიიდანაც გააქვთ და უკვე სამხრეთ კორეიდანაც! ეს რუსული ბაზები, რომლებიც ჩვენს ტერიტორიაზეა, უსათუოდ უნდა გავიდეს და მის ნაცვლად შეიქმნას დაზვერვისა და რადიოელექტრონული საშუალებებით აღჭურვილი მოქნილი ინფრასტრუქტურა, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში ნატო ჩვენთან შეთანხმებით გამოიყენებს. რუსეთს აუკვიატებია, საქართველოდან ამერიკელები ჩემს ტერიტორიაზე შემოიჭრებიანო. არადა ჩვენ არ ვაპირებთ აქ ამერიკული დივიზიების განლაგებას და ეს არც ამერიკელებს მოსდით ფიქრად. ჩვენი გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, საქართველოში უნდა შეიქმნას ბაზირების მოქნილი სისტემა. თუ, დავუშვათ, საჭირო შეიქნება ცენტრალურ აზიაში ჯარების გადასროლა, საქართველოს უნდა ჰქონდეს 2-3 აეროპორტი (და საწვავის მარაგიც), რომელიც ამ ფუნქციას შეასრულებს.

**— ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობა საკმაოდ რთულ პირობებში მიმდინარეობს. ორ, ჯერ კიდევ მოუგვარებელ, შიდაკონფლიქტს ართულებს რუსეთის ხრიკები სამაჩაბლოსა და აფხაზეთში. ის ყოველთვის შეეცდება, ხელი შეუშალოს ჩვენს ბრძოლას ტერიტორიული მთლიანობისათვის.**

— რუსეთი ყოველთვის ასე იქცეოდა, მაგრამ რეალურ საფრთხეს, რომელიც 5 ან 10 წლის შემდეგ იჩენს თავს, ჩრდილო კავკასიიდან ველი და არა მისგან. ჩეჩნეთის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა, სამწუხაროდ, უკვე ისლამისტურ მოძრაობად გარდაიქმნა, რომელსაც ჩრდილო კავკასიაში ხალიფატის მაგვარი სახელმწიფოს ჩამოყალიბება აქვს განზრახული. და, როგორც ჩანს, ამ ომს რუსეთი წააგებს. მოსალოდნელი ბრძოლის ყველა შესაძლო სცენარი — რუსეთის დამარცხება, გამარჯვება თუ ომის გაგრძელება — ჩვენთვის წამგებიანია. ამიტომ საქართველო საამისოდ უნდა მოემზადოს — არმია გააძლიეროს. რუსეთმა ჩეჩნეთის სახით შექმნა ვირუსი, რომელიც თავად მას დაანგრევს და ყველანაირად უნდა ვეცადოთ, ამ ნგრევის არეში არ მოვყვეთ. საერთოდ, ტერორიზმს სულის გარკვეული მდგომარეობა წარმოშობს, სულის მდგომარეობაზე კი არცთუ უმნიშვნელო გავლენა მატერიალურ ფაქტორებს აქვს. ჩრდილო კავკასიაში 18-დან 40 წლამდე მამაკაცების 85% დაუსაქმებელია. ვიღაც სპეცსამსახურის თანამშრომელი, რომელიც ისლამს ეფარება, ჩაუდებს ჯიბეში 100 „ბაქსს“ და ყველაფერზე წავლენ. ძნელია დაუპირისპირდე ხალხს, რომელსაც ომი და ტერორიზმი შემოსავლის წყაროდ გაუხდია.

**— გაეროს ასამბლეაზე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ტერორიზმთან ბრძოლის 9-პუნქტიანი გეგმა ჩამოაყალიბა. რამდენად ეფექტიანია ეს მეთოდები და ხომ არ გულისხმობდა ლავროვის გეგმა საქართველოზე ირიბ დარტყმას.**

— ლავროვის გეგმა, გარდა იმისა, რომ ბრიყვულია, ფაქტობრივად, მეზობელი სახელმწიფოების მიმართ აგრესიასაც გულისხმობს. ერთი ქართული ანდაზა მახსენდება: ცხენს ვერ მოერივნენ და უნაგირს დაუწყეს მტვრევაო. რუსეთი ჩეჩნეთს ვერ მოერია და ქართველებს გვიღერებს მუშტს, მაგრამ ვერ ხვდება, რომ ვერც ჩვენ მოგვერევა. საქართველო აღარ არის ადვილად ხელწამოსაკრავი ქვეყანა და რუსეთი მწარედ ცდება ჩვენი ძალის შეფასებისას. მახსოვს, ჩეჩნეთის პირველი ომის დროს, რუსი გენერლები ამბობდნენ, — ელცინი გვიშლიდა ხელს ომის დასრულებაშიო. აგერ, ხელს არ უშლის და არ აჩერებს პუტინი, რატომ ვერ აჯობეს ჩეჩნებს? არ ტყდებიან, უმეცრები და ბრიყვები ვართო. ვიღაცას ხომ უნდა დააბრალონ თავიანთი სამხედრო გაუნათლებლობა და უუნარობა და, როგორც წესი, ასეთ დროს საქართველოა ხოლმე „მთავარი დამნაშავე“. რუსების ასეთ „ხუნტრუცს“ ამერიკელები არად აგდებენ, ჩვენ კი, რატომღაც, ყოველთვის ვწიწმატდებით მათ ნაბოდვარზე, რადგანაც ჯერ კიდევ გაზვიადებული წარმოდგენა გვაქვს ჩვენს მეზობელზე. მერწმუნეთ, საქართველოს 5 წლის შემდეგ რუსეთის პრობლემა აღარ ექნება. თუმცა ჩემი ვარაუდით, რუსეთთან საკმაოდ ხანგრძლივი, ე.წ. ცივი ომის ხანა დაგვიდგება. იქ ხელისუფლების სათავეში ავადმყოფური იდეებით შეპყრობილი ადამიანები არიან და ფიქრობენ — მსოფლიო შეითქვა რუსეთის სიდიადის დასამცრობადო. საშუალო კვალიფიკაციის ფსიქოლოგიც კი გეტყვით, რომ ეს ჩუმი ფსიქოზის მდგომარეობაა. რუსეთის ხელისუფლების ვარაუდით, მისი განადგურების გეგმის შემდგენი და ორი მთავარი შაითანი ამერიკა და ინგლისია, რომელსაც ისრაელისა და, საერთოდ, ებრაელობის სახით, საშუალო შაითანი ჰყავთ და ასევე — პატარა შაითანი საქართველო, რომელიც დიდი შაითნების მითითებით, ურევს სიტუაციას რუსეთს. როდესაც ჩვენი მეზობელი ასე ფიქრობს, როგორ უნდა დამყარდეს ჩვენ შორის ნორმალური სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები ან კიდევ, როდესაც მეგობრობაზე ველაპარაკებით, გგონიათ, დაიჯერებენ? მათ მტრად მივაჩნივართ. ჩვენი ლაპარაკი ძმობასა და მეგობრობაზე მათთვის მორიგი შაითნობაა და მეტი არაფერი. რუსები ისე არიან აღრენილები და გადარეულები, სააკაშვილის ძმობაზე ლაპარაკი კი არა, ბუშის სამძიმარიც რაღაც ხრიკი და ძირის გამოთხრა ეგონათ.

**— სამაჩაბლოში გალლობისკენ წასული პრობლემა ჩიხისკენ წავიდა, როგორ ფიქრობთ, ამის შემდეგ რა უნდა გავაკეთოთ?**

— ცხინვალში მხოლოდ ძალის დემონსტრირება იყო საჭირო, მაგრამ იქ ამას ძალის გამოყენებაც მოჰყვა. სტრატეგიული გეგმა ტაქტიკური ქმედებების დაწყებამდე უნდა შემუშავებულიყო, მაგრამ, როგორც ჩანს, იქ მოვლენები ქაოსურად განვითარდა. არადა გარკვეული სტრატეგიული გეგმა ჯერ კიდევ რევოლუციამდე შეიქმნა, ყოველ შემთხვევაში, 2003 წლის მაისში ამ გეგმის მონახაზი უკვე რომ არსებობდა, ვიცი, რადგან მის შედგენაში მეც ვმონაწილეობდი. სად წავიდა ეს მონახაზი და როგორ გამოიყენეს, არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში, მისი კვალი ვერსად დავლანდე. თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ცხინვალში ყველაფერი ცუდად გაკეთდა. მართალია, დაგველუპნენ სანგარში მყოფი ჯარისკაცები, მაგრამ სტრატეგიული სიმაღლეები უსისხლოდ ავიღეთ — ეს წარმატებული ოპერაცია იყო. ხსენებული მაგალითები მეტყველებს, რომ ვიღაც სწორად მოქმედებდა და ვიღაც — არა. ისიც უნდა ვთქვა, რომ სამაჩაბლოში განვითარებულ მოვლენებში მხოლოდ სამხედროების ბრალს ვერ ვხედავ, პასუხისმგებლობა პოლიტიკოსებსაც აკისრიათ, რასაც ვერ გაექცევიან.

სამხედროებს პოლიტიკოსმა უნდა დაუსახოს სამხედრო ქმედებების პოლიტიკური მიზანი. როდესაც მიზანი მკაფიო არ არის, ქართველები კი არა, ამერიკელებიც ვერაფერს მოახერხებენ.

**— პრეზიდენტის განცხადება — ტერიტორიული მთლიანობა აღვადგინოთ, სამაჩაბლო და აფხაზეთი უნდა დავიბრუნოთო, არ არის ნათელი და მკაფიო მიზანი?**

> როდესაც ხელისუფლება ძალას მიმართავს, ე.ი. მას რაღაცის ეშინია. არადა არ უნდა ეშინოდეს იმ ხალხისა, რომელმაც ამხელა ნდობა გამოუცხადა და ქვეყნის სათავეში მოიყვანა.

— შესაძლოა ეს პოლიტიკოსისთვის იყოს ნათელი და გასაგები, მაგრამ სამხედროსთვის — არა. მას კონკრეტული მოქმედების გეგმა სჭირდება და იცით, რომ გამარჯვების ფორმულა უკვე არსებობს? ის მათემატიკურად არის გათვლილი და კლაინის ფორმულას უწოდებენ. ეს ფორმულა ასეთია: გამარჯვება უდრის ერის უნარს, აწარმოოს სამხედრო მოქმედებები + ეკონომიკა (რამდენად არის მზად ეკონომიკა ომისთვის) + შეიარაღებული ძალების მომზადება; ეს ყველაფერი უნდა გავამრავლოთ სტრატეგიული მიზნის სიცხადეზე, ერის ნებასა და ხელისუფლების უნარიანობაზე. ამ ყველა კომპონენტის ერთიანობა განაპირობებს სწორედ გამარჯვებას. მაგრამ ჩვენ „გამარჯვების ფორმულის“ ამოქმედებაში ხელს ინტელექტისა და ნების უქონლობა გვიშლის. ნაპოლეონს აქვს გამონათქვამი: სული სხეულთან ისეთ მიმართებაშია, როგორც სამი ერთთანო (ანუ სულიერი ფაქტორი სამჯერ მეტია). ჩეჩნეთის ომის დროს სწორედ ნებამ, სულიერმა ფაქტორმა გადასძალა რუსეთის სამხედრო ძლიერება. საბრძოლო წარმატებას ზუსტი პოლიტიკური გათვლა უნდა უმაგრებდეს ზურგს, წინააღმდეგ შემთხვევაში, არაფერი გამოვა. ეს რომ ასეა, დასტურად ერთ მაგალითს მოგიყვანთ — 1956 წელს საფრანგეთმა, ინგლისმა და ისრაელმა ეგვიპტეს დაარტყეს. იმ ოპერაციას „მუშკეტერი“ ერქვა და ჩავარდა იმიტომ, რომ რუსეთმა მათ გამოუცხადა — მე პირიქით, თქვენ დაგარტყამთო, ამერიკამ კი მხარი არ დაუჭირა საფრანგეთსა და ინგლისს. ამ ოპერაციის წარუმატებლობის მიზეზი ცუდი პოლიტიკური ფონი იყო (ამერიკისა და რუსეთის პოზიციები), თორემ საფრანგეთსა და ინგლისს მაშინ ურიგო არმიები ნამდვილად არ ჰყოლიათ. სამხედრო და პოლიტიკური ასპექტების ზუსტი გათვლა ძალიან ძნელია, მაგრამ შესაძლებელია და ეს ეროვნული უშიშროების საბჭომ უნდა გააკეთოს. შესანიშნავი პიროვნებაა გელა ბეჟუაშვილი, მაგრამ ვშიშობ, რომ ეროვნული უშიშროების საბჭო, ღრმა კონცეპტუალური გათვლების ნაცვლად, შექმნილ სიტუაციაში მიმდინარე საკითხების გადაწყვეტაზეა გადართული. სამაჩაბლოს კონფლიქტის დროს უშიშროების საბჭოში იმაზე მსჯელობდნენ, რა და როგორ მივაწოდოთ ჯარსო, არადა ეს მისი საქმე არ იყო. როდესაც ერთსა და იმავე კაცს ევალება გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავებაც და ჯარის მომარაგებაზე ზრუნვაც, საქმე წააგებს.

**— ქართულ საზოგადოებრიობასა და პოლიტიკურ წრეებშიც (დაპირისპირების მიუხედავად) ყველანი ერთსულოვანი არიან იმაში, რომ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა უნდა აღდგეს, ჩვენ ერთიანი ქართული სახელმწიფო უნდა ავაშენოთ. ეს ხომ არის უკვე ერის ნება...**

— ქართველებმა ისრაელის მაგალითით უნდა ვიხელმძღვანელოთ. ებრაელების განზრახვა, რომ საკუთარი სახელმწიფო შეექმნათ, სავსებით ირაციონალური აქტი იყო (ყველა წესითა და გათვლით უნდა წაეგოთ), მაგრამ ერის ნება ისეთი ძლიერია, რომ მას წინ ვერაფერი აღუდგება. წესით, ყველა ქართველის ნება უნდა იყოს ძლიერი ქართული სახელმწიფოს აშენება და პოლიტიკოსები თუ არ მოინდომებენ მის განხორციელებას, ავდგებით და ასეთ ხელისუფლებას გამოვცვლით. თან, მოგეხსენებათ, მაგის ისეთი გამოცდილება გვაქვს, რომ მთელ მსოფლიოს პირი დავაღებინეთ. მთავარია, ჩვენ საკუთარი ტერიტორიების დაბრუნების ნება გვქონდეს და პოლიტიკურ ელიტას როგორმე ვიშოვით. ისინი, უბრალოდ, დაქირავებული ადამიანები არიან, რომელთაც იმიტომ ვქირაობთ, რომ ჩვენი ნება და ინტერესები დაიცვან და დღეს, როდესაც ვხედავ, რომ არბევენ ხალხს, რომელიც ხელისუფლებას მისი ინტერესების დაცვას სთხოვს, რბილად რომ ვთქვა, მწყინს და მიკვირს.

**— ოპოზიცია აცხადებს, — პრეზიდენტმა რაკი უმთავრეს მიზნად ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა დაისახა, დემოკრატიას ნაცარი წააყარაო.**

— ეს მიზანი მხოლოდ პრეზიდენტს არ დაუსახავს — ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა გახლავთ ქართველი ერის შეკვეთა სააკაშვილისადმი. ეს ხელისუფლება სათავეში ქართველი ხალხის ნებით მოვიდა და არა — სამეფო კარის ინტრიგებით. ქართველმა ხალხმა მას ჩააბარა თავისი ყველაზე სანუკვარი მიზანი, იმედი და ოცნება. ნოემბრის აქციების დროს, როდესაც სიცივესა და წვიმაში ხალხი პარლამენტის შენობასთან იდგა, მივხვდი — ამ ერს ვერაფერი გააჩერებს-მეთქი. ამ ხალხმა უთხრა ხელისუფლებას, — დაკარგული მიწები დაგვიბრუნეო და მან უნდა შეასრულოს ეს მოთხოვნა. ასეთ ვითარებაში დემოკრატია არათუ უნდა შეიზღუდოს, არამედ სწორედ ისაა ქვეყნის გადამრჩენი ერთადერთი ძალა. თუ ხელისუფლება, რაიმე ფორმით, შეეცდება დემოკრატიას ფრთები შეაკვეცოს, თვითონ წაიტეხს კისერს. ტერიტორიების დაბრუნებას დემოკრატიის კი არა, კუჭის შეზღუდვა სჭირდება. პრეზიდენტმა უნდა თქვას, — ხალხო, არმიას გაძლიერება სჭირდება და წელზე ქამრები მოვიჭიროთო და დარწმუნებული ვარ, გაუგებენ. ისევ ისრაელის მაგალითს მოვუხმოთ: ეს ქვეყანა სულ კრიტიკულ სიტუაციაშია, რადგან ყველა მეზობელს მისი განადგურება უნდა. მიუხედავად ამისა, ამ სახელმწიფოში აზრადაც არავის მოსვლია დემოკრატიის შეზღუდვა. დემოკრატიის შეზღუდვა ყველაზე დიდი სიბრიყვეა და თუ ჩვენი ხელისუფლება ამას ჩაიდენს, მეზობელი ქვეყნის პრეზიდენტზე უარესი „პუტინეტი“ გახდება. ვიცი, ბევრს არ მოსდის თვალში ნორმალური და თავისუფალი ქვეყანა და პრეზიდენტს უყიჟინებს — მოეშვი დემოკრატობას, აიღე, მიშა, ავტორიტარული ხელისუფლებაო. არადა პრეზიდენტის ყველაზე დიდი რესურსი სწორედ დემოკრატიაა. თავად სააკაშვილმა უნდა გადაწყვიტოს, ვინ არის ეს ხალხი — მტერი თუ მოკეთე. ხელისუფლება ქართულ სახელმწიფოს ჩვენ მიერ მიცემული მანდატით ქმნის და არ შეიძლება „დუბინკებით“ გადაგვიაროს. როდესაც ხელისუფლება ძალას მიმართავს, ე.ი. მას რაღაცის ეშინია. არადა არ უნდა ეშინოდეს იმ ხალხისა, რომელმაც ამხელა ნდობა გამოუცხადა და ქვეყნის სათავეში მოიყვანა.

ბოლოს, მაინც მინდა ოპტიმისტურად დავამთავრო: მართალია, დიდი მსხვერპლის ფასად, მაგრამ ქართველი ერი შედგა და მჯერა, სულ მალე, ქართულ სახელმწიფოსაც ავაშენებთ...

***იზო რიკაძე***

# „ერთი სული მაქვს, სოხუმის ქუჩებს მოვეფერო“

## 27 სექტემბერი სოხუმის დაცემის დღეა

11 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც 1993 წლის 27 სექტემბერს ალყაშემორტყმული სოხუმი დაეცა. მიტოვებულმა ხალხმა ფეხად გამოასწრო ყელში მომდგარ სიკვდილს და დიდი ტანჯვის ფასად სამშვიდობოს გამოაღწია, თუმცა გამძვინვარებულმა მომხდურებმა ბევრი ქართველი მებრძოლი და მშვიდობიანი მცხოვრები ჩახოცეს სოხუმის ქუჩებში.

ძნელია ამ ტრაგედიის გახსენება, რადგან 27 სექტემბერი ისეთი იარაა ქართულ სხეულში, რომელიც არასოდეს გამრთელდება (ყოველ შემთხვევაში მანამ, სანამ აფხაზეთს არ დავიბრუნებთ), ძნელია, მაგრამ მაინც ვიხსენებთ, რადგან აფხაზეთის დავიწყება შეუძლებელია.


1993 წელი, ჭუბერის უღელტეხილი...

**მერი ფიფია**, სოხუმის მცხოვრები:

— ბოლო დღეებში სასტიკი ბრძოლები დაიწყო. სოხუმი მასობრივად იბომბებოდა. ჩემი ოჯახიდან ოთხი ვაჟკაცი იბრძოდა. შვილები მეუბნებოდნენ, გაგიყვანთ, დედა, უკან დახევა რომ მოგვიწიოს, ძალიან გაგიჭირდებაო. მაინც არ წამოვედი. ბოლომდე ყველანი ერთად ვიყავით. ჩემი ქალიშვილი ფეხმძიმედ იყო და ერთ-ერთი დაბომბვის დროს, როცა თავშესაფრისკენ მივრბოდით, ყუმბარის ნამსხვრევით დაიჭრა, მაგრამ ფეხი მაინც არ მოვიცვალეთ იქიდან.

27 სექტემბრის წინაღამეს საშინელი დაბომბვა დაიწყო. ახალი რაიონი, სადაც ვცხოვრობდით, გამუდმებული ცეცხლის ქვეშ იყო. წყალი არ გვქონდა, სარდაფში ოდნავ ჟონავდა და იმას ვაგროვებდით.

გათენებისას გულრიფშში წამოვედით მანქანით. ამ დროს გამოიარა შევარდნაძემ. ვკითხეთ, როგორ მოვიქცეთ-თქო, გვიპასუხა, ქობალიას და კიტოვანს გზა გადაუკეტავთ და იქ მივდივარ, რომ ეს პრობლემა მოგიგვაროთო. ისე მოაგვარა ჩემმა მტერმა საქმე, როგორც მან მოაგვარა. მივხვდით, რომ განწირულები ვიყავით. მტრის თვითმფრინავი დაგვედევნა, ჩვენმა არტილერისტებმა „გრადები“ დაუშინეს და ძლივს გადავრჩით. დავიძარით უღელტეხილისკენ. ენით ვერ აღგიწერთ, რაც იქ გადავიტანეთ. ჩემი ბიჭი დაჭრილი იყო, საშინლად ყინავდა და გაცივდა. სული ძლივს ავიტანეთ ჭუბერამდე.

ახლა ბევრ რამეს ამბობენ, თითქოს ცუდად დაგვხვდნენ სვანები. მსგავსი რამ მე არ მიგრძნია. დაახლოებით 30-მდე კაცი შეგვიფარა თემურ ცინდელიანის ოჯახმა. არაფერს გვაკლებდა. აფხაზეთში უომრად დაბრუნების არ მჯერა. სანამ იქ ჩვენი იურისდიქცია არ აღდგება, რა აზრი აქვს ლტოლვილების დაბრუნებას? სასაკლაოზე ვინ წავა თავისი ფეხით? თუ ტაქტიანად მივუდგებით პროცესს, შერიგება შესაძლებელია. არ შეიძლება აფხაზთა შორის ყველა ცუდი იყოს. მე ვიცნობდი ერთ აფხაზ ბიჭს, მეტსახელად „კრასავჩიკს“ ეძახდნენ. ისე კარგად გვექცეოდა, ბევრ ქართველს აჯობებდა. ეს არის ის ნათელი წერტილი, რამაც მშვიდობა უნდა ჩამოაგდოს ჩვენსა და მათ შორის.

**ვაჟა მანია**, სოხუმის მცხოვრები:

— სოხუმიდან ბოლო წუთამდე არ გამოვსულვარ. წითელ ხიდთან ვცხოვრობდით და ყველაფერი ჩემ თვალწინ ხდებოდა. ბავშვები წამოვიყვანე წინასწარ, რადგან ჩვენს სახლთან გვირაბი იყო, აფხაზები კი გამუდმებით გვბომბავდნენ. შინ მე და ჩემი ვაჟი დავრჩით და კიდევ ჩემი აფხაზი რძალიც, რომელიც გვერდიდან არ მოგვშორებია მთელი ამ ხნის განმავლობაში.

27 სექტემბრის დილამდე არ გვიფიქრია გამოსვლა და მერეც, როცა იძულებული გავხდით იქაურობა მიგვეტოვებინა, ისეთი გრძნობა მქონდა, რომ 2-3 დღეში ისევ უკან უნდა დავბრუნებულიყავით. აგუძერის მისადგომებთან იდგა ბოლო გემი. თუმცა გემიც არ ეთქმოდა, ბარჟა უფრო იყო. უამრავი ხალხი მიაწყდა, ყველა წამსვლელს კი ვერანაირად ვერ დაიტევდა. ტრაპიც კი არ ჰქონდა, ძლივს ადიოდა ხალხი. მახსოვს, ჩემოდნებსა და ბარგს წყალში ყრიდნენ, ოღონდ თვითონ ასულიყვნენ... მთელი გზა ფოთამდე ცალ ფეხზე ვიდექი. სანამ ოჩამჩირეს გავუსწორდებოდით, ნაპირიდან ბომბებს გვიშენდნენ, ღმერთმა გადაგვარჩინა, რომ არც ერთი არ მოხვდა ჩვენს ბარჟას. იმდენად გადატვირთული იყო, გვეშინოდა, არ ჩაძირულიყო. ხალხი ბორტებზე იჯდა. კიდევ კარგი, ღელვა არ იყო, თორემ უეჭველად ჩავიძირებოდით. როდის დავბრუნდებით? ეგ რომ ვიცოდე... ბობოლა ჩინოვნიკებისა რა გითხრათ, მაგრამ უბრალო ხალხი აუცილებლად შერიგდება. იქ ბევრი კარგი ადამიანი დარჩა. მათ იარაღი არ აუღიათ ჩვენს წინააღმდეგ. დაიწყო თუ არა საომარი მოქმედებები, გავიდნენ აფხაზეთიდან. ერთიანობა გვაკლდა, ამან დაგვღუპა. პოზიციებს სისხლით ვიღებდით და მერე უბრძოლველად ვაბარებდით მტერს. ეშერის ზედა პლატო რომ ჩვენს ხელში ყოფილიყო, ერთი ბომბი არ დაეცემოდა სოხუმს. ხელისგულზე იდო მთელი ქალაქი. მოდის ახალი თაობა, მაგრამ ძალიან მეფიქრება — რაც დრო გადის, უფრო რთული იქნება მათი თანატოლ აფხაზებთან შერიგება. არძინბას ხროვა თავისი იდეოლოგიით ისე წამლავს ხალხს, რომ ქართველები კაციჭამიები ჰგონიათ. მე მაინც კეთილი მომავლის მჯერა!

**ირინა მანია**, სოხუმიდან, 15 წლის:

— სამი წლის ვიყავი, ბუნდოვნად მახსოვს ყველაფერი. ჩემი სახლი მაგონდება და კიდევ... საბავშვო ბაღი. მიუხედავად იმისა, რომ პატარა ვიყავი, ჩემში მაინც არ გამქრალა სოხუმის მონატრების გრძნობა. ერთი სული მაქვს, როდის დავბრუნდებით. ახლა იქ რომ ვიყო, სოხუმის ქუჩებს დავივლიდი, იქაურობას მივეფერებოდი. მერე ზღვის ნაპირზე ჩავიდოდი და ჩამავალ მზეს სურვილს ჩავუთქვამდი — აღარასოდეს ყოფილიყოს ომი და საქართველოში მშვიდობა დამყარებულიყოს!

***ზვიად სეხნიაშვილი***

# „წყალბადის ბომბებს ვამზადებ, უნდა ავაფეთქო“

## ქიზიყელი „ვისოცკი“ გინესის რეკორდს უმიზნებს

ალბათ ხშირად შეგხვედრიათ კახეთიდან-თბილისისკენ მიმავალ გაწვართულ გზაზე ველოსიპედზე ამხედრებული, გვარიანად გარუჯული კაცი, რომელიც სრულიად უწყინარი საქმით — ბოთლების შეგროვებით არის დაკავებული. იგი სიღნაღის რაიონის სოფელ ქვემო მაღაროს მკვიდრი **ნოდარ ჩერქეზიშვილია**. თანასოფლელები ტრადიციულად მეტსახელითაც მიმართავენ. „ვისოცკი“ — ასე უფრო იცნობს დიდი და პატარა. ველოსიპედი და ბოთლი მისთვის თავის რჩენის კარგად აპრობირებული საშუალებაა, მაგრამ ვიდრე ამ უცნაურ „ბიზნესს“ „დაამხეცებდა“, „ვისოცკის“ რთული გზის გავლა მოუხდა. ვერავინ იფიქრებდა, რომ კაცი, რომელიც ამ თხუთმეტი წლის წინ სასიკვდილო სარეცელზე იწვა, დღეს გინესის რეკორდსმენებს „გაუწევდა“ კონკურენციას. ცალი ფეხით საიქიოში მყოფმა ყოველგვარი ექიმისა და წამლის გარეშე შემორჩენილი სენი დაძლია და სიცოცხლის ხალისი დაიბრუნა.



ჩვენი საუბარი ნაშუადღევს შედგა. „ვისოცკის“ თავისი „გეგმა“ უკვე შესრულებული ჰქონდა და კახეთისკენ აპირებდა გაბრუნებას, მაგრამ მცირე ხნით განრიგი დავურღვიეთ:

— **ნოდარ, დიდი ხანია, რაც ამ საქმით ხარ გატაცებული?**

— ეს გატაცება არ არის, ამ საქმიანობამ სიცოცხლე დამიბრუნა. ამ თხუთმეტი წლის წინ ისე დავუძლურდი, რომ ვგრძნობდი, უნდა მოვმკვდარიყავი. ყველაფერი მტკიოდა. საერთოდ, ბავშვობიდან ავადმყოფობა შემომეჩვია. აგვისტოში, გაგანია ზაფხულში, წყალში რომ მებანავა, ორი კვირა ლოგინიდან ველარ ვდგებოდი სიცხით გათანგული. მერე ღრძილები ამტკივდა, არაფერმა არ მიშველა, ამას ძვლების ტკივილიც დაერთო და ასი წლის მოხუცს დავემსგავსე, დავლასლასებდი გაფითრებული. ერთი სიტყვით, კარგად „მაქანავა“ ავადმყოფობამ...

— **ექიმები რას გეუბნებოდნენ?**

— რა უნდა ეთქვათ? წამლებით ვიჭყიპებოდი. წამალი იმ წუთში არის შველა, თორემ მერე ისევ თავიდან იწყება ტკივილი და უბედურება. ბოლოს ვთქვი, ისევ მე ვუშველი ჩემს თავს-მეთქი, ნებისყოფა მოვიკრიბე და....

— **ველოსიპედით ვარჯიში დაიწყე?**

— დამაცა, მივიდე მანდამდე(!). მასაჟების გაკეთება დავიწყე. ბუზების სახოცს მტკივან ადგილებზე იმდენი ხანი ვიტყაპუნებდი, ვიდრე კანი არ გაწითლდებოდა და ტკივილი არ გამიქრებოდა. მერე ვარჯიში დავიწყე. ველოსიპედი რით უნდა მეყიდა? საქართველოში ისეთი არეულობა იყო, ძაღლი პატრონს ვერ ცნობდა. ისევ მანქანა გავყიდე, მაინც შაღონებული ვიყავი — „იქ წამიყვანე, აქ წამიყვანე...“ — დავიშორე თავიდან და ველოსიპედი ვიყიდე.. უფასო ტრანსპორტია და თან ჯანმრთელობას აკაჟებს. ყოველდღე მივდიოდი დედოფლისწყაროს ტბაზე და იქ ვბანაობდი.

— **ამხელა მანძილის გავლა არ გიჭირდა?**

— შრომა ყოველთვის მიყვარდა. ეხლაც, სადაც გინდა ვიყო, ხელი უნდა გავატოკო, სხვანაირად არ შემიძლია. ჩემს ჯანმრთელობაზე ზრუნვა რო დავიწყე, საქონელი მოვაშენე, ოთხი მეწველი ძროხა მყავდა. დილით ნახირში გავყრიდი, საღამომდე კი ველოსიპედით დავდიოდი ახლომახლო რაიონებში. როცა ვიგრძენი, რომ მოვმაგრდი და შორ მანძილზე შემეძლო თავისუფლად წასვლა, საქონელი გავყიდე და ახალი ველოსიპედი შევიძინე. ლაგოდეხთან კაბალის ბაზრობაა, იქ დავიწყე ყოველდღე სიარული. იხვებისა და კურდღლების მოშენებას მივყავი ხელი. კარგა დიდი გზაა ჩემი სოფლიდან კაბალის ბაზრობამდე. იქ სიარულისას შევამჩნიე, რომ გზის პირას უამრავი ცარიელი ბოთლი ეყარა. დავიწყე აკრეფა, ჯერ მეზიზღებოდა, მერე დავაკვირდი და სუფთა ბოთლები იყო, გზაზე სხვა რა უნდა იყოს, დალევენ და გაჰკრამენ მანქანიდან. ასე დავიწყე მოგროვება.

— **ცარიელ ბოთლებს რას უშვრებოდი?**

— ეგეთ კითხვებზე ერთი პასუხი მაქვს, რო გითხრა, ხო არ გეწყინება?!

— **არ მეწყინება.**

— რაც ბოთლების შეგროვება დავიწყე, იმის მერე მიჩვრეტავენ ტვინსა — „რად გინდა?“ „ამდენი ბოთლები სად მიგაქ?“ „რამდენს შოულობ?“... ხან ვამბობდი — წყალბადის ბომბებს ვამზადებ და ამერიკა უნდა ავაფეთქო-მეთქი, ხანაც ვიძახდი — სოფელში ერთი დიდი ხევია და ის უნდა ამოვავსო-მეთქი. ყელში რო ამამიყვანეს, ყველას ვეუბნები — ორი ლარი მამეცით და გეტყვით, რაღა მუქთად ვილაპარაკო-მეთქი?!.

— **რომ მოგცენ 2 ლარი, რას ეტყვი?**

— რას ვეტყვი და თავს ვირჩენ-მეთქი. ვაშავებ რამეს? პირიქით, ქუჩებს ნაგვისგან ვასუფთავებ და არც არავის ვაწვები ზედმეტ ტვირთად. ამ ბოთლებს რომ უყურებ, „ჭიჭიკო მასკვიჩი“ ვიყიდე უკვე, ოთხი აკარდეონი, ფანდურები, რა ვიცი, ვინ მოსთვლის...

— **აკორდეონი და ფანდური რად გინდა?**

— ქიზიყელი კაცი ვარ, ქეიფი და სიმღერა მიყვარს, აკარდეონზეც ვუკრავ, გიტარაზეც, ფანდურზეც და სალამურზეც. კარგადაც ვმღერი. მაღაროში „ვისოცკის“ მეძახიან. ვისოცკის სიმღერები მიყვარს და თავადაც კარგად გამომდის მათი შესრულება.

— **გამუდმებით ვარჯიშობ და როგორღა პოულობ საქეიფო დროს?**

— ღვინო ძალიან მიყვარს, არაყსა და ლუდს არ ვეტანები, თორემ ღვინოს დავლევ ენის გაშეშებამდე!..

— **„პახმელიაზე“ რას აკეთებ?**

— რა „პახმელია“, რის „პახმელია“, „პარაშოკით“ გაკეთებულ ღვინოს კი არა ვსვამთ მაღაროში?!. მე „პახმელია“ და თავის ტკივილი არ ვიცი. როგორც გინდა დავთვრე, მეორე დილით ჩემს რეისს არ ჩავაგდებ. სისხამზე უკვე ველოსიპედზე ვზივარ, ბიჭებს უკვირთ ხოლმე, ჩვენ თავი ვერ აგვიწევნია და ეს როგორ იტანს ყველაფერსო. როგო ვიტან და ჩემ თავზე ზრუნვით. 11 წელია, რაც სიგარეტი არ მამიწევია. წინათ ხელიდან არ ვაგდებდი. მერე მივხვდი, კვამლი და ბოლი რო კარგი იყოს, „ფეჩის ტრუბას“ გარეთ კი არ გაუშვერდნენ, შიგნით შამააყოფინებდნენ!...

— **თბილისში როდის დაიწყე სიარული?**

— დიდი ხანია უკვე, ერთხელ დილით გამოვედი, ველოსიპედიც ვერ მქონდა ფორმაში, თან გზაზე ბოთლებსაც ვკრეფამდი და მაინც, საღამოს ხუთზე უკვე ქალაქში ვიყავი. მას მერე თითქმის ყოველდღე დავდივარ, შემიძლია ისე ვიარო, არც კი დავისვენო. ეგ არი, რომ გზაში უამრავი ყბედი მხვდება — „სად მიდიხარ? რას დადიხარ?“ — წაღებული მაქ ტვინი. მეგონა ჩემი სოფლის ყბედებს თავს დავაღწევდი და გზაში იმდენები გამოჩნდნენ, რო მოსვენება აღარა მაქ.

— **რამდენ ხანში შეგიძლია მაღაროდან თბილისამდე ასი კილომეტრის დაფარვა?**

— რომ მოვინდომო, ექვს საათში ჩამოვალ. სპორტული ველოსიპედი რომ მქონდეს, უფრო მალე ჩამოვიდოდი.

*(გაგრძელება იხ. გვ.27)*

# მტერო, არ შაგიშინდები!



ერს, რომელსაც წარსული ახსოვს, დაღუპვა არ უწერია. ქართველებში თვითგადარჩენის ინსტინქტმა გაიღვიძა — კრწანისის ბრძოლიდან 209 წლის შემდეგ, ორთაჭალის 300 არაგველის სახელობის პარკში ასეულობით თბილისელმა პატივი მიაგო კრწანისის გმირების ხსოვნას — ულამაზესი შემოდგომის ყვავილებით შეამკო მემორიალი. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ კრწანისის წმინდა ნიკოლოზის ტაძარში ომში დაღუპულთა პანაშვიდი გადაიხადა და უფალს მიწიერი საქართველოს შეწევნობაც შესთხოვა...

თქვენ გენაცვალეთ, ქართველებოო, — ჩემ თვალწინ მოხუცმა ქუდი მოიხადა და ცას ახედა.

— შვილო, აი, აქ ვცხოვრობ, — გამომელაპარაკა ბერიკაცი, — ამ დილით, პარკში რო ვიჯექი, ბიჭებმა ცხენები შემოაჭენეს. მითხრეს, არაგველების დღეაო. უნდა იყოს, მაშ! ეგ ხალხი, შვილო, ამ მიწითვინ დაიხოცა. ამ ბაღში იმათი ძვლებია... მათი სულებიც აქ არიან, მა სად წავიდოდნენ? აქ რო ვდგავართ, გვხედავენ და გვლოცავენ...

*კრწანისის ეკლესიის წინამძღვარი მამა ბესარიონი:* — დღეს აღვადგენთ ტრადიციას, რომელსაც წმინდა ილია მართალმა ჩაუყარა საფუძველი — 1895 წელს, კრწანისის ომის 100 წლის თავზე, რუსთა იმპერატორს გამოსთხოვა უფლება, კრწანისის ომში დაღუპულთა ხსოვნა აღენიშნათ. ამიერიდან კი ყოველ 24 სექტემბერს საქართველოს ეკლესია კრწანისში დაღუპულებს კვლავ მოიხსენიებს. ეს ადგილი წმინდა ადგილად იქცევა... გაისად, კრწანისის ომის 210 წლისთავზე, საპატრიარქოს თაოსნობით სრულიად საქართველო აღავლენს ლოცვა-ვედრებას წინაპართა სულების საოხად.

*ზვიად ძიძიგური, პარლამენტარი:* — მეც და სხვებიც, აქ ჩოხებით მოვედით, რათა ერმა იგრძნოს, კრწანისელთა მემკვიდრეები რომ ვართ. დღესაც კრწანისის ომში ვართ ჩაბმულნი — იდეოლოგიურ, პოლიტიკურ, ტერიტორიულ ომში. 200 წლის წინ კრწანისი წავაგეთ, მაგრამ დღევანდელი ომის წაგების უფლება არა გვაქვს. ველარ გადავრჩებით! ამ პარკში, თვითონაც ხედავთ, სასტუმროს მშენებლობაა დაწყებული. ვიღაცას ბევრი ფული აქვს და ღმერთმა მისცეს, მაგრამ ჩვენ აქ, ამ წმინდა ადგილზე, სასტუმროს ვერავის ავაშენებინებთ!

*ისტორიკოსი ლეილა მირიანაშვილი:* — კრწანისის ომზე ყველაფერი ვიცი — როგორ ვერ მოხერხდა ლაშქრის შეკრება, როგორ თავგანწირულად იბრძოდნენ ქართველები და მოხუცი მეფე ერეკლე, როგორ იგებდნენ ომს, როგორ გაგვყიდა მოღალატემ... მოვედი იმიტომ, რომ ვგრძნობ, ასეთ დღეებში ღალატზე, ურთიერთდაპირისპირებაზე უნდა დავფიქრდეთ ქართველები, უნდა შევიგნოთ — თუ არ გავერთიანდით, ისე დავმარცხდებით, როგორც კრწანისში... თუმცა ეს დღე ჩვენი სიამაყის დღეც არის — სამშობლოსათვის ბრძოლაც შეგვიძლია, სიკვდილიც და ომში დაცემული წინაპრის გახსენებაც. იქნება რაიმე ეშველოს ჩვენს ქვეყანას.

*ალექსანდრე ალექსიძე:* — მტკვრის გაღმა მხარეს რომ გახედავთ, ჩემი უბანია — შავსოფელი. თბილისელებმა ეს სახელი ამ ადგილს მაშინ დაარქვეს, როცა იქ, კრწანისის ომში, ათასობით ქართველი ჩაიხოცა. მთიელებმა რომ მტერი განდევნეს, იქაურმა ქალებმა შავი მანდილები მოიხვიეს, თბილისში ჩამოვიდნენ და დაღუპულები დაკრძალეს. ამიტომ დაერქვა უბანს შავსოფელი... 14 წლის წინ ამ უბნელებმა იმ დღის მოსაგონებლად 29 მაისი დავაწესეთ და ყოველ წელიწადს აღვნიშნავთ. ეს ამბავი რომ წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის წინამძღვარმა მამა ბესარიონმა გაიგო, შეგვკრიბა და თუ აქამდე მხოლოდ აღვნიშნავდით, ახლა მათი სულებისთვის ტაძარში ვლოცულობთ. უბრალო ხალხი ვართ: მეთუნუქეები, მძღოლები... მაგრამ წინაპრებს პატივს ვცემთ... მე თვითონ შავსოფლელთა მეცხრე თაობა ვარ. სხვათა შორის, შავსოფლობის აღნიშვნა რომ დავიწყეთ, ხალხი გავგზავნეთ არაგვისპირში, მთიელებთან: ასეთ საქმეს ვაპირებთ, 300 არაგველი თქვენი კუთხიდან იყო და შემოგვიერთდითო... შემოგვითვალეს, — არაგველები, ჩვენ კი არა, თქვენ ყოფილხართო. მას შემდეგ ხშირად გაგვჭირვებია, მაგრამ ეს დღე არ დაგვივიწყებია. აწი მთელ საქართველოს გაახსენდება... ვენაცვალე ჩემს წინაპრებს, ცოცხლები აღარ არიან, მაგრამ იქიდან იბრძვიან... ტყუილად უხარია მტერს ჩვენი გაჭირვება — არ გადავშენდებით!

***ეთერ ერაძე***

საქართველოს ოქროს ბირჟაზე, ძირითადად, კონტრაბანდული ნაწარმია წარმოდგენილი (ამის შესახებ „კვირის პალიტრის“ წინა ნომერში ვწერდით). ეს ფაქტორი ჩვენს ეკონომიკას სერიოზულ ზიანს აყენებს. მით უმეტეს, რომ საქმეში ჩახედულთა მტკიცებით, არა მარტო ოქროს სამკაულები, ქვეყანაში შემოსული სხვადასხვა პროდუქციის უდიდესი ნაწილიც ასევე კონტრაბანდულია. არადა, ერგნეთის ბაზრობის დახურვის შემდეგ სახელისუფლებო წრეებში ამაყობდნენ, კონტრაბანდის ძირითადი წყარო გადაიკეტაო. უცხოური საქონლის იმპორტს ბიუჯეტში დიდძალი თანხები უნდა შეეტანა. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ თბილისის ბაზრობებზე არც უაქციზო სიგარეტების ან სპირტიანი სასმელების შოვნა წარმოადგენს დიდ პრობლემას. კომპეტენტური წყაროების ინფორმაციით,

# დანალმული მთიდან გადმოტანილი კონტრაბანდა




ცხინვალიდან კონტრაბანდული საქონელი, მართალია, იმ რაოდენობით არა, მაგრამ მაინც შემოდის. კონტრაბანდისტების მექას კი დღეს წითელი ხიდი წარმოადგენს. აქედან გადმოსული ტვირთით სულდგმულობენ თბილისის ბაზრობები.

ოპტიმისტური განცხადებების მიუხედავად, ქვემოთ დავრწმუნდებით, რომ კონტრაბანდა ისევ რჩება ჩვენი ეკონომიკის აქილევსის ქუსლად. ერთადერთი, რაც შეიცვალა, კონტრაბანდული მარშრუტები და საქონლის გადმოტანის ხერხებია. როგორც შევიტყვეთ, აზერბაიჯანელ კონტრაბანდისტებს ხშირად სიცოცხლის რისკის ფასად უჯდებათ საქართველოს ტერიტორიაზე ტვირთის განუბაჟებლად გადმოტანა.

ინფორმაცია კონტრაბანდულ გზების თაობაზე სრულიად შემთხვევით ჩაგვივარდა ხელთ. თბილისის ერთ-ერთ ბაზრობაზე, როცა რუსულაქციზიან კონტრაბანდულ სიგარეტს ვათვალიერებდი, ნაცნობი მარნეულელი აზერბაიჯანელი ჯარის მეგობარი შემხვდა. შინაურულ საუბარში თემურ ალიევს (გვარი შეცვლილია) არ დაუმალავს, რომ აზერბაიჯანიდან სხვადასხვა სახის საქონლის გადმოტანით ირჩენს თავს. მართალია, გაჭირდა ტვირთის გადმოტანა, მაგრამ სამაგიეროდ, ფასებმაც აიწია და ამ საქმეზე ხელის მოკიდება ღირსო.

თემურ ალიევმა არ იცოდა, რომ ჟურნალისტი ვიყავი. ამიტომ მისი ნდობით ბოროტად ვისარგებლე და ვუთხარი, რომ ბაზრობაზე ტანსაცმლით ვვაჭრობდი. რაკი საქონლის შემომტანი ტანსაცმელს ძვირად მაძლევს, ამიტომ გადავწყვიტე, თვითონ წავიდე ბაქოს ბაზრობაზე და იქ ვიყიდო საქონელი. ამისთვის კი შენი დახმარება დამჭირდება-მეთქი. ჩემი „გასაჭირი“ რომ გაიგო (ამასთან, არც გზები ვიცოდი და არც საბაჟოზე გასაცემი „სტავკები“), ალიევს დიდხანს არ უფიქრია, მაშინვე შემომთავაზა, როცა ბაქოში წავიდოდა, მას გავყოლოდი და ერთად შეგვეძინა საქონელი.

— ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რა სახის და რამდენი „ტავარი“ მოგვაქვს, — დამტვრეული რუსულით მიხსნის ჩემი ყონაღი, — თუ ტელევიზორების ან სხვა, შედარებით ძვირი აპარატურის შემოტანა გინდა, წითელ ხიდზე გადმოსვლა არ ღირს. ძალიან ბევრ ფულს მოგთხოვენ და შეიძლება მაინც დაგიჭირონ. ამიტომ ჯობს, ლაბაქარის მთიდან გადმოვიდეთ. თუმცა, ესეც საშიშია. შარშან იქ ჩემი ბიძაშვილები დაიღუპნენ(?!) და კიდევ ბევრი სხვაც, მაგრამ მაინც დადიან ამ გზით.

— **ეს ხალხი რისგან დაილუპა?**

— მთელი მთა ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებით არის სავსე(!). წელიწადი არ გავა, რამდენიმე კაცი არ აფეთქდეს, მაგრამ იქ კარგი მეგზური მეყოლება. წითელ ხიდზე გადმოსვლას ამ გზის გავლა ჯობს.

— **უკეთესი ხომ არ არის, ისევ წითელი ხიდიდან შემოვიტანოთ?**

— უკეთესი როგორ არ არის, მაგრამ „სტავკები“ ძალიან გაიზარდა. თანაც, მებაჟეებს და მესაზღვრეებს ერთმანეთის ეშინიათ. ჩაშვების შიშით ძველებურად ველარ ბედავენ ფულის აღებას. სანამ საბაჟოზე მივალთ, იქ გადმოვცლით ტვირთს და სოფლელ ქალებს დავიქირავებთ. ისინი ნაწილ-ნაწილ გადაიტანენ სოფელში ჩვენს „ტავარს“, იქიდან კი სადაც გვინდა, იქ წავიღებთ.

— **გზაში რომ გაგვაჩერონ?**

— თითო „ტეკის“ გავლა ათი ლარი დაგვიჯდება. მანქანიდან გადმოსვლაც კი არ დაგვჭირდება, სიგარეტის კოლოფში ჩავდებთ ფულს და გადავუგდებთ. პოლიციელებისთვის ასე უფრო მოსახერხებელია, ფულის აღების ფაქტზე ვერავინ დაიჭერს...

— **კი მაგრამ, „ტეკები“ ხომ გააუქმეს?“**

— ინსპექცია კი გააუქმეს, მაგრამ ახლა იქ სხვები დგანან ხოლმე.

როგორც ხედავთ, ათიოდ წუთში პირველადი კონტრაბანდული განათლება მივიღე. დღეც დავთქვით, როცა აზერბაიჯანში უნდა წავსულიყავით, მაგრამ თემურ ალიევს რაღაც სხვა საქმე გამოუჩნდა და ბაქო-თბილისის კონტრაბანდული მარშრუტი ჩაგვეშალა. ამიტომ ჩვენთვის საინტერესო საკითხში გასარკვევად ფინანსურ პოლიციას მივმართეთ. სამწუხაროდ, იქ დაგვიდასტურეს, რომ კონტრაბანდის დამარცხებაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია და თბილისის ბაზრობებზე გამოტანილი საქონლის დიდი ნაწილი სწორედ კონტრაბანდულია.

**ვასილ ბაქრაძე,** ფინანსური პოლიციის სპეციალურ დავალებათა სამმართველოს მეორე განყოფილების უფროსი: — კონტრაბანდის შემოდინების მხრივ წითელი ხიდი დღემდე სერიოზულ პრობლემად რჩება. ყოველდღიურად აქედან დაახლოებით 15-20 ავტობუსი შემოდის. გასულ ხუთშაბათსაც დავიჭირეთ ორი ავტობუსი. ნაცვლად იმისა, საზღვრის გადმოკვეთის შემდეგ საბაჟოს ტერმინალში შესულიყვნენ და ტვირთი განებაჟებინათ, პირდაპირ თბილისისკენ წამოვიდნენ. ავტობუსების სამალავებში აკუმულატორები და თუნუქის ფირფიტები ეწყო. სალონი კი ტანსაცმლითა და სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთით იყო სავსე. ტვირთის საერთო ღირებულება რამდენიმე ათასი ამერიკული დოლარია.

— **კი, მაგრამ ავტობუსები ხომ მებაჟეებს უნდა შეემოწმებინათ?**

— საქმეც ის არის, რომ მებაჟეები ხშირად სცოდავენ. კარგად რომ დაეთვალიერებინათ მანქანები, სამალავებს აღმოაჩენდნენ. ამ მიზეზით უკვე ათამდე მებაჟე დავიჭირეთ. ამ კონკრეტულ შემთხვევაში შეცდომა თვითონ კონტრაბანდისტებმა დაუშვეს, — ის საქონელი არ განაბაჟეს, რაც სალონში ჰქონდათ. ტერმინალში რომ შესულიყვნენ, შეიძლებოდა სამალავები ვერც აღმოეჩინათ. კონტრაბანდისტებმა ახალ ხერხს მიაგნეს — როცა აზერბაიჯანიდან კონტრაბანდით დატვირთული ავტობუსი შემოვა, იგი საზღვარზე კი არ გადმოდის, პირდაპირ სასაზღვრო ნეიტრალურ ზოლში იცლება. კონტრაბანდისტებს დაქირავებული ჰყავთ ახლომახლო სოფლის მცხოვრებლები, ძირითადად, ქალები, რომლებსაც ფუთებად გადმოაქვთ საქონელი. პატარა ფუთას რომ დაინახავს მებაჟე, მგზავრს დაუბრკოლებლად ატარებს. ასე, პატარ-პატარა ფუთებით, დღეში რამდენიმე რეისს აკეთებენ და, ფაქტობრივად, საღამოსთვის ტვირთი საიმედოდ აქვთ დაბინავებული. მერე კი აქედან ტვირთი მსუბუქი ავტომანქანებით მიაქვთ ბაზრობამდე. თუ გააჩერე, გეტყვიან, საქართველოს ტერიტორიაზე ვიყიდეთო და განბაჟების საბუთსაც ველარ მოსთხოვ.

— **ე. ი. თქვენ ამბობთ, რომ კონტრაბანდა ვერ შემოვიდოდა, მებაჟეები რომ არ აძლევდნენ ამის საშუალებას?**

— ცხადია, მაგრამ ჯერჯერობით ეს ვერ აღვკვეთეთ.

— **მე ვესაუბრე ერთ-ერთ კონტრაბანდისტს, რომელმაც შემოვლითი დანაღმული გზების შესახებ მიამბო. ვინ დანაღმა გზები?**

— თქვენ ალბათ ლაბაქარის მთას გულისხმობთ. იქაურობა რამდენიმე წლის წინ დანაღმეს აზერბაიჯანელებმა, როცა სომხეთის მხრიდან შეტევისა ეშინოდათ. პარადოქსია, მაგრამ კონტრაბანდისტები ამ გზას არ ერიდებიან. იყო შემთხვევები, როცა იქ გადასული ავტომანქანები აფეთქდა და ხალხი დაიხოცა. როგორც ჩანს, გადასახადებისგან თავის არიდებას სიცოცხლის რისკის ფასადაც არ ერიდებიან.

— **დღეს ოფიციალურად აცხადებენ, რომ ქვეყანაში კონტრაბანდული საქონელი აღარ შემოდის, თქვენ კი საპირისპიროს ამბობთ.**

— საქართველოს ბაზრობებზე გამოტანილი ტვირთის 60% განუბაჟებელია, ანუ კონტრაბანდას წარმოადგენს. კონტრაბანდის გამსაღებლებმაც ჭკუა ისწავლეს და უკანონო ბიზნესი დახვეწეს — ერთხელ განაბაჟებენ საქონელს, დოკუმენტაციას დაიჭერენ ხელში და შემოწმებისას ამბობენ, რომ დახლზე დაწყობილი პროდუქცია სწორედ ის საქონელია, რომელიც რამდენიმე თვის წინ განაბაჟა, მაგრამ ჯერ არ გაუყიდია. დახლზეც ზუსტად ის საქონელი აწყვია, რაც განბაჟების დოკუმენტებში არის მითითებული, მაგრამ კონტრაბანდული გზით უკვე მერამდენედ არის შემოტანილი.

— **გასაგებია, რომ ტანსაცმელზე განბაჟების დადგენა ძნელია, მაგრამ ბაზრობები უაქციზო სიგარეტებით არის სავსე. მისი მფლობელი, ცხადია, ვერავითარ დოკუმენტს ვერ წარმოადგენს.**

— მხოლოდ სექტემბრის თვეში უაქციზო სიგარეტების შემოტანის გამო რვა სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. სიგარეტი, ძირითადად, ცხინვალიდან შემოდის. კონტრაბანდისტებს აქაც თავისი მექანიზმები აქვთ შემუშავებული. მაგალითად, ახლა შემოდგომაა და გორში უამრავი ვაშლია. მოდის „კამაზი“, რომელიც ვითომ სავსეა ვაშლით დატვირთული ყუთებით. სინამდვილეში, ყუთებში სიგარეტი აწყვია. მხოლოდ ზემოდან აყრია ვაშლი. თუ ოპერატიული მასალა არ გვაქვს, ყველა „კამაზს“ ვერ გააჩერებ. რომც გააჩერო, შეუძლებელია ყველა ყუთის გასინჯვა. მორჩება ვაშლის სეზონი და მერე კომბოსტოს მოაყრიან სიგარეტს თავზე, ამიტომ მებაჟეები უფრო ყურადღებით უნდა იყვნენ...

ერთი სიტყვით, ფინანსურ პოლიციაში კონტრაბანდული საქონლის მასშტაბებზე დაუფარავად ლაპარაკობენ.

თუ რა ხდება წითელ ხიდზე, ამის ჩვენი თვალით სანახავად წითელი ხიდის საბაჟოს მივაშურეთ. უპირველესად იმ ტვირთის დაფიქსირება გვინდოდა, რომელიც ნეიტრალურ ზოლში იცლება და პატარ-პატარა ფუთებად გადმოლახავს ჩვენს საზღვარს. ნეიტრალურ ზოლში შეშვებაზე კატეგორიული უარი განგვიცხადეს. თუმცა, უკვე ჩვენს ტერიტორიაზე მაინც ვნახეთ ბენზინის ბიდონების გადმომტანი აზერბაიჯანელი ქალი, რომელსაც მებაჟეები ბიდონების წართმევას უპირებდნენ.

— ხომ ხედავთ, რამდენი მანქანაა თავმოყრილი, — გვითხრა ერთ-ერთმა მებაჟემ, რომელმაც ვინაობის დასახელება არ ისურვა, — ვერც ერთი განუბაჟებლად ვერ გავა აქედან, მაგრამ სამალავების აღმოჩენა ზოგჯერ შეუძლებელია. ამას სპეციალური აპარატურა სჭირდება, რაც ჩვენ არ გვაქვს. ზოგი სამალავი კი ისე ოსტატურად არის გაკეთებული, რომ მხოლოდ დათვალიერებით ვერაფერს გახდები...

P. S. ერთი სიტყვით, რისკისა და სხვადასხვა „გამოგონების“, ზოგჯერ კი „ჯოჯოხეთის გამნათებელი „ქრთამის“ ფასად კონტრაბანდისტები ჯერ კიდევ აკეთებენ „ბიზნესს“. სამაგიეროდ, ისევ ზარალდება ქვეყნის ბიუჯეტი.

*დავით დევიძე*

# „წვიმაც ნავთობის მოდის და ღვინოსაც ნავთის გემო ექნება...“

ნავთობჭაბურღილზე მომხდარმა ავარიამ საგარეჯოს რაიონის სოფელი ნინოწმინდა ეკოლოგიური კატასტროფის ზონად აქცია. ავარიის ეპიცენტრიდან ერთი კილომეტრის რადიუსში მთლიანად განადგურებულია ათასწლოვანი ტყის მასივი. ერთ დროს მწვანედ მოხასხასე ტყის ამ მონაკვეთში დღეს უკვე შავი ფერი მეფობს. მოულოდნელად ამოხეთქილმა ნავთობმა იქაურობა ფილმ-კატასტროფის დეკორაციას დაამგვანა. სამწუხაროდ, ეკოლოგიური კატასტროფა მხოლოდ ტყის მასივის განადგურებით არ ამოწურულა. მონაბერმა ძლიერმა ქარმა ნავთობი სოფლის მიმართულებით წაიღო. ნინოწმინდელები ამბობენ, რომ სამი დღის მანძილზე ციდან ნავთობის წვიმა მოდიოდა. სართვლოდ გამზადებული სოფელი გაოგნებულია. ნინოწმინდაში ყურძენსაც ნავთის გემო აქვს და სხვა ხილის ჭამაც შეუძლებელია. სოფლის მცხოვრებლები მოწამვლის შემთხვევების გახშირებასაც უჩივიან...

ნინოწმინდის მე-100 ჭაბურღილიდან ნავთობმა 10 სექტემბერს ამოხეთქა. მიწის სიღრმიდან უზარმაზარი წნევით წამოსული ნავთობის ჭავლი ორდღე-ნახევრის განმავლობაში ჰაერში იფრქვეოდა. სამუშაოებს აქ საქართველო-ინგლისის ნავთობმომპოვებელი კომპანია აწარმოებს. ავარიის დაუყოვნებლივი ლიკვიდაცია ვერ მოხერხდა. კომპანიის წარმომადგენლები ქუვეითელი სპეციალისტების გამოძახებას აპირებდნენ, მაგრამ ბოლოს ისევ ქართველებმა იმარჯვეს და ჭაბურღილის გადაკეტვა მოახერხეს.

რამ გამოიწვია ავარია, ჯერჯერობით, ძნელი სათქმელია. ამას სპეციალური კომისია შეისწავლის. თუმცა, სოფლის მცხოვრებლები ამბობენ, რომ ნავთობის ამოხეთქვა კომპანიის წარმომადგენელთა დაუდევრობას მოჰყვა. სხვათა შორის, ჭაბურღილის ამოხეთქვის ადგილზე მისულ „კვირის პალიტრას“ ნავთობკომპანიის თანამშრომლები აშკარად არაკეთილმოსურნედ შეხვდნენ. თავდაპირველად, განადგურებული ტყის გადაღების უფლებასაც კი არ იძლეოდნენ, რომ აღარაფერი ვთქვათ კომენტარის გაკეთებაზე, თუ რამ გამოიწვია ასეთი მასშტაბით ტყისა და სოფლის დაზიანება. ისიც საინტერესოა, რომ ავარიის მიზეზად სხვადასხვა ურთიერთგამომრიცხავი მოტივი სახელდება, რაც ქართულ-ბრიტანული ნავთობმომპოვებელი კომპანიის მენეჯერის, **ნუკრი ორჯონიკიძე** საუბრიდანაც ჩანს:

— ავარიის მიზეზი ის არის, რომ ჭაბურღილის კაპიტალური შეკეთება მიმდინარეობდა და მოულოდნელად ამოხეთქა ნავთობმა. ასეთი რამისგან არავინ არ არის დაზღვეული.

— **შეჩერება ძნელი იყო?**

— ახლაც რომ შეჩერდა, ესეც საკვირველია. ამჟამად ავარიის გამომწვევი მიზეზის დადგენას ვცდილობთ.

(გაგრძელება იხ. გვ 27)

მოისმინეთ ამერიკის ხმის
გადაცემები ქართულ ენაზე
ყოველდღიურად 19:30-დან 20:00
საათამდე "მთავარი რადიოს"
და "რადიო 2-ის" ტალღებზე
MORE >
www.voanews.com



## რა ხდება ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტში?..

# „ცუდ გუნებაზე დამაყენეთ, ბატონო ზვიად!“

მწერალ-ფანტასტების რომანებში მოთხრობილი ისტორიები, ან კიდევ ზოგიერთი თამამად მოაზროვნე მეცნიერის ჰიპოთეზა, რომ დადგებოდა დრო და ადამიანები ერთმანეთს დაემსგავსებოდნენ, ანუ მაღალგანვითარებული ტექნიკის პირობებში შესაძლებელი გახდებოდა ჰომო საპიენსის კლონირება, დიდხანს დაუჯერებლად ეჩვენებოდა კაცობრიობას. მეტიც, ბევრს ეს სასაცილოდაც არ ჰყოფნიდა. თურმე სულ ამაოდ — გავიდა ხანი და მეცნიერებამ, განსაკუთრებით კი გენეტიკამ და მედიცინამ, განვითარების ისეთ დონეს მიაღწია, რომ დღეს ადამიანის კლონირება ჩვეულებრივ სამეცნიერო სამუშაოდ ითვლება.

ჩვენს დედაქალაქში მუშაობს საყოველთაოდ ცნობილი ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც რამდენიმე წლის წინ სახელმწიფოს კუთვნილ შპს-დ გადაკეთდა. ინსტიტუტი, მართალია, ადამიანის კლონირებაზე ექსპერიმენტებს არ ატარებს, მაგრამ აქ ექიმები უშვილო წყვილების ნატვრას ხორცს ასხამენ — მათი დაუღალავი შრომის შედეგად ყოველწლიურად 500-დან 600-მდე ახალშობილი ევლინება ქვეყანას. უდავოა, ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი საშვილიშვილო საქმეს აკეთებს, მაგრამ სამწუხაროდ, ინსტიტუტის კოლექტივში მწვავე დაპირისპირებაა. მერწმუნეთ, ასეთ დაწესებულებაზე კრიტიკული სტატიის დაწერა ნამდვილად არ მსურდა. დიდხანს ვორჭოფობდი, მაგრამ როცა მოპოვებულ ყველა მასალას კიდევ ერთხელ გადავავლე თვალი, დავრწმუნდი, სათქმელი უნდა თქმულიყო.

ჩემი, როგორც ჟურნალისტის, ამ საკითხით დაინტერესება ერთმა შემთხვევამ განაპირობა — ინსტიტუტთან ერთ სიმპათიურ, შუახნის ქალბატონს წავაწყდი. ჩემი ყურადღება იმით მიიქცია, რომ ქვითინებდა. მოკრძალებით შევთავაზე დახმარება. იქვე, კიროვის ბაღში ჩამოვსხედით სკამზე. როდესაც ქალბატონი დამშვიდდა, ლეილა რაზმაძედ გამეცნო, რომელიც უკვე თორმეტი წელია, თურმე ინსტიტუტში მზარეულად მუშაობს, ხოლო მისი ქმარი, გელა ჩიჩოელი, ამავე ინსტიტუტში მძღოლის მოვალეობას ასრულებს. მეც არ დამიმალავს, რომ „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტი ვიყავი. ამის გაგონებაზე ქალი ცოტა ხნით ჩაფიქრდა, მერე იმედის თვალით შემომხედა და თვითონ შემომთავაზა, მეტად საინტერესო ისტორიას გიამბობთო. სიამოვნებით დავთანხმდი და **ლეილა რაზმაძემ** თხრობა დაიწყო: — ჩვენს ოჯახს ხელფასიდან ხელფასამდე თავი ძლივს გაჰქონდა. მე მზარეულად ვმუშაობდი ინსტიტუტში, ჩემი მეუღლე კი შემთხვევითი სამუშაოთი ავსებდა ოჯახის მწირ ბიუჯეტს. დაახლოებით ოთხი წლის წინ გავიგე, რომ ინსტიტუტს მძღოლი ესაჭიროებოდა და დირექტორს, არჩილ ხომასურიძეს ჩემი ქმრის კანდიდატურა შევთავაზე. რა ვიცოდი, თუ მალე მწარედ ვინანებდი ამას. არჩილ ხომასურიძემ ჩემს ქმარს „უაზის“ მარკის ავტომობილის მძღოლობა შესთავაზა, თან უთხრა: რადგან რეკომენდაციას შენი მეუღლე გიწევს, გენდობი, მანქანას მოგცემ, ხელფასი სამოცი ლარი გექნება და არც სამუშაო დაგღლის დიდად. კვირაში ერთი-ორჯერ ბუღალტერს ბანკში წაიყვან და მოიყვან. თვეში ორჯერ კი ხელფასის გამოსატანად მოლარის წაყვანა გევალება. თავისუფალ დროს რაც გინდა, ის გააკეთე, ოღონდ ბენზინის ფული და მანქანის რემონტის ხარჯი ჩვენ არ მოგვთხოვოო. ერთი სიტყვით, ავტომანქანა ჩემს მეუღლეს უნდა შეენახა. არჩილ ხომასურიძემ მალე უფრო მეტი მოითხოვა — მძღოლს ავტომობილის საწვავისათვის ინსტიტუტის სალაროდან ყოველთვიურად ორასი ლარის მიღების უფლება ჰქონდა. საბუთები ისე ფორმდებოდა, თითქოს ჩემმა ქმარმა აიღო თანხა და საწვავიც საჭიროებისამებრ დაიხარჯა. ავტომანქანის რემონტისთვის განკუთვნილი ორასი ლარიც ინსტიტუტის სალაროში რჩებოდა. როგორც ამბობენ, ამ თანხებით ინსტიტუტი სხვადასხვა გადასახადს იხდიდა. საბოლოოდ ავტომანქანის საწვავისა და რემონტისთვის სალაროდან გაცემულმა თანხამ 6.600 ლარს გადააჭარბა. რამდენიმე თვის წინ ინსტიტუტში შს სამინისტროს გამომძიებლები მოვიდნენ. სხვა საკითხებთან ერთად იმითაც დაინტერესდნენ, მიზნობრივად იყო თუ არა გახარჯული საწვავისა და რემონტის თანხები. იმ დროს დირექტორმა, დღეს კი ინსტიტუტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ არჩილ ხომასურიძემ ჩემს ქმარს თავისი კაცი მიუგზავნა და გააფრთხილა — არსად წამოგცდეს, რომ საწვავის ფულს სალაროში ტოვებდი. თუ საქმე მაინც გასკდა, დანაშაული შენს თავზე აიღე და 6.600 ლარი უკან, ბუღალტერიაში შემოიტანეო. ჩემი მეუღლე კინაღამ გაგიჟდა — რაც არ წამიღია, რა დავაბრუნოო. ვინც წაიღო, იმან აგოს პასუხიო. ასე გაისტუმრა ხომასურიძის ხალხი. ერთი სიტყვით, ხომასურიძის დანაშაული ჩემს ქმარს ჰბრალდებოდა. ადგა ჩემი ქმარი და ახსნა-განმარტებითი წერილი დაწერა გამომძიებლების სახელზე. იმ დღესვე გამათავისუფლეს სამსახურიდან. ჩემს ქმარსაც დაემუქრა ხომასურიძე, მოგხსნიო. დღეს მივედით ინსტიტუტში, მაგრამ უარით გამოგვისტუმრეს. დავრჩით ორივე უმუშევარი.

— **იქნებ თქვენი მეუღლე მოიყვანოთ ჩემთან, რედაქციაში. თვითონვე მიამბობდა ყველაფერს...**

მეორე დღეს რედაქციაში უცნობი მამაკაცი დამხვდა, იგი გელა ჩიჩოელი აღმოჩნდა.

— **გელა, თქვენი მეუღლე ამტკიცებს, რომ ინსტიტუტის მაშინდელმა დირექტორმა, დღეს კი სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ მძღოლად მიღების სანაცვლოდ საწვავის თანხის სალაროში დატოვება მოგთხოვათ.**

— თავიდანვე ასეთი წინადადებით არ მოუმართავს. მხოლოდ მითხრა, ავტომობილის ხარჯები შენ უნდა დაფაროო. სამაგიეროდ, ტაქსაობის ნება მომცა. ერთი თვეც არ გასულა, რომ დამიბარა და კატეგორიულად მითხრა: გელა, საწვავისთვის ყოველთვიურად ორას ლარს გამოგიყოფთ. დაწერ განცხადებას ჩემს სახელზე, მე რეზოლუციას დავადებ, მერე კი ბუღალტერიაში აიტან. მთავარი ბუღალტერი გამოყოფს ორას ლარს, შენ მოაწერ ხელს, მაგრამ თანხას არ აიღებ. ასეა საჭირო. ბევრი ხარჯი გვაქვს და თუ ასე არ მოვიქეცით, ხელფასებსაც ვერ ავიღებთ. სამაგიეროდ ხომ ტაქსაობო? რა უნდა მექნა, უარი რომ მეთქვა, ისევ უმუშევარი დავრჩებოდი. ამას ვინ დაეძებს, ჩემს მეუღლესაც გააგდებდნენ. ამიტომ იძულებული გავხდი, დავთანხმებოდი. ხომასურიძემვე მასწავლა თითქოსდა მიღებული საწვავის ჩამოწერის გზა. მისი მითითებით ვწერდი ყალბ საგზურებს, თითქოს ვიყავი ბათუმში, ფოთში, ქუთაისში და ა. შ.

— **თუ საწვავის თანხას არ იღებდით, რატომ შემოგითვალათ ხომასურიძემ, 6.600 ლარი ინსტიტუტის სალაროში შემოიტანეო?**

— სწორედ ამან ამივსო მოთმინების ფიალა. უნამუსო კაცი ყოფილა, ცდილობს, ხელი მე შემაწმინდოს. მოგვიანებით ხომასურიძემ კატეგორიულად მომთხოვა: ან ახსნა-განმარტებას გამოვიტანდი და მის დაწერას ხომასურიძესთან დაპირისპირებული, ინსტიტუტის ერთ-ერთი განყოფილების გამგის, ექიმ დავით ხეროდინაშვილის ზეწოლას დავაბრალებდი, ან ცოლ-ქმარი უმუშევარი დავრჩებოდით.

— **თუ საწვავის მოთხოვნის განცხადებას თქვენ წერდით და ყველა სხვა დოკუმენტზეც თქვენი ხელმოწერაა, იურიდიულად ვერაფერს დაამტკიცებთ. საეჭვოა, ბუღალტერმა ან მოლარემ დაადასტურონ, რომ საწვავის ფულს სალაროში ტოვებდით.**

— მთავარი ბუღალტერიც ხომასურიძის მხარეზეა და მოლარეც. ინსტიტუტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს ერთი უპატრონო შოფრის გულისთვის ვინ მოიმდურებს? დავიღუპე, უდანაშაულო კაცს ციხეში მიკრავენ თავს. გამწირა ხომასურიძემ. განა მარტო მე ვარ ამ დღეში — სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ ფინანსურ მაქინაციებში ექიმებიც კი ჩაითრია. მაგალითად, ექიმებს ინსტიტუტის სარემონტო სამუშაოების დაფინანსება აიძულა, ხოლო შემდეგ ყალბი საბუთებით საქმე ისე წარმოაჩინა, რომ თითქოს სარემონტო სამუშაოები ინსტიტუტმა ჩაატარა. ათასობით ლარი გამოიტანა ბუღალტერიიდან და მიითვისა. კიდევ უამრავი ფინანსური დანაშაულის ჩამოთვლა შემიძლია. თუ ჩემი არ გჯერათ, გაესაუბრეთ ექიმებს და დარწმუნდებით, რომ არ ვტყუი.

— **ბატონო გელა, მოდი, ასე მოვიქცეთ — ფარულ ჩასაწერ მოწყობილობას მოგცემთ. თქვენ და თქვენი მეუღლე მიბრძანდით არჩილ ხომასურიძესთან და შეეცადეთ, საუბრისას რომელიმე ფინანსური მაქინაცია აღიაროს. ეს იქნება თქვენი უდანაშაულობის დამამტკიცებელი საბუთი.**

ბატონი გელა ჩაფიქრდა. მივხვდი ყოყმანობდა. ბოლოს, სიმართლის დამტკიცების სურვილმა გადასძალა და ჩემს წინადადებას დათანხმდა.

მეორე დღის პირველი ნახევარი ჩიჩოელის სხეულზე ფარული მიკროფონის დამონტაჟებას მოვანდომე. მისი ჩართვა-გამორთვა ვასწავლე. ექსპერიმენტიც ჩავატარეთ. ამასობაში საქართველოს ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარესთან შეხვედრის დროც მოვიდა. ცოლ-ქმარი კიდევ ერთხელ დავარიგე და ვურჩიე — თუ ასე ინერვიულეთ, ვერაფერსაც ვერ ჩაწერთ. არჩილ ხომასურიძე მიგიხვდებათ და კაბინეტიდან სულ კინწისკვრით გამოგაგდებთ-მეთქი...

წამდაუწუმ საათზე ვიყურები. ახლა ალბათ ჩემი „გამომძიებელი ჟურნალისტები“ ხომასურიძის კაბინეტში არიან. ნეტავ თუ შეძლეს დავალების შესრულება?! თითქოს დრო გაჩერდა, ნერვიულად ვცემ ბოლთას. ტელეფონიც დუმს. ბოლოს, როგორც იქნა, მობილურმა ტელეფონმა გაიწკრიალა.

— ბატონო ზვიად, ყველაფერი კარგადაა. თქვენთან მოვდივართ, დაგველოდეთ.

რამდენიმე წუთიც და ლეილა რაზმაძის, გელა ჩიჩოელის, ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის, არჩილ ხომასურიძისა და ამავე ინსტიტუტის პოლიკლინიკის გამგის, ლია ნადარეიშვილის საუბრის აუდიოჩანაწერს ვუსმენდი. **ლეილა რაზმაძე**: — ბატონო არჩილ, ჩვენი ბოლო დიალოგი ხომ გახსოვთ? გელას გამომძიებლების სახელზე დაწერილი ახსნა-განმარტების უკან გამოტანასა და მისი დაწერის პროვოცირებაში ექიმ ხეროდინაშვილის დადანაშაულებას სთხოვდით. როგორც დაგვარიგეთ, ისე რომ მოვიქცეთ, რამე საშიშროება ხომ არ გველის სამართალდამცველებისაგან?

— ხომ გითხარით, არავითარი საშიშროება არ გელით, მე ჩემი სიტყვის პატრონი ვარ! ხეროდინაშვილს აქ მუშაობის ორი თვე დარჩა და მერე აქედან გავაგდებ, — პასუხობს **არჩილ ხომასურიძე**, — მოკლედ, მე ჩემი პირობა დიდი ხანია გაგაცანით და ამით კიდევ ერთხელ მოგეცით შანსი, რომ უმუშევრები არ დარჩენილიყავით. სხვანაირად სამსახურში ვერ დაბრუნდებით... კიდევ გიმეორებთ: უნდა დაწეროთ, რომ გელას დავით ხეროდინაშვილმა ძალით დააწერინა ახსნა-განმარტება. მერე გელა დროებით გაქრება თბილისიდან, შენ კი, ლეილა, ჩვეულებრივ იმუშავებ. გელა, შენ ხარ უტვინო კაცი, — რომ წერ, რას წერ, არ უნდა იცოდე?!

საუბარს **ლია ნადარეიშვილი** აგრძელებს: — დიდი შეცდომა დაუშვა გელამ, ეს ახსნა-განმარტება რომ დაწერა. რა მიიღეთ ლანძღვა-გინების მეტი?

**გელა ჩიჩოელი:** — ბატონო არჩილ, თქვენ ხომ იცით, რომ ბენზინის ფული ჩემამდე არ მოდიოდა და ერთ კაპიკს არ ვიღებდი.

— მე და შენ როგორ მოვილაპარაკეთ? კაცი უმუშევარი იყავი, სამუშაო გაგიჩინე, ტაქსაობაც არ დაგიშალე. ხომ შევთანხმდით, ბენზინის ფულს არ მიიღებდი და ავტომანქანას შენ შეინახავდი. რატომ არ შეასრულე ეს შეთანხმება, რატომ ჩამიშვი გამომძიებლებთან?

— ბატონო არჩილ, მე ხომ მართლა არ ვიღებდი იმ ფულს?

— რა მნიშვნელობა აქვს, რატომ დაწერე ის ახსნა-განმარტება? არაკაცობა ჩაიდინე. ახლა ერთი გამოსავალი დაგრჩა: ან მეორე ახსნა-განმარტება დაწერე, ან ის ახსნა-განმარტება უკან გამოიტანე. შენ ჩემი მტერი ხარ! რომ მოვინდომო, იმ 6.600 ლარს მართლა მოგატანინებ. ვიტყვი, მძღოლს ბენზინის ფული ყოველთვის მიჰქონდა-მეთქი და საწინააღმდეგოს ვერავინ ვერაფერს დაამტკიცებს. საბუთებზე ხელი შენ გაქვს მოწერილი და თუ საქმე საქმეზე მიდგა, ბუღალტერიც და მოლარეც პირზე დაგადგებიან. ვიტყვი, საწვავის თანხის მოთხოვნაზე ხელს ვუწერდი და ალბათ იღებდა კიდეც-მეთქი.

— თქვენ ხომ იცით, კაცო, რომ არ ვიღებდი?

— მერე ჩ.......ბას რომ სჩადიოდი, რატომ არ ფიქრობდი? ჩემზე რომ წერდი ახსნა-განმარტებას, რა კაცობაა? მოგთხოვენ ახლა იმ 6.600 ლარს და მოგატანინებენ... შენი თავი შენვე დაღუპე. ისევ მე უნდა გიშველო. გაჩვენე გამოსავალი და ასე მოიქეცი. დამიჯერე, გირჩევნია...

რამდენიმე დღის შემდეგ ი. ჟორდანიას სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის განყოფილების გამგე დავითანხმე ინტერვიუზე. **დავით ფერაძე:** — ინსტიტუტში დაპირისპირებამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია. ამის თავიდათავი ინსტიტუტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, ინსტიტუტის ყოფილი დირექტორი არჩილ ხომასურიძე გახლავთ. მის დასახასიათებლად ერთ შემთხვევას გიამბობთ. ინსტიტუტის პარალელურად ვმუშაობდი გაეროს მოსახლეობის ფონდის პროგრამაში, სადაც დაახლოებით სამი წლის განმავლობაში მაღალ ხელფასს, თვეში 600 დოლარს ვიღებდი. როდესაც პროგრამა დამთავრდა, არჩილ ხომასურიძემ ექიმების: ჯენარო ქრისტესაშვილისა და დავით ხეროდინაშვილის პირით შემომითვალა, რომ გაეროს პროგრამაში მიღებული ხელფასი მთლიანად მისთვის გადამეცა.

— **რა მიზეზით გთხოვდათ ამ თანხას? რა, მისი ავტორიტეტი გამოიყენეთ გაეროს პროგრამაში მუშაობის დასაწყებად?**

— პირიქით, ხომასურიძემ მითხრა, გაეროს პროგრამაში ჩემი სახელი არ ახსენო, თორემ გამოგაგდებენო. როდესაც სამი წლის ხელფასის მიცემაზე კატეგორიული უარი შევუთვალე, გაბრაზდა. თუ რამე უნდოდა, თავიდან ეთქვა, როდესაც პროგრამაში მუშაობა ახალი დაწყებული მქონდა. მან კი პროგრამის დამთავრების შემდეგ მომთხოვა ფული. ერთი სიტყვით, მას შემდეგ ცდილობს, გამაგდოს ინსტიტუტიდან. სტაჟირება ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჯეფერსონის უნივერსიტეტში გავიარე. იქაური მეგობრების დახმარებით საქართველოში 150 ათას დოლარად ღირებული ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის აპარატურა ჩამოვიტანე და ინსტიტუტში ცენტრი გავხსენი. ეს აპარატურა ჩემია. მოგვიანებით, ხომასურიძემ მთხოვა, ეს აპარატურა მისთვის გადამეცა.

— **ინსტიტუტში არსებული ფინანსური მაქინაციების მექანიზმს ხომ არ გამიმხელთ?**

— მაგალითად, ინსტიტუტის ფასადის გარემონტებაში ოთხი ათასი ლარი მე გადავუხადე ხელოსნებს. შს სამინისტროს ექსპერტებმა ახსნა-განმარტება მომთხოვეს: ბუღალტერიიდან ათასობით ლარი გაქვს გატანილი და სად მიგქონდაო. არადა, ერთი კაპიკიც არ გამიტანია ინსტიტუტის სალაროდან, თუ ხელფასს არ ჩავთვლი. თურმე, ის ფული, რომელიც რემონტისთვის გადავიხადე, რაღაც მაქინაციებით ინსტიტუტს თავის თანხებად გაუსაღებია...

ერთხელ ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის აპარატურა გამიფუჭდა. მის შესაკეთებლად 3.100 ლარი გადავიხადე. გავიდა ხანი და არჩილ ხომასურიძემ დამიბარა. ხელი უნდა მომეწერა იმ ფინანსურ დოკუმენტებზე, რომლებიც ადასტურებდა, რომ თითქოს აპარატურის შესაკეთებელი თანხა მე ინსტიტუტის სალაროდან გავიტანე. შარს მოვერიდე, მით უმეტეს, რომ მასთან ურთიერთობა უკვე დაძაბული მქონდა და ხელი მოვუწერე. ახლა კი, როგორც ჩანს, მაგარ შარში გამხვია ხომასურიძემ. მიდი და ამტკიცე, რომ იმ ფულიდან კაპიკი არ ამიღია. ვინც აიღო, ალბათ მიხვდებით. ერთსაც გეტყვით, დიაგნოსტიკურ ცენტრს, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, ინსტიტუტის სალაროში ყოველწლიურად დაახლოებით 70 ათასი ლარი შეაქვს. როგორც აღმოჩნდა, ინსტიტუტის ბუღალტერიაში არათუ თანხები, ცენტრიც არ ყოფილა დაფიქსირებული...

ბუნებრივია, საინტერესო იყო, რას იტყოდა ამ ისტორიის ერთ-ერთი მონაწილე, პროფესორი **დავით ხეროდინაშვილი**. ჩვენ მას დავუკავშირდით და ასეთი შეკითხვით მივმართეთ:

— **მართლა მიუგზავნეთ არჩილ ხომასურიძეს დიაგნოსტიკური ცენტრის ხელმძღვანელთან, დავით ფერაძესთან ფულის მოთხოვნით?**

— ვინ გითხრათ, საიდან გაიგეთ? ააა, დავით ფერაძე გეტყოდათ. დიახ, იყო ასეთი შემთხვევა. არჩილ ხომასურიძე მართლაც სთხოვდა ფერაძეს გაეროს პროგრამაში აღებულ თანხას. რატომ და რისთვის, არ ვიცი. თუმცა, ფერაძემ კატეგორიული უარი განაცხადა ხომასურიძისთვის ფულის გადაცემაზე. მერე არჩილ ხომასურიძემ დაიანგარიშა და თქვა, შემეშალა, ამდენი არ უნდა მომეთხოვა, მხოლოდ 7.200 ლარი უნდა მომცეს ფერაძემო, მაგრამ იმედი გაუცრუვდა. მას შემდეგ ხომასურიძემ რამდენჯერმე სცადა დიაგნოსტიკური ცენტრის ხელმძღვანელის სამსახურიდან გაგდება.

ინსტიტუტში არსებული ფინანსური მაქინაციებით ბევრჯერ დაინტერესდნენ სამართალდამცველები, რამდენჯერმე დაისვა საკითხი ქონების მართვის სამინისტროში სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის, არჩილ ხომასურიძის გადაყენების შესახებ, მაგრამ რად გინდა, — ხომასურიძე ყოფილი პრეზიდენტის ოჯახთან დაახლოებული პირი იყო. შევარდნაძის მხარდაჭერით გათამამებული ინსტიტუტში თავის ნებაზე იქცეოდა. მას ინსტიტუტი თავისი პირადი საკუთრება ჰგონია. ისე, ტყუილად არ ჰქონია პრეზიდენტის იმედი, რადგან სწორედ შევარდნაძის რეზოლუციამ გადაარჩინა იგი სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის პოსტიდან გადარჩევას და დაპატიმრებას. შევარდნაძემ მის შესახებ მასალებს ასეთი რეზოლუცია დაადო: „გაანებეთ თავი ამ კაცს. მიეცით მუშაობის საშუალება“. მისთვის არც კანონი არსებობს და არც სხვა რამ ფულის გარდა, ფულს კი, იცოცხლე, ინსტიტუტში ბლომად შოულობს. შემიძლია გაგიმხილოთ ერთი საიდუმლოც. უკვე ოთხი წელია, ი. ჟორდანიას სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი წაგებაზე მუშაობს, ხომასურიძეს ინსტიტუტის გაკოტრება ჰქონდა გამიზნული, რათა შემდეგ თვითონვე ეყიდა ნულოვან აუქციონზე და ასლან აბაშიძის მარჯვენა ხელისთვის, ნუგზარ ჟღენტისთვის მიეყიდა. ამაში მას 200 ათასი დოლარი უკვე ჰქონდა აღებული. ინსტიტუტის მომავალ პატრონს განსაკუთრებით კიროვის ბაღში გამავალი ინსტიტუტის უკანა ეზო ხიბლავდა. იქ საცხოვრებელ კორპუსებს ააშენებდა და მერე კი ალბათ ინსტიტუტს რომელიღაც უბადრუკ შენობაში გადაიყვანდა. ხომასურიძეს ახალმა ხელისუფლებამ შეუშალა ხელი, თორემ მას ამ საქმეების შემდეგ მოსკოვში წასვლა უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა.

— **მეტად განაწყენებული ჩანხართ ინსტიტუტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეზე.**

— არ მინდა ვინმემ იფიქროს, რომ უმადური კაცი ვარ. როგორც იცით, 2002 წელს ინსტიტუტი შპს-დ ჩამოყალიბდა (მასში სახელმწიფოს წილი 100%-ს შეადგენს). ხომასურიძე სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს, ხოლო მე 2002 წლის ივლისში აღმასრულებელი დირექტორის პოსტი დავიკავე. ამ თანამდებობაზე დაახლოებით ერთ წელზე ოდნავ მეტი ვიმუშავე. როგორც დირექტორმა, საფინანსო საქმეებში გარკვევა გადავწყვიტე და ბუღალტერიაში წესრიგის დამყარება მოვიწადინე. ვეჭვობდი, რომ მთლად კარგად არ იყო საქმე. ამიტომ ქონების მართვის სამინისტროდან აუდიტი მოვითხოვე.

***(გაგრძელება იხ. გვ. 11)***

# ალბათ თავხედობასაც უნდა ჰქონდეს საზღვარი



ოპერაცია „მიგრანტს“ რუსეთის სპეცსამსახურები ახორციელებენ

გასულ კვირას, როდესაც მიხეილ სააკაშვილმა გაეროს ტრიბუნიდან კიდევ ერთხელ გაუწოდა მეგობრობის ხელი პუტინს, მოსკოვში ჩაფრენილ საქართველოს მოქალაქეებს უპატივცემულოდ მოექცნენ — რამდენიმე ასეული მგზავრი უკან ისე გამოაბრუნეს, ხეირიანად არც კი აუხსნიათ, რატომ არ უშვებდნენ რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე. საკუთარ მიწაზე ვინმეს არშეშვება ნებისმიერი ქვეყნის უფლებაა, მაგრამ რატომ აღმოჩნდნენ საქართველოს მოქალაქეები რამდენიმესაათიან პატიმრობაში და რატომ შეურაცხყვეს ისინი? და ეს რომ მართლაც ასე იყო, ამაში ერთ-ერთი მგზავრის მონათხრობი დაგარწმუნებთ:

**დავით გრძელიძე** (თბილისის ტრანსპორტის კონტროლის, დისპეტჩერიზაციისა და რეგულირების სამმართველოს უფროსი): — სამი ძმა ვართ. მე თბილისში ვარ, მეორე ძმა კიევში ცხოვრობს, მესამე კი — მოსკოვში. მოსკოველი შვიდი წელიწადია, რაც არ მინახავს. 21 სექტემბერს დაბადების დღე ჰქონდა, 50 წელი შეუსრულდა. ვიფიქრე, ჩავალ, იუბილეს მივულოცავ-მეთქი. ტურისტულ ფირმაში ყველა წესის დაცვით გავაფორმე ვიზა, ყველა დოკუმენტი მოვაწესრიგე. აქ, თბილისშივე, გულდასმით შეამოწმეს ყველაფერი (დოკუმენტაცია კომპიუტერში გაატარეს) და მოსკოვში „აირზენას“ თვითმფრინავით გავფრინდი. ძმასთან შეხვედრამდე წუთებს ვითვლიდი, მაგრამ დომოდედოვოს აეროპორტში გამოგვიცხადეს, — რუსეთის მოქალაქეები ცალკე დადექით, დანარჩენები კი აქეთ წამოდითო. კარგა ხნის ლოდინის შემდეგ გავიგე, რომ რუსეთში არ მიშვებდნენ. მესაზღვრეები ვერაფერს წყვეტდნენ, თავს სამი სამოქალაქო პირი ადგათ და ყველაფერს მათ ეკითხებოდნენ. მერე ერთ ოთახში შემიყვანეს. იქ 20 კაცი მაინც დამხვდა — ჩვენი რეისის მგზავრები. ისე გამოგვამწყვდიეს, არავის აუხსნია, რას გვედავებოდნენ და რა დავაშავეთ. ვთხოვდით — სიგარეტის მოწევის უფლება მაინც მოგვეცით-თქო და „ნე პალოჟენაო“, — გვპასუხობდნენ. მერე ქალები აყაყანდნენ — რა ხდება გაგვაგებინეთ, აქ როდემდე უნდა გვაყურყუტოთო. ეგ თქვენს პრეზიდენტს ჰკითხეთ. ამერიკაში რომ დადის და ჩვენ არ ვუყვარვართ, იმას დააბრალეთ ყველაფერიო. უფრო რომ გავმწარდით, მესაზღვრემ, რომელიც ოთახში გამოკეტილებს გვდარაჯობდა, გვითხრა — რას ჩამოდიოდით, ვინ გეპატიჟებოდათო. ორი საათის შემდეგ (ალბათ, სანამ „აირზენას“ თვითმფრინავში საწვავს ჩაასხამდნენ და მგზავრებს ჩასხამდნენ) ვილაც მაიორი შემოვიდა, ცხვრებივით დაგვთვალა, „კანვოი“ ჩაგვიყენა (წინ თავად მიდიოდა, აქეთ-იქით კი 3-3 მესაზღვრე) და ასე აგვიყვანეს თვითმფრინავში.

— **მესაზღვრეები არც მგზავრების ახსნა-განმარტებას ისმენდნენ?**

— არაფრის გაგონება არ უნდოდათ. კი ვუთხარი — „ჟდუ აბიასნენია“-მეთქი, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ... ცოლ-ქმარი დააცილეს ერთმანეთს. ცოლი რუსეთის მოქალაქე ყოფილა და გაუშვეს, ქმარი კი დატოვეს. გიჟს დაემსგავსა კაცი, ეხვეწებოდა — ქალს კაპიკი არ აქვს, ფულის გადაცემის საშუალება მაინც მომეცითო, მაგრამ არც კი დაალაპარაკეს ცოლთან. ერთი დედა-შვილი იყო. დედას თურმე ოპერაცია ჰქონდა გასაკეთებელი — ამბობდა, თავის ქალა უნდა ამხადონო. ფეხზე დგომა უჭირდა. იმ ორი საათის განმავლობაში, რაც ოთახში ვიყავით გამოკეტილები, ქალი იწვა. მერე კი მოურიდებლად წამოახტუნეს და გააქანეს თვითმფრინავისკენ. ზოგს ბარგი ჰქონდა ჩაბარებული და იმის მოძებნის საშუალებაც არ მისცეს, ხვალ მოგივათო.

ასე უსუსურად და შეურაცხყოფილად თავი არასდროს მიგრძნია. წყალი მოგვწყურდა და არ დაგვალევინეს, საპირფარეშოშიც არ გაგვიშვეს. ოთახში მხოლოდ სამი სკამი იყო, სად უნდა დამჯდარიყო ამდენი ხალხი? კედლის გასწვრივ გრძელი რადიატორი იყო და იმაზე ჩამოსხდნენ. ფაქტობრივად, ორი საათი პატიმრობაში ვიყავით. ოთახშიც გვყავდა მეთვალყურე და გარეთ, კართანაც იდგნენ დარაჯები.

— **ხომ არ სცადა ვინმემ საზღაურის გადახდით გაღწევა?**

— ამის თქმას ვერც გავბედავდით. ისე იყვნენ აღრენილები, ალბათ, მიზეზსაც ეძებდნენ ჩვენს დასაპატიმრებლად. თუმცა, იქ შემოვიდა ერთი მესაზღვრე, ხუთი მგზავრის გვარი ამოიკითხა და გაიყვანა. ისინი თვითმფრინავში არ დამინახავს. როგორც ჩანს, გაუშვეს. არ ვიცი, ისინი რით გამოარჩიეს, ჩვეულებრივად იქცეოდნენ, ჩვენთან ერთად იყვნენ და არც ვინმეს გამოლაპარაკებიან. მგზავრებს შორის ბიზნესმენებიც იყვნენ. საქმის გამო ხშირად გვიწევს მოსკოვში ჩამოსვლა და დავიღუპებით, პასპორტში „დეპორტი“ რომ ჩაგვირტყან, რუსეთში ფეხს აღარ დაგვადგმევინებენო. კიდევ კარგი, მხოლოდ ვიზას დააწერეს ანულირებულიაო. გაგვიმართლა, რომ თვითმფრინავზე ადგილი იყო და იმ დღესვე დავბრუნდით. იმავე საღამოს (20 სექტემბერს) შერემეტიევოს აეროპორტიდან დააბრუნეს სხვა მგზავრები. ჩვენს საკონსულოს ხომ უნდა გავეფრთხილებინეთ, რომ მოსკოვში ასეთი მდგომარეობა იყო. 700 ლარიც ტყუილად დავკარგე. ამ ხარჯს არაფრად ჩავაგდებდი, ძმა რომ მაინც დამენახა. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ანთაძემ გააკეთა ამ ფაქტზე კომენტარი — მესაზღვრეებს კარგად ვერ აუხსნეს მგზავრებმა რუსეთში ჩასვლის მიზანი და ამიტომ გამოაბრუნესო. მე მშვენივრად ავუხსენი, — ძმის დაბადების დღეზე მივდივარ და ერთ კვირაში უკან ვბრუნდები-მეთქი. უკან დასაბრუნებელი ბილეთიც აღებული მქონდა და ვაჩვენე. ისიც ვუთხარი, რომელ სასტუმროში ვიცხოვრებდი (დაქირავებული მქონდა) 1 კვირის მანძილზე. რაკი ტურისტული ვიზით მივდიოდი, რომ მეთქვა, მავზოლეუმი უნდა ვნახო-მეთქი, გამიშვებდნენ?

> **ცოლ-ქმარი დააცილეს ერთმანეთს. ცოლი რუსეთის მოქალაქე ყოფილა და გაუშვეს, ქმარი კი დატოვეს. გიჟს დაემსგავსა კაცი, ეხვეწებოდა — ქალს კაპიკი არ აქვს, ფულის გადაცემის საშუალება მაინც მომეცითო, მაგრამ არც კი დაალაპარაკეს ცოლთან.**

რუსი მესაზღვრეებისა და სამართალდამცველების საქციელს თავხედურის გარდა, ვერაფერს ვუწოდებ, მაგრამ ალბათ თავხედობასაც უნდა ჰქონდეს საზღვარი. რატომ უნდა აიტანოს საქართველომ თავისი მოქალაქეების ასე აბუჩად აგდება?..

ამ კითხვით საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს, **გოგა გოგიაშვილს** მივმართეთ:

— ბესლანის ტერაქტის შემდეგ რუსეთის ხელმძღვანელობამ დაიწყო ოპერაცია, სახელწოდებით „მიგრანტი“ და არ მინდა მის მიღმა რაიმე პოლიტიკური მიზნები დავინახოთ. ჩემი ინფორმაციით, ეს შეზღუდვები მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებზე არ ვრცელდება. იმედი მაქვს, ამიერიდან რუსეთის ხელისუფლება თავაზიანად მოეპყრობა მათ, რომელთაც რუსეთში სტუმრობის სწორედ ის მიზეზი და მიზანი აქვთ, რაც დოკუმენტებშია დაფიქსირებული.

ნიუ-იორკში გენერალურ ასამბლეაზე ქალბატონი სალომე შეხვდა თავის რუს კოლეგას და ესაუბრა ამ პრობლემაზე. ბატონმა ლავროვმა ზუსტად იცოდა, საქართველოს რამდენი მოქალაქე გამოაბრუნეს უკან. სხვათა შორის, ლავროვმა ისიც თქვა, — ეს საგარეო უწყების კი არა, სასაზღვრო დაცვის გადაწყვეტილება იყოო. რუსეთში ტერაქტების გამო დიდი არეულობაა. სახელმწიფო აპარატი და სტრუქტურები მოქმედებენ დევიზით — ჯობს 100 უდანაშაულო უკან გავაბრუნოთ, ვიდრე ერთი დამნაშავე შემოგვეპაროს ქვეყანაშიო.

— **თუკი რუსეთი ასეთი სანქციების ამოქმედებას აპირებდა, წინასწარ რატომ არ გააფრთხილეს მგზავრები?**

— ამის თაობაზე ჩვენც არავის გავუფრთხილებივართ, რადგან ოპერაცია „მიგრანტს“ რუსეთის სპეცსამსახურები ახორციელებდნენ. კიდევ ერთხელ გვსურს შევახსენოთ მოქალაქეებს — ვიზაში დაფიქსირებული სტუმრობის მიზეზი მაქსიმალურად უნდა შეესაბამებოდეს იმ საიმიგრაციო დოკუმენტში ჩაწერილს, რომელიც საზღვრის გადაკვეთისას ივსება.

სპეცსამსახურებისა და ფე-ეს-ბეს მიერ წამოწყებული ოპერაციის ყველა დეტალი, ბუნებრივია, არ იქნებოდა გახმაურებული, ამიტომ სხვა უწყებებისთვისაც არ იყო რიგიანად ცნობილი, რა ხდებოდა. შესაძლოა, ჩვენი მოქალაქეების მიმართ უდიერი დამოკიდებულება ამის ბრალიც იყო. ჩვენ ბატონ ჩხიკვიშვილს ვესაუბრეთ და გადავეცით მოთხოვნა — რუსეთს შეუძლია ნებისმიერი სახის ოპერაცია ჩაატაროს, ოღონდ ჩვენი მოქალაქეების მიმართ დამოკიდებულება ცივილიზებულ ჩარჩოებს არ უნდა გასცდეს. არავის აქვს უფლება, საქართველოს მოქალაქე 2 საათით კი არა, 3 წუთითაც ამყოფოს პატიმრობაში.

— **არ შემიძლია, არ გკითხოთ საკვებით განსხვავებულ, მაგრამ ასევე მტკივნეულ და აქტუალურ საკითხზე — როგორ გამოეპარა საქართველოს გაეროში ხმის დაკარგვის საფრთხე, რის სავალალო შედეგსაც ახლა ვიმკით?**

— საქართველოს გუშინ არ დაუკარგავს გაეროში ხმა, ეს ივნისის ბოლოს მოხდა, მაგრამ მავანთ ეტყობა, ხელს აძლევდა სწორედ ახლა აეტეხათ აურზაური. ქალბატონმა სალომემ 18 ივნისს აცნობა ეს წერილობით ფინანსთა მინისტრს. ასეთივე წერილი 25 ივნისს ბატონ ზურაბ ჟვანიასაც გაეგზავნა. მასში ნათქვამია, რომ საწევროს სახით საქართველოს 7.102.164 დოლარი აქვს გადასახდელი და „თუ საქართველო მიმდინარე წლის 30 ივნისამდე ვერ გადაიხდის ხსენებული გრაფიკით აღებულ ვალდებულებებს (776.229 დოლარს), საქართველო კვლავ დადგება გაეროში ხმის უფლების ჩამორთმევის საფრთხის წინაშე“. ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ ბრძანა, — გრაფიკი მაინც შეედგინათ ამ თანხის დასაფარადო. ჩვენ გვქონდა გრაფიკი, რომელიც 10 წელიწადზე იყო გაწერილი (ამიტომ იყო გადასახდელი მხოლოდ 776.229 დოლარი). ვფიქრობ, ამის გამო ვერ მოხვდა პარლამენტის თავმჯდომარესთან ინფორმაცია. არადა, ბატონი კოტე გაბაშვილიც ინფორმირებული იყო ამის თაობაზე. დავალიანება გადავიხადეთ, მაგრამ ორი კვირის დაგვიანებით, მას შემდეგ, რაც ხაზინამ ფული გამოგვიყო.

ჩვენი უწყების დადანაშაულება და პრესაში განგაშის ატეხა, ვფიქრობ, ინფორმაციის უქონლობის ბრალია. მიუღებელია ის პასკვილური ხასიათის წერილებიც, რომელიც დაიბეჭდა. არ შეიძლება საგარეო უწყების დადანაშაულება იმის გამო, რომ მას ბიუჯეტმა გვიან გადაურიცხა ფული.

— **ხომ არ ფიქრობთ, რომ საგარეო საქმეთა მინისტრის სავარძელი მოსდის ვიღაცას თვალში?**

— (მინისტრის მოადგილის ჟესტმა მაფიქრებინა, არც უმაგისობააო) დღეს უამრავი პრობლემა აქვს საქართველოს მოსაგვარებელი. გაცილებით ბევრი რამ გაკეთდებოდა, შიდაგაუგებრობებზე დროს რომ არ ვფლანგავდეთ. სავსებით გასაგები იქნებოდა პარლამენტის თავმჯდომარისა და დეპუტატების აღშფოთება, ხსენებულ პრობლემაზე რეაგირება რომ არ მოეხდინა ქალბატონ სალომეს, მაგრამ მაშინ, როდესაც გასაფრთხილებელი წერილები ყველა უწყებას გაეგზავნა და ამას შესაბამისი რეაგირება არ მოჰყოლია, ჩვენკენ აღარ უნდა ისროლონ ქვები.

— **რუსეთის ელჩის საქციელი, როდესაც ის პარლამენტში დაიბარეს და არ მივიდა, არ მოგეჩვენათ ცინიკურად?**

— პარლამენტს რომ ჩვენთვის ეკითხა, მივცემდით სათანადო რჩევას და ჩვენს წინააღმდეგ კოზირს არ ჩავუგდებდით ვინმეს ხელთ, — ერთადერთი უწყება, რომელსაც უცხო ქვეყნის წარმომადგენლის გამოძახება შეუძლია, საგარეო საქმეთა სამინისტროა.

# „დიახ, ბეტმენები და ამორძალები მართავენ ქვეყანას“

**ს**ახელისუფლებო პარტიაში წარმოქმნილი გაუგებრობების ეპიცენტრში პარლამენტის ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი აღმოჩნდა, რომელიც მკვახე-მკვახე გამონათქვამებით — გვარიანად შეამკეს. პარალელურად დაიწყო ლაპარაკი პარტიაში მაჭავარიანის პოზიციების გაძლიერებაზე და გაკეთდა პროგნოზიც — ეს ფაქტი ნაციონალებსა და დემოკრატებს შორის განხეთქილების ვაშლად იქცევაო. ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე თავად **მიხეილ მაჭავარიანს** ვესაუბრეთ:

— არ ვიცი, ვინ ლაპარაკობს და რატომ ჩემს გაძლიერებაზე. ეტყობა, ჩემი ეშინიათ. ჯერ გიორგი არველაძემ მთხოვა, მერე ერთი ჯგუფი პრეზიდენტთან შევიკრიბეთ, ვისაუბრეთ და მანაც მითხრა, გიორგისთან ერთად იმუშავე რეგიონალურ საკითხებზეო.

— **რატომ, გიორგიმ ვერ გაართვა თავი?**

— არა, რას ჰქვია ვერ გაართვა. რეგიონალური სამსახურის უფროსი ჟანი კალანდაძე გუბერნატორად გადაიყვანეს, აღმასრულებელი და საორგანიზაციო მდივნები ჯარში არიან. როცა ბიჭები ჩამოვლენ, ჩვეულებრივ გააგრძელებენ საქმიანობას. მინდა ჩემი ოპონენტები დავაწყნარო, დროებით ვარ ამ საქმეში ჩართული.

— **დარწმუნებული ხართ, რომ თქვენი ასეთი გააქტიურება მოსწონთ პარტიაში? ამბობენ, მაჭავარიანის გამო ნაციონალების ახალგაზრდული გუნდი ბუნტს აპირებსო.**

— ერთპიროვნულად არაფერს ვწყვეტ. თუ ჩათვლიან, რომ რამეს არასწორად ვაკეთებ, არ დავიჟინებ — ჩემი უნდა გავიტანო-მეთქი. რა ჩემი ბრალია, თუ ვინმეს თვალში არ მოვუდივარ. მგონი, პოლიტიკოსისთვის აქტიურობა ნაკლი არ უნდა იყოს. ზოგიერთებს ეგონათ, პარტიას გახლეჩდნენ და რაკი ეს არ მოხდა, გაღიზიანებული არიან.

— **ხმა გავრცელდა, მიშა მაჭავარიანმა თერჯოლელი ნაციონალები დაარბევინაო.**

— არავინ დამირბევია და დავგმე კიდეც ეს ფაქტი. გიორგი არველაძე ქალაქგარეთ მიდიოდა და მთხოვა, პარტიის სახელით კომენტარი გამეკეთებინა, რომ ამ ხალხს არ აქვს კავშირი პარტიასთან და თუ რაიმე პრეტენზია ჰქონდათ, პარტიის ოფისში მოსულიყვნენ. განცხადების შემდეგ აქცია დაარბიეს. რა თქმა უნდა, არ მომეწონა, ამ ხერხით არ შეიძლებოდა ხალხის დაშლა. რამდენადაც ვიცი, აქცია ძალოვნების მითითებით დაარბიეს. გიგი უგულავას დაევალა, გაარკვიოს, ვინ გასცა უშუალო მითითება. ამ საქმეში სოზარ სუბელიანიც არის ჩართული. სხვათა შორის, როგორც ამბობენ, ის მანქანები, რომელშიც დამრბევები ისხდნენ, არც პოლიციას ეკუთვნის და არც რომელიმე ძალოვან უწყებას. მალე გაირკვევა, ვინ არის დამნაშავე. როდესაც ხელი ჩემკენ გამოიშვირეს, დავურეკე სახალხო დამცველსაც და უშიშროების მინისტრის მოადგილესაც, რომ ამ საქმეში ჩართულიყვნენ. აქცია ქუთაისშიც ხომ მიმდინარეობს და ის არავის დაურბევია. ვფიქრობ, ეს აქტი გამიზნულად გათამაშდა.

— **იმ აქციაზე, სხვათა შორის, თქვენი სახელიც გაისმა — მუმლაძეს მფარველობსო და შესაძლოა ამიტომ ჩაგთვალეს „დაინტერესებულ“ პირად.**

— დათო მუმლაძე კეთროვანი არ არის, რომ გავერიდო; იქნებ მოდაშიც იყოს, თუ კაცს აქციებს უწყობენ, უგანო, მაგრამ მე ამ პრინციპით არ ვმოქმედებ. დათო მუმლაძე პრეზიდენტის რწმუნებულია, ამიტომ მას ვერც მოვხსნი და ვერც დავნიშნავ. აქციის ერთი მონაწილე, გურგენიძე რომ ამბობდა, მუმლაძე მაჭავარიანის „კასირი“ იყოო, ამისთვის წესით სასამართლოში უნდა მოვთხოვო პასუხი, მაგრამ მას თავს არ გავუყადრებ. მაგ სიტყვების გამო ღმერთი აგებინებს პასუხს. სხვათა შორის, არავის შერჩენია ჩემთან უსამართლო მოპყრობა, ყველა დაისაჯა. მაგ სიმართლით იაროს გურგენიძემ და ვიცი, სადაც მივა.

— **ამბობენ, კირკიტაძეს მუმლაძის თანამდებობაზე ნიშნავენო.**

— არ ვიცი. თერჯოლის გამგებელი ვინ იქნება, ამასაც პრეზიდენტი და პრეზიდენტის რწმუნებული გადაწყვეტენ. ეს არ არის ქუჩაში საკოტრიალო თემა.

— **ხშირად გაიგონებთ — ოპოზიცია წნეხის ქვეშ არისო.**

— მაგას ზვიად ძიძიგური იტყოდა. მითხარით ერთი, რომელ წნეხზეა ლაპარაკი. ოთახები არ აქვთ, სიტყვას არ ვაძლევთ თუ რა უნდათ, არ ვიცი... თუ არველაძემ ხაინდრავას უთხრა, შენი გამოსვლა ბაბურინის სიტყვებს მაგონებსო, ეს არც წნეხი ყოფილა და არც ლანძღვა. „ბაბურინი“ ცუდი სიტყვაა და „კომკავშირელს“ რომ უწოდებენ არველაძეს, ეს არაფერია? შეურაცხმყოფელი არ იყო მათი სიტყვები — ხელისუფლება სიმართლეს მალავს, ეგენი მშიშრები არიანო. ვიღაცასთან შედარებაზე კი — აუჰ, ეს როგორ გვითხარითო. ტელევიზიას ზღუდავთო რომ ამბობენ, რამდენიმე დღის წინ პირდაპირ ეთერში არ ვისხედით მე და კობა დავითაშვილი? მანამდე ფიქრია ჩიხრაძეც არ იყო ტელევიზიაში? ვერ ხედავენ, რა სიუჟეტები კეთდება და ხელისუფლების რა ლანძღვა-გინებაა, ეგენი სხვა ქვეყანაში ხომ არ ცხოვრობენ?



ერთადერთი ეგაა, ჩვენ ისეთი კრიტიკის საშუალებას არ ვაძლევთ ოპოზიციას, როგორც ეს წინა ხელისუფლების დროს იყო, იმიტომ, რომ ხელფასებიც და პენსიებიც დროულად რიგდება. კონკრეტულად მითხრან, ვინ და რა შევზღუდე. ზოგადი ლაპარაკი არ ეკადრებათ „ჩვენს მეგობრებს“. თუ საზოგადოებრივი ტელევიზია კარგი იყო და მის შექმნას 2 ნოემბრამდე მხარს უჭერდა დღევანდელი ოპოზიცია, ახლა რა მოხდა?

— **იქნება კი ის საზოგადოებრივი?**

— მერე იმუშაონ ჩვენთან ერთად ამ ტელევიზიის გარდაქმნისათვის. ვთქვათ, რა და როგორ გვინდა. ასეთი სახით დავტოვოთ? ეს ფორმაა სწორედ დიქტატორული და ამიტომ გვინდა მისი დანგრევა. თავად ვამბობთ უარს ჩვენს ბერკეტებზე და რა უნდათ მეტი? დღეს პარლამენტში ოპოზიციის ხმა იმიტომ არ ისმის, რომ სალაპარაკო არ აქვთ. მე თვითონ ვეხვეწები, — თქვით თუ რამე გაქვთ სათქმელი-მეთქი.

— **ახლა მეტყვით, ვერც ხელისუფლებას ვამჩნევ ავტორიტარიზმის ნიშნებსო.**

— პრეზიდენტს აქვს თავისი კომპეტენცია და წინა ხელისუფლებისგან განსხვავებით, საბედნიეროდ, იღებს გადაწყვეტილებებს. მთავრობაც ართმევს თავის მოვალეობას თავს — ხელფასებსაც არიგებს, პენსიასაც და ჯარსაც ინახავს. პარლამენტიც ქმედუნარიანია და პროგნოზი — ის მთავრობის დანამატი იქნებაო, არ გამართლდა.

— **ამბობენ, ქვეყანას არაოფიციალური მთავრობაც ჰყავსო.**

— (იცინის) უჰ, სადამდე მივიდნენ... დიახ, ბეტმენები და ამორძალები მართავენ ქვეყანას. ოპოზიციის არგუმენტები ხუმრობის ხასიათზე გაყენებს. თუ პრეზიდენტის ბიძას გულისხმობენ — არ არიან მართლები. თემურ ალასანია არასოდეს დასწრებია უშიშროების საბჭოს სხდომას. იმ კაცს საქართველოში ჩამოსვლა უნდა დავუშალოთ, რა მოხდა, თუ დისშვილს სამსახურში მიაკითხა? არც ეს კაცი ჩაერევა სახელმწიფო საქმეებში და ამას არც პრეზიდენტი დაუშვებს.

***გვერდი მოამზადა იზო რიკაძემ***

# ქართული არმიის სრულყოფისთვის...

## აშშ-ს ერაყში დავეხმარებით, პენტაგონი კი ქართულ არმიას გააძლიერებს

აშშ-ში საქართველოს თავდაცვის მინისტრის მაღალი დონის ოფიციალური ვიზიტის დროს გახმიანდა ინფორმაცია, რომ შეიძლება კვლავ გაიზარდოს ქართული სამხედრო კონტინგენტები ერაყსა და ავღანეთში. შეგახსენებთ, რომ დღეს ერაყში იმყოფება საჩხერის მე-16 სამთო-მსროლელი ბატალიონის 159 მებრძოლი, რომელთაც მალე „კომანდოს“ ბატალიონის 300-მდე სამხედრო მოსამსახურე შეცვლის. ავღანეთში კი პირველად, საბჭოთა პერიოდის შემდეგ, კვლავ გამოჩნდნენ სამხედროფორმიანი ქართველები — იქ უკვე ჩავიდა მე-16 ბატალიონის გაძლიერებული ოცეული 50 კაცის შემადგენლობით.

ერაყში ქართული სამხედრო კონტინგენტის შესაძლო გაზრდის (300 კაცზე მეტიც) თაობაზე თბილისში არაერთგვაროვანი კომენტარები გაკეთდა — გააკრიტიკეს თავდაცვის მინისტრის ვიზიტის შედეგები აშშ-ში.

ჩვენი გაზეთის სპეციფიკიდან გამომდინარე, აღარ დაველოდეთ მინისტრ ბ-ნ **გიორგი ბარამიძის** თბილისში ჩამოსვლას და მასთან ექსკლუზიური ინტერვიუ ვაშინგტონის აეროპორტში სამშობლოში გამოფრენის წინ, ტელეფონით ავიღეთ.

*— ვინც ჩვენ გვაკრიტიკებს, ალბათ არ იცის, რომ „წვრთნისა და აღჭურვის“ ქართულ-ამერიკული პროგრამით მომზადებაში მე-11 ბრიგადის ბატალიონებს ახლა უფრო მეტი დაფინანსება სჭირდებათ. საბრძოლო ბატალიონების უზრუნველსაყოფად შესაქმნელია ლოგისტიკის დანაყოფი, საინჟინრო და საარტილერიო ასეულები, აღარაფერს ვამბობ სადაზვერვო ასეულზე. ამგვარი დანაყოფების უყოლობამ აშკარად იქონია გავლენა ბოლო დროს მომხდარ მოვლენებზე. მე ამერიკულ მხარეს შევთავაზე წინადადება, რომლის თანხმადაც, ერაყსა და ავღანეთში ქართული სამშვიდობო კონტინგენტები იმავე დონეზე უნდა იყვნენ უზრუნველყოფილნი, როგორც ამერიკული დანაყოფებია. გვინდა, ჩვენს სამხედროებს ბევრად მეტი გასამრჯელო გადაუხადონ ამერიკელებმა, ვიდრე ჩვენ ვუხდიდით. გარდა ამისა, თუ პენტაგონს ერაყსა და ავღანეთში დავეხმარებით, სამაგიეროდ, მან უნდა მოგვიმზადოს 2 ბრიგადა, ანუ დაასრულოს მე-11 ბრიგადის მომზადება სრულ საბრძოლო მზადყოფნამდე, თავიდან ბოლომდე აღჭურვოს და გაწვრთნას ქუთაისის 21-ე ბრიგადა. მარტო ჩვენი ძალებით ამ ორივე ბრიგადის შეიარაღებას, გაწვრთნას და უზრუნველყოფას რამდენიმე წელი და ძალიან დიდი სახსრები დასჭირდება.*

როგორც იტყვიან, ხელი ხელს ბანს და ორივე პირსო, ანუ თუ გვინდა, ამერიკელთა ხარჯზე აღვჭურვოთ და მაღალ დონეზე მოვამზადოთ ქართული არმიის დანაყოფები, მაშინ საზღაურიც უნდა გავიღოთ.

ერთი კია, ძალით ერაყსა და ავღანეთში არავის გზავნიან. პირიქით, იქ წასვლა გაცილებით მეტ ქართველ სამხედროს სურს.

# ჩრდილო კავკასიაში

## ომის სუნი ტრიალებს

1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმი ორკვირიანი ალყისა და ბრძოლების შემდეგ დაეცა. დაეცა იმიტომაც, რომ აფხაზეთში ქართველების წინააღმდეგ ბევრი ჩრდილოკავკასიელი იბრძოდა.

საქართველოს ამ მტერთაგან დღეს ბევრი ცოცხალი აღარ არის, მაგრამ დარჩენილებს და მათ შეგირდებს ძალიან წაადგათ აფხაზეთის ომში მიღებული გამოცდილება, ოღონდ ამჯერად არა ქართველების, არამედ სწორედ იმ რუსი სამხედროების წინააღმდეგ, ვინც ისინი თავის დროზე დაგეშა, შეაიარაღა და საქართველოში საომრად გამოუშვა.

როგორც წლების შემდეგ არმიის გენერალმა ჟულიკოვმა აღიარა, 1992 წლის ზაფხულში მან, როგორც რუსეთის შინაგანი ჯარების სარდალმა, მიიღო ბრძანება — შეეჩერებინა, ხოლო ურჩობის შემთხვევაში, გაენადგურებინა ჩეჩნეთიდან აფხაზეთში საომრად მიმავალი შამილ ბასაევის ბანდფორმირებულ შეიარაღებული რაზმი. უკვე ჩასაფრებულებმა იცოდნენ და ბასაევის რაზმს გადარჩენის არავითარი შანსი არ ჰქონდა, მაგრამ ბოლო წუთს გენერალ ჟულიკოვს მოსკოვიდან უბრძანეს, მოეხსნა ჩასაფრება და ბასაევი და მისი რაზმი აფხაზეთისკენ დაუბრკოლებლად გაეტარებინა.

გავიდა წლები. მაშინდელი ხელისშეუხებლობა კრემლს წინ დახვდა — 1995 წელს ბუდიონოვსკში შამილ ბასაევის და მომდევნო წელს — დაღესტანში სალმან რადუევის რეიდები იყო, როგორც თავდასხმები ინგუშეთის დედაქალაქსა თუ ჩრდილო ოსეთში, ბესლანის სკოლაზე.

კარგად შეიარაღებული რაზმების ფარული და მოულოდნელი რეიდები დივერსიების განსახორციელებლად, ზრდის საფრთხეს, რომ ერთ მშვენიერ დღეს მთელი ჩრდილო კავკასია სისხლისღვრელმა ომებმა მოიცვას, რაც რუსეთის სამხრეთ მიმართულებიდან დაშლას მისცემს ბიძგს.

დღეს ჩრდილო კავკასიაში ყველა წინაპირობა არსებობს მსხვილმასშტაბიანი და მრავალეროვნული შეიარაღებული კონფლიქტის დასაწყებად. ამ რეგიონის მოსახლეობას არ აკლია ცეცხლსასროლი იარაღი და მათ შორის ავტომატები. ეს ბესლანის ტრაგედიამაც გამოაჩინა — როდესაც ავტომატებითა და ოპტიკური სამიზნეებიანი შაშხანებით შეიარაღებული მთიელები, თავისი ჭკუით, ტერორისტების დახოცვასა და ბავშვების გამოხსნას ცდილობდნენ. სწორედ მათმა არაპროფესიონალურმა მოქმედებამ გამოიწვია ის ქაოსი, რასაც საშინელი შედეგი მოჰყვა.

ჩრდილო ოსეთის მცხოვრებებს არსენალი ჩრდილო ოსეთ-ინგუშეთის კონფლიქტის დროს შეუვსიათ.

ინგუშეთიც, ანალოგიურად, ვლადიკავკაზის პრიგოროდნის რაიონიდან მათი გაყრის შემდეგ კარგად შეიარაღდნენ, ძირითადად თავისი მოძმე ჩეჩნების დახმარებით, რადგან იმ მომენტში ჩეჩნეთის პირველმა პრეზიდენტმა ჯოჰარ დუდაევმა მოახერხა დატოვებინა რუსული იარაღის საწყობები, სადაც მარტო 42 ათასი ცალი ცეცხლსასროლი იარაღი ინახებოდა, რომ აღარაფერი ვთქვათ საბრძოლო ტექნიკაზე.



ხატაბი ჩეჩნეთში ბასაევთან ახლო აღმოსავლეთიდან სწორედ იმიტომ მოავლინეს, რომ ომის ქარცეცხლი მთელ ჩრდილო კავკასიაში გაევრცელებინა

აფხაზეთის ომში ორი ათასამდე ჩეჩენმა მიიღო საბრძოლო ნათლობა და სოხუმიდან ხელს ნაალაფარი იარაღიც გააყოლა (სხვანაირად ძნელია აიხსნას ის ფაქტი, რომ ამ სტატიის ავტორი გროზნოს ბაზარში წააწყდა რამდენიმე რუმინულ ავტომატს, რომელთა პარტია იმ პერიოდში მხოლოდ საქართველოს მთავრობას შემოჰქონდა). ამან კიდევ გაზარდა იარაღის რაოდენობა ჩეჩნეთში.

ყაბარდო-ბალყარეთისა და ყარაჩაეთ-ჩერქეზეთის ბევრი მცხოვრების ხელსაც აცხია აფხაზეთში დაღუპული ქართველების სისხლი და, შესაბამისად, მათაც ჰქონდათ საშუალება, შინ კარგად შეიარაღებულები დაბრუნებულიყვნენ.

ამას ემატება ჩეჩნეთის პირველი და მეორე ომები. მაშინ ჩეჩნებმა რუს სამხედროებს ბლომად იარაღი წაართვეს, უშუალო მეთაურებისგანაც ტონობით ტყვია-წამალი იყიდეს, რომელიც ისევ რუსებს „დაახარჯეს“.

ასე რომ, ჩრდილო კავკასია საკმაოზე მეტადაა შეიარაღებული, რაც ერთ-ერთი მთავარი პირობაა ამ რეგიონში სისხლიანი კონფლიქტის გასაჩაღებლად.

მაგრამ ვისთვის უნდა იყოს ხელსაყრელი დიდი ომი ჩრდილო კავკასიაში? ამას პასუხი ბესლანის მოვლენებმაც გასცა — პარტიზანული ომის მსხვილმასშტაბიან ბრძოლებში გადაზრდა, მთელი ჩრდილო კავკასიის მასშტაბით, უპირველესად, იმ ჩეჩენი და არაბი მებრძოლებისთვის არის საშური, რომლებიც წლობით იმალებიან ჩეჩნეთის ტყე-ღრეებში.

რუსეთში სიტუაციის არევა და ჩრდილო კავკასიაში ვაჰაბიზმის გაძლიერება ხელს აძლევს რამდენიმე არაბულ სახელმწიფოს, რომლებიც ვაჰაბიზმის იდეების გარდა, ნავთობის მსხვილი ექსპორტიორები არიან მთელ მსოფლიოში. თუკი არეულ და სამოქალაქო ომში გახვეულ რუსეთს აღარ შეეძლება ნავთობის დიდი რაოდენობით მოპოვება და ექსპორტი, შესაბამისად, მოგება დარჩებათ იმ არაბულ ქვეყნებს, რომლებიც მნიშვნელოვან კონკურენტს ჩამოიშორებენ. ეტყობა, ამიტომაც ეხმარებიან ასე თავგამოდებით ამ ქვეყნების სპეცსამსახურები ჩეჩნეთის დამოუკიდებლობისთვის მებრძოლებს. შედეგი უკვე არის — ჩეჩნეთში ნავთობის მოპოვების ინდუსტრია ფაქტობრივად მთლიანად მოისპო. მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე განა ტყუილად ესწრაფოდა ჰიტლერი გროზნოს დაპყრობას — ჩეჩნური მაღალხარისხიანი ნავთობის ხელში ჩაგდება სურდა.

შეიარაღებული დაპირისპირების ჩეჩნეთიდან ინგუშეთსა და ჩრდილო ოსეთში გადატანა გამიზნული ნაბიჯია, რათა ხელახლა გაღვივდეს ჩრდილო კავკასიის ამ ორ ერს შორის 12 წლის წინ მინავლული ომი. თანაც, ქართველებისა არ იყოს, ინგუშებს დღესაც არ ასვენებთ პრიგოროდნის რაიონში მათ წინააღმდეგ მოწყობილი გენოციდის გამო შურისძიების სურვილი. ამ ხოცვა-ჟლეტაში ხომ რუსი სამხედროები გულმოდგინედ დაეხმარნენ ოსებს.

1994 წლის დეკემბერში ჩეჩნეთზე ტანკებით მიტანილი იერიშით მაშინდელმა რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა დიდი შეცდომა დაუშვა, რისი შედეგიც 1996 წელს ხასავიურთის ცნობილი (რუსეთისთვის მეტად სამარცხვინო) ხელშეკრულებით მიიღო.

ხუთი წლის შემდეგ, 1999 წლის შემოდგომაზე, ბებერი ელცინის უგუნურება ახალგაზრდა, მაგრამ ძალზე ამბიციურმა პუტინმაც გაიმეორა — დაიწყო ჩეჩნეთის მეორე ომი. თუმცა, მაშინ ჯერ კიდევ პრეზიდენტობის კანდიდატ პუტინს ამ ომის დაწყება ავტორიტეტის ასამაღლებლად სჭირდებოდა, რაშიც მას თავდაპირველად რუსეთის მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმაც დაუჭირა მხარი, სწორედ მან, ვისაც 1996 წლის აგვისტოს გროზნოს სამარცხვინო დაკარგვა და ხასავიურთის პაქტით გამოწვეული სირცხვილის ჩამოწმენდა სურდა.

მას შემდეგ კიდევ ხუთმა წელმა გაიარა. ახლა შესაძლოა ჩეჩნეთის ომის ხანძარი მთელ ჩრდილო კავკასიას მოედოს. თუ ეს მოხდა, ადრე თუ გვიან, ნებსით თუ უნებლიეთ, ომი საქართველოსაც ჩაითრევს, თუნდაც იმიტომ, რომ თბილისი მოინდომებს იურისდიქციის აღდგენას ცხინვალის რეგიონში. პარალელურად, აღარც აზერბაიჯანი შეურიგდება ტერიტორიაწართმეული ქვეყნის სახელს და ეცდება მის დაბრუნებას.

არის ყველა წინაპირობა იმისთვის, რომ ჩრდილო კავკასიაში დაწყებული შეიარაღებული კონფლიქტი მალე საერთოკავკასიურ ომში გადაიზარდოს. ასეთი პერსპექტივა კი, რა თქმა უნდა, რუსეთთან ერთად საქართველოსთვისაც სავალალოა.


# სწრაფი გამარჯვება ტკივილზე – „მუვ ფრი“ + მსმ!



ტკივილმა სახსრებსა და კუნთებში შესაძლოა აქტიური და ჯანმრთელი ადამიანიც შეაწუხოს. რამდენად სწრაფად შეიძლება მასთან გამკლავება?

ჩვენს ცხოვრებაში უამრავი სიტუაციაა, რომელსაც მოჰყვება უსიამოვნო შეგრძნებები კუნთებში, მყესებსა თუ სახსრებში. როგორ შევაჩეროთ მოვლენათა ასეთი განვითარება და რა ვქნათ, თუკი ეს მაინც მოხდა?

ჩვენ გამოვყავით ტკივილის გამოვლენის რისკის ძირითადი ფაქტორები. ყოველი ადამიანის ცხოვრებაში ერთი მათგანი მაინც იჩენს თავს. ამიტომ, ყოველი შემთხვევისთვის არსებობს უსაფრთხო მოქმედების წესები.

მანქანას ატარებთ?

დღეში რამდენიმე საათის გატარება საჭესთან მოსაბეზრებელი, მაგრამ ბევრისთვის გარდაუვალი საქმიანობაა. ავტომობილისტებს ხშირად აწუხებთ ტკივილები კისერში, მხრებში, ზურგში. სიტუაციის გამოსასწორებლად საჭიროა მძღოლის ადგილის სწორი მოწყობა. მძღოლი საჭეს ყოველგვარი დისკომფორტის გარეშე უნდა სწვდებოდეს. ხანგრძლივი მგზავრობისას, ხანდახან, 10 წუთით გადმოდით სალონიდან და გასწორდით. ამ დროს შეგიძლიათ უბრალოდ იაროთ ან გააკეთოთ მოსათელი მოძრაობები. თუკი ტკივილი მაინც გახსენებთ თავს, უმჯობესია გამოიყენოთ თანამედროვე პროტექტორული ბუნებრივი საშუალებები - **„მუვ ფრი + მსმ“**. ეს პრეპარატი შემადგენლობით განსხვავდება ცნობილი ქონდროპროტექტორისგან **„მუვ ფრი“ - მსმ** კომპლექსის დამატებით მეთილსულფონილმეთანი – ბუნებრივი გოგირდი, რომელიც გამოკვეთილ ანთების საწინააღმდეგო მოქმედებას ახდენს. პრეპარატი გაცილებით ეფექტურია სახსრებსა და კუნთებში პირველივე სიმპტომებისა თუ დისკომფორტის შემჩნევისთანავე.

ცდილობთ შეინარჩუნოთ ფორმა სატრენაჟორო დარბაზში?

სპორტი შესანიშნავი საშუალებაა სამუშაო სტრესის მოსახსნელად, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ სპორტით აქტიურ დაკავებას თავისი საფრთხეებიც გააჩნია.

სპორტული ტრავმები, ღრძობა, ამოვარდნილობა, კუნთებისა და მყესების დაჭიმვა არცთუ ისე იშვიათია არაპროფესიონალ სპორტსმენებს შორისაც. ამიტომ ვარჯიშებს სერიოზულად მიუდექით. ყოველი ვარჯიშის წინ გააკეთეთ მცირედი მოთელვა, ხოლო ვარჯიშის შემდეგ, დაჭიმეთ გავარჯიშებული კუნთები. ყურადღება: არ დაჭიმოთ კუნთები ვარჯიშის დასაწყისში. მათ ჯერ კიდევ ვერ მოასწრეს გახურება და განსაკუთრებით არიან მიდრეკილნი ტრავმებისკენ.

თუ უსიამოვნება დაჭიმვის სახით მაინც მოხდა, დაუყოვნებლივ შეწყვიტეთ ვარჯიში და გალიზიანებული არე მოასვენეთ. ხოლო ტკივილის სინდრომთან ბრძოლისათვის გამოიყენეთ პრეპარატი **„მუვ ფრი + მსმ“**, რომელსაც ანთების საწინააღმდეგო და ტკივილგამაყუჩებელი ეფექტი გააჩნია. ეს საშუალება პოპულარულია პროფესიონალ სპორტსმენებს შორისაც. **„მუვ ფრი“**-თი სარგებლობენ ისეთი პოპულარული ქართველი სპორტსმენები, როგორებიც არიან შოთა არველაძე, ნიკოლაი დერიუგინი.

პრეპარატი შექმნილია თანამედროვე ტექნოლოგიებით, მისი ხარისხი გარანტირებულია **GMP**-ის საერთაშორისო სტანდარტებით და რეკომენდებულია **ამერიკის ართრიტის ფონდის** მიერ.

მომავლისთვის კი შეეცადეთ მიიღოთ უსაფრთხოების ყველა ზომა და არ დაგავიწყდეთ შეიძინოთ **„მუვ ფრი“** თქვენი პირადი აფთიაქისთვის.




ორმაგი ეფექტით

სამმაგი ეფექტით

მსმ-ით

იმ შემთხვევაში, თუ დროული პროფილაქტიკა არ ჩატარდა და სახსრებში ტკივილმა სერიოზული ხასიათი მიიღო, გულს ნუ გაიტეხთ! **„მუვ ფრის“** ფორმულების ნაირსახეობები ორმაგი ეფექტით, სამმაგი ეფექტით, **მსმ**-ით (მეთილსულფონილმეთანით) და სხვ., ითვალისწინებენ დაავადების განვითარების მიზეზს, მის სტადიას, აგრეთვე თითოეული პაციენტის ორგანიზმის თავისებურებებს და ცალკეული პაციენტისათვის ინდივიდუალური სამკურნალო პროგრამის შექმნის საშუალებას იძლევიან. პრეპარატით **„მუვ ფრი“** მკურნალობის ინდივიდუალურ პროგრამას აკადემიურად შეგირჩევენ ვიტამინ-ცენტრ **„ჯეოვიტის“** ექიმები.

*„ჯეოვიტი“ – თქვენი ჯანმრთელობის თანამგზავრი!*

ჯეოვიტი GEOVIT

ამერიკული კომპანია „შიფ“-ის ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში კომპანია „ჯეოვიტი“

მის: ილია ჭავჭავაძის 41 (ვაკის პარკის პირდაპირ).

დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრებში:

ქ. თბილისი, აბულაძის 8, ქ. მარნეული, 26 მაისის ქუჩა №80

☎29-20-91; 899 10-99-20; 899 14-35-56

ყოველდღე, შაბათ-კვირის ჩათვლით

www.schiffvitamins.com

Schiff 60



ექსკლუზიური ფასდაკლების კუპონი

წარმოადგინეთ ვიტამინ-ცენტრში „ჯეოვიტი“

*კუპონი ძალაშია 11 ოქტომბრამდე*

# „ვერიკო“ — ქართული „უღრუბლო“ ცის გარანტი

## „საჰაერო სივრცის სუვერენიტეტის კონტროლის სისტემის“ ამოქმედება პირდაპირ უკავშირდება საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებას

19 სექტემბერს, დილის 11 სთ-ზე, ალექსეევკის ბაზაში თავდაცვის მინისტრმა ტრიბუნიდან მიულოცა პილოტებსა და ტექნიკურ პერსონალს საქართველოს საჰაერო ძალების მე-12 წლისთავი.

იმავე დროს, ზუსტად 11.06 სთ-ზე, ქართველ ავიატორებსა და მეზენიტეებს სხვებმაც „მიულოცეს“ პროფესიონალური დღესასწაული, ოღონდ თავისებურად — საქართველო-რუსეთის საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთზე საქართველოს საჰაერო სივრცეში შემოიჭრა თვითმფრინავი... ქართული რადიოლოკატორის მიერ დაფიქსირებული პარამეტრების მიხედვით საზღვრის დამრღვევი თვითმფრინავის ფრენის სიმაღლე 7კმ-ს აღწევდა, სიჩქარე — 900 კმ/სთ-ს, რაც ცხადყოფს, რომ ეს იყო Су-24МР ტიპის მზვერავი თვითმფრინავი.

საჰაერო სივრცე წინადღეს, 18 სექტემბერსაც დაირღვა. ეს მიანიშნებს, რომ რუსეთის სადაზვერვო თვითმფრინავები ასრულებენ საგანგებო დავალებას მორიგი ფართომასშტაბიანი ოპერაციის დაწყების წინ, რისთვისაც აუცილებელია საჰაერო სადაზვერვო ფოტოსურათები.

რას იზამს რუსეთი თავის საზღვრებში, ეს მისი საქმეა, ხოლო საქართველოს საჰაერო სივრცეში შემოჭრა უკვე ჩიკაგოს კონვენციის დარღვევაა. სხვათა შორის, საერთაშორისო ნორმების თანახმად, თუკი სამხედრო მფრინავი ობიექტი თავისივე ქვეყნის საჰაერო სივრციდან 25 კმ-ზე მიუახლოვდება სახელმწიფო საზღვარს, ფრენების ხელმძღვანელი ვალდებულია, ეს აცნობოს მეზობელი ქვეყნის კოლეგებს, დაამშვიდოს ისინი და განუმარტოს, რომ ამ სამხედრო მფრინავი ობიექტის ეკიპაჟს არ აქვს მტრული ზრახვები და არ შეიჭრება მეზობლების საჰაერო სივრცეში.

პარტიზანული ომი ჩეჩნეთში მერამდენე წელია უშუალოდ საქართველოს საზღვართან მიმდინარეობს, თუმცა მოსკოვს არასოდეს შეუწუხებია თავი, თბილისისთვის შეეტყობინებინა — ამა და ამ დროს სახელმწიფო საზღვრის ამა და ამ მონაკვეთის ახლოს საბრძოლო ოპერაციას ვიწყებთ და იქ რუსული საბრძოლო თვითმფრინავები და შვეულმფრენები იმოქმედებენო.

ეს კი არა, კრემლში დღესაც არ აღიარებენ მათი თვითმფრინავების მიერ ქართული სოფლების დაბომბვის ფაქტებს, რომ აღარაფერი ვთქვათ ქართული საჰაერო სივრცის სისტემატურ დარღვევაზე.

რუსი გენერლები დარწმუნებული არიან, რომ ხშირად ელექტროენერგიის გარეშე დარჩენილი, მოძველებული საბჭოური რადიოლოკაციური საშუალებებით (რომელიც არცთუ იშვიათად ფუჭდება) თბილისს საჰაერო სივრცის დამრღვევი რუსული თვითმფრინავებისა და შვეულმფრენების არც ზუსტად დაფიქსირება შეუძლია და, მით უმეტეს, არც ჩამოგდება.

თუკი როგორმე საშველი დაადგა „საჰაერო სივრცის სუვერენიტეტის კონტროლის სისტემის“ ამოქმედებას, უთუოდ მალე მოეღება ბოლო ქართულ ცაში რუსი პილოტების დაუსჯელ პარპაშს.

ჩვენი ხელისუფალნი ინტერვიუებში ამ სისტემას ხშირად ახსენებენ, თუმცა ჩვეულებრივი მოქალაქისთვის მაინც უცნობია, რაზეა ლაპარაკი.

სამხედრო საიდუმლოების დაცვისა და ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით, „კვირის პალიტრა“ თავს შეიკავებს ამ სისტემის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციის გამოქვეყნებაზე, მაგრამ ვეცდებით, ავხსნათ მისი მთავარი არსი.

ქვეყნის საჰაერო სივრცის გასაკონტროლებლად შემდეგი ძირითადი ამოცანები უნდა შესრულდეს: დაიწყოს საქართველოს საჰაერო სივრცის კონტროლი; შეიქმნას საჰაერო მოძრაობის მართვის კომპლექსური სისტემა; საქართველოს საჰაერო თავდაცვის სისტემა ჩაირთოს NATO-ს გაერთიანებული თავდაცვის საინფორმაციო სისტემაში.



*მართალია, მოსკოვი ამერიკული საზენიტო-სარაკეტო კომპლექსების Patriot-ების შესყიდვის სურვილს გვაბრალებს, მაგრამ ამ ეტაპზე ეს Куб-ის ტიპის მობილური საზენიტო საშუალებაც მისაღებია ჩვენთვის, თუნდაც შედარებით მცირე ფასის გამო*



*კავკასიონის ქედზე დაყენებულ კომპაქტურ Vera-E-ს რუსული თვითმფრინავების აღმოჩენა როსტოვამდე შეუძლია*

საჰაერო სივრცის დასაცავად უნდა ავამოქმედოთ ორი ძირითადი კომპონენტი — პასიური და აქტიური საშუალებები. პასიურში იგულისხმება დროული და საჭირო მოცულობის ინფორმაციის მოპოვება საჰაერო სივრცის დამრღვევზე, აქტიური ზემოქმედების საშუალებებში კი — გამანადგურებელ-გზაგადამჭრელი ავიაციის, საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებისა და რადიოელექტრონული ჩახშობის სისტემების კოორდინირებული მუშაობა.

სამწუხაროდ, ჩვენ ერთი გამანადგურებელ-გზაგადამჭრელი თვითმფრინავიც კი არ გვყავს, ხოლო Су-25-ის ტიპის მოიერიშეები სულ სხვა დანიშნულებისაა და ამიტომაც ისინი ცაში საჰაერო სამიზნის აღმოსაჩენად და ჩამოსაგდებად არ გამოდგება. გამანადგურებელ-გზაგადამჭრელი თვითმფრინავების შეძენა საქართველოს ახალ ხელისუფლებას, რა თქმა უნდა, შეუძლია სხვა პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, მაგრამ მაშინ საზოგადოება უნდა შეეგუოს იმას, რომ ეს საკმაოდ ძვირად ღირებული კონტრაქტი მნიშვნელოვნად იმოქმედებს საქართველოს ბიუჯეტზე.

არსებობს ერთი, შედარებით იაფი და სწრაფად განსახორციელებელი გეგმაც — ჩეხეთში შეძენილ იქნეს პასიური მოქმედების რადიოლოკაციური კომპლექსი Vera-E.

***ჩვენი დოსიე:** Vera-E, სხვა რადიოლოკატორებისგან განსხვავებით, არ გამოასხივებს რადიოტალღებს და მათი საფრენი აპარატიდან არეკვლის შემდეგ არ აფიქსირებს საჰაერო სამიზნეს. „ვერიკო“ უფრო მარტივად, მაგრამ მომგებიანად მუშაობს — პასიურ რეჟიმში აფიქსირებს ყველა იმ რადიოტალღას, რასაც მფრენი ობიექტები მუდმივად ასხივებენ, იქნება ეს თვითმფრინავის საბორტე რადიოლოკატორი, სიმაღლის რადიომზომი თუ რადიოლოკაციური სამიზნე. „ვერიკოს“ შეუძლია ამ სახით 450-600 კმ-ის რადიუსში აღმოაჩინოს ყველა ის თვითმფრინავი და შვეულმფრენი, რომლებიც 1-18 გეგაჰერცის დიაპაზონში აგზავნიან რადიოსიგნალებს.*

ამ ჩეხური პასიური რადიოლოკატორის მნიშვნელობაზე ისიც მეტყველებს, რომ ამას წინათ თავად პენტაგონმა შეიძინა „ვერიკოს“ ორი კომპლექსი.

მისი უპირატესობა ისიცაა, რომ აქტიური რადიოლოკატორისგან განსხვავებით, რომლის მიერ გაშვებულ რადიოტალღებს კავკასიონის ქედი აირეკლავს, „ვერიკოს“ რუსეთის ჩრდილო კავკასიის საჰაერო სივრცეშიც შეუძლია მფრინავი ობიექტების კლასიფიკაციის განსაზღვრა.

მიუხედავად ასეთი შესაძლებლობებისა, მარტო „ვერიკოც“ ვერ აუვა მთელი ქართული საჰაერო სივრცის კონტროლს. აუცილებელია აქტიური მოქმედების სამკოორდინატიანი რადიოლოკატორების ამოქმედებაც, რომლებიც საჰაერო სამიზნის ფრენის სამ პარამეტრს — აზიმუტს, სიმაღლეს და მანძილს განსაზღვრავენ.

აუცილებელია, გარდა სტაციონარული С-125 ტიპის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსების აღდგენისა, შევიძინოთ მობილური საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები, რომელთა გადასროლა ამა თუ იმ კონფლიქტის ზონაში დროის მცირე მონაკვეთში (რამდენიმე საათში) შეგვეძლება.

დაბოლოს, საქართველო შარშან NATO-ს მიერ საჰაერო სივრცის მონაცემების გაცვლის პროგრამის წევრი გახდა, მაგრამ დღემდე არ გაგვაჩნია საჰაერო სივრცის კონტროლის NATO-სთან თავსებადი სისტემა. თუკი ეს სისტემა მალე ავამოქმედეთ, ეს, ერთი მხრივ, დაგვეხმარება მთლიანად ჩვენი ქვეყნის NATO-ში სამხედრო-პოლიტიკური ინტეგრაციის დაჩქარებაში და მეორე — საქართველოს საჰაერო სივრცის დამრღვევი ნებისმიერი მფრინავი ობიექტის პარამეტრები აისახება არა მარტო ქართული რადიოლოკატორის ეკრანზე, არამედ NATO-ს კონტროლისა და ანგარიშის ცენტრის მონიტორზეც დაფიქსირდება, რის შემდეგ იგივე რუსეთი ასე ხელაღებით ვერ უარყოფს თავისი თვითმფრინავების „ნავარდს“ ქართულ ცაში.

თანამედროვე ომები ცხადყოფენ, რომ ვინც ჰაერიდან დაუცველია, მისი ბედი გადაწყვეტილია...

*რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა*

# ოსურ-რუსული „ძმობა“



## ბესლანამდე ოსი ბავშვები „მძევლებად“ ჯერ რუს სამხედროებს ჰყავდათ აყვანილი

ბესლანში, 1-ელ სექტემბერს, მოსწავლეების მძევლად აყვანამდე ორი კვირით ადრე, მოხდა ერთი მნიშვნელოვანი ინციდენტი, რომელიც დღემდე არ გახმაურებულა.

ჩრდილო ოსეთის ამ პატარა ქალაქში ტერორისტებმა ოსი ბავშვები სკოლის სპორტდარბაზში დაამწყვდიეს, ხოლო 13 აგვისტოს ცხინვალელი ოსი პატარები — თავად რუსმა მესაზღვრეებმა და სპეცსამსახურების წარმომადგენლებმა ჩაყარეს გისოსებს მიღმა.

...13 აგვისტოს, ბრძოლების გააქტიურების გამო, ცხინვალიდან ქალებითა და ბავშვებით სავსე სამი ავტობუსი ვლადიკავკაზისკენ გაემართა. ბრძოლების ესკალაციის შემთხვევაში ცხინვალის საცხოვრებელ უბნებსაც არ დაადგებოდა კარგი დღე, რადგან სახლების სახურავებზე სნაიპერები იყვნენ მოკალათებულნი და მათ სროლას აუცილებლად მოჰყვებოდა საპასუხო ცეცხლი. კონფლიქტის ზონიდან ბავშვებისა და ქალების გახიზვნა ცხინვალის სეპარატისტულ ხელისუფლებას თითქოსდა შეთანხმებული ჰქონდა თავის რუს პატრონებთან, მაგრამ როკის გვირაბიდან გასვლისთანავე რუსმა მესაზღვრეებმა ლტოლვილებს შარი მოსდეს — პასპორტები და სხვა საბუთები წესრიგში არა გაქვთო და ავტობუსებიდან ძირს ჩამოყარეს.

„მოგვეშველეთ, ბავშვები და ქალები „კლეტკებში“ შეყარეს, იატაკზე ყრიან, საშინელ მდგომარეობაში არიან“, — დაახლოებით ასეთ ოსურ-რუსულ ტექსტს გადასცემდა რაციით ღია ეთერში ავტობუსების მძღოლი ოსი მამაკაცი.

რაციის მეორე ბოლოში კი მას თავად სეპარატისტების ახალდანიშნული თავდაცვის მინისტრი ანატოლი ბარანკევიჩი პასუხობდა და დახმარებას აღუთქვამდა.

ოსმა ბავშვებმა და ქალებმა ის გრძელი ღამე, როგორც დამნაშავეებმა, გისოსებს მიღმა გაათენეს. მათი ნაწილი მეორე დილით უკან, ცხინვალისკენ, გამობრუნდა, ოღონდ არა ავტობუსით, არამედ ფეხით. 18 კმ-ზე მეტი იარეს (მათ შორის როკის გვირაბშიც), რათა გასცლოდნენ იმ რუს სამხედროებს, რომლებიც, ოსებს ქართველებისგან დაცვას ჰპირდებიან, სინამდვილეში კი ცხრაკლიტულში ამწყვდევენ მოსწავლეებს.




# „გთხოვთ, სიკვდილით დამსაჯოთ...“



*შემზარავმა დანაშაულმა, რომელიც საქართველოში 80-იანი წლების მიწურულს მოხდა, საზოგადოება შესძრა. საბრალდებო სკამზე აღმოჩნდა პიროვნება, რომლის სახელსაც მანამდე ყველა მოწიწებითა და სიამაყით წარმოთქვამდა...*

*(მასალაში გამოყენებულია საგამოძიებო ლიტერატურა, ეთიკური მოსაზრებების გამო, მოქმედ პირთა გვარ-სახელები შეცვლილია)*

სასამართლო დარბაზი გასუსული ელოდა კოლეგიის საბოლოო გადაწყვეტილებას. „...უდიდესმა სასჯელმა გადაფაროს უმცირესი, საბოლოოდ მიესაჯოს სასჯელის განსაკუთრებული ზომა — სიკვდილი“... განსასჯელი საბრალდებო სკამზე დაეშვა, თავი ხელებში ჩარგო და გაშეშდა. 31 წლის კაცს, ორი შვილის მამას, ადამიანს, რომელსაც წლების განმავლობაში მთელი მსოფლიო ტაშს უკრავდა, არასრულწლოვანი გოგონას გაუპატიურება და მისი შემზარავი მკვლელობა დაუმტკიცდა. ლევან წოწკოლაურის სასამართლოში წარმოთქმული ბოლო სიტყვები ასე ჟღერდა: „თუ ჩადენილი დანაშაულისთვის არ დამხვრეტენ, სად არის იმის გარანტია, რომ 15 წლის შემდეგ იმავეს არ გავაკეთებ, რისთვისაც აქ მომიყვანეს?! ამიტომ მოვითხოვ, ჩემ მიმართ გამოიყენოთ სასჯელის უმაღლესი ზომა — სიკვდილით დასჯა“. ამ განაჩენის აღსრულებას ევროპის ოთხგზის ჩემპიონი სამი წლის განმავლობაში ელოდა ნესტიან საკანში. ოფიციალური ცნობით, ვერდიქტი 1991 წლის 1-ელ ნოემბერს აღასრულეს, მაგრამ ამ საკითხის გარშემო დღემდე უამრავი პასუხგაუცემელი კითხვა რჩება. ვინ იყო სინამდვილეში ლევან წოწკოლაური — ცივსისხლიანი მანიაკი, რომელიც მიცვალებულებთან სექსუალური აქტის დამყარებისგან იღებდა სიამოვნებას, თუ, მისივე დედის თქმით, კომუნისტური რეჟიმის მსხვერპლი, რომელიც საბჭოთა კავშირის სპორტულმა მაფიამ შეიწირა.

## გულჩათხრობილი ბავშვი

1957 წლის ოქტომბერი წოწკოლაურების ოჯახისთვის საოცრად ბედნიერი იყო, რადგან მათ ოჯახს ნანატრი ვაჟიშვილი შეეძინა. მამა ამაყად იღებდა ნათესავებისგან მილოცვებს, დედა კი ახალშობილს ევლებოდა თავს, რომელიც გარშემო მყოფთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვდა. ლევანი უკვე მეშვიდე კლასში იყო, როცა მამამისი რაიონში გადაიყვანეს სამუშაოდ და მთელი ოჯახი იძულებული გახდა, დროებით მიეტოვებინა საცხოვრებელი და მას გაჰყოლოდა. ბავშვს ახალ გარემოსთან შეგუება გაუჭირდა. სკოლის გამოცვლამ, მეგობრებთან დაშორებამ მასზე ცუდად იმოქმედა. ლევანს საერთოდ უჭირდა უცხო ადამიანებთან კონტაქტი, მაგრამ ვისაც მიეჩვეოდა, საოცრად გულკეთილი იყო მასთან ურთიერთობაში. ახალმა თანაკლასელებმა, როგორც ხდება ხოლმე, მისი დაჩაგვრა გადაწყვიტეს. უმიზეზოდ სდებდნენ შარს და შემდეგ ჩხუბში იწვევდნენ. თბილისიდან ჩასული ბიჭისთვის ეს უჩვეულო იყო, რადგან მას ადამიანი ან უყვარდა ან ის, უბრალოდ, არ არსებობდა მისთვის და ჩხუბის მიზეზიც არასოდეს ჰქონდა. მაგრამ, როცა სკოლის „ყოჩებმა“ გასაქანი არ მისცეს, იძულებული გახდა, საკუთარი ღირსება ძალით დაეცვა. ეს იმდენად კარგად გამოუვიდა, რომ მერვე კლასში სხვათა გასარკვევი საქმეების განმკითხავიც უკვე თვითონ გახდა. ამის შემდეგ თავდაუზოგავად ვარჯიშობდა, მოპოვებული სახელი ვინმეს რომ არ ჩამოერთმია. მშობლები ხედავდნენ, ურიგო სპორტული მონაცემები რომ არ ჰქონდა და ამიტომ თბილისში დაბრუნების შემდეგ სპორტკომიტეტის მწვრთნელთა სკოლაში შეიყვანეს. ლევანი გამუდმებით ვარჯიშობდა და, რაც უფრო მეტ დროს უთმობდა ფიზიკურ მომზადებას, მით უფრო მეტად იკეტებოდა საკუთარ თავში, ყველანაირად ერიდებოდა ახალი ნაცნობების გაჩენას. ოჯახის წევრებთანაც კი ისეთი სიტყვაძუნწი იყო, მშობლები ხშირად ფიქრობდნენ, ჩვენს შვილს რამე ხომ არ უჭირსო. მაგრამ ბოლოს შეეჩვივნენ და პირად პრობლემებზე შეკითხვებით თავს აღარ აბეზრებდნენ.

## წარმატება

ლევან წოწკოლაურის მწვრთნელი აღტაცებას ვერ მალავდა, როცა მისი აღსაზრდელის ზუსტ მოძრაობებს ადევნებდა თვალს. გურამ როსტიაშვილს ინტუიცია კარნახობდა, რომ ეს პატარა ყმაწვილი მალე მთელ ქვეყანას გააოცებდა, თუმცა, იგი შეცდა... წოწკოლაურმა არა მარტო საქართველო, არამედ მთელი მსოფლიო აღაფრთოვანა. საბჭოთა ძიუდოს ისტორიაში 16 წლისამ დაიმკვიდრა ადგილი, როდესაც ჭაბუკთა ნაკრების შემადგენლობაში მოხვედრილი რუმინეთსა და უნგრეთში გამართული ტურნირებიდან ჩემპიონის ტიტულით დაბრუნდა. დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, საფრანგეთში ბრწყინვალე გამარჯვებით, საბჭოთა კავშირის ნაკრებს ევროპის ჩემპიონობა მოუტანა. სულ მალე იგი მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორი გახდა. წარმატებას წარმატება მოსდევდა. როცა პირველი აღიარება ეწვია, ყოჩაღო, უთხრეს და მხარზე ხელი შემოხვიეს, მან იგრძნო, რომ ბედნიერი იყო და ამისთვის ყველას დიდ მადლობას უხდიდა. შემდეგ უფრო მნიშვნელოვანმა გამარჯვებებმა საკუთარი თავის საოცარი რწმენა შემატა. შემდეგ კი ერთგვარი სიმძიმე იგრძნო. ტრიუმფალურმა წინსვლამ თავგზა აუბნია, აღარ იცოდა, ვინ იყო და როგორ ეცხოვრა, როცა გარშემო ყველას მისი სახელი ეკერა პირზე, როცა ყველა ტაშს უკრავდა. ისეთ დროს, როცა მოლიმარი სახეების ყურება სწყინდებოდა, სასაფლაოზე უყვარდა განმარტოება. ხან კუკიას მიაშურებდა, ხან პეტრე-პავლეს ტერიტორიაზე დაბორიალებდა. იქვე რომელიმე უცნობი მიცვალებულის საფლავის ქვასთან ჩამოჯდებოდა და დაუსრულებლად შეეძლო მარმარილოდან მომზირალი გამოსახულებისთვის თვალებში ცქერა. რატომ ანიჭებდა ეს სიამოვნებას, თვითონაც არ იცოდა. ერთი კია, აქ უფრო მეტად იღვიძებდნენ ის ფანტაზიები, რომლებიც მოწიფულობის ასაკიდან არ აძლევდა მოსვენებას.

## ვინ იყო კაცი, რომელიც ბავშვს ახრჩობდა?

მთვარით განათებული საღამო იყო, როცა ლევანი მეგობრებთან ერთად რესტორნიდან გამოვიდა. ნასვამი მიუჯდა საჭეს. როცა ძრავა ჩართო და მანქანა დაიძრა, მაშინღა გაახსენდა, რომ გვერდით რესტორნიდან წამოყვანილი მისი თაყვანისმცემელი გოგო ეჯდა და ბედნიერებისგან თვალებს ნაბავდა.

— სად წავიდეთ? — ჰკითხა ლევანმა ისე, რომ პასუხს არ დალოდებია და გეზი სასაფლაოსკენ აიღო. ევროპის ჩემპიონის გვერდით ახალგაზრდა ქალს ალბათ, ბანდიტების მთელი არმიისაც არ შეეშინდებოდა ისე, როგორც მთვარით განათებულ ღამეში სასაფლაოს იდუმალმა სიჩუმემ შეაკრთო. უხერხულად გაიღიმა და გაოცებით შეხედა წოწკოლაურს, რომელმაც ბრძანების კილოთი მიუგო:

— გადმოდი!

ქალს არც უფიქრია წინააღმდეგობის გაწევა. მონუსხულივით დაემორჩილა მის ბრძანებას და ლამის გული წაუვიდა, როცა ზურგს უკან მანქანის კარის მიხურვის ხმა გაიგო: — რა საჭიროა ძალადობა, მე ხომ ისედაც ყველაფერზე თანახმა ვარ, — ძლივს ამოილუღლუღა შეშინებულმა ქალმა და თავისი ხელით დაიწყო საკინძის შეხსნა. — არ მინდა ლაპარაკი, ისე მოიქეცი, თითქოს გძინავს და არაფერს გავნებ, — თქვა ლევანმა და საკუთარმა ხმამ თვითონვე შეაკრთო. არ იცოდა, რას ითხოვდა ქალისგან. უფრო სწორად, კი გრძნობდა, მაგრამ დასაწყისშივე ყველაფერი გაფუჭდა. ამდენი თვინიერი ქალის ატანა აღარ შეეძლო, თუმცა რატომ, თვითონაც არ იცოდა. სხვა მამაკაცები ხომ ამაზე ოცნებობდნენ?! როცა ლევანი მანქანისკენ შებრუნდა, მის წინ მკერდმოღეღილი უმშვენიერესი არსება იდგა და განაჩენს ელოდა, თუმცა, მისი აღსრულება წოწკოლაურს აღარ შეეძლო. შინ მიგიყვანო, უთხრა გაოგნებულ ქალს, უსიტყვოდ მიაცილა და თვითონ რაიონში, მამისეული სახლისკენ გაეშურა. კარგად გათენებული იყო, როცა გაეღვიძა. ყურში მამიდაშვილის ეზოდან ბავშვების სიცილის ხმა რომ არ ჩასწვდენოდა. პატარა ნუციკო ძმასთან ერთად დაჭერობანას თამაშობდა. ერთი საათის შემდეგ ლევანი უკვე მათი მამის საზოგადოებაში სადღეგრძელოებს სვამდა და მისი წარმატებებით აღფრთოვანებული მამიდაშვილის ქათინაურებს გულკეთილი ღიმილით ისმენდა, უფრო სწორად, თავი ისე ეჭირა, თითქოს ისმენდა, გონებით კი სულ სხვაგან ტრიალებდა, ბავშვებს თვალს არ აშორებდა. მერე თითქოს გამოერკვა, მასპინძლებს შვილები შეუქო და დიასახლისს მზეზე გაფენილი ლოგინის შეტანაშიც მიეხმარა. თანაც, გაარკვია, ვის რომელ ოთახში ეძინა ხოლმე. ამის შემდეგ ბოდიში მოიხადა, უნდა დაგტოვოთო და იქაური მეგობრების მოსანახულებლად გაეშურა...

> **მეორე დილით ლევან წოწკოლაურს გვიან გაეღვიძა. იგრძნო, რომ წინა ღამით მეტი მოუვიდა დალევა. ის იყო, ჩადენილის გახსენებას შეეცადა, რომ კარზე კაკუნის ხმა შემოესმა. მილიციის განყოფილების თანამშრომლები იყვნენ...**

ღამის ოთხი საათი იქნებოდა, როცა ოთახში, სადაც პატარა ნუცას ძმასთან და დედასთან ერთად ეძინა, ფანჯრიდან მამაკაცი გადაიპარა. გოგონას საწოლთან მივიდა, ერთი ხელი ყელში წაუჭირა, მეორე სახეზე დააფარა და, როცა გონება დააკარგვინა, საწოლიდან გადმოათრია. როცა ქვედა საცვალს ხდიდა, ბავშვმა დაიხრიალა. ხმაზე დედას გამოეღვიძა. ოთახში უცნობი სილუეტი დაინახა. მიშველეთო, იყვირა. თავდამსხმელი ფანჯრიდან გადახტა და მიიმალა. დედა ბავშვს მივარდა, რომელიც იატაკზე უგონოდ ეგდო. ცხვირ-პირი დაწითლებული ჰქონდა. სასწრაფო დახმარებას დაურეკეს. ბავშვი თანდათან გონზე მოვიდა. როცა ნუცას დედას მეზობლებმა ჰკითხეს, ვინ შეიპარა მათ სახლში, მან თქვა, ვერავის ვერ მივამგვანეო. ეს ამბავი ჩაგელაშვილების ოჯახს მილიციისთვის არც შეუტყობინებია, ჩათვალეს, რომ ვერაფერს დაამტკიცებდნენ.

## ერთი თვის შემდეგ

ლევან წოწკოლაური კვლავ თავდაუზოგავად მუშაობდა, სპორტული ფორმა რომ არ დაეკარგა. ერთადერთი, ვარჯიშის პროცესი იყო, როცა ყველაფერი ავიწყდებოდა და მთელი არსებით იმ პოტენციალის რეალიზებას ცდილობდა, რაც ასე უხვად მიანიჭა ბუნებამ. ახალი წარმატება მისთვის უკვე ჩვეულებრივ ამბად იქცა, რომელსაც მთელი ქვეყანა ზეიმობდა, ის კი, ყოველი გამარჯვების შემდეგ ახალი ტრიუმფისთვის ემზადებოდა. თუმცა, ამ დროს მწვრთნელი უკვე სერიოზულად შფოთავდა, რომ ლევანი ბოლო პერიოდში სასმელს შეეჩვია. ხშირად ვარჯიშის შემდეგ გასართობ ადგილებში მიდიოდა, საიდანაც ისეთი ბრუნდებოდა, ადამიანის სახე ჰქონდა დაკარგული. შემდეგ კი...

1981 წელს ლევანი, საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებთან ერთად, სასტუმროში დაბინავდა. მეგობრებმა გვიან ღამემდე მოილხინეს სასტუმროს ნომერში. ღამის სამი საათისთვის კი წრეგადასული ღრეობით დაღლილები საკუთარი ოთახებისკენ გაემართნენ. წოწკოლაურმა იცოდა, ვერ დაიძინებდა. ეს სწორედ ის პერიოდი იყო, როცა მის არსებაში არაადამიანური ფანტაზიები იღვიძებდა...

იმ ღამით სასტუმროს გრძელ დერეფანში მორიგე ლუდმილა სარქისიანს ეძინა. მას მოულოდნელად მამაკაცის აჩრდილი წამოადგა თავს. ქალმა გამოფხიზლებაც ვერ მოასწრო, თავდამსხმელმა, მოსალოდნელი წინააღმდეგობის დაძლევის მიზნით, მსხვერპლს ყელში წაუჭირა ხელი, მეორე კი ცხვირ-პირზე დააფარა, რითაც დაყვირებისა და სუნთქვის ყოველგვარი საშუალება მოუსპო. სასიკვდილო აგონიაში მყოფი სარქისიანი მამაკაცმა იატაკზე გადმოიყვანა. გამძვინვარებულმა შემოახია ხალათი და გააუპატიურა. შემდეგ გონებადაკარგული ქალი, რომელიც მკვდარი ეგონა, შემთხვევის ადგილზე მიატოვა და მიიმალა.

მეორე დილით ლევან წოწკოლაურს გვიან გაეღვიძა. იგრძნო, რომ წინა ღამით მეტი მოუვიდა დალევა. ის იყო, ჩადენილის გახსენებას შეეცადა, რომ კარზე კაკუნის ხმა შემოესმა. მილიციის განყოფილების თანამშრომლები იყვნენ. სარქისიანის გაუპატიურების ფაქტთან დაკავშირებით, სხვა ეჭვმიტანილებთან ერთად, წოწკოლაურიც დააკავეს. ლევანი სრული სიმშვიდით დაემორჩილა მილიციის ბრძანებას. გამოძიება დაიწყო. დაზარალებულმა ვერ დაასახელა იმ ადამიანის გვარი, ვისაც მისი გაუპატიურება ჰბრალდებოდა. თუმცა, როგორც საგამოძიებო მასალებში ვკითხულობთ, შვიდი წლის შემდეგ ლუდმილამ სასამართლოს გაუმხილა, რომ თავდამსხმელი იცნო, მაგრამ გვარის დასახელებას მოერიდა. საქმე განზრახ მკვლელობის მცდელობისა და გაუპატიურების მუხლით აღიძრა. ბრალი წოწკოლაურს წაუყენეს, მაგრამ სულ მალე ყველაფერი დამთავრდა. „საქმე შეწყდა, დანაშაულის დაუდასტურებლობის გამო“. საკნიდან გამოსულ ყოფილ ბრალდებულს დედა კისერზე შემოეხვია და ახარა, სადაც საჭირო იყო, ყველგან გადავიხადე, უდანაშაულო შვილს ციხეში რომელი დედა გაუშვებსო.

— ცრემლები არ დამანახვო, — უხეშად მიუგდო შვილმა ატირებულ ქალს და ისეთი ზიზღით მოავლო თვალი მის წინ გადაშლილ სივრცეს, თითქოს ნანობდა კიდეც, თავისუფალი რომ იყო...

## დარჩენილი ნივთმტკიცება

თიანეთში მცხოვრები ჩაგელაშვილების ოჯახს ერთი წლის განმავლობაში თითქმის დაავიწყდა მათ მცირეწლოვან შვილზე თავდასხმის ფაქტი და ცხოვრების ჩვეულ რიტმს დაუბრუნდა. იმ ინციდენტის შემდეგ ლევანი ხშირად ჩადიოდა თიანეთში, თითქოს რაღაც ძალა ექაჩებოდა იქითკენ, მაგრამ თავს არ უტყდებოდა, რომ ეს მხოლოდ მამისეული სახლის მონახულების სურვილი არ იყო. იქ რაღაც უფრო მეტი დარჩენოდა, ვიდრე მოგონებები იყო და, რასაც დაღუპვის გზაზე მიჰყავდა ლეგენდარული სპორტსმენი — ჟინი, ალტყინება, ადამიანურ განცდებს გადაცდენა და საბოლოოდ იმის შეგრძნება, რომ საშინლად დაიღალა და თვეობით უძილო ღამეების შემდეგ ერთბაშად დასვენება მოუნდა. გაღვიძებულს კი ისევ იგივე კითხვა აწვალებდა — რა ხდება ჩემს თავს? სწორედ ეს კითხვა უტრიალებდა თავში ჩაგელიშვილის სახლში დაბრუნებულ მოძალადეს, რომელსაც პატარა ნუცას საწოლში შემთხვევით მისი ძმა დახვდა. მან ბნელში ვერ გაარჩია, ვინ იწვა. ბავშვს ყელში ხელი წაუჭირა და გონება დააკარგვინა. ამ პროცესს მის გვერდით ლოგინიდან უმცროსი და ადევნებდა თვალს, რომელსაც სიცხის გამო არ ეძინა. შეშინებულმა პატარამ დედა გააღვიძა. ქალი წამოხტა, დაუპატიჟებელ სტუმარს პერანგში სტაცა ხელი და რას აკეთებო, უყვირა. ხმაურზე ოთახში ოჯახის უფროსიც შემოვარდა, რომელსაც აივანზე ეძინა. მან დაინახა, რომ ვიღაცა ფანჯრიდან ძვრებოდა, მაგრამ ვინ იყო, ვერ გაარჩია, რადგან მხოლოდ ტანი და ფეხები მოუჩანდა. სიჩქარის გამო, მამაკაცს ცალი ფეხსაცმელი გასძვრა და ოთახში დაუვარდა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, მეორე ეზოში დარჩენოდა. ქალმა მილიციაში დარეკა, მაგრამ ბოლომდე თვითონაც არ სჯეროდა იმ სიტყვების, რაც უნდა ეთქვა — რომ მის შვილს ლევანი ახრჩობდა. წოწკოლაური განყოფილებაში წაიყვანეს, მაგრამ არც ამჯერად მიეცა საქმეს მსვლელობა.

## წარმატებული კარიერა და სრული კრახი

ამ ინციდენტის შემდეგ ლევან წოწკოლაურის ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა. შეხვდა მშვენიერ გოგონას, რომელიც თავისი ქალური სინატიფით უფრო მეტად უსვამდა ხაზს მის მამაკაცურ ძლიერებას. დიდხანს იფიქრა იმაზე, შეეძლო თუ არა ოჯახის შექმნა, ჰქონდა თუ არა ამის სურვილი ან უფლება. მაგრამ, როცა ახალგაზრდა ქალმა თავი მკერდზე მიაყრდნო და უთხრა, რომ ძალიან უყვარდა, თვითონაც იგრძნო გულიდან წამოსული ემოცია. არ იცოდა, იყო თუ არა ეს ნამდვილი გრძნობა. მაგრამ მიენდო აქამდე მისთვის უჩვეულო განცდას და რამდენიმე თვის ურთიერთობის შემდეგ დაქორწინდა კიდეც. ოჯახური გარემო ლევანისთვის უფრო საინტერესო აღმოჩნდა, ვიდრე წარმოედგინა. ახალისებდა პატარას მომთხოვნი ტონი და გაუთავებული ტლიკინი, რომელსაც მალე ძამიკო შეემატა. სპორტსმენი სულიერ სიცარიელეს ივსებდა. ეფერებოდა, სულში იძვრენდა შვილებს. მაგიდის ქვეშ მათთან ერთად თამაშობდა, კარს უკან ემალებოდა. ნათესავებსაც სტუმრობდა, მათ შვილებსაც ისეთივე ყურადღებით ეპყრობოდა, როგორც საკუთარს. პატარებს საჩუქრებით ანებივრებდა და მათაც მეტი რა უნდოდათ, საყვარელი ძია ლევანი შეარქვეს. ასე გაგრძელდა რამდენიმე წელი. თითქმის ყველამ დაივიწყა ის მითქმა-მოთქმა, რაც ლევანის შესახებ ხალხში დადიოდა და მის ახალ სპორტულ წარმატებებზე ალაპარაკდნენ. წოწკოლაური საუკეთესო ფორმაში იყო, ზედიზედ იგებდა საერთაშორისო ტურნირებს და ევროპის ოთხგზის ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვა. იგი არა მარტო საქართველოს, მთელი კავშირის სიამაყედ, დაუმარცხებელ რაინდად იქცა. თუმცა, რა ხდებოდა მის გულში, არავინ იცოდა. ყმაწვილობიდან გამოყოლილი გულჩათხრობილი ხასიათი კიდევ უფრო გაუმძაფრდა, გამუდმებით განმარტოებას ცდილობდა. შემდეგ კი, თავის თავთან მარტო დარჩენა აშინებდა. ამიტომ გამოსავალს ისევ დალევაში ეძებდა, რომ გონების დაკარგვამდე გაბრუებულს დაძინების საშუალება მაინც მისცემოდა. საკუთარ თავთან ჭიდილში ექვსმა გრძელმა წელიწადმა განვლო. 1988 წლის ივნისის ერთ ცხელ დღეს კი მის ცხოვრებაში ყველაზე ტრაგიკული მომენტი დადგა.

## ხალხი ლინჩის წესით გასამართლებას ითხოვდა

საქართველოს უმაღლესი სასამართლოს შენობაში განსასჯელის სკამზე 31 წლის მამაკაცი იჯდა. პროცესზე მის ახლობლებს არ უშვებდნენ, რადგან 9 წლის გარდაცვლილი გოგონას მამა დანით დადიოდა და ყველას დახოცვით ემუქრებოდა. პროცესი დაიწყო. წოწკოლაურს რამდენიმე დანაშაულის ჩადენაში ერთდროულად დასდეს ბრალი. ყველაზე მძიმე ბოლო ეპიზოდი იყო. ამონაწერი წოწკოლაურის ჩვენების საგამოძიებო ოქმიდან: „შინიდან გამოვედი. რამდენიმე კათხა ლუდი დავლიე. მერე ტაქსი გავაჩერე და მარტო წავედი თიანეთში. არ ვიცი, რატომ. ეზოში რომ ჩავედი, ბიძაშვილი დათო დავინახე. ვთხოვე, ბოსტნის გაწმენდაში დამეხმარე-მეთქი. მერე არაყი დავლიე და დათოს ვუთხარი, ჩემები უნდა ამოვიდნენ და შენი პატარა დაც გადმოიყვანე, ბავშვები ერთად გაერთობიან-მეთქი. მანაც დამიჯერა. დათო ახლა სხვა დავალებაზე გავგზავნე. გოგონა ოთახში შევიყვანე. კარი ჩავკეტე. ხელში ავიყვანე და საწოლზე დავაწვინე. რომ არ ეყვირა, ხელი ყელში წავუჭირე, გავგუდე და მერე გავაუპატიურე. მისი მოკვლა არ მინდოდა“. როგორც საქმის მასალებშია მითითებული, გოგონას მთელი ღამე ეძებდნენ ოჯახის წევრები. მეორე დღეს იგი მიწაში დამარხული იპოვეს. მოძალადეს მისი ცხედარი, ტანსაცმელთან ერთად, სპორტულ ჩანთაში ჩაეტენა.

სასამართლოს მსვლელობის დროს განსასჯელი ყურებზე ხელებაფარებული იჯდა. არ უნდოდა, მოესმინა ის სისასტიკე, მის მიერ ჩადენილ დანაშაულებებს ქრონოლოგიურად რომ აღწერდა. რას გრძნობდა ამ დროს ბრალდებული, არავინ იცის. ერთი კი ცხადია, ეს არ იყო სიკვდილის შიში, რადგან მისმა უპრეცედენტო ბოლო სიტყვამ სასამართლო პროცესზე შემდეგნაირად გაიჟღერა: „მე არ ვეთანხმები ადვოკატის მოთხოვნას, რომ სასჯელი შემიმსუბუქდეს... სად არის გარანტია, რომ იმავეს არ ჩავიდენ... გთხოვთ, სიკვდილით დამსაჯოთ“... სასამართლო კოლეგია გაოგნებული უსმენდა მის ბოლო გამოსვლას აუდიტორიის წინაშე. არც აქამდე და არც ამის შემდეგ არავის ახსოვს, რომ პატიმარს შეწყალება არ ეთხოვოს კანონის წინაშე.

ლევან წოწკოლაურის შესახებ კაცი არაერთ ამბავს მოისმენს ხალხში. მის გულშემატკივრებს დღესაც არ დავიწყებიათ ლეგენდარული სპორტსმენი. ამბობენ, თითქოს იგი სიკვდილმისჯილთა საკნიდან უშიშროების თანამშრომლებმა საზღვარგარეთ გააპარეს, მავანი კი ამტკიცებს, რომ სასიკვდილო განაჩენის აღსრულების დროს მას ისევე ღირსეულად ეჭირა თავი, როგორც მეტოქესთან შერკინების მოლოდინში. მაგრამ ამჯერად დამარცხება გარდაუვალი იყო...

***ხათუნა მაღრაძე***
***ჟურნალი „რეიტინგი“***

# „ცუდ გუნებაზე დამაყენეთ, ბატონო ზვიად!“

*(დასაწყისი იხ. გვ. 6)*

იმ დღეებში სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე მსოფლიოს გარშემო კრუიზში იყო. აუდიტი მოვიდა, მაგრამ ინსტიტუტის მთავარი ბუღალტერი ლია გოქსაძე სამსახურიდან აორთქლდა. აუდიტმა ბუღალტერია დალუქა, ჩვენ კი მთავარი ბუღალტრის ძებნა დავიწყეთ, მაგრამ უშედეგოდ. მერე გავიგე, რომ ბუღალტერი ღამით მალულად მოდიოდა ინსტიტუტში, კიროვის ბაღის მხრიდან ბუღალტერიაში ფანჯრიდან ძვრებოდა და დოკუმენტაციას ასწორებდა.

**— რატომ დაეჭვდით, რომ ბუღალტერიაში ყველაფერი რიგზე ვერ იყო?**

— საამისოდ უამრავი მიზეზი მქონდა. მაგალითად, იმ პერიოდში ფირმა „ჰუმანამ“ ჩემთან შეუთანხმებლად ინსტიტუტში 22 ათას ლარად ღირებული რეაქტივები შემოიტანა. ამდენი რეაქტივი ინსტიტუტს ნამდვილად არ სჭირდებოდა (ცხრა თვეში მხოლოდ 400 ლარის რეაქტივები გვეხარჯება). ეჭვი იმან გამიძლიერა, რომ რეაქტივები მალულად შემოიტანეს. ორიოდე დღის შემდეგ ბუღალტერი მთხოვს, ხელი მოვაწერო ფირმა „ჰუმანასთვის“ რეაქტივების საფასურის გადახდის შესახებ დოკუმენტს. კატეგორიული უარი განვუცხადე. რეაქტივების დათვალიერება გადავწყვიტე, რადგან გავიგე, რომ მათი უმრავლესობა ვადაგასული იყო და ჩამოწერას და განადგურებას ექვემდებარებოდა. თქვენ წარმოიდგინეთ, ბუღალტერიამ რეაქტივები ჩაკეტა და ახლოსაც არ მიმიშვა. ვფიქრობ, ამ ფინანსური მაქინაციით ხომასურიძეს ჩემი, როგორც დირექტორის კომპრომეტირება ჰქონდა გამიზნული. როდესაც ხომასურიძე კრუიზიდან დაბრუნდა და ყველაფერი უამბეს, სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა მოიწვია და დირექტორის თანამდებობიდან გამათავისუფლა.

მოგვიანებით კიდევ უფრო საინტერესო ფაქტები აღმოვაჩინე. ინსტიტუტში ხელოვნური აბორტის გამომწვევ მედიკამენტ „პენკროფტონის“ დიდი პარტია შემოიტანეს. თითო აბის ფასი ორ ლარს არ აღემატება, ჩვენი ინსტიტუტის ექიმები კი თითოეულ აბს ხომასურიძის დავალებით ორმოცდაათ ლარად ყიდდნენ პაციენტებზე.

დაბადების დღე სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ რესტორანში გადაიხადა, დანახარჯის გადახდა კი მე მთხოვა. 700 ლარი გადავიხადე. იცით, მერე რა ქნა — ნაცვლად იმისა, ფული დაებრუნებინა, ბუღალტერიაში ყალბი დოკუმენტები შეადგინა და ფული თვითონ ჩაიჯიბა. სხვათა შორის, რესტორნის ხარჯები ინსტიტუტის სახსრებით არაერთხელ დაუფარია. ეს დადასტურებულია ოფიციალური სარევიზიო დოკუმენტებით...

შს სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს რევიზიისა და კონტროლის სპეციალისტებმა ახლახან დაასრულეს ინსტიტუტის საფინანსო-ეკონომიკური შემოწმება და უამრავი დარღვევა აღმოაჩინეს. აქტის წაკითხვა რომ შეგეძლოთ, ნახავდით, რომ ცილს არავის ვწამებ...

...რამდენიმე დღე ვიწვალე, რომ როგორმე შს სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს რევიზიისა და კონტროლის სპეციალისტების მიერ შედგენილი აქტი მომეპოვებინა ან თუნდაც მხოლოდ წამეკითხა. მეგობრების დახმარებით ეს შევძელი და მკითხველს ორმოცდაერთგვერდიანი აქტიდან (რომელშიც მართლაც უამრავი დარღვევაა დაფიქსირებული) საილუსტრაციოდ მხოლოდ მცირე ამონარიდს შევთავაზებ (სტილი დაცულია): „ავტომანქანა გაზ-24 ინსტიტუტის საჭიროებისათვის არ გამოიყენებოდა, რადგან 1998-2002 წლებში ა. ხომასურიძეს ემსახურებოდა გაეროს პროგრამით გადაცემული მანქანა „გალოპერი“... აღნიშნულიდან გამომდინარე, ავტომანქანა „ვოლგის“ საწვავზე და რემონტზე გაცემულია 21.776 ლარი, რომელიც დანიშნულებით არ გახარჯულა, აღნიშნული თანხის გაცემისა და ხარჯვის კანონიერება დასადგენია ძიებით.

მკითხველისთვის საინტერესო იქნება ინსტიტუტის სამეთვალყურეო საბჭოს ერთ-ერთი წევრის კომენტარიც. ქალბატონი **ჯენარო ქრისტესაშვილი:** — პროფესორი ხეროდინაშვილი ბატონ არჩილ ხომასურიძეს კი არა, ინსტიტუტის მთელ კოლექტივს დაუპირისპირდა. ის ჯერ უბრალო ექიმად მოვიდა ინსტიტუტში, მერე მალულად ინტრიგების ქსელის ხლართვა დაიწყო — ჯერ ხელში ჩაიგდო განყოფილების გამგის ადგილი, კიდევ რამდენიმე ხნის შემდეგ აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობასაც გამოჰკრა ხელი. ამის შემდეგ მან თავისი ნამდვილი სახე გამოაჩინა — დაიწყო უხეშობა, უყვიროდა ექიმებს. გაიძახოდა, აქ ბატონ-პატრონი მე ვარ და ყველაფერი ისე უნდა გააკეთოთ, როგორც მე მსურსო. მალე დირექტორის თანამდებობაც ეცოტავა, ინსტიტუტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის პოსტიც მოინდომა და ხომასურიძის წინააღმდეგ დაიწყო ძირგამომთხრელი მუშაობა. აბრალებდა ათას სისულელეს. ხშირად დადიოდა საწარმოთა მართვის სააგენტოში და ცდილობდა, არჩილ ხომასურიძე სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის პოსტიდან გადაეყენებინათ და ის აერჩიათ. სხვათა შორის, დავით ხეროდინაშვილმა სახალხოდ აღიარა, რომ ამ „სდელკაზე“ უკვე მოლაპარაკებული იყო სააგენტოში. სამწუხაროდ, ჩვენ გვიან დავინახეთ მისი ნამდვილი სახე.

**— ქალბატონო ჯენარო, შს სამინისტროს ექსპერტებმა ინსტიტუტის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შესახებ „მძიმე“ აქტი დაწერეს და ამ აქტის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ფინანსური დანაშაულის კვალი სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარისკენ მიდის.**

— თქვენ როგორ ჩაიგდეთ ეს აქტი ხელში? გარწმუნებთ, მასში ისეთი არაფერი წერია, თუ რაღაც უმნიშვნელო დარღვევებია აქტში, ის სათანადო ახსნა-განმარტებებით გაბათილდება.

**— თქვენ ბრძანეთ, რომ ხეროდინაშვილი ინსტიტუტის კოლექტივს დაუპირისპირდა, მაგრამ მის მხარეს არიან ექიმები დავით ფერაძე, თამარ ხოჯაშვილი, მძღოლი გელა ჩიჩოელი და სხვები.**

— ეგ ხალხი ხეროდინაშვილმა გადაიბირა. მას ადამიანის მოხიბვლის და მოტყუების განსაკუთრებული ნიჭი აქვს. ჩემი რჩევაა, ნუ იჩქარებთ სტატიის გამოქვეყნებას. დაელოდეთ გამოძიების საბოლოო შედეგებს და დარწმუნდებით, რომ მე რაც გითხარით, ყველაფერი სწორია.

დასასრულ, ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, აკადემიკოს **არჩილ ხომასურიძეს** ვეწვიეთ. მისი განცხადებით:

— მიხარია, როცა ჟურნალისტები მოდიან. მათაც აწუხებთ ის ეროვნული პრობლემა, რასაც ერის გადარჩენა და გამრავლება ჰქვია. იციან, რა წარმატებებიც გვაქვს ამ სფეროში. ალბათ გსმენიათ ე. წ. სინჯარის ბავშვების შესახებ. ამ მეთოდის გამოყენებით საქართველოში უკვე ასი ბავშვი დაიბადა.

**— დიახ, ინსტიტუტის საქმიანობის შესახებ ბევრი რამ მსმენია, მაგრამ ჩემი სტუმრობის მიზანი, სამწუხაროდ, დღეს აქ შექმნილ არასახარბიელო სიტუაციაში გარკვევაა.**

— მართალია, დაპირისპირება მართლაც არის. დავით ხეროდინაშვილმა ოთხი-ხუთი ექიმი აიყოლია და ცდილობს, ჩირქი მომცხოს. ყველაფერი მისგან არის ინსპირირებული. მე ხელს მაძლევს, რომ თქვენ ჩაატაროთ ჟურნალისტური გამოძიება და ყველა დეტალში თუ ნიუანსში გაერკვეთ. ყველაფერში ხელს შეგიწყობთ.

**— მე უკვე თითქმის დავასრულე ჟურნალისტური გამოძიება და თქვენთან რამდენიმე დეტალის დასაზუსტებლად მოვედი. ექიმების ერთი ნაწილი ბრალს გდებთ ინსტიტუტის თანხების გაფლანგვასა და მითვისებაში.**

— 62 წლის კაცი ვარ. სამ ადგილზე ვმუშაობ. თვეში რვაას დოლარს ვიღებ და იმასაც ვერ ვხარჯავ. რად მინდა უკანონო შემოსავალი, თუმცა გეტყვით, რომ ანგელოზი ნამდვილად არ ვარ.

**— აქ რომ ხეროდინაშვილი იჯდეს, ალბათ გეტყოდათ — რვაას დოლარს იმიტომ ვერ ხარჯავთ, რომ ინსტიტუტის სალაროს საკუთრად მიიჩნევთო.**

— მერწმუნეთ, არ მჭირდება სალაროში ხელის ფათური. პაციენტებისგანაც კი არ ამიღია ფული არასოდეს. აგერ უკვე რამდენიმე წელია, ხეროდინაშვილი მებრძვის და ჩემზე კარგად იცის, რა შემოსავალი და ქონება მაქვს. რამე ხელჩასაჭიდი რომ ეპოვა, მთელ ქვეყანას მოსდებდა. შეიძლება რაღაც ფინანსური დარღვევები მართლაც იყოს ბუღალტერიაში (ხომ იცით, რა საგადასახადო კოდექსიც გვაქვს), მაგრამ ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, ინსტიტუტის თანხები არასოდეს მიმითვისებია.

**— ბატონო არჩილ, დაგიჯერებდით, ხელთ რომ არ მქონდეს თქვენი, ინსტიტუტის პოლიკლინიკის გამგის, ლია ნადარეიშვილის, მძღოლის, გელა ჩიჩოელისა და მისი მეუღლის, ლეილა რაზმაძის საუბრის აუდიოჩანაწერი. შეგახსენებთ, შეხვედრა რამდენიმე დღის წინ თქვენს კაბინეტში შედგა. ალბათ გახსოვთ, რაზე ელაპარაკებოდით ინსტიტუტის მძღოლს.**

ჩემმა სიტყვებმა არჩილ ხომასურიძე ძალზე ააღელვა. სახეზე სიწითლემ გადაჰკრა, ხელები აუკანკალდა. სიგარეტს დასწვდა, ჩაფიქრდა და ესღა თქვა:

— ჩიჩოელი იმ თანხას მე ხომ არ მაძლევდა. რა ვქნათ, ბატონო ზვიად, იმ ჩანაწერს რა ეშველება? რა მექნა, მოულოდნელად დამადგნენ თავზე და არ დავლაპარაკებოდი? რა კაცობაა, მალულად რომ ჩაიწერეს საუბარი. ბოლოს და ბოლოს, ეს ადმინისტრაციული დანაშაულია. ყველაზე მეტი, რაც შეიძლება ამას მოჰყვეს, ჩემი თანამდებობიდან გათავისუფლება იქნება. ჩემს წასვლას კი ინსტიტუტის დაქცევა მოჰყვება და „შარაშკინა კანტორად“ გადაიქცევა. ცუდ გუნებაზე დამაყენეთ, ბატონო ზვიად...

P. S. ორმოც წელზე მეტი გავიდა გამოჩენილი ქართველი მეან-გინეკოლოგის, ბატონი იოსებ ჟორდანიას გმირობის შემდეგ. რიო-დე-ჟანეიროს მახლობლად უზარმაზარ სამგზავრო ლაინერს ცეცხლი გაუჩნდა და ოკეანეში ჩავარდა. თვითმფრინავის ოკეანეში ჩავარდნამდე პროფესორმა იოსებ ჟორდანიამ მოასწრო და თავისი სამაშველო ჟილეტი ერთ პატარა, უბილეთო გოგონას დაუთმო, თავად კი დაიღუპა. თავისი სიცოცხლის მანძილზე ბატონმა იოსებმა უამრავ ახალშობილს აჩუქა სიცოცხლე და თავისიც ნორჩი სიცოცხლის გადარჩენის სამსხვერპლოზე დაუფიქრებლად მიიტანა. დღემდე საქართველოს ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს იოსებ ჟორდანიას ნათელი ადგას და არავის არ აქვს უფლება, მას ჩრდილი მიაყენოს. ეს ხომ სიცოცხლის ინსტიტუტია!..

*ზვიად ჩაკვეტაძე*

**თუ თქვენ გაქვთ ეკონომიკური ან სხვა სახის დანაშაულზე უტყუარი ინფორმაცია, დაგვირეკეთ: 877 730-703. ჟურნალისტური გამოძიების განყოფილება.**

**ანონიმურობა გარანტირებულია**

# “ჯი-ემ-პი”-ს პირველი კონფერენცია კავკასიაში

GMP
ჯი-ემ-პი

23 სექტემბერს სასტუმრო “ქორთიარდ მარიოტში” გაიხსნა პირველი საერთაშორისო კონფერენცია “ჯი-ემ-პი კავკასიისთვის”. გახსნას დაესწრნენ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ლადო ჭიპაშვილი და საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე გიგი წერეთელი.




ასეთი შინაარსის კონფერენცია პირველია არა მარტო ამიერკავკასიაში, არამედ ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში.

კონფერენციაში მონაწილეობას იღებენ საქართველოს, აზერბაიჯანისა და სასომხეთის სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციები: ჯანდაცვის სამინისტრო, მთავრობის ოფიციალური პირები, ფარმაცევტული პროდუქციის მწარმოებლები, დისტრიბუტორები და იმპორტიორები, სამედიცინო კლინიკების წამყვანი ექიმები, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი. მომხსენებლები არიან წამყვანი სპეციალისტები დიდი ბრიტანეთიდან, აშშ-დან, გერმანიიდან, საფრანგეთიდან, ნიდერლანდებიდან, ჩეხეთიდან, რუსეთიდან.

კონფერენციის მიზანია გააცნოს კავკასიის ქვეყნების ფარმაცევტულ კომპანიებს, სამედიცინო პროდუქციის მეწარმეებს და ჯანდაცვის სფეროს მუშაკებს “სათანადო წარმოების პრაქტიკის” პრინციპები, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ასპექტები, ვინაიდან მხოლოდ ამ სტანდარტით მუშაობა აძლევს საწარმოს უფლებას გაიტანოს თავისი წარმოებული პროდუქცია მსოფლიოს ნებისმიერ ფარმაცევტულ ბაზარზე.

კონფერენციის ორგანიზატორია ქართული ფარმაცევტული საწარმო “ჯი-ემ-პი”, ფარმაცევტული კომპანია “პე-ეს-პე”-ს მხარდაჭერით.

ქართული ფარმაცევტული საწარმოსა და საერთაშორისო სტანდარტის აბრევიატურები თანხვედრია, თუმცა შინაარსი განსხვავებული აქვთ. საწარმოს სახელწოდება იშიფრება როგორც “ქართული ფარმაცევტული წარმოება”, ხოლო სტანდარტის - “სათანადო წარმოების პრაქტიკა”.

ამ საერთაშორისო სტანდარტით მომუშავე საწარმოთა შორის ქართული “GM Pharmaceuricals Ltd.” პირველია არა მარტო საქართველოში, არამედ ამიერკავკასიაში.

საწარმო აღჭურვილია უახლესი აპარატურით, რაც აადვილებს თანამედროვე ტექნოლოგიების სრულყოფილ გამოყენებას.

ქართულმა ფარმაცევტულმა საწარმო “ჯი-ემ-პი”-მ ახლახანს მიიღო ISO-9001 ხარისხის სერთიფიკატი, რომელიც ადასტურებს საწარმოში არსებული ხარისხის სისტემის შესაბამისობას საერთაშორისო სტანდარტებთან. ამაში თვალნათლივ დარწმუნდნენ კონფერენციის მონაწილენი, რომლებიც 24 სექტემბერს ეწვიენ საწარმოს და ნანახით აღფრთოვანებულები დარჩნენ.



საქრისტიანო მოამბე

## დაიღუპა ალექსანდრიის პატრიარქი



11 სექტემბერს, წმინდა იოანე ნათლისმცემლის თავის კვეთის ხსენების დღეს, ტრაგიკულად დაიღუპა ალექსანდრიის მართლმადიდებელი ეკლესიის მთელი დელეგაცია ალექსანდრიის პატრიარქ **პეტრე** VII-ის მეთაურობით, რომელიც ათონის წმინდა მთაზე მიემგზავრებოდა. საბერძნეთის შეიარაღებული ძალების სამხედრო ვერტმფრენმა, რომლითაც 17-კაციანი დელეგაცია მიფრინავდა, ჯერჯერობით უცნობი მიზეზების გამო, კატასტროფა განიცადა. მისი ნამსხვრევები ჩრდილოეთ საბერძნეთში, ქალკიდიის ნახევარკუნძულზე აღმოაჩინეს. ვერტმფრენი რადარების ეკრანებიდან მაშინ გაუჩინარდა, როდესაც იგი ათონის მთიდან სამხრეთ-დასავლეთით 12 მილის დაშორებით იმყოფებოდა.

ეს მოგზაურობა ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პაპისა და პატრიარქის, პეტრე VII-ის პირველი ოფიციალური ვიზიტი უნდა გამხდარიყო ათონის წმინდა მიწაზე.

ეს დიდი მწუხარება და დანაკლისია არა მარტო ალექსანდრიის ეკლესიისთვის, არამედ მთელი მართლმადიდებლური სამყაროსათვის.

## აღმოჩენა მანავში

საგარეჯოს რაიონის სოფელ მანავის მცხოვრებნი უჩვეულო აღმოჩენის მოწმენი შეიქნენ. ადგილობრივმა მოსახლემ დღემდე უცნობი ტაძარი აღმოაჩინა. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ აქ სამონასტრო კომპლექსი უნდა ყოფილიყო. ტაძართან ახლოს გამოქვაბულებში კელიები, საძვალე და საწნახელიც კი აღმოჩნდა. აკლდამები გაძარცულია, ტრაპეზის ქვის შემკულობას VI საუკუნეს მიაკუთვნებენ. მასზე გამოსახულია მოციქულები და წმინდა მამები. ტრადიციისამებრ, ტრაპეზი დღევანდელთან შედარებით, უფრო მცირეა. შემდგომი არქეოლოგიური გამოკვლევები ტაძრის ფუნქციონირების თარიღსაც დაადგენს. სავარაუდოდ, იგი ძალიან დიდი ხნის წინ არის მიტოვებული. ადრეულ შუა საკუნეებამდე. ამასთან, მის შესახებ არავითარი ისტორიული ცნობა არ არსებობს.

## ზედაზნის მონასტრის საძმოს განცხადება

წმინდა იოანე ზედაზნელის სახელობის მონასტრის სიახლოვეს მშენებარე ჯვართან არსებულ შენობაში მუდმივად ცხოვრობს ადამიანთა ჯგუფი, რომელსაც აღნიშნულ მონასტერთან არანაირი კავშირი არ აქვს. ეს ჯგუფი არ მოქმედებს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ლოცვა-კურთხევით. არის შემთხვევები, როდესაც მათთან მიდიან მომლოცველები, რომელთაც ჰგონიათ, რომ ეს ადგილი წმინდა იოანე ზედაზნელის მონასტრის სიწმინდეებთანაა დაკავშირებული. ხანდახან აღნიშნული ჯგუფი მატერიალურ დახმარებას ითხოვს. შემომწირველები კი ფიქრობენ, რომ თავიანთი ქველმოქმედებით ზედაზნის მონასტერს ეხმარებიან. მონასტრის საძმო სთხოვს ყველას, ნუ გააიგივებენ მშენებარე ჯვარს იოანე ზედაზნელის სახელობის მონასტერთან.

# უფლის დამტევი ჯვარი

**27 სექტემბერს** მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესია სიხარულით აღნიშნავს **ჯვართამაღლების** დღესასწაულს.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ, მართლმადიდებელი ქრისტიანები, ხშირად გამოვხატავთ ჯვრის მიმართ პატივისცემას, ჯვრის გარდასახვით ვიწყებთ ყოველ ახალ დღესა და ახალ საქმეს, ამ დღეს განსაკუთრებულად ვცემთ მას თაყვანს, ყველა მართლმადიდებლურ ტაძარში აღევლინება სადღესასწაულო წირვა.

აი, როგორ მოძღვრავდა გაბრიელ ბერი (ქიქოძე) თავის მრევლს ჯვართამაღლების დღესასწაულზე: „ოდეს ემთხვევი ჯვარსა ანუ გამოიხატავ პირსა ზედა შენსა სახესა ჯვარისასა, ანუ ხედავ ჯვარსა, მაშინვე წარმოიდგინე გოლგოთას მთა და მას ზედა აღმართული მაღალი იგი ჯვარი და ჯვარსა ზედა დამოკიდებული იესო მაცხოვარი. მაშინვე განიზრახე, რომ ეს იქმნა შენთვის, შენის განათლებისა, გამოხსნისა და ცხოვრებისათვის. მაშასადამე ეცადე, რომ შენც გერგოს ეს მადლი; გეშინოდეს, რომელ ცუდითა შენითა ცხოვრებითა არ გააუქმო ჯვარცმა ქრისტესი. უკეთუ არ მოინანებ ცოდვათა შენთა, არ ეცდები, რომ სიწმიდით იცხოვრო, მაშასადამე გაუქმდება შენთვის ესოდენი მადლი.

ძალად ღმერთი არავის არ აცხოვნებს, არამედ თვითონ კაცმა უნდა იწყოს ძიება ცხოვნებისა და სიწმიდისა და მაშინ ღმერთიც მისცემს მას შემწეობასა ჯვარითა თვისითა — ამინ“.

მკითხველს შევახსენებთ, თუ საიდან იღებს სათავეს ეს დღესასწაული: ძველ დროში, ქრისტეს შობამდე, ჯვარზე გაკვრა ითვლებოდა ყველაზე სამარცხვინო სასჯელად ავაზაკთა და სჯულის დამრღვევთათვის. ჯვარი იმ დროს მიაჩნდათ, ვითარცა ერთი საზარელი შემაგინებელი და მოძულებული ნივთი, სწორედ ამიტომ აცვეს ჯვარს მაცხოვარი, რათა დაემცროთ და შეეგინებინათ მისი სახელი.

გოლგოთა მაშინ დასჯის ადგილი იყო, ქალაქის კარიბჭის გარეთ.



მაღლობზე ჯვარგაკრული საბრალო მსჯავრდებულების ხილვა მთელ ქალაქს შეეძლო შინიდან გაუსვლელადაც კი. ეს მათთვის გაფრთხილება იყო — თვალწინ ჰქონდათ მოსალოდნელი სასჯელი. უფლისა და ორი ავაზაკის ჯვარიც ასე ჩანდა მაშინ ქალაქიდან.

ეს თხემი ახალი კაპიტოლიუმის ასაგებად თვალში მოსვლია იმპერატორ ადრიანეს (135 წ.) და აქ დიდი სამუშაოები ჩაუტარებია. ის თხემი ნელ-ნელა ჩამოუშლიათ და მიწის უზარმაზარ გროვად უქცევიათ. აღარსად ჩანდა უფლის საფლავი და ჯვარი, ყველაფერი მიწამ დაფარა, ვიდრე მე-4 საუკუნემდე...

ქრისტეს ჯვარმა თანდათან სძლია კერპთმსახურნი, ქრისტე აღიარეს წმ. დედოფალმა ელენემ და მისმა ვაჟმა კონსტანტინე დიდმაც (მონომახმა). მათ გადაწყვიტეს აღესრულებინათ თავისი წმინდა ვალი უფლის მიმართ — დიდი გათხრები ეწარმოებინათ და მიწის ნაყარიდან ეხსნათ უდიდესი სიწმინდეები.

დედოფალმა ელენემ და კონსტანტინემ აქ იპოვეს სამი ჯვარი, რომელთაგან ერთ-ერთი უფლის დამტევი იყო და როცა დედოფალმა იმის გასარკვევად, მაინც რომელი იქნებოდა მაცხოვრისა, ჯვრები მიცვალებულებს შეახო — უფლის ჯვარმა თავისი სიტყვა თქვა — მიცვალებული აღსდგა. მაშინ ხელთ აღებული ჯვარი, სიკვდილის ძლევისა და უფალთან მარადიული სუფევის ნიშნად, იერუსალიმის პატრიარქმა მთელი იერუსალიმის თავზე აამაღლა. ამ სასწაულის შემსწრე ხალხი მუხლზე დაემხო და თაყვანი სცა სასწაულმოქმედ ძელს შიშითა და სიხარულითა. ამ დღეს ჯვართამაღლება ეწოდა. შემდგომ ამ ადგილზე სალოცავი აღუმართავთ.

***„... ახლა ის წარმოიდგინეთ, რა მადლი და მირონი დუღს იმ ადგილას, რამდენ ქართველს ულოცია მთელი საქრისტიანოსათვის... ბოლო ფრაზა ნუ გაგაკვირვებთ, იმან გაგაკვირვოთ მხოლოდ — რა გვჭირდა, სად შეგვეშალა, რატომ დაგვიკარგავს ეს საოცარი ძალის სალოცავი, რომელიც თურმე ქართველთა სადგომი ყოფილა საუკუნეთა მიღმა?!“ (ლალი გუნთაიშვილი, წიგნიდან „გაცოცხლებული სახარება“)***

# 11 წლის წინ დაეცა სოხუმი

... სოხუმი ბევრად უფრო ადრე დაეცა. ეს დაცემა ყველამ მოვამზადეთ. ადამიანთა ცოდვები წვეთწვეთობით გროვდება და ერს გრიგალისებურ ტალღებად ატყდება ხოლმე თავს. ჩვენივე ცოდვებმა განგვაიარაღა. ღვთის წინაშე ჩადენილმა დანაშაულმა ხელ-ფეხი შეგვიკრა. ასე აღმოვჩნდით სასტიკი მტრის წინაშე დაუძლურებულნი. შემოსული მტერი, სტიქია თუ სილატაკე მხოლოდ იარაღია ღვთის ხელში. მორწმუნემ მიზეზი სხვაგან უნდა ეძებოს. თუ ნამდვილ მიზეზს ვერ ვიპოვით, შედეგს ვერაფერს მოვუხერხებთ. ჩვენ ვერ შევაჩერებთ განსაცდელებს, თუ არ შევაჩერებთ ჩვენს ცოდვებს.

ჟამთააღმწერელი აღწერს ჯალალ-ედ-დინის მიერ დარბეული თბილისის საზარელ სურათს. მთელ ქალაქში მიმოფანტულ დახოცილთა გვამებს. ასწლოვანი მატიანის თანამედროვე მკითხველი ამაოდ ეძებს პირსისხლიანი მტრის გამკიცხველ სიტყვას. მემატიანე ამაზე არ საუბრობს. სამაგიეროდ, საუბრობს ქართველთა ცოდვებზე, რაც წინ უძღოდა ამ ტრაგედიას. არავის ეფერება — არც გლეხს, არც თავადს, არც სასულიერო პირს, არც მეფეს. ამხელს ერის ცოდვებს, აშიშვლებს მის წყლულებს. მაგრამ ამას აკეთებს არა ქედმაღლობით, განკითხვის ვნებით, არამედ თავმდაბლობით, სულიერებით. ღრმად მორწმუნე ისტორიკოსისთვის უბედურების ჭეშმარიტი სათავე ერის ცოდვებია.

ჯალალ-ედ-დინი არაა დამნაშავე? განა ცოდვად არ ეთვლება ის, რაც ქართველთა წინააღმდეგ ჩაიდინა? რა თქმა უნდა. ისიც და საქართველოს ამჟამინდელი მტერიც ცოდავს და ცოდავს მძიმედ — მათ თავიანთი წილი დანაშაული აქვთ. მაგრამ რატომ დაუშვა უფალმა მტრის მძლავრობა ჩვენზე? აი, შეკითხვა, რომელიც მორწმუნე კაცმა საკუთარ თავს უნდა დაუსვას.

აფხაზეთის ტკივილს სხვა ასპექტიც აქვს — სახარებაში მაცხოვარი ებრაელებს სილოამის გოდოლის დანგრევას და 18 კაცის დაღუპვის ამბავს ახსენებს და მიმართავს მათ — „იქნებ გგონიათ, რომ ის თვრამეტი კაცი, რომლებსაც დაეცა სილოამის გოდოლი და გასრისა ისინი, უფრო მეტად ბრალეულები იყვნენ, ვიდრე იერუსალიმის ყველა მკვიდრი? ეს კითხვა ყველა ჩვენგანისკენ არის მიმართული. უფალი თავად პასუხობს მათ: „არა გეუბნებით თქვენ, მაგრამ თუ არ მოინანიებთ, ყველანი მათსავით დაიღუპებით“.

მაგრამ გვწამს, რომ შევინანებთ, წყალობას მოვიზიდავთ უფლისაგან და საქართველოს მთლიანობა აღდგება, ასეთია ნება ღვთისა — განაცხადა ერთხელ პატრიარქმა და ჩვენც გვწამს, რომ ეს მართლაც ასე იქნება.



***ზურაბ ცხოვრებაძე***
საპატრიარქოს პრესცენტრის უფროსის მოადგილე

გულითადი განდობანი

# ხატმა გზა მიმასწავლა



ურწმუნო არასოდეს ვყოფილვარ, რაღაცის ყოველთვის მწამდა და მჯეროდა. ამ ბოლო დროს ძალიან ვირწმუნე ღმერთის, რომელსაც იეღოვას ეძახიან. წავიკითხე ძველი და ახალი აღთქმა. ვკითხულობდი ყოველგვარ ჟურნალებსა და ბროშურებს, რომელსაც „საგუშაგო კოშკს“ ეძახიან. ვისმენდი სისტემატურად მათ ქადაგებებს, რომელიც მომწონდა და მიზიდავდა. ბოლოს ვირწმუნე კიდეც. როცა ჩემი მეზობელი გიორგი მართლმადიდებლობაზე მესაუბრებოდა, ვუსმენდი, მაგრამ არაფერი მჯეროდა. არ მჯეროდა არც ხატების, სანთლების, ეკლესიის და მღვდლების. ვერც სულის უკვდავება ვირწმუნე, სასაცილოდ მეჩვენებოდა.

ერთხელ ეზოში გიორგი რაღაცას წვავდა. შევეკითხე, რას წვავ-მეთქი. ეკლესიიდან ღმრთისმშობლის ხატი „შენ ხარ ვენახი“ მოვიტანე, გარშემო ზედმეტი ქაღალდები შემოვაჭერი და იმას ვწვავო. ამ ხატმა ბევრი სასწაული მოახდინა და მომავალშიც მოახდენსო. სასაცილოდ არ მეყო, როგორ ყველაფრის სჯერა, დახატულ ხატს რა უნდა შეეძლოს, მოიგონებენ რაღაცას და ირწმუნებენ-მეთქი.

დავიწყე რომანის კითხვა. გული ვერ დავუდე. რატომღაც ძალიან მინდოდა ხატის ნახვა. თან მეშინოდა. რაღაცამ მძლია და ავედი გიორგისთან. ვუთხარი, მაჩვენე შენი ხატია თუ სურათი-მეთქი, თან მეცინებოდა. ხატს რომ დავხედე, ფერები მომეწონა, კარგი ნამუშევარია-თქო და მაგიდაზე დავდე. მერე ჩემდა უნებურად ისევ ავიღე და დავაკვირდი, მომეჩვენა, თითქოს ხატმა ფერი იცვალა, თვალები დაახამხამა, თვალის გუგა გაუცისფრდა. ყურადღება არ მივაქციე, მომეჩვენა-თქო და გავიცინე. შემდეგ გიორგის ძმას ვაჩვენე, თემო, კარგად დააკვირდი, თუ ამჩნევ რაიმეს? მაგრამ ისევ გამოვტაცე და კარგად დავაკვირდი, იგივე დავინახე, ოღონდ ახლა ღმრთისმშობელს თავსაბურავი გადაუსრიალდა და დიდი ნაწნავები გამოუჩნდა. შიშმა ამიტანა, თავბრუ დამესხა, ცუდად გავხდი და გარეთ გავვარდი. შევედი მეზობელთან, რომელიც იეღოვას მორწმუნეა, სულმოუთქმელად მოვუყევი, რაც ვიხილე. ისტერიულად ვტიროდი. მან დამიყვირა, გადი აქედან, არ დამენახო, ეშმაკები დაგეუფლა, სად გინახავს სურათი თვალებს გიპაჭუნებდესო. ტირილით შევედი სახლში ჩემს დასთან, ვკანკალებდი. რომ დავმშვიდდი, ავედი გიორგისთან. გიორგიმ მაჩვენა ხატი, მაგრამ ვერ დავხედე. მეორე დღეს მეზობლის მოცემული „იეღოვას“ ჟურნალები და წიგნები მათვე დავუბრუნე. ხოლო დანარჩენი ეკლესიაში წავიღე და დავწვი.

17 წლის ვარ და მონათვლაზე არ მიფიქრია, არც ვაპირებდი, მშობლებსაც არ დავემორჩილე. ვარ ლტოლვილი გალიდან, რატომღაც მჯერა, იქნებ მართლაც დამიბრუნოს რწმენა ღმრთისმშობლის ამ ხატმა. სისტემატურად ვივლი ეკლესიაში. ეს ხატი ყოფილიყოს ჩემი მფარველი.

***ნანი უზარაშვილი***

## რას გვეტყვი, მამაო?

**— მაინტერესებს, რამდენი ქრისტიანი და მაჰმადიანი ცხოვრობს დედამიწაზე, რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში?**

— ფრანგი მეცნიერის კრისტიან პონშონის მონაცემებით, 2001 წლისთვის მსოფლიოში ცხოვრობდა 890 მილიონი კათოლიკე, 410 მილიონი პროტესტანტი და 170 მილიონი მართლმადიდებელი; მუსლიმთა რაოდენობა 910 მილიონს შეადგენდა. ინდუისტებისა — 720 მილიონს, ბუდისტებისა — 330 მილიონს, ანიმიზმის მიმდევრებისა — 200 მილიონს, ხოლო 1 200 მილიონი ადამიანი თავს აგნოსტიკოსად ან ათეისტად მიიჩნევს.

*(რიცხობრივი მონაცემები მსოფლიოს რელიგიური სტრუქტურის შესახებ მიახლოებითია).*

საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის აღწერის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს მოსახლეობის 83,9% (3.666.233 კაცი) მართლმადიდებელია. 0,8% (34.727 კაცი) — კათოლიკე, 3,9% (171.139 კაცი) — მონოფიზიტი სომეხი, მუსლიმური სარწმუნოების მიმდევარია 9,9% (433.784 კაცი), ათეისტია მოსახლეობის 0,6% (28.631 კაცი). სულ საქართველოს მოსახლეობა, ამავე აღწერით 4.601.534 კაცია.

სამწუხაროდ, მოსახლეობის აღწერის შედეგად არ დადგენილა საქართველოში სექტანტთა რაოდენობა.

***საპატრიარქოს უწყებანი***

**— ვატარებ თმის სამაგრს, რომელსაც ხუთქიმიანი ვარსკვლავის ფორმა აქვს. მითხრეს, ეგ არაქრისტიანული სიმბოლოა, ნუ ატარებო, ნუთუ სამკაულებს ასეთი მნიშვნელობა შეიძლება მივანიჭოთ?**

— სასურველი მართლაც არ არის ისეთი სიმბოლოების გამომხატველი სამკაულები ატაროთ, რომელიც უარყოფს ან არ შეესაბამება თქვენს ქრისტიანულ რწმენას. ეს სამკაულები ხომ თქვენს სხეულს ეხება... ეცადეთ, ატაროთ ყოფის შესაბამისი სამკაულები, მით უმეტეს, რომ ქართველებს არ გვაქვს ისეთი გაჭირვება, სამკაულის სახეობა სხვა ხალხს დავესესხოთ, ჩვენამდე მოღწეულია უძველესი ტრადიციული მშვენიერი სამკაულების ნიმუშები, რომელთა მიხედვით თანამედროვე სამკაულებს ქმნიან ქართველი მხატვრები. ზოგადად კი ისიც გახსოვდეთ, რომ სამკაულად არც ქრისტიანული სიმბოლოების ტარებაა სასურველი. მაგალითად, შეეცადეთ რომ ჯვარი, რომელსაც ატარებთ, დაფარული და უპრეტენზიო იყოს. მან თქვენი მფარველის მისია უნდა შეასრულოს. ის ქრისტეს ჯვარცმის სიმბოლოა და სამკაულად გამოყენებით მას პირველადი დანიშნულება ეკარგება.

***თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 36.***

***მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.***

**ჩვენი გაზეთის მკითხველს შეუძლია „საოჯახო-მართლმადიდებლური საკითხავი გვერდის“ ნებისმიერი რუბრიკისთვის შემოგვთავაზოს მასალები. ჩვენი საფოსტო ყუთების ადგილმდებარეობა იხ. გვ. 36.**



***გვერდი მოამზადა მანანა ჯანელიძემ***

# „თუ დავალიანებებს არ დავაგროვებთ, მაშინ რატომ უნდა შეგვიწყდეს გაზი?"

## „თბილგაზის" პრივატიზაცია ჩემი საქმე არ არის

„გაზპრომის" წარმომადგენლების ვიზიტს თბილისში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. მაშინვე ყველა „თბილგაზის" პრივატიზებაზე ალაპარაკდა, ხელისუფლებამ კი ზოგადი ფრაზებით სცადა საზოგადოებისთვის ეჭვები გაექარწყლებინა. ამ დროს კი რუსული მედია იუწყებოდა, რომ რუსული კონცერნის წარმომადგენლები თბილისში ეკონომიკის მინისტრმა კახა ბენდუქიძემ მიიწვია. „გაზპრომი" თავის მხრივ მზად არის ქართული მაგისტრალური გაზსადენის გაკონტროლების სანაცვლოდ 300 მლნ დოლარი გადაიხადოსო.

რუსული მედია „თბილგაზის" გაყიდვაზეც ალაპარაკდა და ქართული მხარის მიერ დასახელებული ფასი — 10 მლნ ლარიც გაამჟღავნა. „გაზპრომის" ვიზიტის დასრულებისთანავე „თბილგაზის" გენერალური დირექტორი მოსკოვში გაემგზავრა, სადაც საქმიან შეხვედრებს გამართავს.

**დავით მორჩილაძეს** გამგზავრებამდე ერთი საათით ადრე შევხვდით და რამდენიმე საინტერესო საკითხზე ვესაუბრეთ.

— **„თბილგაზი" წამგებიან საწარმოდ გამოცხადდა. როგორც ვიცი, ახალი პროექტის ამოქმედებასა და ამ გზით ურჩი გადამხდელებისგან თანხების მაქსიმალურად ამოღებას აპირებთ.**

— არ მომწონს ტერმინი „ურჩი გადამხდელი" და არ მინდა, აპელირება ამით ხდებოდეს. მიმაჩნია, რომ მთავარი პრობლემა ცუდი სისტემაა და არა ის, რომ არსებობენ ცუდი ადამიანები და ურჩი გადამხდელები. ვიდრე პროექტის არსს გაგაცნობდეთ, მინდა აგიხსნათ, თუ ზოგადად რას წარმოადგენს გაზის ბიზნესი. იმისათვის, რომ მოემსახურო უბანს, აუცილებელია გქონდეს სადისპეტჩერო, საავარიო, საექსპლუატაციო და ბილინგის (გაანგარიშების სისტემა. ანგარიშის შედგენა გაწეული მომსახურებისთვის. — რედ.) სამსახურები; ასევე, საჭიროა ძლიერი იურიდიული სამსახური. კერძო ინვესტორისთვის ამა თუ იმ უბნის გადაცემის შემთხვევაში, აღნიშნულ მომსახურებას ჩვენ ვახორციელებთ. ხოლო ბიზნესმენს, მას შემდეგ, რაც გადაიხდის გარკვეულ თანხას და აიღებს უბანს გარკვეული ვადით, მხოლოდ დარიცხვისა და გადასახადების ამოღების ადმინისტრირება ევალება; ანუ მარტივად რომ ვთქვათ, მისი საქმეა მხოლოდ ის, რომ არ მოჰპარონ გაზი, სწორად აიღოს ანათვალი, ჰქონდეს აბონენტებთან ურთიერთობა. ხოლო იმას, ვისაც დარიცხული აქვს თანხა და არ გადაუხდია, შეახსენოს დავალიანება. ხშირად აბონენტი იმის გამოც არ იხდის, რომ მას დავალიანებისთვის არავინ აწუხებს. ჰგონიათ, რაკი არავინ აწუხებს, არც თანხის გადახდაა საჭირო.

— **ალბათ გაანგარიშებული გექნებათ, თუ რა თანხით არის შესაძლებელი ამ ბიზნესის დაწყება?**

— როგორც ბიზნესმენმა, შემიძლია გითხრათ, რომ ნებისმიერი ბიზნესი სირთულეებთან არის დაკავშირებული. რა თქმა უნდა, არსებობს ასევე ე. წ. „შეღწევის ბარიერის" პრობლემაც, რაც სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა ოდენობის თანხით განისაზღვრება. ამ ბიზნესის „შეღწევის ბარიერი" (რომელსაც მე ვთავაზობ წვრილ ბიზნესმენებს და მათაც, ვისაც ახლა სურს წამოიწყოს საკუთარი საქმე) შესაძლებელია იყოს 20 ათასი ლარი, რაც საკმაოდ დაბალი ბარიერია. გარწმუნებთ, არც ერთ სხვა ქვეყანაში ასეთი დაბალი „შეღწევის ბარიერი" არ არსებობს.

— **20 ათასი ლარი საკმარისი იქნება ერთი უბნისთვის, ზონისთვის თუ...**

— ეს თანხა საკმარისი იქნება ყველაზე პატარა უბნისთვის. თუმცა ჩვენ გვაქვს მაღალი ბარიერიც და ინვესტორს შეუძლია ამ საქმეში რამდენიმე მილიონი ლარიც დააბანდოს. ეს საკმაოდ მარტივი და სარფიანი ბიზნესია. ამიტომ ვფიქრობ, ქართველებს აღარ ექნებათ სასაყვედურო, საქართველოში ბიზნესის დაწყება შეუძლებელიაო.

— **დღეისათვის პრობლემას წარმოადგენს არგადამხდელისთვის გაზის ინდივიდუალურად შეწყვეტა. ხშირად მთელ უბანს უწყდება ხოლმე გაზის მიწოდება. ამ პრობლემის მოგვარებას როგორ აპირებთ?**




— როგორც გითხარით, კერძო ბიზნესმენისთვის ადმინისტრირების გადაცემის მიუხედავად, ჩვენ მათ მთელ რიგ მომსახურებას გავუწევთ. როგორც კი მოგვაწვდიან ინფორმაციას, რომ აბონენტი ურჩი გადამხდელია და ბუნებრივი აირი უნდა გავუთიშოთ, ჩვენი ზეინკლები გააკეთებენ ამას. „თბილგაზის" მომსახურების პაკეტს ჩვენ თავს არავის ვახვევთ. შესაძლოა მოვიდეს ისეთი ინვესტორი, რომელიც მთელ სერვისს თავის თავზე აიღებს.

— **სხვა რა ვალდებულებებს დააკისრებს „თბილგაზი" კერძო ინვესტორებს?**

— უპირველესად იმას, რომ „თბილგაზში" უნდა შემოვიდეს იმ გახარჯული აირის შესაბამისი თანხა, რომელიც აღრიცხული იქნება ამა თუ იმ უბნის მრიცხველზე. ეს დავალება „თბილგაზის" მხრიდან სხვადასხვა უბნისთვის სხვადასხვანაირი იქნება. იმ უბნებზე, სადაც რთულია ფულის ამოღება, დავალებას გავაიოლებთ და, პირიქით, უბნებზე, სადაც ნაკლები პრობლემა გვხვდება — გავართულებთ.

— **ხომ შეიძლება, რომ ქალაქს ჩვენგან დამოუკიდებლად შეუწყდეს გაზმომარაგება, რაც აშკარად დააზარალებს თქვენს ინვესტორებს...**

— ჩვენი მხრიდან მათთვის მიცემული პირობა უწყვეტი გაზმომარაგება იქნება. თბილისს გაზი უწყდებოდა ერთი მიზეზის გამო, — არ ვიხდიდით გაზის საფასურს, „თბილგაზს" ყოველთვის ჰქონდა მიმწოდებლის ვალი. ახლა ჩვენ ამის პრობლემა აღარ გვაქვს, რადგან ვალის გრაფიკი გაწერილია და შეთანხმებული „თბილგაზსა" და „გაზექსპორტს" შორის; ხოლო თუ მიმდინარე დავალიანებებს არ დავაგროვებთ, არ მესმის, რატომ უნდა შეგვიწყდეს გაზი.

— **„გაზპრომის" ვალი რამდენი გვაქვს?**

— დარჩენილია 10 მილიონი დოლარი და დაახლოებით 900 ათასი საურავი. თუმცა საურავი ჯერ არ არის მოთხოვნაში ჩადებული და ამაზე მსჯელობა მიდის.

— **თქვენ ფიქრობთ, რომ შევძლებთ ამ ვალის დაფარვას 2005 წლის 1-ელ ივლისამდე?**

— დავალიანება აუცილებლად უნდა დავფაროთ.

— **რუსული მედიით გავრცელდა ინფორმაცია, რომ „გაზპრომს" 300 მილიონი დოლარის სანაცვლოდ ქართული მაგისტრალური გაზსადენის გაკონტროლება სურს. აღარაფერს ვამბობ „თბილგაზის" პრივატიზების საკითხზე...**

— ამ ეტაპზე „გაზპრომს" აინტერესებს ზოგადად საქართველოს გაზენერგეტიკული კომპლექსი, როგორც მაგისტრალური, ასევე „თბილგაზის", მაგრამ კონკრეტულად ვადებზე ლაპარაკი არ ყოფილა. შევთანხმდით, რომ საქართველო წარადგენს იმ კომპანიების სიას, რომელთა პრივატიზებასაც ვაპირებთ. მხოლოდ ამის შემდეგ მოხდება შეფასებები, რაც საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია. „თბილგაზის" პრივატიზება ჩემი გადასაწყვეტი არ არის, მაგრამ თუ ეს საკითხი წამოიჭრებოდა, ამგვარად შევაფასებდი: თუკი პრივატიზაციის შემდეგ უფრო მეტი სამუშაო ადგილი შეიქმნება, მაღალი იქნება სერვისი, მეტი ახალი პროექტი განხორციელდება (მაგალითად, გვაქვს პროექტი, რომ გათბობის სერვისი შევთავაზოთ მოსახლეობას), ასეთ შემთხვევაში, პრივატიზება აუცილებელია.

> ამ ეტაპზე „გაზპრომს" აინტერესებს ზოგადად საქართველოს გაზენერგეტიკული კომპლექსი, როგორც მაგისტრალური, ასევე „თბილგაზის". შევთანხმდით, რომ საქართველო წარადგენს იმ კომპანიების სიას, რომელთა პრივატიზებასაც ვაპირებთ.

— **როგორც მითხრეს, ერთ საათში მოსკოვში მიფრინავთ (ინტერვიუ ჩაწერილია 24 სექტემბერს), საქმიანი შეხვედრები გექნებათ?**

— მივდივარ უიკ-ენდზე ჩემს ოჯახთან, თუმცა მეეჭვება, რომ მათთვის დრო გამოვნახო. უკვე დანიშნულია რამდენიმე საქმიანი შეხვედრა, არა მხოლოდ ბუნებრივ აირთან დაკავშირებით. ჟურნალისტებისთვის კი მინდა განვაცხადო, რომ ჩემი ფულით ვიღებ ბილეთს, მივლინებას არ ვაფორმებ, შესაბამისად, „თბილგაზს" არ დააწვება ხარჯები.

*ემა ტუხიაშვილი*

# საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების პროექტი

ჩვენი სტატიების წინა ციკლში ხშირად გვქონდა საუბარი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების პროექტის შესახებ, რომელიც მოამზადა საქართველოს მთავრობამ მსოფლიო ბანკისა და იაპონიის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით. პროექტის ამოცანას წარმოადგენს ეფექტური და რენტაბელური სასოფლო-სამეურნეო ცოდნის სისტემის შექმნა, რომელიც თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა-დემონსტრირების გზით ხელს შეუწყობს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მდგრად ზრდასა და გარემოს დაბინძურების შემცირებას.

ვინაიდან აღნიშნულ პროექტზე საუბარი ამ ეტაპზე ბოლოჯერ გვექნება, გადავწყვიტეთ დაინტერესებული მკითხველისათვის ნათლად გაგვეცნო მთლიანად ამ პროექტის მიმდინარეობის შემაჯამებელი შედეგები და დადებითი ეფექტურობა. სწორედ ამ მიზნით გთავაზობთ მცირე ინტერვიუს აღნიშნული პროექტის საკონკურსო გრანტების სამდივნოს უფროსთან, ბატონ **ზურაბ იაკობაშვილთან**, რომელიც ზემოთ აღნიშნულ საკითხებზე უფრო დაწვრილებით ისაუბრებს.

***— ბატონო ზურაბ, როგორ შეაფასებთ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების პროექტს მთლიანობაში, რამდენად ეფექტური იყო ეს პროექტი ფერმერული მეურნეობებისათვის და რამდენად კმაყოფილი ხართ შედეგებით?***

— როგორც მოგეხსენებათ, ეს პროექტი მომზადდა მსოფლიო ბანკისა და იაპონიის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით. აღნიშნული პროექტი ხანგრძლივობით ხუთწლიანი გახლავთ. იგი დაიწყო 2000 წელს და დამთავრდება 2005 წელს. შესაძლოა ეს პროექტი გაგრძელდეს კიდევ ერთი წლით. ამ შემთხვევაში ჩვენ გამოვაცხადებთ კიდევ ერთ საგრანტო კონკურსს, მაგრამ გრანტებზე გასაცემი თანხები იმდენი აღარ იქნება, რაც წინა კონკურსებში იყო. შესაძლოა გამოინახოს დაახლოებით 300 000$ და დაფინანსდეს გარკვეული რაოდენობის პროექტები ამ ჯამური თანხის მოცულობით.

რაც შეეხება აღნიშნული პროექტის მიმდინარეობას, ჩვენ თავდაპირველად გამოვაცხადეთ წინასწარი კონკურსი. ამ პერიოდში ბევრი რამ არ იყო ცნობილი საკონკურსო გრანტების შესახებ. ამ კონკურსში მიღებულმა პრაქტიკამ დიდად შეგვიწყო ხელი, უკეთესად წაგვემართა შემდგომში საკონკურსო გრანტების სისტემა. ჩვენ თავდაპირველად დავაფინანსეთ 6 პროექტი, შემდგომ უკვე გაკეთდა პირველი ოფიციალური გამოცხადება ამ პროექტებისა და დაიწყო ფუნქციონირება 22-მა გამარჯვებულმა პროექტმა. თუ ჩვენ პირველად გამოცხადებულ კონკურსში 6 პრიორიტეტი გვქონდა, მეორე გამოცხადებაზე გვქონდა უკვე 17 პრიორიტეტი, რომელიც ეხებოდა მემცენარეობას, მეცხოველეობას და სხვა დარგებს. ამ 17 პრიორიტეტიდან, როგორც უკვე მოგახსენეთ, გაიმარჯვა 22-მა პროექტმა და ამ პროექტებზე გრანტების სახით გაიცა 700 000$. მომდევნო წელს ჩვენ კიდევ გამოვაცხადეთ კონკურსი და გამარჯვების ფინიშზე უკვე მოვიდა 72 პროექტი, რომლებზეც გაიცა გრანტის სახით 2 000 000$. კონკურსის ბოლო გამოცხადება ჩვენ გვქონდა 2003 წლის ზაფხულში, რომელშიც გაიმარჯვა 57-მა პროექტმა. აღნიშნულ კონკურსში ჩვენ გვქონდა 5 პრიორიტეტი, რომელთაგან 4 ეხებოდა გარემოს დაცვის საკითხებს. თუ მთლიანობაში ავიღებთ პროექტის მიმდინარეობას ჩვენ გამოცხადებული გვქონდა 36 პრიორიტეტი, მთლიანად დავაფინანსეთ 157 პროექტი და გრანტების სახით გავეცით 3.000 000$. მართალია, იყო გარკვეული პრობლემები, ჩვენ შევაჩერეთ კიდეც რამდენიმე პროექტი, მაგრამ მთლიანობაში საქმე ეფექტურად წარიმართა. ფაქტობრივად არ დარჩენილა სოფლის მეურნეობის არც ერთი სფერო, რასაც ჩვენი გრანტები არ შეხებია. თავის ქება არ მიყვარს, მაგრამ გაკეთდა უზარმაზარი საქმე ქვეყნისათვის. საქართველოს ფერმერულ მეურნეობებში დაინერგა უამრავი ახალი ტექნოლოგია, ფერმერებმა ისწავლეს პროექტების წერა და რაც ყველაზე მთავარია, რეალურად დამყარდა კავშირი ფერმერსა და მეცნიერს შორის. მართალია აღნიშნული პროექტი ერთბაშად ვერ გადაატრიალებს სოფლის მეურნეობას, მაგრამ უდავოდ დიდი საქმე რომ გაკეთდა ქვეყნისთვის, ცხადია. ჩვენ იმედს ვიტოვებთ, რომ აღნიშნული პროექტი კიდევ გაგრძელდება და უფრო მეტი პროექტი დაფინანსდება. ყველაფერს კი ალბათ მომავალი გვიჩვენებს.

*თემურ კაციაშვილი* R




# საზოგადოებრივ მეცნიერებათა სკოლა

**«ამერიკათმცოდნეობა, ევროპათმცოდნეობა»**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა უმაღლესი სკოლა იწყებს მიღებას საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე:

**ბაკალავრიატი: ამერიკათმცოდნეობა, ევროპათმცოდნეობა, მენეჯერული ეკონომიკა, ფინანსური მენეჯმენტი.**

***მაგისტრატურა:*** ამერიკათმცოდნეობა/ევროპათმცოდნეობა შემდეგი სპეციალობებით: განათლების მენეჯმენტი, კულტურის მენეჯმენტი, სახელმწიფო პოლიტიკა, ქალაქის მენეჯმენტი, ინგლისური ენისა და ინგლისურ-ამერიკული ლიტერატურის მასწავლებელი, გერმანული ენისა და გერმანული ლიტერატურის მასწავლებელი;

საზოგადოებრივ მეცნიერებებში მათემატიკური და ინფორმაციული მეთოდები.

სწავლება წარიმართება ამერიკული და ევროპული, კერძოდ, კენტუკის (აშშ) და კოპენჰაგენის (დანია) უნივერსიტეტების საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად.

**პროგრამებს ხელმძღვანელობენ პროფესორები:**
**თემურ ტორონჯაძე, ივერი კაკუბავა, ზვიად ხარებავა, გიული ალასანია, ნუგზარ სიხარულიძე, ლალი ჯოხაძე, ნინო ჩიჩუა, ნიკა მახარაშვილი, მანანა სანაძე, ირინა ბახტაძე, ივა მინდაძე და სხვები.**

*საბუთების მიღება და გასაუბრება ჩატარდება*
*2004 წლის 1-ელ ოქტომბრამდე, დილით $11^{00}$-$14^{00}$, საღამოს $16^{00}$-$18^{00}$*
*საზოგადოებრივ მეცნიერებათა სკოლის მისამართია: ქ. თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, კოსტავას ქ. 77, VI სასწავლო კორპუსი, IV სართული, „ბ" ბლოკი.*
*საკონტაქტო ტელეფონები: 33-14-65; 899-29-23-17*
**E-mail: msanadze@gtu.ge**

# მიხეილ სააკაშვილის დებიუტი გაეროში




საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გაეროს გენერალური ასამბლეის ტრიბუნიდან პირველად წარდგა საერთაშორისო საზოგადოებრიობის წინაშე. მან რეგიონული კონფლიქტების მოგვარების სამეტაპიანი პრინციპი წარადგინა და ყველას მოუწოდა, მხარი დაუჭირონ საქართველოს ამ რთული საკითხების გადაწყვეტაში. სააკაშვილმა კონფლიქტურ ზონებში არსებული მდგომარეობა საერთაშორისო ტერორიზმის საშიშროების კონტექსტში განიხილა და აღნიშნა, რომ ასეთ რეგიონებში მშვიდობის დასამყარებლად მოწინააღმდეგე მხარეებს შორის აუცილებელია ნდობის აღდგენა, რაშიც, მისი აზრით, მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშონ არასამთავრობო ორგანიზაციებმა, სტუდენტებმა, ექიმებმა, პედაგოგებმა. „ჩვენ საერთო ეკონომიკური სივრცე უნდა შევქმნათ, რომელიც ხალხების დაახლოებას შეუწყობს ხელს. საქართველოში კონფლიქტური ზონები დემილიტარიზებულ რეგიონად უნდა გამოცხადდეს, ხოლო კრიმინალური დაჯგუფებების თარეში ერთხელ და სამუდამოდ აღიკვეთოს. ხალხს მშვიდობიანი ცხოვრების პირობები უნდა შეექმნას“, — განაცხადა პრეზიდენტმა. მისი ღრმა რწმენით, ამისთვის, უპირველესად, საჭიროა გაეროს დამკვირვებელთა მისიის გაფართოება როკის გვირაბიდან — ცხინვალამდე, ხოლო აფხაზეთში, რუსეთ-საქართველოს საზღვარზე მონიტორინგის გამოცხადება. სააკაშვილმა კვლავ შეახსენა ყველას, რომ საქართველო მზადაა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს (პოლიტიკურ გამოსვლებში ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“ მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში იხმარება, — რედ.) ფართო უფლებებისა და უფლებამოსილების პოლიტიკური სტატუსი მიანიჭოს. ქართული მხარე, არა მარტო მზადაა ამ საკითხის განსახილველად, არამედ სერიოზულ კომპრომისებზეც წავა, — აღნიშნა საქართველოს ლიდერმა.

გაეროს ტრიბუნიდან მიხეილ სააკაშვილმა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზეც ილაპარაკა. მან რუსეთს აქტიური დიალოგისკენ მოუწოდა, ხოლო მსოფლიო საზოგადოებრიობას დაბეჯითებით მოსთხოვა უშიშროების გარანტიები. დაქუცმაცებული ქვეყნის პრეზიდენტმა ისარგებლა შემთხვევით და დიპლომატიური ფორმით უკმაყოფილება გამოთქვა თავისი ჩრდილოელი დიდი მეზობლის არათანმიმდევრული ქმედებების გამო, რომლებსაც ის საქართველოში ავტონომიური ერთეულების მიმართ იჩენს. საქართველოს პრეზიდენტმა ისიც აღნიშნა, რომ კონფლიქტების დარეგულირების გაყინულმა პროცესებმა შეიძლება ახალი შეიარაღებული შეტაკებებიც გამოიწვიოს. „არ შეიძლება სეპარატიზმისთვის ხელის შეწყობა, რადგან ეს ნოყიერ ნიადაგს უქმნის ტერორიზმს. ტერორიზმის საშიშროებას გლობალური ხასიათი აქვს და ჩვენ ჩვენს წვლილს შევიტანთ მასთან ბრძოლაში“, — განაცხადა პრეზიდენტმა საქართველოს სახელით და შეახსენა დამსწრეთ, რომ მისი ქვეყნის სამშვიდობო ქვედანაყოფები კოალიციურ ძალებში მსახურობენ ავღანეთში, კოსოვოსა და ერაყში. ისმის კითხვა: რატომ დადგნენ პატარა სახელმწიფოს სამხედრო ძალები ტერორიზმთან ბრძოლის წინა ხაზზე — „იმიტომ, რომ საქართველო თვითონ აღმოჩნდა სეპარატისტული კონფლიქტების პირისპირ“, — უპასუხა პრეზიდენტმა თავისსავე კითხვას და დასძინა, რომ საქართველოში ბევრი გაუკონტროლებელი ზონაა, სადაც მინიდიქტატორები პატრონობენ და ახალი ომების საშიშროებას ქმნიან. ამ პოლიტიკური ფორმულირების შემდეგ სააკაშვილმა თანამედროვე საქართველოს პოლიტიკის სტრატეგიული მიმართულებისათვის მნიშვნელოვანი განცხადებები გააკეთა. მან კვლავ დაადასტურა თბილისის პოზიცია საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის თაობაზე. პრეზიდენტს ვადები არ დაუკონკრეტებია, მაგრამ მკაფიოდ აღნიშნა, რომ მათ ადგილს სხვა ქვეყნის ძალებს არ დაუთმობს. პრეზიდენტმა, აგრეთვე ითხოვა, საერთაშორისო ფინანსური და პოლიტიკური დახმარების გადიდება ეკონომიკისა და შეიარაღებულ ძალთა გასაძლიერებლად. „დაგვეხმარეთ, ეს თქვენც გჭირდებათ“, — მიმართა საქართველოს პრეზიდენტმა რესპექტაბელურ საზოგადოებას.

რა მასშტაბები უნდა ჰქონდეს ახალ დახმარებებს? საქართველოს პრეზიდენტი ამას არ აკონკრეტებს, მაგრამ იძულებულია ითხოვოს, რადგან ამაზეა დამოკიდებული მისი სამშობლოს დამოუკიდებლობა და ერთიანობა.

*ია რეგნუმ*

# ევროპა „ახალ მეზობლებს“ ხელს უწვდის

გასულ კვირას ევროკომისიის პრეზიდენტი რომანო პროდი ვიზიტით იმყოფებოდა სტრატეგიულად მნიშვნელოვან, არასტაბილური ამიერკავკასიის სამ სახელმწიფოში: აზერბაიჯანში, საქართველოსა და სომხეთში. „ახლა თქვენ ჩვენი ახალი მეზობლები ხართ,“ — იმეორებდა რომანო პროდი სამივე ქვეყანაში.

უმთავრესი პრობლემა რეგიონული კონფლიქტებია. ეს არასტაბილურობის კერები კავკასიას დენთის კასრად აქცევს და საშიშროებას უქმნის ნედლეულის ექსპორტს. ბაქო ითხოვს მილიონი ლტოლვილის დაბრუნებას, სამაგიეროდ, ევროპას კასპიის ნავთობითა და გაზით სარგებლობას სთავაზობს. ევროპელ ექსპერტებს ეშინიათ, რომ ბაქო ნავთობის შემოსავლით შეიარაღდება და კვლავ დაიწყებს ომს სომხეთთან. ეს კატასტროფა იქნება რეგიონისთვის, რადგან უკვე მთავრდება რუსეთის გვერდის ავლით ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობა. სანამ ეს ნავთობსადენი არ ამოქმედებულა (მწყობრში 2005 წელს შევა), რუსეთი კვლავ უზრუნველყოფს ენერგომომარაგების 55%-ით ევროკავშირს. ამიტომ საქართველოში ყოფნისას პროდი აშკარად ვერ აკრიტიკებდა ვლადიმირ პუტინის პოლიტიკას. აქ ბესლანის ტრაგედიის შემდეგ კიდევ უფრო გამწვავდა ურთიერთობა მოსკოვთან. „ჩვენ ძალიან შეშფოთებული ვართ რუსეთის ახლანდელი ევოლუციით“, — განაცხადა პროდიმ. მასთან საუბარში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ შიში გამოთქვა პრევენციული დარტყმების მუქარის გამო. „ჩვენ გვესმის, რომ ეს ძალზე ძნელია. ეს იგივეა, რომ სპილოს ან უფრო სწორად დათვის გვერდით ცხოვრობდე“, — წყნარად უპასუხა ევროკომისიის პრეზიდენტმა.

რას იღონებს ევროსაბჭო, თუ რუსეთი მუქარას განახორციელებს, დაიცავს საქართველოს „მეზობლობის პოლიტიკა“?

„ევროპას ჯარი არა ჰყავს. მხოლოდ ნატოს შეუძლია ჩვენი შველა“, — უთხრა პროდის თბილისელმა სტუდენტმა. „მგონი, თქვენს ასაკში ბევრს ფიქრობთ იარაღზე, — დამოძღვრა ქართველი ახალგაზრდა ევროპელმა, — მართალია, ევროპას ჯარი არ ჰყავს, მის შექმნას დიდი დრო სჭირდება, თქვენ იქნებ მოესწროთ ამას, მე — ვერა, მაგრამ მანამდე ევროპა სხვა რამეს გთავაზობთ: „რბილ უშიშროებას“ (SOFT SECURITY). თუ თქვენ ევროპასთან მტკიცე პარტნიორობა გექნებათ, მუქარას ვერავინ გაგიბედავთ“.

პროდის ბაქოსა და თბილისში რეკლამირებული საყვარელი თემა — „რბილი უშიშროების“ კონცეფცია კავკასიაში, სადაც მოსკოვს სამხედრო ბაზები აქვს, დიდ ენთუზიაზმს არ იწვევს.

სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში რუსების მიერ მხარაბმული ფარული კონფლიქტები შეიძლება ნაპერწკალმაცააფეთქოს. „ჩვენთან არც მშვიდობაა და არც ომი, ეს ფეთქებადსაშიში რეგიონია. ის, რაც სამხრეთ კავკასიაში ხდება, ჩრდილო კავკასიაზეც აისახება. თუ თქვენ აფხაზეთში კონფლიქტის მოგვარებაში დაგვეხმარებით, ჩეჩნეთის პრობლემაც მოგვარდება“, — განუცხადა პროდის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ.

პროდიმ იგრძნო დისტანცია, რომელიც ბრიუსელსა და თბილისს შორის არსებობს და მიხვდა, რომ აუცილებელია დაჩქარდეს კავკასიის ჩართვა ევროპული გავლენის სფეროში.

*ფიგარო*

# ანალიზი ლტოლვილობაზე

როგორც კი საქართველოს პრეზიდენტმა გაეროს გენერალური ასამბლეის სესიაზე განაცხადა, რუსეთთან ერთად უნდა ვებრძოლოთ ტერორიზმსო, საქართველოს შსს და სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო მაშინვე შეუდგნენ ჩეჩენ ლტოლვილთა საბუთების შემოწმებას პანკისის ხეობაში. ეს იმას ნიშნავს, რომ თბილისმა მთელი სერიოზულობით აღიქვა რუსეთის ოფიციალურ პირთა მუქარა პრევენციული დარტყმების თაობაზე.

საქართველოს ხელისუფლების მონაცემებით, პანკისის ხეობაში ლტოლვილთა რაოდენობა 3 ათასიდან ათასამდე შემცირდა. უშიშროების მინისტრის მოადგილემ, გიორგი უგულავამ, რომელიც პირადად მონაწილეობდა ლტოლვილთა საბუთების შემოწმებაში, კატეგორიულად უარყო ხეობაში „ბოევიკების“ არსებობა. ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი გელა ბეჟუაშვილი თბილისში თავისი კოლეგის იგორ ივანოვის ჩამოსვლას ელის. „ალბათ ის ახალ წინადადებებს ჩამოიტანს, რომელსაც ყურადღებით გავეცნობით“, — აცხადებს ის. ქართველ პოლიტიკოსთა ყველა ეს შემრიგებლური ჟესტი ნიშნავს იმას, რომ რუს პოლიტიკოსთა ხშირი განცხადებები საზღვარგარეთ ტერორისტების ბაზებზე დარტყმის შესახებ, თბილისში მუქარად აღიქვეს და ახლა საქართველოს ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს, რათა მოსკოვს არ მისცეს მსგავსი აქციების ჩატარების საბაბი.

*კომერსანტი*

*გვერდი მოამზადა*
*თინათინ მარგველაშვილმა*

# აფხაზეთი არჩევნების მოლოდინში


*ხაჯიმბას საარჩევნო პლაკატი*

აფხაზეთის პრეზიდენტის არჩევამდე თვე-ნახევარი დარჩა. ვარაუდობენ, რომ ამომრჩევლები ხმას რაულ ხაჯიმბას მისცემენ. 3 ოქტომბრის არჩევნებზეა დამოკიდებული არა მარტო თვითმარქვია რესპუბლიკის, არამედ ჩრდილო კავკასიაში არსებული პოლიტიკური ურთიერთობის ბედიც, უპირველესად, რუსეთ-საქართველოს დიალოგისა. ცეცხლს ნავთი დაასხა საქართველოს პრეზიდენტმა — თვითმარქვია რესპუბლიკის არჩევნები უკანონოდ გამოაცხადა და, აქედან გამომდინარე, არჩევნებში მონაწილეობაც უკანონო იქნება და არც არჩეულ პრეზიდენტს ექნება საქართველოსთან სამართლებრივი ურთიერთობის დამყარების უფლება.

თბილისმა კარგად იცის, რომ აფხაზეთში არც „ვარდების“ და არც „პალმების რევოლუცია“ არ გამოუვა. ეთნიკური წმენდის დროს დაქვრივებულნი და დაობლებულნი სააკაშვილს ყვავილებით არ შეეგებებიან. მაგრამ აფხაზებმა ისიც იციან, რომ „ალყაშემორტყმულ ციხესიმაგრეში“ დიდხანს ვერ გაძლებენ. მათ სჭირდებათ ისეთი პრეზიდენტი, რომელიც შეძლებს რესპუბლიკის რღვევის პროცესის შეჩერებას და ეკონომიკური კრიზისის დაძლევას. როგორც გაზეთი „ვოენნო პრომიშლენი კურიერი“ წერს, აფხაზეთის ჩრდილოვანი ბიუჯეტი ოფიციალურს 22 მლრდ რუბლით სჭარბობს, ანუ ხუთჯერ. კვების პროდუქტებიდან აქ მხოლოდ სიმინდის ფქვილს, რძეს, ყველს, მანდარინსა და ლობიოს აწარმოებენ, დანარჩენი რუსეთიდან შემოაქვთ. გაზეთის ცნობით, საარჩევნო კამპანიას პანკისის ხეობიდან გადმოსული ბანდფორმირებები უშლიან ხელს, მათ აფხაზეთში ხალხის გატაცების ბიზნესი აქვთ გაჩაღებული. თუ ჩვეულებრივი ადამიანის გამოსყიდვა 10 ათას დოლარამდე ჯდება, მაგალითად, ბიზნესმენ სტავრო სტილიდისა და საბაჟოს ყოფილი უფროსის ასლან კობახიას (რომელიც თბილისში აღმოაჩინეს!) განთავისუფლებისათვის გამტაცებლებს ასიათასობით „მწვანე“ გადაუხადეს.

რას სთავაზობენ აფხაზებს შექმნილი კრიზისიდან გამოსასვლელად გავლენიანი პოლიტიკოსები? კაცმა რომ თქვას, ასარჩევი ბევრი არაფერი აქვთ — ან მტკიცედ უნდა დაიცვან დამოუკიდებლობა და რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობა, ან კვლავ შევიდნენ საქართველოს შემადგენლობაში. ოპოზიციას სახელმწიფო კომპანია „ჩერნომორენერგოს“ დირექტორი სერგეი ბაღაფში უდგას სათავეში. როგორც გაზეთი „ვრემია ნოვოსტეი“ ამტკიცებს, თბილისს მასთან მოლაპარაკების იმედი აქვს. ოპონენტების აზრით, ბაღაფშს შეუძლია აფხაზეთის დამოუკიდებლობის იდეის დათმობა. ეტყობა, ამიტომაც გადაიხარა ამომრჩეველთა უმეტესობა კა-გე-ბეს პირმშოს, რაულ ხაჯიმბასკენ, რომელიც რესპუბლიკის დამოუკიდებლობისა და რუსეთთან კავშირის განმტკიცების მომხრეა.

საოცარია, მაგრამ თავისი განცხადებებით მიხეილ სააკაშვილი ხაჯიმბას კანდიდატურას უწევს „აგიტაციას“. სოციოლოგიური გამოკითხვით, ჯერ კიდევ ერთი თვის წინ, რაულ ხაჯიმბას სასარგებლოდ ამომრჩეველთა 46% თუ მისცემდა ხმას. დამკვირვებლების აზრით, მას შემდეგ, რაც სააკაშვილმა განაცხადა, აფხაზეთის პრეზიდენტს კანონგარეშე გამოვაცხადებთო, ახლანდელი პრემიერ-მინისტრის მომხრეთა რიცხვმა საგრძნობლად მოიმატა.

*ნეზავისიმაია გაზეტა*

---

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს
ბატონ **მიხეილ სააკაშვილს**

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს
ქალბატონ **ნინო ბურჯანაძეს**

საქართველოს პრემიერ-მინისტრს
ბატონ **ზურაბ ჟვანიას**

გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან დაიწყო და სამწუხაროდ დღემდე გრძელდება რაჭის მიმართ სახელმწიფოს უდიერი დამოკიდებულება. ერთ დროს მდიდარი, აყვავებული, ხალხითა და სიხარულით სავსე კუთხე გაპარტახების პირამდეა მისული. ცალკე ბუნება არ ზოგავს აქაურობას, მიწისძვრები, წყალდიდობები, დიდთოვლობა, სტიქიის გამო დღეისათვის ონის რაიონში მაცხოვრებელი 250 ოჯახი საკუთარი ჭერის გარეშეა დარჩენილი. დანგრეულია და პრაქტიკულად გაუვალია სახელმწიფო გზის ამბროლაური-ონი-შოვის მთლიანი მონაკვეთი, აღარაფერს ვამბობთ სოფლის გზებზე. მას ემატება ყველა ის პრობლემა, რაც დღეს ქვეყანაშია.

შექმნილი დემოგრაფიული სიტუაცია კატასტროფულია. 1970 წელს რაიონში დაიბადა 313 ბავშვი. გარდაიცვალა 236 ადამიანი. 2003 წელს დაიბადა 26 და გარდაიცვალა 220. 1970 წელს რაიონში ცხოვრობდა 19,2 ათასი ადამიანი, ამჟამად ეს ციფრი 8,6 ათასია, აქედან 3,8 ათასი ადამიანი, ანუ 44% პენსიონერია. ამავე პერიოდში მოსწავლეთა რაოდენობა 1593-დან 999-მდე შემცირდა. მთელ რაიონში წელს მხოლოდ 71 ბავშვი შედის სკოლაში. დაიხურა ბევრი სკოლა, კულტურის ობიექტი, ახალგაზრდობა უკან მოუხედავად გარბის რაიონის და ქვეყნის ფარგლებს გარეთ, რადგან პრაქტიკულად არ არსებობს მათი დასაქმების საშუალება. მარტო საბიუჯეტო სექტორში 1970 წელს დასაქმებული იყო 3000 ადამიანი, ხოლო დღეისათვის 640 და აქედან 60% განათლების სექტორშია.

უკანასკნელ თვეებში რაიონში გაუქმდა საგადასახადო სამსახური, პროკურატურა, სასამართლო, კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგა სახელმწიფოს მხრიდან აქაურობის დაცლისკენ. პრაქტიკულად ადმინისტრაციული ერთეული საკანონმდებლო ვაკუუმში ექცევა. ღებელმა კაცმა რომ უბრალოდ სასამართლოში საქმე მოაგვაროს ან პასპორტისთვის ამბროლაურში ჩავიდეს მინიმუმ 140კმ. უნდა გაიაროს და ეს ერთჯერად თუ მოახერხა, ღმერთს მადლობა უნდა შესწიროს.

სავალალო მდგომარეობაა ჯანდაცვის სფეროში, იმ დროს, როდესაც ქვეყანა სამედიცინო კადრების მოზღვავებას განიცდის, ონის რაიონს არ ჰყავს გინეკოლოგი, ქირურგი, ოტოლარინგოლოგი, ნარკოლოგი და კიდევ ბევრი სხვა პროფილის ექიმი. არსებული სიტუაცია ალბათ მიუღებელია უმუშევარი ექიმებისათვის და ამიტომ არიდებენ თავს აქ ჩამოსვლას და მოღვაწეობას.

პრაქტიკულად არ მუშაობს კანონი „მთის რეგიონებისათვის შეღავათების მინიჭების შესახებ“.

ყოველივე ამის ფონზე მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანას კიდევ არ მიუღია კანონი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის შესახებ, ზემოთ ჩამოთვლილიდან გამომდინარე, აქტიურად მიმდინარეობს მოსახლეობაში საუბარი რაიონის და რაიონში შემავალი სამსახურების გაუქმებაზე, რაც შეშფოთების საბაბი ხდება.

გვინდა იცოდეთ, რომ ონის რაიონის ტერიტორიაზე გადის სახელმწიფო საზღვრის 88 კმ-იანი მონაკვეთი, რაიონი მამისონის სამხედრი გზითა და 4 გადასასვლელით უკავშირდება რუსეთის ფედერაციას. პირდაპირ ვართ მიბმული კონფლიქტის კერასთან, ე.წ. სამხრეთ ოსეთთან. რაიონი თავის ტერიტორიული სიდიდით (135,0 ათასი ჰა) არ ჩამოუვარდება საქართველოს სხვა ბევრ რაიონს, ასეთ პირობებში ჩვენი კუთხის მოსახლეობა მუდამ ფხიზლად იცავდა და იცავს საქართველოს ინტერესებს და ასრულებდა მესაზღვრის ფუნქციებს.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს მეტად ვგრძნობთ სახელმწიფოსგან მხარდაჭერას, მაინც გვინდა სახელმწიფომ ღრმად ჩაიხედოს აქაურ პრობლემებში, შედგეს და შემუშავდეს რაიონის განვითარების პროგრამა, აქაურობამ კვლავ აღიდგინოს ფუნქცია მესაზღვრისა, მრეწველისა, ქვეყნის პატრონისა. თუ ეს არ მოხდება ძალიან სწრაფად, არ იქნება დაცული აქაური მოსახლეობა, არ იქნება დასაქმება, ონის რაიონს იგივე ბედი ეწვევა, რაც 200 წლის წინ ისტორიულ კუდაროს ხეობას დაემართა და დღეს იქ ერთი ქართველიც აღარ ცხოვრობს.

სათქმელი ძალზე ბევრია, მაგრამ ეს პატარა წერილი ვერ იტევს ყველაფერს. რაჭას მეტი ყურადღება და გაფრთხილება სჭირდება. ამ მშვენიერი კუთხის დაცლა უბედურება იქნება, რადგან უმუშევრად დარჩენილი ადამიანი აქ აღარ გაჩერდება.

საქართველო მარტო თბილისი და ბათუმი არაა. გთხოვთ ღრმად ჩაიხედოთ ჩვენი კუთხის ტკივილში და გონიერი მიდგომით შემოუაროთ მის გასაჭირს.

ძალზე ლამაზია წელიწადის ყოველ დროს რაჭის ეს პატარა ქალაქი და მისი სოფლები. მაგრამ გარწმუნებთ, ადამიანების გარეშე აქაურობა მთლად გაუბედურდება და უცხოტომელთა სათარეშოდ გადაიქცევა, ისევე როგორც სხვადასხვა მხარეს დაემართა თავის დროზე.

გარწმუნებთ, სწორედ ამას ელოდება ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი.

ონის რაიონის მოსახლეობის სახელით
მაჟორიტარი დეპუტატი — დავით საგანელიძე

წერილს თან ახლავს ონის რაიონის მოსახლეობის ხელმოწერები



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!

კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებ-ში შემოგთავაზოთ.



## პატარები გვინიოხოიან

3 წლის **თამუნა** და 5 წლის **გიორგი გულუები** თამაშობენ. უცებ თამუნამ თითი იტკინა და ატირდა. გულგახეთქილი დედა მოვარდა, თამუნა ხელში აიყვანა, ნატკენ თითზე აკოცა და უთხრა:

— შენ მოგიკვდეს დედა, ძალიან გეტკინა? — თან გულში ჩაიხუტა და მოეფერა.

უყურადღებოდ დარჩენილი და გულდაწყვეტილი გიორგი დედასთან მივიდა და ეუბნება:

— დედიკო, მეც მომიკვდეს რაა დედა?

***

4 წლის ლადო გოგოლაძეს ესმის როგორ მეცადინეობს ხმამაღლა მისი უფროსი და:

— მზის სისტემების პლანეტებია: იუპიტერი, ურანი, ვენერა, მარსი...

— მამიკო, მარსი პლანეტაა? — კითხულობს გაკვირვებული.

— კი, შვილო, პლანეტაა!...

— სნიკერსიც?

***

— საღამო ხანი იყო, 4 წლის **ირაკლიმ** ციცინათელა დაინახა და ბებოს ეკითხება:

— ბებო, ამას ვინ ჩაუდგა ელემენტები?

შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელ ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ შემდეგი გამოცანის პასუხს: **„მოყვითალოა, უზომოდ ტკბილი, ისე იჭმება, არ უნდა კბილი“.**

I



**რევაზ ინანიშვილი**

მოთხრობა

# მადლობა

თათუნა პატარა გოგონაა. მას კითხვას ვასწავლიდი. მივუჯდებოდით მაგიდას, გავშლიდით „დედაენას“ და ვცდილობდით, ყველა სიტყვა შეუცდომლად წაგვეკითხა. სცნობდა, მაგრამ კითხვის დროს ასეთი რამ ემართებოდა: ჩათვლიდა თითო-თითო ასოს, — თ-ხ-ა.

— რა გამოვიდა? — ვკითხავდი მე.

თათუნა სურათს დახედავდა და წამოიძახებდა:

— თიკანი!

— როგორ თუ თიკანი? აქ „თხა“ წერია.

— თხა? ასეთი პატარა? — გაკვირვებით დაადებდა სურათზე თითს.

— პატარაა დახატული. აბა, რამოდენაც არის, იმოდენა რომ დახატონ, იმ ფურცელს ხომ ვერც კი გადაშლი.

ის თავს ჩაღუნავდა.

მერე სწორად წაიკითხავდა:

— „თოხი“, „ხე“, „უთო“.

მაგრამ შემდეგ ჩათვლიდა:

— ძუა... — და იტყოდა: — კუდი. ისევ ჩათვლიდა:

— ჩ-ა-ნ-თ-ა.. — და „პორტფელი“ კი გამოსდიოდა.

მაშინ ერთი მასწავლებლის რჩევა გამახსენდა, — სიტყვა უნდა დაამარცვლინოო.

— ორ-ორი ასო წაიკითხე, თათუნა, ორ-ორი ასო, და ყველაფერს სწორად გაიგებ, — ვუთხარი მე.

წაიკითხა და საქმეც გაიჩარხა. უკვე აღარაფერი ეშლებოდა.

უნდა გენახათ, როგორ იყო გახარებული! არ იცოდა, რით გადაეხადა მადლობა. დიდი რომ არ ვყოფილიყავი, თავის საყვარელ დედოფალასაც კი მაჩუქებდა.

ერთხელ ცუდ ხასიათზე ვიყავი და ძნელად გასაგებ წიგნს ვკითხულობდი. წავიკითხე ორჯერ, სამჯერ, მაგრამ არაფერი მესმოდა.

— ვერაფერი გავიგე, — შევჩივლე ჩვენებს და წიგნი გადავისროლე.

თათუნამ წიგნს ხელი დაავლო, მომირბენინა, გაბრწყინებული თვალებით შემომხედა და მითხრა:

— დაგავიწყდა, ძია? ორ-ორი ასო წაიკითხე და ყველაფერს გაიგებ.

მე გამეცინა, კარგ ხასიათზე დავდექი, წიგნი გამოვართვი, ერთხელაც წავიკითხე და ყველაფერი გავიგე.

ახლა მე აღარ ვიცოდი, რით გადამეხადა მადლობა თათუნასათვის.

## იპოვე 10 განსხვავება





## II თოკის გაშლისას რომელი დეტალები აღმოჩნდება თოკზე?





## III აბა, გამოიცანი

**1) ამ ბერძენ მეცნიერებს შორის რომელი მოღვაწეობდა მედიცინაში?**
ა) დემოკრიტე; ბ) არისტარქე; გ) ერატოსთენე; დ) ჰიპოკრატე.

**2) ვინ არის კომპოზიტორი ილია ჭავჭავაძის ლექსზე შექმნილი სიმღერისა — „ჩემო კარგო ქვეყანავ“?**
ა) გ. ცაბაძე; ბ) ბ. კვერნაძე; გ) რ. ლაღიძე; დ) ზ. ფალიაშვილი.

**3) რომელი ფრინველი გალობს?**
ა) მერცხალი; ბ) ჩხიკვი; გ) მტრედი; დ) შაშვი.

**4) რას ხელმძღვანელობს ლოტბარი?**
ა) ხალხური სიმღერების ანსამბლს; ბ) საბალეტო დასს; გ) სიმფონიურ ორკესტრს; დ) ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლს.

**5) რომელ ქრისტიანულ დღესასწაულს ვზეიმობთ 6 მაისსა და 23 ნოემბერს?**
ა) ნათლისღებას; ბ) ნინოობას; გ) გიორგობას; დ) თამარობას.

პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა



# „ნუ იმათხოვრებ, დედი!..“

მისი ერთადერთი თავშესაფარი ახლა ეკლესიაა...

ოდესღაც კი ოჯახი ჰქონდა, სამ შვილს ზრდიდა, უჭირდათ, მაგრამ მაინც არასოდეს წუწუნებდა. ქმარს გვერდით ედგა და ამხნევებდა...

ერთ დღეს კი ისეთი ტრაგედია დატრიალდა, დღემდე სიზმარი ჰგონია წარსული...

სისხამ დილით, ადრიან გაზაფხულზე, ქმარს ყანაში გაჰყვა, ნათხოვარი ხარებით უნდა მოეხნათ მიწა. დაძინებული დატოვა 8 წლის ანა, 6 წლის მაკა და 3 წლის თორნიკე... ბუხარს შეშა შეუკეთა — რომ გაიღვიძებენ, სითბო დახვდებათო!.. კარი გარედან გადარაზა, მის მოსვლამდე რომ ბავშვები გარეთ არ გამოსულიყვნენ.

დარწმუნებულია — თავად ეშმაკი გაეთამაშა ცეცხლს, თორემ ბუხარი სხვა დროსაც დაუტოვებია აგიზგიზებული...

ერთი სიტყვით, მეზობლებმა იმ დროს შენიშნეს ცეცხლმოდებული ძველი ხის სახლი, შველა რომ აღარ შეიძლებოდა... უბედურ დედას შვილების ლანდიც აღარ უნახავს იმ დღის შემდეგ — დაკრძალვაც სიმბოლური იყო. ბავშვების ერთი ფოტოც აღარ დარჩენია, საოჯახო ალბომიც ცეცხლმა შთანთქა!.. არ იცის, რამ გადაარჩინა, როგორ არ გაგიჟდა, ან გული როგორ არ გაუსკდა?!..

— ჩემი ქმარი „ბედნიერი“ აღმოჩნდა, დარდისგან ტვინში სისხლი ჩაექცა და ერთი წელიც არ უცოცხლია, მე კი ძაღლის სული ჩავიდგი თითქოს... იმ სოფელში გაჩერება აღარ შემეძლო, 1989 წელს ჩამოვედი ქალაქში. მაშინ 29 წლის ვიყავი, ცხრა აპრილი ახალი ჩავლილი იყო... მერე სულ უფრო და უფრო აირია ქვეყანა — არც ბინა, არც სამსახური... რომ მომშივდა, ეკლესიასთან მივედი და მათხოვრობა დავიწყე... სახეც კი შავით მქონდა დაფარული, ყველას მოხუცი ვეგონე, თმა ერთიანად გაჭაღარავებული მქონდა...



მალე სხვა მათხოვრებიც გავიცანი, რომ გაიგეს ჩემი ამბავი, თითქოს თავიანთი გაჭირვება დაივიწყეს, არად ეჩვენებოდათ ჩემს უბედურებასთან შედარებით... იქ ერთი შვილმკვდარი დედაც იყო — ერთადერთი ქალიშვილი გაეზარდა ქვრივს და ისე დაღუპვოდა, გათხოვებაც ვერ მოესწრო. მარტო ცხოვრობდა და მითხრა — დარჩენილი სიცოცხლე ტირილში გვაქვს გასატარებელი, წამო, ჩემთან იცხოვრეო! გავყევი, ზამთარი მოდიოდა, ღია ცის ქვეშ გაჩერება აღარ შეიძლებოდა...

ეკლესიაში მღვდელსაც უამბეს, რაც გადამხდა, შევებრალე, ხშირად მესაუბრებოდა და ალბათ ამანაც გადამარჩინა თვითმკვლელობის ცოდვას...

ხალხს თავადაც უჭირს, მაგრამ უკანასკნელ კაპიკებსაც გვიყოფენ. მათხოვრობით ზოგჯერ იმდენი მიშოვია, წავსულვარ და იმისთვის მიმიცია, ვისაც ჩემზე მეტად უჭირდა. მათხოვარი ბავშვების დანახვაზე მიკვდება გული, ყველა მათგანში ჩემი შვილების ხატებას ვხედავ — თუ მიმიკარეს, ვეფერები. ხან ტკბილეულს, ხან ფეხსაცმელს და ხან კიდევ რას ვუყიდი ხოლმე...

აგერ ორ წელზე ცოტა მეტია, რაც უცნაური მფარველი გამომიჩნდა... იმ დღესაც ჩვეულებისამებრ ვიჯექი ეკლესიის შესასვლელთან, თვალებიც კი დაფარული მქონდა შავი თავსაბურავით, შაბათი იყო, ქორწილების დღე — უამრავი ლამაზი წყვილი იწერდა ჯვარს...

ის სიძე არ იყო — უფრო საპატიო სტუმარს ჰგავდა, ყველა მოწიწებით ექცეოდა, დაცვაც დაჰყვებოდა... ძალიან ახალგაზრდა და ლამაზი იყო — ასე 30 წლისა... მოვიდა, მათხოვრებს ფული დაურიგა, ყველას გამამხნევებელი სიტყვა უთხრა. ჩემ წინ კი რატომღაც ჩაიმუხლა, თავი ამაწევინა, ხელებზე მომეფერა და ალერსით მითხრა: გევედრები, ნურასოდეს იმათხოვრებ, დედი. ნება მომეცი, შენთვის ის გავაკეთო, რაც საკუთარი დედისთვის ვერ გავაკეთეო!.. მერე ვიღაც ბიჭს დაუძახა და ჩემზე მიუთითა: ეს ქალბატონი დაიმახსოვრე, დანარჩენს მერე გეტყვიო. კალთაში ორი ასდოლარიანი ჩამიდო და გამცილდა...

ორიოდე კვირაში მისგან გამოგზავნილი კაცი მოვიდა, დაწვრილებით გამომკითხა ყველაფერი და მითხრა: ნუ გეშინია, უფალმა წყალობით გადმოგხედა — ისე ჩათვალე, თითქოს შვილი გაგიცოცხლდაო. მართლაც, მას შემდეგ ყოველთვიურად, ხანაც თვეში ორჯერ მოდის „შუაკაცი“, ფულს მიტოვებს, პროდუქტიც მოაქვს. სახურავიც შეგვიკეთეს...

თავად ის ახალგაზრდა მას შემდეგ აღარ მინახავს. მხოლოდ ის ვიცი, რომ საქართველოში ცხოვრების უფლება არა აქვს. კიდევ ის, რომ თავის დროზე დედას აწყენინა და ქალი ისე მოკვდა, შვილს არ დალაპარაკებია... მგონი, „შავი სამყაროს“ წარმომადგენელი უნდა იყოს. სხვა რა ვიფიქრო, არ ვიცი. ერთთავად ყურში მიდგას მისი ცრემლნარევი თხოვნა: „არ იმათხოვროო, დედი!“ დედამისს გაჭირვებაში ამოხდომია სული, თურმე შვილისგან კაპიკსაც არ იღებდა...

ზოგჯერ ეჭვი შემიჩნდება — ვაითუ, მართლა ნაძარცვს და ნაყაჩაღარს მიგზავნის, ცოდვას არ ვიდებდე-მეთქი, მაგრამ მისი ვედრება რომ გამახსენდება, ვერ ვამბობ უარს, ვიცი, ამით სულიერ ტანჯვას იმსუბუქებს. მოძღვარმაც მითხრა, იმას უფალი განსჯის, შენ კი ცოდვათა მონანიებაში უნდა დაეხმაროო!..

აღარ ვმათხოვრობ. ჩემი კეთილისმყოფლის გამოგზავნილ ფულს სხვებსაც ვუნაწილებ. ეკლესიაში კი ყოველდღე ვანთებ მის სახელზე სანთელს და უფალს ისევე ვავედრებ მის სულს, როგორც ანგელოზებად ქცეული ჩემი პატარებისას... არ მინდა იტანჯებოდეს, ვინც უნდა იყოს და როგორი ცხოვრებითაც უნდა ცხოვრობდეს, ჩემთვის ის დედის ალერსს დანატრებული შვილია და მორჩა!..

...აი, ასეთი რამ მიამბო ჩემმა რესპონდენტმა და მას შემდეგ თან დამყვება ფიქრი ამ ორ სულგაბზარულ ადამიანზე, რომელთაგან ერთმა შვილები დაკარგა და მეორემ კი — დედა... ხშირად ისიც მიფიქრია, რომ შეუძლებელია შემთხვევითი იყოს მათი შეხვედრა!...

„უფალმა იცის, რა გჭირდებათ თქვენ!“ — გვეუბნება ბიბლია და მეც მჯერა, რომ ორივე იპოვის შვებას...

***გვერდი მოამზადა ინგა ჯაყელმა***

# რა თავში უნდა მეხალა ამოდენა ფული...

გავიგე, უბანში ერთ მრავალშვილიან ოჯახს 9 წლის გოგონა გაუხდა ავად და გადაუდებელი ოპერაცია ისე ძვირი დაუფასეს მშობლებს, სასოწარკვეთილმა დედამ თავის მოკვლაც კი სცადა... ოჯახში ოთხი შვილი იზრდება და ხშირად ხმელა პურის გარდა ვერაფრით კვებავენ მშობლები, ამბობდნენ: ბავშვის ავადმყოფობა არასრულფასოვანი კვებითაც იყოო გამოწვეული...

შეიძლება ასეც იყო და პატარა მარიკო ალბათ სასიკვდილოდ იქნებოდა განწირული, რომ არა მართლაც ზღაპრიდან გადმოსული ქველმოქმედი, რომელმაც ბავშვისა და მისი მშობლების საზღვარგარეთ გამგზავრება და მკურნალობაც დააფინანსა და საქართველოში დარჩენილ სამ პატარასაც უპატრონა: ჩააცვა-დაახურა, მომვლელი დაუქირავა, სადილ-ვახშამი არ მოაკლო...

...კეთილ კაცს რა დალევს ქვეყანაზე და ალბათ არც ჩვენი ქველმოქმედის საქციელი იქნებოდა გასაკვირი, რომ არა...

ჰო, ქველმოქმედს, რომელსაც მე პირობითად დავითს დავარქმევ, ყველა ულარიბეს და საწყალ კაცად იცნობდა აქამდე. 60 წელს მიღწეულს არასოდეს სცმია ახალი ტანსაცმელი და სხვისი გამონაცვლით დადიოდა, არანაირ სამუშოს არ თაკილობდა და ცხელი სადილის გაკეთების უფლებას არ აძლევდა თავს, ისევ მეზობლები თუ მიუკითხავდნენ სამოწყალოდ ზოგჯერ... პატიოსანი, მშვიდი და უწყინარი იყო, თანაც მარტოხელა და ამიტომ ეცოდებოდა ყველას...

...რომ ვუთხარი, ჟურნალისტი ვარ-მეთქი, ბევრი ხვეწნის მიუხედავად, უარი მითხრა ინტერვიუზე. შემდეგ კი დამთანხმდა. ოღონდ მთხოვა: ნუ მომჭრი საქვეყნოდ თავს, ნათესავები მყავს, ოდესღაც სკოლაშიც მისწავლია და არ მინდა ყველას ვეზიზღებოდეო...

— რატომ უნდა ეზიზღებოდეთ-მეთქი?! — გავიკვირვე.

— იმიტომ, რომ მათგან სიყვარული არ დამიმსახურებია... ახია ჩემზე, რაც დამემართა და საერთოდ, უფრო ადრე ვიყავი საცემი!..

...სანამ დიალოგის გაგრძელებას შემოგთავაზებდეთ, მინდა გითხრათ, რომ სასაუბროდ ბატონ დავითს საავადმყოფოში ვეწვიე, სადაც იგი მძიმედ ნაცემი, თითქმის უგონოდ მიიყვანეს: ყაჩაღები მიუცვივდნენ შინ მას შემდეგ, რაც მისი ქველმოქმედების ამბავი გახმაურდა. ფული მოსთხოვეს... ფული ხომ წაართვეს და წაართვეს, ცემაც არ დაუკლიათ...

— ღმერთმა შეარგოთ ჩემი ცემაც და წაღებული ფულიც, ახია ჩემზე, უარესიც მეკუთვნის და არც სიცოცხლის ღირსი ვარ... ძუნწი ვარ, ფულის მოყვარული, ხელდამწვარი.

— ბატონო დავით, ასეთი ქველმოქმედების შემდეგ თქვენზე ვინ იტყვის, ძუნწიაო?!

— ის ფული იმიტომ გავეცი, შური რომ მეძია საკუთარ თავზე, კაპიკსაც აღარ დავიტოვებ, რასაც ვიშოვი, მეც მოვიხმარ და გაჭირვებულსაც გავუმართავ ხელს!.. 60 წელს მივაღწიე და ერთი დღე არ მიცხოვრია კაცურად...

შვიდი და-ძმა ვიზრდებოდით უმამოდ, ღარიბ ოჯახში და იქიდან „მომეწამლა სისხლი“, სულ მშიოდა, სულ ვაცეცებდი თვალებს, უმცროს და-ძმებს ვერეოდი და ლუკმას ვართმევდი, მებრალებოდნენ, მაგრამ არ მიყვარდნენ, მათ დაბადებას ვწყევლიდი. მე მესამე ვიყავი ოჯახში და მეგონა ჩემ შემდეგ დაბადებულები ჩემს წილს ჭამდნენ და სვამდნენ.

თვრამეტი წლისამ რომ დავკარი ფეხი და გამოვიქეცი ქალაქში, სოფლისკენ აღარც გამიხედია: არც დედის გასვენებაზე ჩავედი, არც და-ძმების ჭირი და ბედნიერება გამიზიარებია, სულ უქონლობას ვიმიზეზებდი. თავიდან ქარხანაში ვმუშაობდი და ბინაც მაშინ მომცეს. ორმოცი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, ის რკინის საწოლი და ხის მაგიდა-სკამებიც მაშინდელი ნაყიდია, აქამდე რომ „ამშვენებს“ ჩემს სახლს. და-ძმებსაც კი არ ვათევინებდი ღამეს, თუ ქალაქში სტუმრობას იფიქრებდნენ, პურსაც არ ვყიდულობდი ზედმეტს — ფული არა მაქვს-მეთქი... და თანდათან ყველა ჩამომშორდა.

არც ცოლი შევირთე იმის შიშით, ცოლი და შვილები სასმელ-საჭმელს, ჩაცმა-დახურვას მომთხოვენ-მეთქი! მეზობელსაც კი არ ვუღებდი კარს... ერთ რამეში გამომადგა მარტო ჩემი სიძუნწე — ბანკებს არ ვანდე არც ერთი კაპიკი და ყველაფერს შინ ვინახავდი, ასე რომ, არაფერი დამიკარგავს. პარკეტის ქვეშ მქონდა მოწყობილი სამალავი და იქ ვინახავდი. ყველაფერი ამერიკულ დოლარებად ვაქციე და... ამ გაზაფხულზე ძალიან ცუდად გავხდი, ფილტვების ანთება დამემართა, მე კი ექიმთანაც არ მივსულვარ, — ფულს მომთხოვს-მეთქი. მეზობლებს შევეცოდე და ფული შემიგროვეს, საავადმყოფოშიც გამაქანეს, საიქიოდან მომაბრუნეს. შინ მოსულს სახლ-კარიც დალაგებულ-დაწკრიალებული დამახვედრეს.

პირველი რაც იყო, შიში დამეუფლა — ვაითუ, ჩემს სამალავს მიაგნეს და ფული გაიტანეს-მეთქი! მარტო დარჩენილმა სამალავი გავხსენი და შვებით ამოვისუნთქე, ყველაფერი ადგილზე დამხვდა, დავთვალე და სიგიჟემდე მივედი, როცა საერთო რაოდენობა გავიაზრე: მარტო დოლარი იყო ასი ათასამდე... მეგონა შემეშალა და კიდევ გადავთვალე...

ისე ცუდად გავხდი, კინაღამ სული განვუტევე. არც მიძინია იმ ღამეს, ყურში ვიღაცის ხარხარი ჩამესმოდა — ამდენი ფული რომ მოგეცი, რას ფიქრობ, სული აღარ უნდა მომყიდოო?!

ორი კვირა გაოგნებული დავდიოდი, საკუთარ სიცოცხლეს მივტიროდი. აზრზე არ ვიყავი, რა თავში უნდა მეხალა ამდენი ფული, რაში მჭირდებოდა მარტოხელას და უპატრონოს?!

პატარა მარიამის ავადმყოფობამ გონს მომიყვანა. მისი გაჭირვება რომ გავიგე, მივხვდი, უფალმა ჩემი განკურნებაც გადაწყვიტა... საჭირო თანხის რაოდენობაზე ორჯერ მეტი ავუტანე მის მშობლებს და შევეხვეწე, არ გაემხილათ, ისე მოეხმარათ. მაგრამ სიხარულმა ვერ შეაძლებინა მათ დუმილი...

თანხის დიდი ნაწილი სოფელში დავურიგე ჩემს და-ძმებსა და მათ შვილებს. ჯერ შეეშინდათ, ეგონათ — მოვიპარე. სიმართლე რომ ვუთხარი, კიდევ უფრო შევეცოდე — ცოცხლად დაგიმარხავს თავიო...

ყაჩაღებმაც საკმაოდ წაიღეს და როგორც გითხარით, არ ვნანობ, ღმერთმა შეარგოთ, ცემის ღირსიც ვიყავი და უნდა მოვეკალი კიდევაც... რადგან გადავრჩი, ალბათ კიდევ მოითხოვს უფალი ჩემგან მონანიებას.

ახლობლები ოჯახის შექმნას მაძალებენ: ჯერ კიდევ არ არის გვიანო. მაგრამ არ მინდა, არ შემიძლია... სხვა რამ მინდა: ყველაფერი მემარჯვება, არ არსებობს საქმე, ჩემს ხელებს რომ არ ეკეთებინოს და არ გამომსვლოდეს... სოფელში წავალ და რადგან იქ არ არის ეკლესია, საკუთარი ხელით ავაგებ, აუცილებლად ღვთისმშობლის სახელზე ვაკურთხებინებ და თავადაც იქვე დავსახლდები, სიცოცხლის ბოლომდე მინდა ლოცვასა და მონანიებაში ვიყო.




# სასამართლო ქრონიკა

DURA LEX SED LEX

ყოველთვიური ჩანართი

N39 27.09.2004




# იტალიური „სუფთა ხელები“ ქართულ „ხელის ჭუჭყში“

გვანცა ლიპარტელიანი

ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ მოწვევით გასულ კვირას თბილისს იტალიაში ფართოდ ცნობილი პროკურორი ჯერარდო კოლომბო ეწვია. პოპულარული ტელესერიალის გმირის მოგვარე პროკურორმა 1992-98 წლებში მილანში მრავალი არასატელევიზიო დანაშაული გახსნა და წამყვანი როლი ითამაშა კორუფციის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლაში სახელწოდებით „სუფთა ხელები“. ჯერარდო კოლომბოს ჯგუფის მიერ წარმოებული გამოძიება ხუთი ათასზე მეტ ადამიანს შეეხო. გამოძიების შედეგად ბრალი წაუყენეს ორასზე მეტ პოლიტიკოსს, მათ შორის ოთხ ყოფილ პრემიერ-მინისტრს, 150 ყოფილ და მოქმედ პარლამენტარს, მინისტრს, აღმასრულებელი ხელისუფლების სხვადასხვა დონის ბევრ წარმომადგენელს, სახელმწიფო და კერძო საწარმოებსა და თვით მოსამართლეებსაც კი.

„სუფთა ხელებმა“ ფარდა ახადა იტალიაში გამეფებული მექრთამეობის სისტემას, რომელშიც ჩართულნი იყვნენ პოლიტიკოსები და მეწარმეები, გამოააშკარავა კორუფციის ფართო ქსელი მილანში, რის შემდეგაც ამ ქალაქს ხალხმა თანგენტპოლის-ი (საქრთამეთი) შეარქვა.

ჯერარდო კოლომბო ერთი იმათგანი იყო, ვინც ჯორჯო ამბროსოლოს მკვლელობას იძიებდა. თვით ჯორჯო ამბროსოლო გახლდათ იურისტი, რომელსაც ევალებოდა „ბანკო ამბროსიანოს“ აქტივების შემოწმება. ამ ბანკის გაკოტრება იტალიის ისტორიაში ყველაზე დიდი ფინანსური სკანდალი იყო.

სხვადასხვა დროს კოლომბო მუშაობდა პარლამენტის მრჩევლად, მოსამართლედ, პროკურორად. მას გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე წიგნი საკანონმდებლო საკითხებზე და ერთი მოგონებების წიგნი, სახელწოდებით „მახსოვრობის მავნე ჩვევა“.

საქართველოში ჯერარდო კოლომბომ რამდენიმე შეხვედრა გამართა. ყველა შეხვედრა, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, დახურულ კარს მიღმა წარიმართა. ძნელი სათქმელია, რაზე ესაუბრა იტალიელი პროკურორი საქართველოს გენერალურ პროკურორს და იუსტიციის მინისტრს, მაგრამ არასამთავრობო ორგანიზაციებთან გამართული შეხვედრის ერთ დეტალზე **ფონდ ALPE-ის ექსპერტი მერაბ ბასილაია** გვესაუბრა:

– საუბრის ძირითადი ნაწილი, რა თქმა უნდა, კითხვა-პასუხებისაგან შედგებოდა, ანუ ჩვენ ვცდილობდით მიგვეღო პასუხი და სტუმრის შეფასებები საქართველოში მიმდინარე ანტიკორუფციულ პროცესებზე. ბუნებრივია, იტალიური „სუფთა ხელების“ გამოცდილების მაგალითზე. უაღრესად საინტერესო იყო ბატონი კოლომბოს ხედვა კორუფციასთან ბრძოლის საქმეში პროკურატურა-პოლიციის კოორდინირებულ საქმიანობასა და სასამართლოს როლზე. თუმცა თავად სტუმარმა ჩვენ მხოლოდ ორი თუ სამი შეკითხვა დაგვისვა და ყველა მათგანი ფულის გათეთრებისა და ქვეყანაში ნაღდი ფულის ბრუნვის საკითხებს ეხებოდა. მე არ ვიცი, ბატონი კოლომბო საქართველოში სწორედ ამ საკითხებზე საკონსულტაციოდ მოიწვიეს თუ არა, მაგრამ მას გაკვირვება არ დაუმალავს, როდესაც მოისმინა ჩვენი ინფორმაცია ქვეყანაში ნაღდი ფულით ანგარიშსწორების მასშტაბებზე.

*„თუ ფულის ასეთი მასა, ბიზნეს და კერძო გარიგებები საბანკო სისტემის მიღმა რჩება, არ მესმის როგორ ახერხებენ თქვენი სამართალდამცავები კორუფციული საქმეების გამოძიების წარმართვას“*, – ჯერარდო კოლომბო ამ კითხვაზე კვალიფიციურ პასუხს, ალბათ, პროკურატურაში უფრო მიიღებდა, თუმცა ვფიქრობ, რომ ეს უაღრესად აქტუალური საკითხია და მიუხედავად ბევრი ლაპარაკისა, რადიკალური ნაბიჯები ამ მიმართულებით არ გადადგმულა. არ გადადგმულა თუნდაც საკანონმდებლო დონეზე. მინდა ვიფიქრო, რომ საქართველოში იწყება ამ თემის აქტუალიზაცია და ავტორიტეტული ექსპერტის ეს ვიზიტიც ამ კონტექსტში წარიმართება.

# ძალადობის გამხელილი და გაუმხელელი ფაქტები

**ძალადობა დაკავებისას და წინასწარი დაკავების იზოლატორებში, – ეს ტრადიცია ქართულ სამართალდამცავ სისტემაში უკეთესობისკენ არ შეცვლილა. ყოველ შემთხვევაში, ამაზე მეტყველებენ ციფრები, და ამასვე ადასტურებენ პრეზიდენტის მიერ შექმნილი სპეციალური საბჭოს წევრები.**

**საბჭოს ერთ-ერთი წევრის, „თავისუფლების ინსტიტუტის“ წარმომადგენლის, თეა თუთბერიძის თქმით, მათ მიერ მოპოვებული მონაცემები შემაშფოთებელია. იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც 2004 წელს სხეულის დაზიანებებით შეიყვანეს სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში, 500-ს აჭარბებს. თუმცა, მისი აზრით, საბჭოს ხელთ არსებული მონაცემები სავარაუდოდ სრულყოფილი არ არის და წინასწარი დაკავების იზოლატორებში ნაცემი და ნაწამები პატიმრების რეალური რიცხვი გაცილებით დიდია. ამ ადამიანთაგან მხოლოდ 114 აცხადებს, რომ მათ დაზიანება მიიღეს წინასწარი დაკავების იზოლატორებში, ხოლო დანარჩენი თავს იკავებს საჯაროდ ძალადობის ფაქტის აღიარებისგან და შიშის გამო მხოლოდ პირადი საუბრებით იფარგლება.**

**„თავისუფლების ინსტიტუტის“ მიერ გამოვლენილი კონკრეტული ძალადობის ფაქტები გახდა პრობლემაზე მსჯელობის საგანი ამ ორგანიზაციაში გამართულ პრესკლუბის სესიაზე. მსგავსი ფაქტები კი, როგორც უკვე ითქვა, არცთუ ისე ცოტაა.**

## ფაქტი №1

7 აგვისტოს ისანი-სამგორის პოლიციის თანამშრომლებმა, ნარკოტიკების მოხმარების ბრალდებით, მამუკა ჩუბინიძე დააკავეს. დაკავებულის განცხადებით, ნარკოტიკული ნივთიერება მას პოლიციის თანამშრომლებმა თავად ჩაუდეს. ისანი-სამგორის რაიონის №1 პოლიციის ქვეგანყოფილებაში გადაყვანილმა ჩუბინიძემ დანაშაული არ აღიარა და შესაბამისად, არც აღიარებით ჩვენებას მოაწერა ხელი. ამ ფაქტით გაღიზიანებულმა პოლიციის ქვეგანყოფილების უფროსმა, მამუკა დავითინიძემ იგი სასტიკად სცემა, რის გამოც დაკავებულმა სხეულის სერიოზული დაზიანებები მიიღო.

ისანი-სამგორის პოლიციის სამმართველოში გადაყვანილმა ჩუბინიძემ მოითხოვა ადვოკატისა და ექსპერტიზის დანიშვნა, რაზედაც უარი მიიღო. ამ მოთხოვნების წამოყენების შემდეგ ის კიდევ ერთხელ გადაიყვანეს ისანი-სამგორის ქვეგანყოფილებაში, სადაც ქვეგანყოფილების უფროსმა დაკავებული კიდევ ერთხელ სცემა.

*„პოლიციის უფროსი წიხლებითა და მუშტებით გამეტებით მირტყამდა თავსა და გულმკერდის არეში, რის შედეგადაც ორჯერ დავკარგე გონება“*, – განუცხადა ჩუბინიძემ „თავისუფლების ინსტიტუტის“ წარმომადგენლებს, რომლებმაც დაკავებული მოინახულეს. „თავისუფლების ინსტიტუტის“ მიერ დაკავებულთან მიყვანილი ექიმების განმარტებით, გარეგანი დათვალიერებით დაკავებულს სხეულსა და თავის არეში სერიოზული დაზიანებები აღენიშნება, თუმცა მისი შინაგანი ორგანოებისა და თავის ტვინის გამოსაკვლევად სპეციალური სამედიცინო აპარატურაა საჭირო.

*„ჩუბინიძის დაკავება პროცესუალური ნორმების დარღვევით მოხდა, იგი დილის ათ საათზე დააკავეს, თუმცა დაკავების ოქმი დაახლოებით 16 საათზე გააფორმეს, რაც იმას ადასტურებს, რომ რამდენიმე საათის განმავლობაში იგი აბსოლუტურად უკანონოდ ჰყავდათ დაკავებული“*, – აცხადებს სახალხო დამცველის მოადგილე ბაჩო ახალაია.

ისანი-სამგორის რაიონის სასამართლომ მამუკა ჩუბინიძეს სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

„თავისუფლების ინსტიტუტმა“ მამუკა ჩუბინიძის საქმესთან დაკავშირებით გენერალურ პროკურატურას მიმართა და მოითხოვა ამ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმის აღძვრა.

დასასრული მე-19 გვერდზე



# თქვენი უფლებები დაკითხვისას

## მოწმის დაკითხვა

მოწმის დაკითხვა შეიძლება არსებულ საქმესთან დაკავშირებით, ასევე ექვმიტანილის, ბრალდებულისა და დაზარალებულის ვინაობის დასადგენად.

**მოწმე უნდა დაიკითხოს სხვა მოწმეთაგან განცალკევებით. ამასთან, გამომძიებელმა უნდა მიიღოს ზომები, რათა ერთ საქმეზე გამოძახებულ მოწმეებს არ ჰქონდეთ ურთიერთობა დაკითხვის დამთავრებამდე.**

დაკითხვამდე გამომძიებელმა უნდა დაადგინოს მოწმის ვინაობა, აუხსნას, თუ რა საქმეზეა გამოძახებული და გააფრთხილოს, რომ ვალდებულია თქვას ყველაფერი, რაც იცის ამ საქმესთან დაკავშირებით. მოწმემ ისიც უნდა იცოდეს, რომ ჩვენებაზე უარის თქმის ან ცრუჩვენების მიცემის შემთხვევაში იგი მიეცემა სისხლის სამართლის პასუხისგებაში. მას, აგრეთვე, უნდა განუმარტონ, რომ ვალდებული არ არის მისცეს ისეთი ჩვენება, რომლითაც საკუთარ თავს ან ახლო ნათესავებს ამხელს დანაშაულის ჩადენაში.

მოწმის თხოვნით, დაკითხვას შეიძლება დაესწროს მისი ადვოკატი. ადვოკატის გამოუცხადებლობა არ აფერხებს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას.

## არასრულწლოვანი მოწმის დაკითხვა

არასრულწლოვანი მოწმის დაკითხვა შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ მას შეუძლია სიტყვიერად ან სხვა ფორმით წარმოადგინოს საქმისათვის მნიშვნელოვანი ცნობები. არასრულწლოვანი მოწმის დაკითხვა ტარდება მისი პედაგოგის ან კანონიერი წარმომადგენლის თანდასწრებით.

**7 წლამდე ასაკის** მოწმის დაკითხვა შეიძლება მხოლოდ მშობლის, მისი არარსებობის შემთხვევაში კი - მეურვის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით. არასრულწლოვანთა წარმომადგენლებს უფლება აქვთ დაესწრონ დაკითხვას, გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები და, გამომძიებლის ნებართვით, დასვან შეკითხვები.

**14 წლამდე ასაკის** მოწმეს განუმარტავენ მის მოვალეობას ილაპარაკოს მხოლოდ სიმართლე, მაგრამ არ აფრთხილებენ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის, ან ცრუჩვენების მიცემისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ.

**ყრუ-მუნჯი** მოწმის დაკითხვა ტარდება იმ პირის მონაწილეობით, რომელიც იგებს მის ნიშნებს. ეს ფაქტი აუცილებლად უნდა აისახოს ოქმში.

**მძიმე ავადმყოფი** მოწმის დაკითხვა, ყველა შემთხვევაში, ტარდება ექიმის წერილობითი ნებართვით, ხოლო თუ ექიმი აუცილებლად მიიჩნევს - მისი თანდასწრებით.

## ექვმიტანილის დაკითხვა

**ექვმიტანილის დაკავების შემთხვევაში, მისი დაკითხვა უნდა ჩატარდეს პოლიციის დაწესებულებაში ან მოკვლევის ორგანოში მისი მიყვანიდან 24 საათში. ექვმიტანილს უფლება აქვს ჩვენება მისცეს დამცველის თანდასწრებით. თუ დამცველის გამოცხადება არ ესწრება მოცემულ დროში, მომკვლევი, გამომძიებელი, პროკურორი ვალდებულნი არიან უზრუნველყონ მისი მონაწილეობა, ხოლო დაკავებულს განუმარტონ, რომ დამცველის მოსვლამდე უფლება აქვს არ მისცეს ჩვენება.**

**დაკითხვის დაწყებამდე მომკვლევმა, გამომძიებელმა, პროკურორმა ექვმიტანილს უნდა აცნობონ ეჭვის საფუძველი და განუმარტონ მისი უფლებები.**

**ექვმიტანილის დაკითხვა ხდება ბრალდებულის დაკითხვისათვის დადგენილი წესის მიხედვით.**

### ვინ შეიძლება იყოს დასაკითხი პირი?

დასაკითხი პირი შეიძლება იყოს მოწმე, დაზარალებული, ექვმიტანილი და ბრალდებული.

### სად და ვის მიერ ხდება დაკითხვა?

დაკითხვას აწარმოებს მომკვლევი ან გამომძიებელი წინასწარი გამოძიების ან დასაკითხის ყოფნის ადგილას.

### როგორ ხდება დაკითხვაზე გამოძახება?

დასაკითხ პირს გადასცემენ უწყებას, რომელშიც მითითებული უნდა იყოს, თუ ვინ იძახებს მას და რისთვის, ასევე გამოცხადების დღე და საათი. გარდა ამისა, უწყებაში განმარტებული უნდა იყოს შედეგები, რასაც გამოიწვევს არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა.

### როგორ ხდება დასაკითხი პირის დადგენა?

დაკითხვის დაწყებამდე მომკვლევმა ან გამომძიებელმა დასაკითხს უნდა გამოჰკითხოს სახელი და გვარი, დაბადების დრო (წელი, თვე, რიცხვი) და ადგილი, საცხოვრებელი და სამუშაო ადგილი, თანამდებობა, სარგებლობს თუ არა იმუნიტეტით, არის თუ არა ნასამართლევი და შემდეგ მიღებული მონაცემები შეუდაროს დასაკითხის პირად დოკუმენტებში არსებულ მონაცემებს.

### რომელ ენაზე ტარდება დაკითხვა?

დამკითხავმა უნდა დაადგინოს, იცის თუ არა დასაკითხმა სამართალწარმოების ენა, ან რომელ ენაზე შეუძლია და სურს ჩვენების მიცემა. საჭიროების შემთხვევაში, იძახებენ თარჯიმანს, რომლის მოსვლამდეც დაკითხვა არ უნდა დაიწყოს.

### როგორ მიმდინარეობს დაკითხვის პროცესი?

დასაკითხ პირს უნდა განუმარტოთ, თუ რა საქმეზეა გამოძახებული და ჰკითხონ, რა იცის მან საქმის გარემოებათა შესახებ. დასაკითხს თავისუფალი თხრობა არ უნდა შეაწყვეტინონ, მაგრამ თუ იგი ლაპარაკობს გარემოებებზე, რომლებიც აშკარად არ ეხება საქმეს, მომკვლევს ან გამომძიებელს უფლება აქვს ის შეაჩეროს. თავისუფალი თხრობის შემდეგ დასაკითხ პირს ჩვენების შევსებისა და დაზუსტების მიზნით შეიძლება დაუსვან კითხვები. დაკითხვისას დაუშვებელია მისახვედრი კითხვების დასმა (მისახვედრი კითხვები პირდაპირ ან არაპირდაპირ მიანიშნებენ მოსალოდნელ პასუხს). დაკითხვის დროს დასაკითხ პირს შეუძლია გამოიყენოს მის ხელთ არსებული ან საქმეზე დართული დოკუმენტები და სხვა ჩანაწერები.

**დაკითხვის დროს შეიძლება აუდიო და ვიდეოჩაწერა, ასევე კინოგადაღება. ხმის ჩაწერა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დასაკითხი პირი ამის წინააღმდეგი არ არის.**

### როგორ ხდება დაკითხვის ოქმის შედგენა?

დაკითხვის შემდეგ აუცილებლად დგება ოქმი, რომელშიც აღწერილია დაკითხვის პროცესი, ოქმს გასაცნობად წარუდგენენ დაკითხულ პირს, რომელიც ხელმოწერით ადასტურებს ჩვენების ჩანაწერის სისწორეს და ხელს აწერს ოქმის ბოლოს, თუ ჩვენება რამდენიმე გვერდს მოიცავს, იგი ხელს აწერს თითოეულ გვერდს. დაკითხულს შეუძლია მოითხოვოს ოქმში შესწორებისა და დამატების შეტანა, რაც აუცილებლად უნდა დაკმაყოფილდეს. დასაკითხს უფლება აქვს თვითონ დაწეროს ჩვენება.

### რამდენ ხანს შეიძლება გაგრძელდეს დაკითხვა?

დაკითხვის საერთო ხანგრძლივობა დღის განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს 8 საათს. უშუალოდ დაკითხვა კი 4 საათზე მეტ ხანს არ უნდა გაგრძელდეს. შეიძლება პირის დღის განმავლობაში რამდენიმეჯერ დაკითხვა, ოღონდ ერთსაათიანი შუალედებით.

## ბრალდებულის დაკითხვა

ბრალდების წაყენებისა და დამცველთან კონსულტაციის შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს დაკითხვა. თუ ბრალდებული თანამდებობის პირია და თავს არიდებს საგამოძიებო ორგანოებში გამოცხადებას, მტკიცებულებების შეგროვება და საბრალდებო დასკვნის შედგენა შესაძლებელია მისი დაკითხვის გარეშეც.

- **ბრალდებული უნდა დაიკითხოს დღის საათებში, გარდა გადაუდებელი შემთხვევისა.**
- **ბრალდებული უნდა დაიკითხოს წინასწარი გამოძიების ადგილას, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში, მისი ყოფნის ადგილას.**
- **ბრალდებულის დაკითხვა ტარდება სხვა ბრალდებულებისგან განცალკევებით.**
- **ბრალდებულის დაკითხვისას სავალდებულოა დამცველის დასწრება.**
- **ბრალდებულის პირველ დაკითხვაში მონაწილეობს პროკურორი.**
- **ბრალდებული უნდა დაიკითხოს წაყენებული ბრალდების საფუძველზე.**
- **დაკითხვის დაწყებამდე ბრალდებულს უნდა განუმარტონ, რომ უფლება აქვს უარი თქვას ჩვენების მიცემაზე.**
- **დაკითხვის დაწყებისთანავე გამომძიებელმა უნდა გაარკვიოს, ცნობს თუ არა ბრალდებული თავს დამნაშავედ წაყენებულ ბრალდებაში.**

**ბრალდებულის დუმილი ნიშნავს, რომ ის თავს დამნაშავედ არ ცნობს.**

**18 წლამდე ასაკის** ბრალდებულის დაკითხვაში მონაწილეობს მისი პედაგოგი ან კანონიერი წარმომადგენელი.

**ყრუ-მუნჯი** ბრალდებულის დაკითხვა ტარდება იმ პირის მონაწილეობით, რომელიც იგებს მის ნიშნებს.

## დაზარალებულის დაკითხვა

დაზარალებულის დაკითხვა ტარდება **მოწმის დაკითხვისათვის დადგენილი წესით.** განსხვავება ის არის, რომ **16 წლამდე** ასაკის, ასევე **ფსიქიკური და ფიზიკური ნაკლის** მქონე დაზარალებულის დაკითხვა ტარდება მისი წარმომადგენლის მონაწილეობით.

## დაპირისპირება

ბრალდებულს უფლება აქვს დაუპირისპირდეს იმ პირს, რომელიც ამხელს მას დანაშაულის ჩადენაში.

გამომძიებელს უფლება აქვს დააპირისპიროს ადრე დაკითხული ორი პირი, თუ მათ ჩვენებებში მნიშვნელოვანი წინააღმდეგობაა. დაპირისპირებამდე უნდა დაზუსტდეს, იცნობენ თუ არა დაკითხული პირები ერთმანეთს და რა ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან. დასაპირისპირებლად გამოძახებულ პირებს რიგრიგობით უნდა ჩამოართვან ჩვენება საქმის იმ გარემოებათა შესახებ, რომელთა გასარკვევადაც ტარდება დაპირისპირება. ამის შემდეგ გამომძიებელი მათ უსვამს კითხვებს. გამომძიებლის ნებართვით, დაპირისპირებაზე გამოძახებულ პირებსაც შეუძლიათ ერთმანეთს დაუსვან კითხვები. დაპირისპირებულთა წინა ჩვენებების გამოცხადება შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ისინი დაპირისპირებისას მისცემენ ჩვენებებს და მათ ოქმში შეიტანენ. დაპირისპირებას შეიძლება ესწრებოდნენ დამცველი, პედაგოგი, ექიმი, თარჯიმანი და დასაკითხის კანონიერი წარმომადგენელი.

გამომძიებელი ადგენს დაპირისპირების ოქმს და აცნობს მას დაპირისპირების მონაწილეებს, რომელთაც უფლება აქვთ მოითხოვონ ოქმში შესწორებისა და დამატების შეტანა. ორივე დაკითხული პირი ხელს აწერს თავის ჩვენებას და მთლიანად ოქმს.

ინგლისის პრესის საჩივრების კომისიის მასალები

**სარჩელი:** კომისიას სარჩელით მიმართა ტვიდელში მცხოვრებმა მამაკაცმა, რომელმაც განაცხადა, რომ ჟურნალისტმა შეცდომაში შეყვანის გზით მოიპოვა ინფორმაცია და 1998 წლის ივლისში გაზეთ *„ობზერვერში“* გამოაქვეყნა სტატია, სათაურით „იარაღის ოსტატმა შეიარაღების შეჯიბრში წარმატებას მიაღწია“. მოსარჩლის შეფასებით, ჟურნალისტმა დაარღვია პრაქტიკის კოდექსის მე-11 (**შეცდომაში შეყვანა**) მუხლი, ფოტოები, რომელიც გაზეთმა გამოაქვეყნა, მე-3 (**პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა**) და მე-4 (**შევიწროება**) მუხლების დარღვევას წარმოადგენდა.

# მამაკაცი „ობზერვერის“ წინააღმდეგ

ადგილი ჰქონდა კანონისათვის გვერდის ავლის მცდელობას. ჟურნალისტმა გადაწყვიტა ჟურნალისტური გამოძიება ჩაეტარებინა და გაზეთ *„სკოტლენდ ონ სანდეიში“* მოსარჩლის სახელს წააწყდა. მოსარჩლესთან პირველი ზარი, რედაქციის განცხადებით, პიროვნების იდენტიფიცირებას ისახავდა მიზნად და „შეცდომაში შეყვანის ერთგვარი მსუბუქი“ ფორმა იყო. კორესპონდენტს „არ ეგონა, თუ თავისი პროფესიული კუთვნილების გამხელის შემთხვევაში, მოსარჩლე მას ცეცხლსასროლ იარაღზე მუშაობის ფაქტს გაუმხელდა“, – განაცხადა რედაქციამ. გაზეთი კომისიის ყურადღებას ამახვილებდა იმ ფაქტზე, რომ მოსარჩლის სახლში შესვლისთანავე, ჟურნალისტმა თავისი ვინაობა გაამჟღავნა.



სტატიაში ნათქვამი იყო, რომ ოსტატი მუშაობდა რევოლვერის მარკაზე, რომელსაც ცეცხლსასროლი იარაღის შესახებ 1997 წლის აქტი არ ითვალისწინებდა და ხელისუფლება ასეთი იარაღის ამოღებაზე მუშაობდა. ფოტოებზე გამოსახული იყო ოსტატი, რომელიც ხელჯოხს იქნევდა.

მოსარჩლე ოსტატმა განაცხადა, რომ მას ტელეფონით დაუკავშირდა პიროვნება, რომელმაც თავი იარაღის მოყვარულად გააცნო. მოგვიანებით მათი საუბრის დეტალები გაზეთში გამოქვეყნდა. საღამოს, აღნიშნული პიროვნება მოსარჩლეს სახლში ფოტოკორესპონდენტის თანხლებით ესტუმრა, მხოლოდ ამის მერე გახდა ცნობილი მოსარჩლისთვის, რომ ჟურნალისტთან ჰქონდა საქმე. ფოტოებიც სწორედ მის სახლში გადაიღეს, რამაც მოსარჩლე წყობიდან გამოიყვანა, სურათებზე სწორედ მისი ეს მდგომარეობა იყო ასახული.

მოსარჩლე აღიარებდა, რომ შესაძლოა მისი საქმიანობა საზოგადოებრივი ინტერესის საგანი ყოფილიყო, თუმცა ინფორმაციის მოსაპოვებლად მისი შეცდომაში შეყვანა და ვინაობის არგამხელა, მოსარჩლის მტკიცებით, აუცილებლობას არ წარმოადგენდა. ამის დასტური იყო გაზეთ *„სკოტლენდ ონ სანდეისთვის“* მიცემული ინტერვიუ, რომელშიც მოსარჩლე დაუფარავად საუბრობდა თავის საქმიანობაზე. მან განაცხადა, რომ მზად იყო ესაუბრა ამ ჟურნალისტთანაც, ამ უკანასკნელს ნორმალურად რომ მიემართა მისთვის.

რედაქციამ პასუხად განაცხადა, რომ მაღალი რანგის მოხელემ ჟურნალისტთან საუბრისას, გამოთქვა შეშფოთება, რომ

**გადაწყვეტილება:** კომისიამ სარჩელს მხარი დაუჭირა.

**მოტივაცია:** კომისიამ გაიზიარა მხარეთა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საკითხი საზოგადოებრივი ინტერესის საგანი იყო. ამავე დროს კომისიამ აღნიშნა, რომ მისი განსჯის მთავარი თემა იყო ის, დაირღვა თუ არა კოდექსის ნორმა შეცდომაში შეყვანასთან დაკავშირებით და არსებობდა თუ არა ინფორმაციის მოპოვების სხვა გზა. კომისიამ აღნიშნა, რომ გაზეთს არ უცდია ინფორმაციის სხვა გზით მოპოვება და პირდაპირ შეცდომაში შეყვანის „მსუბუქი“ ფორმა გამოიყენა, როგორც ამას თავად გაზეთი აფასებდა. რედაქციამ ვერ წარმოადგინა იმის მტკიცებულებები, რომ აღნიშნულ შემთხვევაში ეს ერთადერთი აუცილებელი საშუალება იყო.

ფოტოპუბლიკაციებთან დაკავშირებით, კომისიამ განაცხადა, რომ საცხოვრებელ სახლში, ანუ კერძო ტერიტორიაზე ფოტოგადაღება დასაშვებია, მხოლოდ მფლობელის ნებართვით. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კომისიამ ყურადღება მიაპყრო იმ გარემოებას, რომ ფოტოზე ასახული მოსარჩლე იმყოფებოდა საკუთარი სახლის წინ არსებულ ბაღში, კარები იყო ღია და მას საჯარო ყურადღებისაგან დაცულობის დასაბუთებული მოლოდინი არ უნდა ჰქონოდა. მიუხედავად ამისა, კომისიამ დაუშვებლად მიიჩნია ამ ფოტოების გამოქვეყნება, რადგან მასზე ასახული იყო აღელვებული მოსარჩლე, ხოლო მისი აღელვების პროვოცირება თავად ჟურნალისტებმა მოახდინეს.

**12 ივლისი, 1998 წელი**

# ძალადობის გამხელილი და გაუმხელელი ფაქტები

დასასრული. დასაწყისი მე-17 გვერდზე

## ფაქტი №2

ვაკე-საბურთალოს პოლიციამ 2004 წლის 15 აგვისტოს კუს ტბაზე დააკავა რამდენიმე პიროვნება. მათ შორის იყო დავით სუჯიევი, რომელიც ვაკე-საბურთალოს პოლიციის განყოფილებაში სცემეს. დაკავებულს გამომძიებელმა ექსპერტიზის ჩატარების ნება არ დართო. როდესაც „თავისუფლების ინსტიტუტის“ წარმომადგენლები არკვევდნენ, თუ რატომ არ ჩაუტარეს სუჯიევს ექსპერტიზა, საქმიდან საერთოდ გაქრა მოთხოვნა ექსპერტიზის ჩატარებაზე.

პოლიციამ ბრალის წაყენების ვადებიც დაარღვია, თუმცა გამომძიებელი ამას კატეგორიულად უარყოფს. დაკავებულმა სუჯიევმა თარჯიმანი მოითხოვა. თარჯიმნის დანიშვნის თაობაზე გადაწყვეტილებას გამომძიებელი ხელს 22 სთ-სა და 45 წთ-ზე აწერს, როცა 72-საათიანი ვადა 22.30 წთ-ზე ამოიწურა, თუ დაკავებულთან თარჯიმნის გარეშე კომუნიკაცია არ ხერხდებოდა, პოლიცია მას თარჯიმნის გარეშე ვერც ბრალს წაუყენებდა, რაც ბრალის წაყენების ვადების აშკარა დარღვევაზე მიუთითებს.

„თავისუფლების ინსტიტუტმა“ დაკავების ფაქტის გამოძიების მოთხოვნით შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას მიმართა, რომელიც საქმეზე მოკვლევას აწარმოებს.

## ფაქტი №3

2004 წლის წლის 8 აგვისტოს, გორში, ყიფიანის ქუჩაზე დაახლოებით ოცმა პოლიციელმა მოქალაქე ვლადიმერ კოშკაძე დააკავა. დაკავებული, რომელიც ძლიერი ფიზიკური აღნაგობით გამოირჩევა, პოლიციელებმა „დუბინკებით“ საშინლად სცემეს. „თავისუფლების ინსტიტუტის“ წარმომადგენლებმა იგი თბილისის №1 საპყრობილეში, ორთაჭალაში მოინახულეს. ვლადიმერ კოშკაძის დაკავების ოპერაციას, დაკავებულის განცხადებით, გორის კრიმინალური პოლიციის უფროსი ხელმძღვანელობდა.


ფონდი
Alpe

მსოფლიო ბანკის
სასამართლო რეფორმის
პროექტის ფორმატში

აცხადებს კონკურსს
რეგიონალური
ტელემაუწყებლებისათვის

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა რეგიონალური ტელკომპანიების რედაქციებმა, შემოქმედებითმა ჯგუფებმა უნდა წარმოადგინონ 2004 წელს ეთერში გასული ან საგანგებოდ ამ კონკურსისათვის მომზადებული სიუჟეტები, რომელთა არსი მიესადაგება კონკურსის თემას **„ადამიანი სამართლის ძიებაში“**. სასურველია სიუჟეტში აისახოს რეგიონში მომხდარი რეალური სამართლებრივი კოლიზია, კონკრეტული მოქმედი გმირითა და ამ საქმის მიმდინარეობით პოლიციის, პროკურატურის, სასამართლო დონეზე (ან თუნდაც რომელიმე ერთ უწყებაში).

**წარმოდგენილი სიუჟეტები შეფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:**

- **რამდენად აქტუალური და პრეცედენტულია სიუჟეტში აღწერილი ამბავი**
- **რამდენად დაბალანსებულად და სრულად არის წარმოდგენილი მხარეთა პოზიციები**
- **რამდენად ლაკონიური და გასაგებია ამბის გადმოცემის სტილი**

სიუჟეტის ქრონომეტრაჟი არ უნდა აღემატებოდეს 10 წუთს.
სიუჟეტი უნდა წარმოადგინოთ VHS ფორმატში.

წარმოდგენილ ნამუშევრებს განიხილავს საგანგებოდ შექმნილი ჟიური.
კონკურსში გამარჯვებული სიუჟეტის ავტორები დაჯილდოვდებიან საგანგებო სერტიფიკატითა და ფულადი პრემიით 500 ლარის ოდენობით.
კონკურსში გამარჯვებული სიუჟეტი გადაიცემა საერთო ნაციონალური ფორმატით მაუწყებელი ტელეკომპანიის ეთერით.

**სიუჟეტების წარდგენის ბოლო ვადა: 2004 წლის, 25 ნოემბერი.**
**მისამართი: ალექსანდრე ჭავჭავაძის ქ. 8-33**
**ტელ.: 92 29 14. ფაქსი: 92 05 96**

მატიანე

მოამზადა სოფო ბუკიამ, მხატვარი მამუკა ტყეშელაშვილი

## თვითმარქვია გუბერნატორი

როგორც ინგლისური გაზეთები გადმოგვცემენ, ნიუ-ჯერსის შტატის სასამართლოში ერთი საინტერესო ამბავი ირჩევა. როგორც გაზეთები იტყობინებიან, მთელი რვა დღე ნიუ-ჯერსის შტატს ახალგაზრდა 22 წლის ქალი, აგნესა ჯილი განაგებდა, რომელსაც ახლა „გუბერნატორ ჯილს“ ეძახიან. ამ რამდენიმე ხნის წინათ, როდესაც შტატის გუბერნატორი ბუფალოში წასულა გამოფენაზედ, იმის მოადგილე უეცრად ავად გამხდარა და შტატის მართვა-გამგეობის საქმეს თვითნებურად შესდგომია აგნესა ჯილი, რომელსაც მთავრობის სტენოგრაფის თანამდებობა უჭირავს. ქალი მარჯვედ უძღვებოდა უმაღლეს მოხელეებთან მიწერ-მოწერის საქმეს, იმის ხელთ იყო სახელმწიფო ბეჭედი. ერთხელ მეზობელ შტატის მთავრობას ერთის დამნაშავის გაცემაც კი მოსთხოვა და იმისთანა სასიკეთო ამბები გააკეთა იმ რვა დღეში, რომ ხალხი მისი დიდი მადლიერი ყოფილა. გამოფენიდან დაბრუნებული გუბერნატორი განრისხდა ამაზედ და ამ ქალის ამბავი სასამართლოს გადასცა. ახლა სასამართლოსთან ნიუ-ჯერსის მაცხოვრებელნი დგანან თურმე და ამ ქალის დასჯას ეწინააღმდეგებიან.

„ივერია“ №227, 1901 წელი





## ვერდიქტი – ბაყაყებისთვის

ამას წინათ ბოსტონის სასამართლოში ერთი კაცი მისულა გარდარეული სახით: რამე მიშველეთ, ჩემმა მეზობელმა ბაყაყების მოშენება გადაწყვიტა და ის წყეულები არც დღე, არც ღამე არ მასვენებენო. მოსამართლეს მომჩივანისთვის უთქვამს, ბაყაყების ყოლის გამო კაცი გაესამართლებინოთ, არ გამიგიაო და ეს კაცი თავიდან მოუშორებია. მომჩივანს თავი არ დაუნებებია და მოსამართლეს უთხრა: „თუ ჩემი ხათრი გაქვს, ერთი ჩემთან სახლში წამოდი, სადილზე დაგპატიჟებო“. მოსამართლე მართლაც მივიდა ამ კაცთან სახლში და ორ წუთში გადარეული გამორბოდა ამ კაცის ბინიდან – ბაყაყების ყიყინს ვერ გაუძლო.

მართლაც ამ უბედურის კაცის მეზობელს სახლის ეზოში ერთი დიდი აუზი გაუკეთებია და იქ ჰყავს თურმე ხუთი ათასამდე ბაყაყი.

ამ ახირებულს კაცს გასათბობი აპარატიც დაუდგამს, ზამთარში ბაყაყები არ გამეყინოსო. ეს კაცი ამ ბაყაყებს უნივერსიტეტში აგზავნიდა თურმე და დიდძალ ფულსაც აკეთებდა. მუშტარიც ბევრი ჰყოლია, რადგანაც კარგი ჯიშის ბაყაყები გაუშენებია.

მოსამართლეს ეს საქმე გაურჩევია და იმ ბაყაყების პატრონისთვის ბაყაყების ქალაქგარეთ გაყვანა გადაუწყვეტია.

„ივერია“ №220, 1901 წელი



## 150 წლით უფროსი ძმა

ერთი ინგლისური გაზეთი შემდეგ ამბავს გადმოგვცემს. სასამართლოში ირჩეოდა თურმე ერთი საქმე მემკვიდრეობის თაობაზედ. დაუბარებიათ ერთი მოწმე და, სხვათა შორის, უკითხავთ: „გყავთ თუ არა ძმები და დებიო?“ მოწმეს მიუგია, რომ ერთი ძმა მყავდა, მაგრამ 150 წელია მას შემდეგ, რაც იგი გარდაიცვალაო. მოსამართლეს უფიქრია, რომ სასაცილოდ მიგდებსო და დარბაზიდან გაუძევებია. მაგრამ ამ მოწმეს უთქვამს, ჩემს შეურაცხყოფას არ გაპატიებ და საბუთის ქაღალდებს მოგიტან, სადაც დაგიმტკიცებ, რომ მართალი ვარო. ამაზედ მოსამართლემ გადაიხარხარა და უთხრა: თუ იმას დამიმტკიცებ, რომ შენი ძმა 150 წლის წინად გარდაიცვალა, ბოდიშს მოგიხდი და მოსამართლის მანტიას სამუდამოდ დავემშვიდობებიო. მოწმეს მართლაც წარუდგენია საბუთის ქაღალდები და დაუმტკიცებია, რომ იმისი ძმა მართლაც 150 წლის წინად მომკვდარა. აი საქმე როგორა ყოფილა: მოწმის მამას ცოლი 20 წლისას შეურთავს, მალე ვაჟი-შვილი გასჩენია, რომელიც იმავე წელს მომკვდარა. შემდეგ მამაც დაქვრივებულა და მეორე ცოლი 75 წლისას შეურთავს. გასჩენია ეს მეორე შვილი, მოწმე. სასამართლოში როდესაც საქმე ირჩეოდა, მოწმე 94 წლისა იყო. თუ მივუმატებთ ამას 56 წელს, რომელიც პირველის ძმის სიკვდილითგან მეორეს გაჩენამდე გავიდა, გამოვა სწორედ 150 წელიწადი.

„ივერია“ №218, 1901 წელი



## მზარეულები საპყრობილეში

კონსტანტინოპოლიდგან ატყობინებენ გაზეთებს, რომ სულთანის მზარეულთ „სტაჩკა“ განუზრახავთ. ამას წინად გამოუცხადებიათ, რომ თუ რამდენიმე დღის შემდეგ ჯამაგირს არ დაგვირიგებთ, თავს დავანებებთ მუშაობასო და ასეც მოქცეულან. სულთანმა რამდენიმე დღე ითმინა თურმე მშიერმა და შემდეგ ყველა მზარეული საპყრობილეში ჩააგდებინა, მზარეულისთვის საჭირო ხელსაწყოებიც საპყრობილეში ჩაატანინა და ახლა საწყალ მზარეულებს იქ აიძულებს სადილების მომზადებას.

„ივერია“ №222, 1901 წელი

ჩანართი დაფინანსებულია ევროპის კავშირის მიერ.

ჩანართში გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ ავტორებს და მათი შინაარსი არ უნდა იქნას გაგებული როგორც ევროკავშირის ოფიციალური პოზიცია.

ასოციაცია ALPE

მისამართი: თბილისი, ალ. ჭავჭავაძის ქ. 8/33

ტელ.: 996512, 922914 ფაქსი: 920596, E-mail: office@alpe.ge, www.alpe.ge

# აღსარებასავით მინდა ვთქვა...

*ეს ქალბატონი რამდენიმე წლის წინ ქალთა კოლონიაში იხდიდა სასჯელს. ხნიერი არ არის, მაგრამ ექვსი წლით პატიმრობამ თავისი დაღი დაასვა. მკითხველისთვის დარდის განდობა უახლოესი მეგობრისა და შემდეგ მეუღლის სიკვდილმა გადააწყვეტინა.*

*„გადავწყვიტე, ყველაფერი მომეთხრო და თითქოს დიდი ტვირთიც მომეხსნა, — მითხრა ჩემმა რესპონდენტმა, — ასეა, როცა წლების წინ ჩადენილი შეცდომის გამო სინანული მოგერევა, გინდა ვინმეს გადაუშალო გული“.*

*52 წლის მარგალიტა დ...ძემ 20 წლის წინ საქმიანობა ვაჭრობით დაიწყო. მაშინ ამას „სპეკულანტობას“ ეძახდნენ. ქალბატონ მარგალიტასთან უცხოეთიდან და რუსეთიდან ჩამოსულებს ნაირ-ნაირი ტანსაცმელი მიჰქონდათ. დიასახლისი კი სარფიანად ყიდდა და თავისი წილიც რჩებოდა. ყველანი კმაყოფილები იყვნენ — მომტანიც, მყიდველიც და, რაღა თქმა უნდა, გამყიდველიც.*

— თავდაპირველად, ამის გამო მე და ჩემს მეუღლეს უსიამოვნება გვქონდა... ჩვენს ოჯახში ყოველდღე უამრავი ადამიანი მოდიოდა ტანსაცმლის საყიდლად. სპეკულაცია მაშინ იკრძალებოდა. მტრისას, თუ მოულოდნელად მილიცია დაადგებოდა თავს რომელიმე სპეკულანტს. თავიდან მეც მეშინოდა, ვფრთხილობდი, მაგრამ მერე და მერე ჭკუა ვიხმარე, ფულს არ ვინანებდი იმათთვის, რომლებსაც ჩემი სახლის ჩხრეკა ევალებოდათ. მეტსაც გეტყვით, ყოველი თვის ბოლოს (როცა ახალ საქონელს მივიღებდი) უბნის ნაცნობი ინსპექტორები მოდიოდნენ, შინაურულად ვისაუბრებდით, ფულს ჩაიჯიბავდნენ, წავიდოდნენ და მეც მშვიდად განვაგრძობდი ვაჭრობას. დაკარგულად სულაც არ ვთვლიდი იმ ქრთამს, რადგან იმ თანხად ნამდვილად მიღირდა მშვიდი ცხოვრება. თანდათან ქმარიც შეეჩვია ჩემს საქმიანობას, მით უმეტეს, რომ ოჯახი წელში გაიმართა. ნელ-ნელა მუდმივი კლიენტები შემოვიკრიბე, ფულზე არასოდეს წუწუნებდნენ.

ჩემს მეგობარს, ეთერს, ძალიან უჭირდა. სამი შვილისა და ავადმყოფი ქმრის პატრონს თავისი მწირი ხელფასი ერთ კვირასაც არ ჰყოფნიდა. ერთხელ შევთავაზე, საქონლის ნაწილს მოგცემ, გაყიდე და პატარა მოგება დაგრჩება-მეთქი. დამიჯერა და საქმეცააწყო, მალე მასაც მოუმრავლდა მუშტარი. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ თავად დაიწყო მოსკოვში სიარული და საქონლის ჩამოტანა.

სამი წელი საქმე კარგად მიმდიოდა. მერე ერთმა ნაცნობმა კლიენტმა ნარკოტიკის გასაღება შემომთავაზა. სასტიკად ვიუარე, მაგრამ დამამშვიდა და დამარწმუნა — ეს გაცილებით სარფიანი საქმეა, თანაც მხოლოდ სანდო ხალხი მოგაკითხავს და არანაირი პრობლემა არ შეგექმნებაო. მართლაც, პირველ ხანებში ისე ვიხეირე, რომ ტანსაცმელი მთლიანად ეთერს გადავულოცე. მალე ვიღაცამ დამასმინა. სულ უცნობები დამესხნენ თავს, გაჩხრიკეს ყოველი კუთხე-კუნჭული და ნარკოტიკიც მიპოვეს. თუმცა მაშინ გადავრჩი — ნაცნობი კლიენტები დამეხმარნენ, ფულიც დიდძალი ჩავყარე, რათა ამ საქმიდან სუფთად გამოვსულიყავი. ნერვიულობაზე ჩემს მეუღლეს ინფარქტი მოუვიდა და ძლივს გადავარჩინე. მან კატეგორიულად ამიკრძალა ეს ეშმაკეული საქმე და მეც დავიფიცე, რომ ამიერიდან აღარ გავეკარებოდი, მაგრამ ვალს ხომ გასტუმრება უნდოდა, ამიტომაც ისევ დავიწყე ტანსაცმლით ვაჭრობა. ისევ შემიჩნდა ის ნაცნობი მამაკაცი: თავის დახსნაში ხომ დაგეხმარე. ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება, ახალ პარტიას მოგიტან, უცებ გაასაღებ და ვალსაც მალევე გაისტუმრებო. თუკი თავდაპირველად ეს კითხვა არ დამებადა, ახლა უკვე გაკვირვებულმა ვკითხე: თუ საშიში არაა, რატომ თავად არ ასაღებ-მეთქი. მოკლედ მომიგო: ჩემზე იეჭვებენ, რადგან ერთხელ უკვე მიპოვეს, შენ კი ტანსაცმლის „ბარიგა“ ხარ და ხალხის მისვლა-მოსვლა არ დააეჭვებთო. ეშმაკივით შემიჩნდა ის კაცი და დამიყოლია. სხვათა შორის, ისე წავიდა საქმე, რომ მალევე დავმშვიდდი. ცოტა ხნის შემდეგ იმ ჩემს მომმარაგებელს თვითონ ვთხოვე, კვლავ მოეტანა ნარკოტიკი. ერთ დღეს ეთერმა ტირილით შემომჩივლა: ნიკა (უფროსი ვაჟი) ნარკოტიკს მიეჩვია, გვიანღა შევამჩნიე ეს, რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე, აღარ ვიცი. მეზობლის ბიჭმა შეაჩვია ამ სისაძაგლეს. ის ბიჭი უბანში „ავტორიტეტადაა“ ცნობილიო. გულისკანკალით ვკითხე, რა გვარია ის ბიჭი-მეთქი. დამისახელა ჩემი მომმარაგებელი. ენა ჩამივარდა. ჩემი უახლოესი მეგობრის უბედურებაში ხომ მეც მერია ხელი? უფრო სწორად, მთავარი დამნაშავე მე ვიყავი, შვილების დედა, რომელიც ფულის გულისთვის ვწამლავდი ხალხს. საგონებელში ჩავვარდი. როგორც შემეძლო, დავამშვიდე ეთერი, მე კი საკუთარ თავს შევფიცე, რომ აღარ გავასაღებდი ნარკოტიკს.

ნიკა ღვიძლი შვილივით მიყვარდა. გულშემოყრილი ვადევნებდი თვალს მის მდგომარეობას. ცოტა ხნით თითქოს სძლია ამ საშინელ სენს, მაგრამ ეს მოჩვენებითი იყო.

ერთხელ, გვიან ღამით ეთერი მოიჭრა და მუხლებში ჩამივარდა: ნიკა ცუდად არის, ახლა თუ ნარკოტიკი არ მიიღო, შეიძლება მოკვდეს. იმ ჩემმა მეზობელმა მითხრა, შენს დაქალთან მიდი და ის გიშველისო.

აკანკალებულმა მოვუყევი ყველაფერი, არც ის დამიმალავს, რომ ნარკოტიკზე მას მერე ავიღე ხელი, რაც ნიკას ამბავი გავიგე-მეთქი. ეთერს არაფრის მოსმენა არ უნდოდა, ეგონა, ვუმალავდი წამალს. იძულებული გავხდი, ისევ იმ ძველ ნაცნობს დავკავშირებოდი. მან ულტიმატუმი წამიყენა, მაშინ ბევრი უნდა წაიღო და სამ თვეში გამისაღოო. სხვა გზა არ იყო, დავთანხმდი!.. ეთერს გავატანე შვილთან „წამალი“, მე კი სამი თვე აღარ დამცალდა, ორ კვირაში მოულოდნელად თავს დამადგნენ, მიპოვეს, რასაც ეძებდნენ და... ველარაფერმა მიშველა. ასე მოვხვდი ციხეში.



სამწუხაროდ, ნიკა უკვე ხელიდან წასული ნარკომანი იყო. ქალთა კოლონიაში გავიგე მისი სიკვდილის ამბავი. თავზარი დამეცა... მის ცოდვაში ხომ მეც მერია ხელი. სიხარბემ დამნაშავედ მაქცია...

ციხიდან გამოსულს ორი უახლოესი ადამიანი დაავადებული დამხვდა. ეთერს შვილზე დარდმა ბოლო მოუღო, ამ ორი წლის წინ გარდაიცვალა. მოკვდა ისე, რომ ჩემზე საყვედურიც არ დასცდენია. ერთხელ ვცადე ყველაფერი მეთქვა, მაგრამ აღარ მომისმინა. ისღა მითხრა: — მახსოვს, რა დღეში ჩავარდი, როცა ნიკასთვის „წამალი“ გთხოვე, ამიტომ ახლა აღარ მინდა იგივე დაგემართოსო.

ჩემი დაპატიმრების მერე ჩემს მეუღლეს კუჭის წყლული გაუმიზეზდა. ეთერის დაღუპვიდან ერთი წელიც არ იყო გასული, რომ ისიც გარდამეცვალა. ახლა სრულიად მარტო ვარ. ჩემი ორივე ვაჟი მოსკოვში ცხოვრობს. მართალია, გათავისუფლებისას აქ დამხვდნენ, მაგრამ ვატყობდი მემდუროდნენ, არადა, მე ხომ ყველაფერი მათთვის მინდოდა.

მთელი ყურადღება ეთერის შვილებზე გადავიტანე. მას ქალ-ვაჟი დარჩა. ნატო გათხოვილია, წლინახევრის შვილიც ჰყავს. არ მუშაობს და ვეჩიჩინები: გადი სამსახურში, ახალგაზრდა ქალი შინ რატომ უნდა იჯდე, ბავშვს მე მივხედავ-მეთქი...

**— ქალბატონო მარგალიტა, ძველი ნაცნობები აღარ შეგხმიანებიან?**

— მალევე მომაკითხეს, მაგრამ მიხვდნენ, რომ მათთან საქმეს აღარ დავიჭერდი და თავი დამანებეს.

**— არ გაგიჭირდათ დამნაშავეების გვერდით ექვსი წელი ცხოვრება?**

— იოლი იყო-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ გავოცდი, იმდენი ოჯახის ქალი აღმოვაჩინე.

**— ისინიც ნარკოტიკის გამსაღებლები იყვნენ?**

— მხოლოდ ერთი იყო ჩემი მუხლით. ერთი ულამაზესი ქალი იხდიდა სასჯელს მკვლელობისთვის. თურმე ქმარს სხვა ქალთან შეუსწრო, იმ კაცს კი, იმის მაგივრად, რომ ღალატი მოენანიებინა, ცოლს დაუწყო თურმე ჩხუბი და ხელითაც შეეხო. ქალსაც წინააღმდეგობა გაუწევია, მერე კი, გონდაკარგულს ლარნაკი ჩაურტყამს თავში. ჰოდა, მცირეწლოვანი შვილების დედა ციხეში მოხვდა (ისე, ამისთვის ქმრის მშობლებმაც და ნათესავებმაც იზრუნეს, თორემ ნაკლები ვადითაც შეიძლებოდა მისი დასჯა). ერთი 56 წლის ქალი ფულის გამოძალვისთვის იხდიდა სასჯელს. ერთ წარმოებაში მუშაობდა კადრების განყოფილების გამგედ და სამუშაოზე მოწყობისათვის ქრთამს იღებდა. ერთ-ერთმა დაუნომრა ფული და დაიჭირეს კიდეც. საწყალს ორი ოჯახი ჰყავდა საპატრონო — თავისი და გარდაცვლილი ძმისა...

დამნაშავედ არავინ იბადება. ცხოვრებას თვითონ მოაქვს უცნაური წესები... ძნელია, გაუძლო ცდუნებას, როცა გვერდით ბრჭყვიალა ნივთი დევს. როცა საკუთრად არასოდეს გქონია უბრალო რამეც კი, ძალაუნებურად მისკენ გაგექცევა ხელი. ჰოდა, სწორედ აქ არის ჩასაფრებული ეშმაკი — გაცდუნებს, მერე კი გვერდზე მიდგება და ხარხარებს... ის ქალები, რომლებზედაც გიამბეთ, ჩემთან შედარებით უცოდველი კრავები იყვნენ, რადგან მე ახალგაზრდებს შეგნებულად ვწამლავდი, ისინი კი — არა. თუმცა, შეგნებულად-მეთქი, ახლა ვამბობ, თორემ მაშინ დაბრმავებულივით ვიყავი და ვერც ვაცნობიერებდი ჩემს საქციელს. აზრზე მაშინ მოვედი, როცა ნიკა აღმოჩნდა მორევში.

ამას წინათ, ტელევიზიით აჩვენეს ერთი ბინა, სადაც დიდძალი ნარკოტიკი აღმოაჩინეს, გამახსენდა წარსული, ყველაფერი ცხადად დამიდგა თვალწინ და სწორედ მაშინ გამიჩნდა სურვილი — საზოგადოებისთვის ჩემი ამბავი აღსარებასავით მეთქვა.

***მარინა ბაბუნაშვილი***

ჩვენ გვწერენ

# ძნელია ყველაფრის თავიდან დაწყება

„გემუდარებით, ეს წერილი უახლოეს ნომერში გამომიქვეყნოთ, რადგან „კვირის პალიტრა“ იმ ადამიანის საყვარელი გაზეთია, ვისაც თქვენი საშუალებით მინდა, ბევრ რამეში გამოვუტყდე.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ცალმხრივი სიყვარულის მსხვერპლი გავხდი, ანუ გავყევი იმას, ვინც არ მიყვარდა. თითქმის თექვსმეტი წელია ვცხოვრობ ასე უსიხარულოდ, უსიყვარულოდ, უდღესასწაულოდ, ცრემლითა და დარდით სავსე. ერთადერთი სიხარული ჩემი შვილია... არ ვიცი, ვინ როგორ გაიგებს, მაგრამ ყოველთვის ვოცნებობდი დიდ და წრფელ სიყვარულზე; მეგონა, ისე წავიდოდი ამ ქვეყნიდან, რომ ასეთი გრძნობა არ მეღირსებოდა, მაგრამ... შემიყვარდა!

ჰო, ჩემო სიცოცხლე, შენზე ვლაპარაკობ. შემიყვარდი და მზად ვარ, თავი განაცვალო, რადგან შენი წყალობით ცხოვრებას სხვა თვალით შევხედე. შენ დამარწმუნე, რომ ადამიანს უფლება არა აქვს საკუთარ თავს საშინელი განაჩენი გამოუტანოს, რომ ერთადერთი, რაც არ იყიდება, სიყვარულია. მე ეს სიყვარული მაძლევს უზარმაზარ ძალას, რომლითაც ყველა დაბრკოლებას გადავლახავ.

...გაივლის დრო... შენ სხვის გვერდით დაიდებ ბინას, სხვა გეყოლება ცხოვრების მეგზურად. როცა ამ წერილს წაიკითხავ, მიხვდები ჩემს გულისნადებს, ამდენი ხანია, საგულდაგულოდ რომ ვინახავ.

მკითხველო, ამ წერილს თქვენთვისაც ვწერ, მინდა გირჩიოთ, მხოლოდ მოვალეობის გამო ნუ შექმნით ოჯახს; წლების მერე მიხვდებით, რომ არაფერია ეს ცხოვრება სიყვარულის გარეშე, მიხვდებით, მაგრამ ყველაფერი გვიანი იქნება...

სამწუხაროდ, ბევრს როდი ძალუძს ცხოვრების შეცვლა და ყველაფრის თავიდან დაწყება.

***ირენა***

# ძმრის საიდუმლოებანი



თურმე ძმრის, რომელსაც წარმატებით ვიყენებთ კერძების შესაზავებლად, კონსერვანტად, თმაზე გადასავლებად და მედიცინაშიც, შესაძლებლობანი ამით არ ამოიწურება.

გაგაცნობთ მის რამდენიმე საიდუმლოს:

1. გაბზარული კვერცხის ცილა ხარშვისას რომ არ გამოვიდეს ნაჭუჭიდან, მდუღარე წყალს დაამატეთ ცოტა ძმარი;

2. თუ გარეცხვამდე რამდენიმე წუთით ძმრიან წყალში ჩადებთ ჯინსის ტანსაცმელს — არ გახუნდება;

3. ნიკოტინის ან სხვა უსიამოვნო სუნი რომ გაქრეს ოთახიდან, მაგიდაზე დადგით ძმრიანი ფიალა (ან გაწმინდეთ ნებისმიერი ზედაპირი ძმრიანი ჩვრით);

4. საპურე გაწმინდეთ კვირაში 2-ჯერ მაინც ძმრიანი წყლით, შეამჩნევთ, რომ პური უფრო დიდხანს შეინარჩუნებს სიახლეს, არ დაობდება;

5. კვირაში ერთხელ გაწმინდეთ მაცივრის შიდაკედლები ძმრიანი ღრუბლით.

6. მონიკელებული ონკანები ახალივით იბრწყინებს, თუ ძმარში დასველებული ჩვრით გაწმენდთ.

***ლიზა №30***

# „ამ ხალხს მართლა სჭირდება შველა“

***ორიოდე დღის წინ მეგობარს ვახლდი ახლობლის ოჯახში, სადაც ისეთი ცოდვის კითხვა ტრიალებდა, მეგონა, მიცვალებული უსვენიათ-მეთქი. ისე, საგლოვად კი ჰქონდათ საქმე. ერთი კვირის წინ ზარ-ზეიმით გათხოვილი ქალიშვილი შინ მობრუნებულიყო. ოჯახის დანგრევის მიზეზი რომ გავიგე, გული გადამიქანდა და დღემდე ამაოდ ვცდილობ დავიწყებას. სიძეს, პირველ ღამეს, მიალერსების ნაცვლად გული მოუკლავს პატარძლისათვის, უცერემონიოდ განუცხადებია — ცისფერი ვარ, შენ მშობლებისა და ახლობლების თვალის ასახვევად შეგირთე. არაფერს მოგაკლებ, როგორც გინდა, ისე იცხოვრე. მე კი ჩემი გზა მექნებაო. გამშრალა გოგონა. კაცი, რომელიც სამი წელი უყვარდა, თურმე ატყუებდა და თან როგორ!. კინაღამ გაგიჟებულა 22 წლის უიღბლო პატარძალი. მეორე დღესვე გაბრუნებულა ოჯახში. თანაც წასვლამდე ყველაფერი დაწვრილებით ჩაუკაკლავს დედამთილ-მამამთილისთვის. მათთანაც ერთი ჭირის ცეცხლი დანთებულა და...***

***რა გვჭირს, რატომ გადავგვარდით, ხომ შეიძლება ასეთი რამ ხვალაც განმეორდეს? ეს კითხვები თურმე უამრავ ადამიანს აწუხებს.***

**ნათია (24 წლის):** — ერთი ბიჭი მოგვწონდა რამდენიმე გოგოს. ძალიან ლამაზი იყო, არც ჩვენ ვიყავით უშნოები, მაგრამ როგორც ქალებს, ზედაც არ გვიყურებდა. გვეტყოდა ხოლმე, — თქვენ ჩემი საუკეთესო მეგობრები ხართო. ეგ იყო და ეგ. მოგვიანებით გავიგეთ, „გეი“ ყოფილა. ვერ დავიჯერეთ.

მენანება, რომ ისეთ მოხდენილ ბიჭს არასოდეს ეყოლება ცოლ-შვილი... ასეთი ამბები მაშინებს და თანაც მაღიზიანებს...



**ნინო (17 წლის):** — ბაბუაჩემისაგან გამიგია: ჩვენს ახალგაზრდობაში ასეთი კაცის გამოჩენა იმხელა სირცხვილად ითვლებოდა, რომ შეიძლება ქუჩაში ვინმეს ჩაექოლაო. ამიტომაც თუ ვინმე ასეთი იქნებოდა, თურმე საგულდაგულოდ მალავდა თავის მიდრეკილებას. ალბათ ეს სწორი იყო. ადამიანებს მიბაძვის საოცარი უნარი გააჩნიათ; თანაც სიყმაწვილისა და სიჭაბუკის ზღვარზე ზოგჯერ გაურკვევლობა იპყრობთ და ცუდს იოლად ჰბაძავენ. ბევრი ბუნებით ასეთი არ არის, მაგრამ სამწუხაროდ, მიმბაძველობისა და გარყვნილების გამო სექსუალურ უმცირესობას ჰბაძავს. ამ ხალხს მართლა სჭირდება შველა.

**ნიკა (27 წლის):** — წელს ზღვაზე დასვენება ჩამშხამდა. ჩემს მეზობელ ნომერში ორი გოგო და ერთი „ცისფერი“ ბიჭი ცხოვრობდნენ. ყოველდღე მისი ცემის სურვილი მკლავდა. ისეთი თავხედი იყო, თავის ავადმყოფობას არც მალავდა. თუ ვინმე — ბიჭოო, მიმართავდა, თავს შეურაცხყოფილად თვლიდა და „შეურაცხმყოფელს“ ბოდიშის მოხდას სთხოვდა. ერთ დღესაც პლაჟზე ვიღაც ცოლიან ბიჭს დაუწყო „შებმა“. ამ დროს ცოლი წამოადგათ თავზე და იქ ისეთი ამბავი დატრიალდა, მტერსაც არ ვუსურვებ. ის უბედური კინაღამ ქვიშაში ჩამარხა. იმ დღიდან პლაჟზე გამოსვლისა ეშინოდა. მე მათნაირების დანახვაზეც გული მერევა. თუ ცისფერიც ნორმალური ადამიანია, მაშინ რატომ აღგავა ღმერთმა სოდომი და გომორი მიწის პირიდან?

**გურამი (58 წლის):** — ამ თემაზე ლაპარაკი კი არა, ფიქრიც მიჭირს. სულ მგონია, რომ რაღაც შეცდომა დავუშვით და შვილებს მეტისმეტი თავისუფლება მივეცით. როცა ტელეეკრანმა ამდენი სისაძაგლის ფრქვევა დაიწყო, რაღაც გამოსავლის ძიება გვმართებს, რომ მომავალი თაობები მაინც არ ჩაუცვივდნენ ეშმაკს ხელში. არავინ იცის, სად და როდის აფეთქდება ეს „ბომბი“.

ამას წინათ ჩემი მეგობრის ქალიშვილს გამოუცხადებია — არასოდეს გავთხოვდები. კაცები მძულს, მხოლოდ ქალებისკენ მიმიწევს გულიო. ის გოგო გაკოჭილი მიიყვანეს ეკლესიაში — მის სულს აშკარად ეშმაკეული დაეპატრონაო. ერთხელ შევესწარი, როცა ლოცვებს უკითხავდა მოძღვარი, როგორ იგრიხებოდა გოგო, როგორ ემანჭებოდა სახე. მართლა სატანას ჰყავს შეპყრობილი და ეგაა...

***ეკა ლომიძე***

# კაცი, რომელსაც საკუთარი დაბადება ახსოვს

***თუ გინდა რეზო ესაძის შემოქმედება შეიცნო, ყველაფერი ერთად უნდა გაითავისო — მისი ფილმები, ნახატები, ლექსები, ნათამაშები როლები. ბატონი რეზოს საუბარი, მიმიკა, არტისტიზმი — კიდევ სხვა თემაა. წელს მას 70 წელი შეუსრულდა. სულაც არ შეიცვალა, ისევ ენერგიული, ხალისიანი და შემოქმედებითად სავსეა. ინტერვიუზე მისულებს გვითხრა:***



— იმისათვის, რომ დაკარგო ასაკი, სწორად უნდა იცხოვრო. მე დავკარგე ასაკი, ესე იგი სწორად ვიცხოვრე... თორემ 70 წლის რომ ვარ, ხომ წარმოუდგენელია! ციფრი ნამდვილად დიდია. ადრე რომ გავიგებდი, კაცი 40 წლის იყო, ვიტყოდი, — აუ, რა ბებერია-მეთქი. ახლა კი, როცა მე გავხდი 70-ისა, მხოლოდ ერთი რამ მახსენდება: „ბინდისფერია სოფელი, უფრო და უფრო ბინდდება, რა არის ჩვენი სიცოცხლე, ჩიტივით გაგვიფრინდება"... ხომ გგონია, ჩიტს წონა არ აქვსო. რომ გაგიფრინდება, მაშინ იგრძნობ, რომ წონა ჰქონია...

**— ბავშვობა და სიჭაბუკე მაინც ყველაზე ხალასი ხანაა, რადგან მას არ ადგას თავს ახლობელთა სიკვდილის ჩრდილი. ასეთი ბედნიერება ცხოვრებაში აღარ მეორდება...**

— მე სხვას გეტყვით... ვიხსენებ ჩემს ბავშვობას. ვხვდები, რომ თურმე სიკვდილზე მაშინაც ვფიქრობდი და უფრო ნათლად, ვიდრე ახლა. როცა



რეზო ესაძის ნახატი

ხარი დაადგა სისხლს თავზე, დაყნოსა და დატორა მიწა

მივხვდი, შეიძლებოდა აღარ ყოფილიყო დედაჩემი, ჩემი ძმა, მამა, ბებია, უსაყვარლესი ბაბუა, იცით, როგორ მივუახლოვდი და მოვეფერე მათ?.. ეს იყო დიდი, მაღალი განცდა...

**— ისე, ბატონო რეზო, თქვენზე ამბობენ, საკუთარი დაბადებაც კი ახსოვსო, მართალია?**

— დიახ, მახსოვს... მახსოვს ლიბრი რომ მქონდა თვალზე გადაკრული და ვერაფერი დავინახე. მერე გაიხსნა ჩემი მხედველობა. პირველი, ვინც დავინახე, მისი სახე მკაფიოდ დამამახსოვრდა. როდესაც აღვწერდი, მეთანხმებოდნენ დედა და ბებია — კი, ნამდვილად ის იყოო...

**— ვისი სახე დაინახეთ?**

— მეზობლის ქალის. ბებიაქალი იყო. მან ამიყვანა პირველად ხელში და კოვზით ჩაი დამალევინა... ჩემი მეუღლეც მტუქსავს ხოლმე — როგორ შეიძლება შენი დაბადება გახსოვდესო. მახსოვს და რა ვქნა? ერთ ამბავს გავიხსენებ: მე, ჩემი მეუღლე და უფროსი ვაჟი ლენინგრადში ვცხოვრობდით. მთელი დღე რომ შრომობ, ოჯახს უვლი, საოცრად იღლები ადამიანი, დედა — განსაკუთრებით. მეც გადაღლილი ვიყავი. ვწევართ. ბავშვი ატირდა. მაშინ პამპერსები სად იყო!.. უნდა ამდგარიყავი, დაგებანა... რა თქმა უნდა, გვეძნელებოდა, მაგრამ მაინც ადგა ჩემი მეუღლე, ჩაბანა და ისევ დავწექით. პატარა არა და არ დაწყნარდა. ვუთხარი მეუღლეს: მოდი, როგორმე ვძლიოთ დაღლილობას, ავდგეთ. სულ 10 წუთი დაგვჭირდება, დავბანოთ ბავშვი მთლიანად. თვითონაც ჩაიძინებს და ჩვენც დაგვეძინება-მეთქი. მე ხომ მახსოვდა: მარტო ჩასვრილ ადგილს როცა მომბანდნენ, უამური შეგრძნება მრჩებოდა, თითქოს მეწვოდა კანი დაბანილისა და დასაბანის ზღვარზე. ავდექით, დავბანეთ და მართლაც მოისვენა...

**— კიდევ რა გახსოვთ ასეთი საოცარი?**

— მახსოვს, როგორ მივდიოდი ძილში: დავქანდებოდი თითქოს, სადღაც ჩავვარდებოდი და ჩამეძინებოდა...

**— ბავშვობაში თუ ლაპარაკობდით ამაზე?**

— არა... ამას ახლა ვიხსენებ... მაშინ რა ვიცოდი, დაბადება რა იყო. შეგრძნებაღა მახსოვდა. ზოგჯერ ისიც მგონია, რომ მუცლად ყოფნისას ხმა მესმოდა გარედან, იმიტომ, რომ მერე ის ხმები ვიცანი: დედის, მამის ხმა...

**— პირველი კბილის ამოჭრაც გახსოვთ?**

— უიმე... მაგას ნუ გამახსენებთ! მაგან მომსპო...

**— პირველი ლექსი როდის დაწერეთ?**

— უნივერსიტეტში რომ ვსწავლობდი ფიზიკის ფაკულტეტზე, მაშინ გამოვიდა მიხეილ კალატოზიშვილის „მიფრინავენ წეროები". ყველა მსჯელობდა ამ ფილმზე. ეზოში ვიდექით მე, შოთა ჩანტლაძე, ნოდარ დუმბაძე. მე გამოვთქვი განსხვავებული და... საწინააღმდეგო აზრი. არც მასეა საქმე, როგორც თქვენ ამბობთ... ერთი ნახევარი ძალიან კარგია, მეორე ნახევარი ფილმისა — არ ვარგა-მეთქი. „ამიშუხურდნენ" — როგორ, შენ, ფიზიკოსი, ჩვენ როგორ გვეწინააღმდეგები, ცოტა მორიდება მაინც იქონიეო... ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ჩვენ ლექსი დაგვიწერია და ხელოვნებაში უკეთ ვერკვევითო. ვუთხარი, ლექსს მეც დავწერ, თუ გინდათ, ახლავე-მეთქი. ვერ დაწეროო — ნოდარმა... დავნაძლევდით. რაზე დავწერო-მეთქი. ქარი ქრის და ამაზე დაწერეო... გავედი განზე და დავწერე:

*„ამ დილით, ამ დილით ქარიანს*
*შფოთავენ ხეები,*
*მე მინდა, მე მინდა ძალიან*
*გაყინულ ხელებით*
*დავწერო ისეთი სიმღერა —*
*უბრალო სრულიად.*
*შეციებულ, უცეცხლო*
*უგზოდ რომ უვლია,*
*ვთქვა, რაოდენ რთულია*
*უამრავ ფერებით*
*სიმღერა ქარში ნაწერი*
*გაყინულ ხელებით."*

ნოდარმა ორივე ხელი ასწია და დამიწერა: „მე, ჯვებე დუმბავა ვარ პადმიოტკა და ნაბოიკა რეზო ესაძისა და ოთარ ბაქრაძისა (ოთარი ჩემკენ იყო, დაწერსო — ამბობდა), რასაც ხელს ვაწერთ მოწმეები"... ეს ხელნაწერი შინ მაქვს. მეხვეწებიან, მოგვეციო. არ ვაძლევ არავის.

**— შოთა ჩანტლაძის უნივერსიტეტი გავიარეო, — ამბობენ მისი თანამედროვეები.**

— ეგ ჩემი ნათქვამია: უნივერსიტეტში ნიკო კეცხოველი იყო რექტორი და გარეთ, ეზოში — შოთა ჩანტლაძე. შოთა ყველას ეუბნებოდა ჩემზე — ამას უფრთხილდითო... მე ყველა მათგანზე პატარა ვიყავი... ნოდარ დუმბაძემ შემოიღო: რეზოია ესაძეს გაფიცებ, ეს გააკეთეო. და ასე მიფიცებდნენ ყველაფერზე... უნივერსიტეტში ყოჩივით ვიყავი, ჩემო ბატონო...

**— ყველა სფეროში გამოიჩინეთ ნიჭი: ფიზიკაში, პოეზიაში, მხატვრობაში, კინოხელოვნებაში...**

— ცხოვრებამ მოიტანა, ჩემო ბატონო... მე ამას ჩვეულებრივ ვუყურებ. ხომ არ ვფიქრობ, როგორ ჩავისუნთქო და ამოვისუნთქო... ასევე არ ვფიქრობ იმაზე — ვწერ, ვხატავ თუ ვიღებ...

ერთ ამბავს გიამბობთ: გომის მთაზე ვისვენებდი ოჯახით. მოიყვანეს ცხვარი დასაკლავად. ბევრი ეცადნენ, თვალში არ მომხვედროდა ცხვრის დაკვლა, მაგრამ სახლში ჩაკეტილმა მაინც ვიპოვე ფიცრებშუა ჭუჭრუტანა და იქიდან ვუყურე, როგორ მიათრიეს



ფილმზე მუშაობისას

ფეხზე თოკგამობმული ცხვარი და როგორ დაკლეს. ჩემს მწუხარებას საზღვარი არ ჰქონდა. ამ დროს საიდანღაც მოვიდა ხარი. დაადგა სისხლს თავზე, დაყნოსა და დატორა მიწა... თან ღმუოდა. იმ ხარმა მთლად მომიღო ბოლო და მაშინ პირველად ავღრიალდი. მას შემდეგ რამდენი დრო გავიდა... მეგონა, დამავიწყდა ყველაფერი, ამას წინათ ღამით გამახსენდა. ავდექი და დავხატე ის ხარი. მისი ზურგი და მთების ხაზი გავაერთიანე... ასე ამოტივტივდა ჩემში ხარის ემოცია.

**— რამდენი ამბავი იცით... არ გიფიქრიათ ბიოგრაფიული პროზა დაგეწერათ?**

— მე სიტყვაზე ძალიან ბევრს ვფიქრობ. მინდა ხილული სიტყვებით ვწერო. ისე, რომ თვალით მოსმენა შეიძლებოდეს და ყურით დანახვა... ასეთი პრინციპით ლექსის დაწერა უფრო იოლია...

**— ბატონო რეზო, თქვენი შემოქმედება მართლაც გამორჩეულია. რა იყო და რა არის თქვენი მთავარი მიზანი?**

— ვცდილობ, ჩემი ნამოღვაწარით ადამიანები დავუბრუნო საგნებს. ჩემს ბავშვობაში ყველაფერი ერთი მთლიანობა იყო: ყანა, ხბო, ცხენი, მესერი, ბებია, ძმა, დედა, მე... ეს მერე დავშორდით ადამიანები ყველაფერს და საგნებმაც ზურგი გვაქციეს... გაბუტულები არიან. წავბილწეთ ყველაფერი... ჩვენი უგუნური საქციელით დავშორდით ბუნებას, ერთმანეთს.

**— ბუნებასთან და ადამიანებთან სიახლოვე უკვე ხელოვნებაა. რამდენად ახლოს ხართ ოჯახის წევრებთან, შვილიშვილებთან?**

— ხანდახან ასე მგონია, ბავშვობა დამიბრუნდა ჩემი შვილიშვილების სახით. პატარა რეზო, თემური და საბა მყავს, ერთ შვილიშვილს კიდევ ველოდები დავუძახებ ხოლმე — მშვიდობით იარე, ბაბუა, კეთილი გზა გქონდეს-მეთქი. მე და საბა ერთად ვხატავთ... თქვენ რომ იცოდეთ, როგორ მთავრდება საღამო ჩვენს ოჯახში...

**— როგორ მთავრდება?**

— ო... ეს დიდი ამბავია. საღამოს მოვა საბა და მეტყვის: — ბაბუ, ნანა შენს საწოლში, ბაბუ! წავალთ, ერთად დავწვებით და ვიწყებთ მოყოლას დიდ ლომებზე, დიდ სპილოებზე, წითელქუდაზე.

**— ისეთი არტისტული ბაბუა ჰყავთ თქვენს შვილიშვილებს, არასოდეს მოიწყენენ...**

— არტისტულები თვითონ არიან. ესენი არიან ჩემი სიცოცხლეები. რეზიკო დიდი ინტელიგენტი ბიჭი მყავს, საბა — სულ ჩემი ბავშვობის ალი-კვალია...

*P.S. დავამთავრებ რეზო ინანიშვილის ჩანაწერით: „ძმაო რეზო, რა საოცარია, ასე მეჩვენება, შენი ყოველი ნაბიჯი თავისებური შემოქმედებაა, მე ხომ გიცნობდი როგორც მხატვარსაც. დღევანდელი დღის შთაბეჭდილება მაინც ყოველგვარ მოლოდინს გასცდა. თუნდაც მარტო ერთი ავტოპორტრეტისათვის გეკუთვნის ასი კოცნა მაგ შენს ჭკვიან შუბლში და გაკოცებ კიდეც, როდესაც გნახავ... კარგად მეყოლე და მუდამ ხალისით გამუშაოს ღმერთმა".*

**ლელა ჯიყაშვილი**






## ორშაბათი 27 სექტემბერი

კვირის პალიტრა

07.30 ალიონი 09.30 მულტსერიალი „მარსუპილამი" 10.00 „იმღერე რამე" 10.30 მხ. ფილმი „არ დაიჯერო რომ აღარა ვარ" 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 სერიალი „კარიბის გული" 13.00 კონცერტი 14.00 მოამბე ოსურ ენაზე 14.15 დოკ. ფილმი „ქალაქები" (რეიკიავიკი) 15.20 „ფორტუნა" 16.00 მოამბე ინგლისურ ენაზე 16.05 სერიალი „უშიშართა საოცარი თავგადასავალი" 16.30 „ფრაგმენტები სურათისათვის" - ზ. ყიფშიძე 17.00 მულტსერიალი „მარსუპილამი" 17.25 „ჩემი მშვენიერი ლედი" 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი „წვრილვარსკვლავთა ღამე" 19.00 „იმღერე რამე" 19.40 ბასტი-ბუბუ 21.05 სერიალი „კარიბის გული" 22.00 ღამის მატარებელი 00.00 მხ. ფილმი „ბერიკაცები„ (U)

19.00 მულტფილმი „მარსუპილამი" 19.30 „იმღერე რამე" 20.00 შეხვედრები ფიქრის გორაზე 20.40 სერიალი „წვრილვარსკვლავთა ღამე" 13-14ს. 21.30 ფორტუნა 22.00 მხ. ფილმი „მყუდრო სავანე„ (U)

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელელიპუტები" 10.00 სერიალი „შეყვარებული ქალები" 11.00 ღამის შოუ 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.40 კურიერი 12.20 სერიალი „ბევერლი ჰილზი" 13.30 მხ. ფილმი „დაქირავებული მკვლელები" 15.25 სერიალი „სასწრაფო" 16.30 სერიალი „მაშველები" 17.05 სერიალი „მაშველები" 17.25 პერეკროსტიკი 18.20 „ტელელიპუტები" 18.55 სერიალი „ბევერლი ჰილზი" 19.45 პატრული 20.00 სერიალი „შეყვარებული ქალები" 22.00 თამაში „ყველაზე ჭკვიანი" 23.00 ფილმი (ნ. ჯაფიაშვილის პროექტი) 00.00 მხ. ფილმი „2009: დაკარგული მეხსიერება". მთ. რ-ში: ანკილ კანგი (18).

07.00 სერიალი „უკიდურესი ზღვარი" 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00 ქრონიკა 08.10 ანიმაციური ფილმი „სანდოკანი - მალაიზიის ვეფხვი" 08.25, 02.25 იმედის მელოდიები 08.30 დოკ. სერიალი „ყველაზე ექსტრემალური" 09.20 „აქტიორი" 10.05 სერიალი „ტყუპები" 11.15 დროება 12.40, 16.25, 01.55 ტვ-მარკეტი 13.15 მხ. ფილმი „ბოგუსი„ (U) 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 01.45 ქრონიკა 15.25 სერიალი „კლონი„ 16.30 დოკ. სერიალი „საზღვაო ისტორიები" 17.30 ვაკაჭი-ნიუსი 18.05 სერიალი „ტყუპები" 20.00 სერიალი „კლონი„ 20.55 სერიალი „ყავა და ლუდი" 1-ლი ს. 22.45 საქმე N 23.10 „არ იდარდო" 00.25 სპ. პროგრამა „გოლი" 00.50 სერიალი „ნეშ ბრიჯესი„

09.00 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი„ 09.30 სერიალი „ველური მთვარე" 10.30 სერიალი „სინიორ ვიანელო" 11.00, 13.00, 14.00, 16.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 11.10 სერიალი „პატარა დიდი ბოზი" 11.35 ერთი ჟურნალისტის მზერა. გ. კალანდია. „გელინო" 12.05 ტელეჟურნალი „დები ტრევისის საოცარი სახლი" 13.05 სერიალი „პოლიციელი ქალები" 14.15 „ფარული კამერა" 14.45 „მუსიკა მზეზე" 15.00 სერიალი „მარია ემილია" 16.05 სერიალი „პოლიციელი ქალები" 17.00, 19.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 17.20 „ფარული კამერა" 17.50 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი„ 18.20 ტელეჟურნალი „სცენა" 19.05 სერიალი „ველური მთვარე" 20.45 სერიალი „სინიორ ვიანელო„ 21.15 სერიალი „პატარა დიდი ბოზი" 21.45 კრიმინ. დრამა „CSI: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" 22.45 „არჩევანის ზღვარზე„ 23.45 მხ. ფილმი "ბილი ფინგალი„ (15) (მაიკლ კეინი)

18.00 მულტსერიალი „ცეცხლის შვილები„ 21-22ს. 19.00 მინისერიალი „ადვოკატთა ბიურო" მე-10 ს. 20.00 დოკ. ფილმი 22.00 მხ. ფილმი „ჰაზარდის ზღვარი„ (15)

13.00, 00.30 ქართული მუსიკა 14.00 მხ. ფილმი „ბანკირებული" (U) 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს" 17.20 სერიალი „მილ-ედი" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი „ჯალათები" (U) 22.30 „საქმე და ცურვის"

08.00 "РТР Планета-ს„ პროგრამა 11.20 საბავშვო მუსიკალური კოლაჟი 12.00 ინდ.მხ.ფ. 14.00 ინდ.მხ.ფ. 17.00 "РТР Планета-ს„ პროგრამა 20.00 ინდ. ფილმი

10.00 დებატები (განმ.) 12.00 ვიპ-შოუ და კენო (განმ.) 13.00, 19.00 ტვ-შოპი 19.00 სერიალი „მუსკულები" (გან.) 19.30 ანიმაციური ფილმი „დარდუბალა" (განმ.) 20.00 ვიპ-შოუ და კენო 21.00 ტვ-შოპი 22.00 სერიალი „მუსკულები" 22.20 ნიკა ქავთარაძის ანეკდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 მ. მშვილდაძის შოუ 23.00 დებატები 202-ზე

08.00 ევრონიუსი 19.00 მულტფილმი 19.10 ქართული საესტრადო მუსიკა - ი. სოხაძე 19.15 დოკ. ფილმი 19.35 მუს. კლიპი - ზ. ორაშვილი 19.40 მხ. ფილმი 21.35 ევრონიუსი

06.00 "Доброе утро" 09.00, 12.00, 15.00, 18.00 Новости 09.10 Джеки Чан в боевике "ВЕЛИКОЛЕПНЫЙ" 11.00 Смехопанорама Евгения Петросяна 11.40 Дисней-клуб: "Аладдин" 12.10 Олег Ефремов в фильме "НОРКИНА ЖИЗНЬ" 14.00 Сериал "ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ" 15.20 Сериал "СЫЩИКИ" 16.30 "Фабрика звезд" 17.00 "Пять вечеров". Понедельник 18.20 "Пан или пропал". Поединок с Николаем Фоменко 19.00 Сериал "КЛОН" 20.00 Жди меня 21.00, 00.30 Время 21.30 Сергей Безруков в народном детективе "УЧАСТОК" 22.40 Специальное расследование. "Изнанка модельного бизнеса" 23.50 "Фабрика звезд" 00.20 Искатели. "Фаворитка Императора" 00.50 Владимир Пресняков в программе "Русский экстрим" 01.20 Приключенческий фильм "РЕЙД НА ЭНТЕББЕ" 03.40 Что? Где? Когда? 04.50 Сериал "Все путешествия команды Кусто". "Бомба на пятидесяти саженях"

## სამშაბათი 28 სექტემბერი

07.30 ალიონი 09.30 მულტსერიალი „მარსუპილამი" 09.55 „იმღერე რამე" 10.25 მხ. ფილმი „ბერიკაცები„ 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 სერიალი „კარიბის გული" 13.00 „მატარებელი" 14.00 მოამბე ოსურ ენაზე 14.15 „ლერერის შოუ" 15.20 „ანშლაგი" - ა. წერეთელი 16.00 მოამბე ინგლისურ ენაზე 16.05 სერიალი „უშიშრები" 16.30 ისტორიანი 17.00 მულტსერიალი „მარსუპილამი" 17.25 „ამბობენ" 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი „წვრილვარსკვლავთა ღამე" 19.00 „იმღერე რამე" 19.40 ბასტი-ბუბუ 21.05 სერიალი „კარიბის გული" 22.00 ქიმერიონი - ა. ვარსიმაშვილი 00.00 მხ. ფილმი „მოლანდება„ (U)

19.00 მულტფილმი „მარსუპილამი" 19.30 „იმღერე რამე" 20.00 ფრაგმენტები სურათისათვის 20.30 სერიალი „წვრილვარსკვლავთა ღამე" 21.30 კონცერტი - ვ. კახიძე 22.00 მხ. ფ. „ბადალების ერთი დღე„ (U)

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელელიპუტები" 09.40 სერიალი „შეყვარებული ქალები" 11.00 თამაში „ყველაზე ჭკვიანი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.30 კურიერი 12.20 სერიალი „ბევერლი ჰილზი" 13.20 მხ. ფილმი „იტალიელების საოცარი თავგადასავალი რუსეთში" 15.25 სერიალი „სასწრაფო" 16.30 სერიალი „ალფი" 17.05 სერიალი „მაშველები" 18.20 „ტელელიპუტები" 18.55 სერიალი „ბევერლი ჰილზი" 19.45 პატრული 20.00 სერიალი „შეყვარებული ქალები" 22.00 საფეხბურთო მიმოხილვა 22.45 ჩემპიონთა ლიგა. „რეალი„-„რომა" 01.00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.

07.00 სერიალი „უკიდურესი ზღვარი" 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00 ქრონიკა 08.10 ანიმაციური ფილმი „სანდოკანი - მალაიზიის ვეფხვი" 08.30 დოკ. სერიალი „ყველაზე ექსტრემალური" 09.30 „წუთისოფელში" მე-2 გადაცემა 10.05 სერიალი „ტყუპები" 11.15 სერიალი „ყავა და ლუდი" 12.15 სპ. პროგრამა „გოლი" 12.40, 03.40 ტვ-მარკეტი 13.15 მხ. ფილმი „კონტაქტი„ (U) 14.50, 16.20, 17.15, 04.10 იმედის მელოდიები 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.50, 22.00, 04.00 ქრონიკა 15.25 სერიალი „კლონი„ 16.30 დოკ. სერიალი „საზღვაო ისტორიები" 17.30 საქმე N 18.05 სერიალი „ტყუპები" 19.45 სერიალი „კლონი„ 20.55 სერიალი „ყავა და ლუდი" მე-2 ს. 22.30 „პირველები" 23.00 „პირველი ნახევარი" 23.30 „ინტერ-ნიუსი" 00.05 მხ. ფილმი „საიდუმლო" (U) (კ. ნაიტლი) 01.55 სერიალი „ნეშ ბრიჯესი" 02.50 „გოლი - სერია „A" (იტალიის ჩემპიონატი)

09.00 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი„ 09.30 სერიალი „ველური მთვარე" 10.30 სერიალი „სინიორ ვიანელო" 11.00, 13.00, 14.00, 16.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 11.10 სერიალი „პატარა დიდი ბოზი" 11.35 კრიმინ. დრამა „CSI: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" 12.05 ტელეჟურნალი „სცენა" 13.05 სერიალი „პოლიციელი ქალები" 14.15 „ფარული კამერა" 14.45 „მუსიკა მზეზე" 15.00 სერიალი „მარია ემილია" 16.05 სერიალი „პოლიციელი ქალები" 17.00, 19.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 17.20 „ფარული კამერა" 17.50 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი„ 18.20 ტელეჟურნალი „მოდა" 19.05 სერიალი „ველური მთვარე" 20.45 სერიალი „სინიორ ვიანელო„ 21.15 სერიალი „პატარა დიდი ბოზი" 21.45 კრიმინ. დრამა „CSI: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" 22.45 „არჩევანის ზღვარზე„ 23.45 მხ. ფილმი

18.00 მულტსერიალი „ცეცხლის შვილები„ 19.00 მინისერიალი „ადვოკატთა ბიურო" 20.05 დოკ. ფილმი 21.05 მხ. ფილმი (15)

13.00 ქართული მუსიკა 14.00 მხ. ფილმი 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს" 17.20 სერიალი „მილ-ედი" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი 22.30, 00.30 ქართული მუსიკა

08.00 "РТР Планета-ს„ პროგრამა 11.20 საბავშვო მუსიკალური კოლაჟი 12.00 ინდ.მხ.ფ. 17.00 "РТР Планета-ს„ პროგრამა 21.00 ინდ. ფილმი

10.00 დებატები (განმ.) 12.00 ვიპ-შოუ და კენო (განმ.) 13.00, 19.00 ტვ-შოპი 19.00 სერიალი „მუსკულები" (გან.) 19.30 ანიმაციური ფილმი „დარდუბალა" (განმ.) 20.00 ვიპ-შოუ და კენო 21.00 ტვ-შოპი 22.00 სერიალი „მუსკულები" 22.20 ნიკა ქავთარაძის ანეკდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 მ. მშვილდაძის შოუ 23.00 დებატები 202-ზე

08.00 ევრონიუსი 19.00 მულტფილმი 19.10 ქართული საესტრადო მუსიკა - ი. სოხაძე 19.15 დოკ. ფილმი 19.35 მუს. კლიპი - ზ. ორაშვილი 19.40 მხ. ფილმი 21.25 ევრონიუსი

06.00 "Доброе утро" 09.00, 12.00, 15.00, 18.00 Новости 09.20, 21.30 Народный детектив "УЧАСТОК" 10.30, 19.00 Сериал "КЛОН" 11.20 Мультсериал "Кошки-мышки" 11.40 Дисней-клуб: "Новые приключения Винни Пуха" 12.20 Приключенческий фильм "ОГНЕННЫЕ ВЕРСТЫ" 14.00 Сериал "ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ" 15.20 Сериал "СЫЩИКИ" 16.30 "Фабрика звезд" 17.00 "Пять вечеров". Вторник 18.20 "Пан или пропал". Поединок с Николаем Фоменко 20.00 Сериал "ЧЕРНЫЙ ВОРОН" 21.00, 00.30 Время 22.40 Секретное досье. "Китайская игрушка диктатора" 23.50 "Фабрика звезд" 00.20 "Звезды эфира". Николай Озеров 00.50 Большой взрыв. "Смертельное давление. Русский крест"

## ოთხშაბათი 29 სექტემბერი

07.30 ალიონი 09.30 მულტსერიალი „მარსუპილამი" 09.55 „იმღერე რამე" 10.35 მხ. ფილმი „მოლანდება" (U) 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 სერიალი „კარიბის გული" 13.00 „ფრაგმენტები სურათისათვის" 14.00 მოამბე ოსურ ენაზე 16.00 მოამბე ინგლისურ ენაზე 16.05 სერიალი „უშიშრები" 17.00 მულტსერიალი „მარსუპილამი" 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი „წვრილვარსკვლავთა ღამე" 19.00 „იმღერე რამე" 19.40 ბასტი-ბუბუ 21.05 სერიალი „კარიბის გული" 22.00 „მოამბეს" დამატება 00.00 მხ. ფილმი (U) 1-ლი ს.

19.00 მულტფილმი „მარსუპილამი" 19.30 „იმღერე რამე" 20.00 სერიალი „წვრილვარსკვლავთა ღამე" 21.30 ისტორიანი 22.00 მხ. ფილმი (U)

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელელიპუტები" 09.40 სერიალი „შეყვარებული ქალები" 11.00 ღამის შოუ 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.10 კურიერი 12.20 სერიალი „ბევერლი ჰილზი" 13.30 მხ. ფილმი 15.25 სერიალი „სასწრაფო" 16.30 სერიალი „ალფი" 17.05 სერიალი „რეალი" — „რომა" 17.05 სერიალი „მაშველები" 18.20 „ტელელიპუტები" 18.55 სერიალი „ბევერლი ჰილზი" 19.45 პატრული 20.00 სერიალი „შეყვარებული ქალები" 22.00 საფეხბურთო მიმოხილვა 22.45 ჩემპიონთა ლიგა. „ჩელსი„-„პორტო" 01.00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.

07.00 სერიალი „უკიდურესი ზღვარი" 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00 ქრონიკა 08.10 ანიმაციური ფილმი „სანდოკანი - მალაიზიის ვეფხვი" 08.25, 04.35 იმედის მელოდიები 08.30 დოკ. სერიალი „ყველაზე ექსტრემალური" 09.20 „აქტიორი" 10.05 სერიალი „ტყუპები" 11.15 სერიალი „ყავა და ლუდი" 12.15 სპ. პროგრამა „გოლი" 12.40, 16.25, 04.05 ტვ-მარკეტი 13.15 მხ. ფილმი „კონტაქტი„ (12) (რეჟ. პ. პაო) 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 03.55 ქრონიკა 15.20 სერიალი „კლონი„ 16.30 დოკ. სერიალი „საზღვაო ისტორიები" 17.30 საქმე N 18.05 სერიალი „ტყუპები" 20.00 სერიალი „კლონი„ 20.55 სერიალი „ყავა და ლუდი" მე-2 ს. 22.45 „პირველები" 23.25 „პირველი ნახევარი" 23.55 „ინტერ-ნიუსი" 00.20 მხ. ფილმი „საიდუმლო" (U) (ა. კოსენკო) 01.55 სერიალი „ნეშ ბრიჯესი" 02.50 „გოლი - სერია „A" (იტალიის ჩემპიონატი)

09.00 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი„ 09.30 სერიალი „ველური მთვარე" 10.30 სერიალი „სინიორ ვიანელო" 11.00, 13.00, 14.00, 16.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 11.10 სერიალი „პატარა დიდი ბოზი" 11.35 კრიმინ. დრამა „CSI: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" 12.05 ტელეჟურნალი „მოდა" 13.05 სერიალი „პოლიციელი ქალები" 14.15 „ფარული კამერა" 14.45 „მუსიკა მზეზე" 15.00 სერიალი „მარია ემილია" 16.05 სერიალი „პოლიციელი ქალები" 17.00, 19.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 17.20 „ფარული კამერა" 17.50 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი„ 18.20 შემეცნ. გასართობი პროგრამა „დები ტრევისის საოცარი სახლი" 19.05 სერიალი „ველური მთვარე" 20.45 სერიალი „სინიორ ვიანელო„ 21.15 სერიალი „პატარა დიდი ბოზი" 21.45 კრიმინ. დრამა „CSI: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" 22.45 „არჩევანის ზღვარზე„ 23.45 მხ. ფილმი "მარლენ დიტრიხი„ (15)

18.00 მულტსერიალი „ცეცხლის შვილები„ 19.00 მინისერიალი „ადვოკატთა ბიურო" 20.05 დოკ. ფილმი 21.50 მხ. ფილმი „ლუსი ობრაკი„ (15)

13.00 ქართული მუსიკა 15.00 მხ. ფილმი „ჯალათები" (U) 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს" 17.20 სერიალი „მილედი" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი „შურისგების მუშტი" (U) 22.30, 00.30 ქართული მუსიკა

08.00 "РТР Планета-ს„ პროგრამა 11.00 მუსიკალური კოლაჟი 12.00 ინდ.მხ.ფ. „„„ 14.00 "РТР Планета-ს„ პროგრამა 21.00 ინდ. ფილმი

10.00 დებატები (განმ.) 12.00 ვიპ-შოუ და კენო (განმ.) 13.00, 19.00 ტვ-შოპი 19.00 სერიალი „მუსკულები" (გან.) 19.30 ანიმაციური ფილმი „დარდუბალა" (განმ.) 20.00 ვიპ-შოუ და კენო 21.00 ტვ-შოპი 22.00 სერიალი „მუსკულები" 22.20 ნიკა ქავთარაძის ანეკდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 მ. მშვილდაძის შოუ 23.00 დებატები 202-ზე

08.00 ევრონიუსი 19.00 მულტფილმი „მგელი და ხბო" 19.10 ქართული საესტრადო მუსიკა - ი. სოხაძე 19.15 დოკ. ფილმი „კლდეში ნაშენი სამყარო" 19.30 მუს. კლიპი - ზ. ორაშვილი 19.35 მხ. ფილმი „ციმბირელი დალაქი„ 22.10 ევრონიუსი

06.00 "Доброе утро" 09.00, 12.00, 15.00, 18.00 Новости 09.20, 21.30 Народный детектив "УЧАСТОК" 10.30, 19.00 Сериал "КЛОН" 11.20 Мультсериал "Кошки-мышки" 11.40 Дисней-клуб: "Лило и Стич" 12.20 Поезд до Чаттануги в фильме "СЕРЕНАДА СОЛНЕЧНОЙ ДОЛИНЫ" 14.00 Сериал "ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ" 15.20 Сериал "СЫЩИКИ" 16.30 "Фабрика звезд" 17.00 "Пять вечеров". Среда 18.20 "Пан или пропал". Поединок с Николаем Фоменко 20.00 Сериал "ЧЕРНЫЙ ВОРОН" 21.00 Время 22.40 Тайны века. "Меньшие братья по оружию" 23.30 Ночное "Время" 23.50 "Фабрика звезд" 00.20 Теория невероятности. "Долгожители"

## ხუთშაბათი 30 სექტემბერი

07.30 ალიონი 09.30 მულტსერიალი „მარსუპილამი" 09.55 „იმღერე რამე" 10.35 მხ. ფილმი „ცეცხლთან თამაში„ (U) 1-ლი ს. 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 სერიალი „კარიბის გული" 13.00 ღამის მატარებელი 14.00 მოამბე ოსურ ენაზე 14.15 დოკ. ფილმი 15.20 „ფორტუნა" 16.00 მოამბე ინგლისურ ენაზე 16.05 სერიალი „უშიშრები" 16.30 ისტორიანი 17.00 მულტსერიალი „მარსუპილამი" 17.30 დოკ. ფილმი 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი „წვრილვარსკვლავთა ღამე" 19.00 „იმღერე რამე" 19.40 ბასტი-ბუბუ 21.05 სერიალი „კარიბის გული" 22.00 „ანშლაგი" 00.00 მხ. ფილმი „ცეცხლთან თამაში„ (U) მე-2ს.

19.00 მულტფილმი „მარსუპილამი" 19.30 „იმღერე რამე" 20.00 „ანშლაგი" 20.30 სერიალი „წვრილვარსკვლავთა ღამე" 21.30 ისტორიანი 22.00 მხ. ფილმი „ხსოვნა„ (U) 1-ლი ს.

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელელიპუტები" 09.40 სერიალი „შეყვარებული ქალები" 11.00 „ვის უნდა 50 ათასი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 12.20 სერიალი „ბევერლი ჰილზი" 13.30 მხ. ფილმი 15.25 სერიალი „სასწრაფო" 16.30 სერიალი „ალფი" 17.05 სერიალი „მაშველები" 18.20 „ტელელიპუტები" 18.55 სერიალი „ბევერლი ჰილზი" 19.45 პატრული 20.00 სერიალი „შეყვარებული ქალები" 22.00 „ვის უნდა 50 ათასი" 23.00 დოკ. ფილმი (ბი-ბი-სი) 00.00 მხ. ფილმი „ექსპერიმენტი". მთ. რ-ში: მორის ბლიაბტბოი, კრისტიან ბერკელი (18).

07.00 სერიალი „უკიდურესი ზღვარი" 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00 ქრონიკა 08.10 ანიმაციური ფილმი „სანდოკანი - მალაიზიის ვეფხვი" 08.25, 02.45 იმედის მელოდიები 08.30 დოკ. სერიალი „ყველაზე ექსტრემალური" 09.20 „აქტიორი" 10.05 სერიალი „ტყუპები" 11.15 სერიალი „ყავა და ლუდი" 12.20 თამაში „პოლიციის აკადემია" 12.40, 16.25, 02.15 ტვ-მარკეტი 13.15 მხ. ფილმი „ვინ წავა ტრუსოვეცში„ (U) (მ. ტერეხოვა) 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 02.05 ქრონიკა 15.20 სერიალი „კლონი„ 16.30 დოკ. სერიალი „საზღვაო ისტორიები" 17.25 „პირველი ნახევარი" 18.05 სერიალი „ტყუპები" 20.00 სერიალი „კლონი„ 20.55 სერიალი „ყავა და ლუდი" 22.50 „უცნობი საქართველო" 23.20 მხ. ფილმი „სომერსბი" (15) (ჯ. ფოსტერი) 01.10 სერიალი „ნეშ ბრიჯესი" 03.05 ქრონიკა

09.00 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი„ 09.30 სერიალი „ველური მთვარე" 10.30 სერიალი „სინიორ ვიანელო" 11.00, 13.00, 14.00, 16.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 11.10 სერიალი „პატარა დიდი ბოზი" 11.35 კრიმინ. დრამა „CSI: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" 12.30 შემეცნ. გასართობი პროგრამა „დები ტრევისის საოცარი სახლი" 13.05 სერიალი „პოლიციელი ქალები" 14.15 „ფარული კამერა" 14.45 „მუსიკა მზეზე" 15.00 სერიალი „მარია ემილია" 16.05 სერიალი „პოლიციელი ქალები" 17.00, 19.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 17.20 „ფარული კამერა" 17.50 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი„ 18.20 „ჰოლივუდი დღეს„ 19.05 სერიალი „ველური მთვარე" 20.45 სერიალი „სინიორ ვიანელო„ 21.15 სერიალი „პატარა დიდი ბოზი" 21.45 კრიმინ. დრამა „CSI: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" 22.45 „არჩევანის ზღვარზე„ 23.45 მხ. ფილმი "ცრუ რწმენა„ (12) (მარკ სტრონგი)

18.00 მინისერიალი „გრაფინია დე მონსორო" 1-ლი ს. 19.10 დოკ. ფილმი 20.20 კონცერტი 22.15 მხ. ფილმი „მძაფრი მოგონება„ (15)

13.00 ქართული მუსიკა 14.00 მხ. ფილმი „შურისგების მუშტი" (U) 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს" 17.20 სერიალი „მილედი" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი „სახიფათო ჩაძირვა" (U) 22.30, 00.30 ქართული მუსიკა

08.00 "РТР Планета-ს„ პროგრამა 11.00 მუსიკალური კოლაჟი 12.00 ინდ.მხ.ფ. „მისია კაშმირი„ 14.00 "РТР Планета-ს„ პროგრამა 19.00 „ექსტრაორდინალური" 20.00 „ვესტი„ "РТР Планета-ს„ პროგრამა 21.00 ინდ. ფილმი

10.00 დებატები (განმ.) 12.00 ვიპ-შოუ და კენო (განმ.) 13.00, 19.00 ტვ-შოპი 19.00 სერიალი „მუსკულები" (გან.) 19.30 ანიმაციური ფილმი „დარდუბალა" (განმ.) 20.00 ვიპ-შოუ და კენო 21.00 ტვ-შოპი 22.00 სერიალი „მუსკულები" 22.20 ნიკა ქავთარაძის ანეკდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 მ. მშვილდაძის შოუ 23.00 დებატები 202-ზე

08.00 ევრონიუსი 19.00 მულტფილმი „ლომი და ხარი" 19.10 ქართული საესტრადო მუსიკა - ი. სოხაძე 19.15 დოკ. ფილმი „დედამიწის საიდუმლოებით მოცული ადგილები" 19.30 მუს. კლიპი - ზ. ორაშვილი 19.40 მხ. ფილმი „საბრინა„ 21.35 ევრონიუსი

06.00 "Доброе утро" 09.00, 12.00, 15.00, 18.00 Новости 09.20, 21.30 Народный детектив "УЧАСТОК" 10.30, 19.00 Сериал "КЛОН" 11.20 Мультсериал "Кошки-мышки" 11.40 Дисней-клуб: "Утиные истории" 12.20 Валентин Гафт в комедии "ДОРОГОЕ УДОВОЛЬСТВИЕ" 14.00 Сериал "ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ" 15.20 Сериал "СЫЩИКИ" 16.30 "Фабрика звезд" 17.00 "Пять вечеров". Четверг 18.20 "Пан или пропал". Поединок с Николаем Фоменко 20.00 Сериал "ЧЕРНЫЙ ВОРОН" 21.00, 00.30 Время 22.40 "Человек и закон" 23.50 "Фабрика звезд" 00.20 Премьера."Испытание бомбой". Документальный фильм 01.00 Неизвестная планета. "Новая хронология Египта" 01.35 Брендан Фрейзер в комедии "ПУСТОГОЛОВЫЕ" (S) 03.20 Что? Где? Когда? Финал летних игр 04.40 Сериал "СПЕЦИАЛЬНОЕ ПОДРАЗДЕЛЕНИЕ II" 05.30 Сериал "Все путешествия команды Кусто". "Гаити: воды раздора"

## პარასკევი 1 ოქტომბერი

07.30 ალიონი 09.30 მულტსერიალი „მარსუპილამი" 09.55 „იმღერე რამე" 10.35 მხ. ფილმი „ცეცხლთან თამაში„ (U) მე-2ს. 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 სერიალი „კარიბის გული" 13.00 ღამის მატარებელი 14.00 მოამბე ოსურ ენაზე 14.15 დოკ. ფილმი „შოლიათის ნაკვალევზე" 15.15 „ასე ვცხოვრობთ" - რეხვიაშვილი 16.00 მოამბე ინგლისურ ენაზე 16.05 სერიალი „უშიშრები" 16.30 ისტორიანი -ფარნავაზი 17.00 მულტსერიალი „მარსუპილამი" 17.30 დოკ. ფილმი „ცხოველი და მისი ტერიტორია" 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი „წვრილვარსკვლავთა ღამე" 19.00 „იმღერე რამე" 19.40 ბასტი-ბუბუ 21.05. სერიალი „კარიბის გული" 22.00 „აუდიტორია"- გ. ლორთქიფანიძე 00.00 მხ. ფილმი „დღე„ (U)

19.00 მულტფილმი „მარსუპილამი" 19.30 „იმღერე რამე" 20.00 „ანშლაგი"- აწერეთელი (1-ლი ნ.) 20.30 სერიალი „წვრილვარსკვლავთა ღამე" 21.30 აფხაზეთის ტელევიზია 22.00 მხ. ფილმი „ხსოვნა„ (U) 1-ლი ს.

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელელიპუტები" 09.40 სერიალი „შეყვარებული ქალები" 11.00 „ვის უნდა 50 ათასი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.10 კურიერი 12.20 სერიალი „ბევერლი ჰილზი" 13.30 მხ. ფილმი „ბოშათა ბანაკი ცას მიემგზავრება" 15.25 სერიალი „სასწრაფო" 16.30 სერიალი „ალფი" 17.05 სერიალი „მაშველები" 18.20 „ტელელიპუტები" 18.55 სერიალი „ბევერლი ჰილზი" 19.45 სერიალი „შეყვარებული ქალები" 22.00 ღამის შოუ 23.00 დოკ. ფილმი (ქართველები კრემლში და მის გარეთ) მე-2ნ. 00.00 მხ. ფილმი „პატიმარი". მთ. რ-ში: სილვესტერ სტალონე (18). 02.30 მხ. ფილმი „რკინის არწივი-2". მთ. რ-ში: ლუის ჰოსეტერი უმცი, მარკ ჰამფრი (18).

07.00 სერიალი „უკიდურესი ზღვარი" 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00 ქრონიკა 08.10 ანიმაციური ფილმი „სანდოკანი - მალაიზიის ვეფხვი" 08.25, 02.20 იმედის მელოდიები 08.30 დოკ. სერიალი „ყველაზე ექსტრემალური" 09.20 „აქტიორი" 10.05 სერიალი „ტყუპები" 11.15 სერიალი „ყავა და ლუდი" 12.20 თამაში „ათასიდან ერთი შანსი" 12.40, 16.25, 01.50 ტვ-მარკეტი 13.15 მხ. ფილმი „სომერსბი„ (15) 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 01.40 ქრონიკა 15.20 სერიალი „კლონი„ 16.40 დოკ. სერიალი „საზღვაო ისტორიები" 17.25 სპ. პროგრამა „ასი" 18.05 სერიალი „ტყუპები" 20.00 სერიალი „კლონი„ 20.55 სერიალი „ყავა და ლუდი" 22.50 „ათასიდან ერთი შანსი" 23.20 ფეხბურთი. „დინამო" (თბილისი) — „ვისლა" (კრაკოვი) (ჩანაწერი) 00.55 სერიალი „ნეშ ბრიჯესი" 03.20 ქრონიკა

09.00 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი„ 09.30 სერიალი „ველური მთვარე" 10.30 სერიალი „სინიორ ვიანელო" 11.00, 13.00, 14.00, 16.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 11.10 სერიალი „პატარა დიდი ბოზი" 11.35 კრიმინ. დრამა „CSI: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" 12.05 „ჰოლივუდი დღეს„ 13.05 სერიალი „პოლიციელი ქალები" 14.15 „ფარული კამერა" 14.45 „მუსიკა მზეზე" 15.00 სერიალი „მარია ემილია" 16.05 სერიალი „პოლიციელი ქალები" 17.00, 19.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 17.20 „ფარული კამერა" 17.50 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი„ 18.20 შემეცნ. გასართობი პროგრამა „დები ტრევისის საოცარი სახლი" 19.05 სერიალი „ველური მთვარე" 20.45 სერიალი „სინიორ ვიანელო„ 21.15 სერიალი „პატარა დიდი ბოზი" 21.45 ერთი ჟურნალისტის მზერა. გ. ცხვიტავა. „სნაიპერი" 22.45 „არჩევანის ზღვარზე„ 23.45 მხ. ფილმი "ესენია„ (U) (ჟაკლინ ანდერე)

18.00 მინისერიალი „გრაფინია დე მონსორო" მე-2 ს. 19.10 კონცერტი 21.30 მხ. ფილმი „დ'არტანიანის ქალიშვილი„ (15)

13.00 ქართული მუსიკა 15.00 მხ. ფილმი „სახიფათო ჩაძირვა" (U) 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს" 17.20 სერიალი „მილედი" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი „ცხელი ზაფხული" (U) 22.30, 00.30 ქართული მუსიკა

08.00 "РТР Планета-ს„ პროგრამა 11.00 მუსიკალური კოლაჟი 12.00 ინდ.მხ.ფ. „„„ 15.00 "РТР Планета-ს„ პროგრამა 21.00 ინდ. ფილმი

10.00 დებატები (განმ.) 12.00 ვიპ-შოუ და კენო (განმ.) 13.00, 19.00 ტვ-შოპი 19.00 სერიალი „მუსკულები" (გან.) 19.30 ანიმაციური ფილმი „დარდუბალა" (განმ.) 20.00 ვიპ-შოუ და კენო 21.00 ტვ-შოპი 22.00 სერიალი „მუსკულები" 22.20 ნიკა ქავთარაძის ანეკდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 მ. მშვილდაძის შოუ 23.00 დებატები 202-ზე

08.00 ევრონიუსი 19.00 მულტფილმი „უკანასკნელი ნადირობა" 19.10 ქართული საესტრადო მუსიკა - ი. სოხაძე 19.15 დოკ. ფილმი „ბრძოლა გადარჩენისთვის. სიცოცხლე გალილეის ზღვაში" 19.40 მუს. კლიპი - ზ. ორაშვილი 19.45 მხ. ფილმი „შერბურული ქოლგები„ 21.15 ევრონიუსი

06.00 "Доброе утро" 09.00, 12.00, 15.00, 18.00 Новости 09.20, 21.30 Народный детектив "УЧАСТОК" 10.30, 19.00 Сериал "КЛОН" 11.20 Мультсериал "Кошки-мышки" 11.40 Дисней-клуб: "Утиные истории" 12.20 Валентин Гафт в комедии "ДОРОГОЕ УДОВОЛЬСТВИЕ" 14.00 Сериал "ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ" 15.20 Сериал "СЫЩИКИ" 16.30 "Фабрика звезд" 17.00 "Пять вечеров". Четверг 18.20 "Пан или пропал". Поединок с Николаем Фоменко 20.00 Сериал "ЧЕРНЫЙ ВОРОН" 21.00, 00.30 Время 22.40 "Человек и закон" 23.50 "Фабрика звезд" 00.20 Премьера."Испытание бомбой". Документальный фильм 01.00 Неизвестная планета. "Новая хронология Египта" 01.35 Брендан Фрейзер в комедии "ПУСТОГОЛОВЫЕ" (S) 03.20 Что? Где? Когда? Финал летних игр 04.40 Сериал "СПЕЦИАЛЬНОЕ ПОДРАЗДЕЛЕНИЕ II" 05.30 Сериал "Все путешествия команды Кусто". "Гаити: воды раздора"

## შაბათი 2 ოქტომბერი

08.00, 12.00, 15.00, 20.00, 00.00 მოამბე 08.15 მხ. ფილმი „დღე„ (U) 10.00 „იმღერე რამე" 10.30 საცირკო სანახაობა 11.00 მხიარული კარუსელი 11.30 საქართველო არის ესე 12.10 მხ. ფილმი „ორერა სრული სვლით" 13.40 სერიალი „წვრილვარსკვლავთა ღამე" 14.55 ფეხბურთი. ქუთაისის „ტორპედო" - თბილისის „თბილისი" 16.55 დოკ. ფილმი „მაროკო - ცხენების სამეფო" 18.00 ვესტნიკი 18.45 „იმღერე რამე" 19.15 ტელეზღაპარი 19.25 „დრო და ადამიანები" -აინშტაინი 19.40 „ეთნოგრაფიული ჩანახატი" 20.35 ფორტუნა 21.15 პოლიტიკური მკვლელობები - დ. ჰამარშელდი 22.05 „საღამოს საუბარი" 22.50 სპექტაკლი „მშვენიერი ქართველი ქალი" 00.15 მხ. ფილმი „ლაქა" (U)

19.00 „მრავალჟამიერ„ — რატომ ცეკვა აჭარული 19.30 „იმღერე რამე" 20.00 ასე ვცხოვრობთ 20.30 მუს. ოქტაგონი - მ. კვალიაშვილი 21.20 ქიმერიონი - ა. ვარსიმაშვილი 22.00 მხ. ფილმი „ხსოვნა„ (U) მე-2 ს.

08.00 კლასიკა 08.30 მულტსერიალი „დათვების ქალაქის ზღაპრები" 09.00, 12.00, 15.00 კურიერი 09.20 მულტფილმი 10.55 მხ. ფილმი 12.20 სიმფსონები 12.50 მხ. ფილმი „სოლარისი" 15.20 მხ. ფილმი „ქალაქელი მონადირე„ 17.00 ველური სამყაროს ამბები 18.00, 21.00, 01.00 კურიერი 18.20 დოკ. ფილმი „თანამედროვე ტექნოლოგიები" 19.15 სერიალი „წმინდა ინგლისური მკვლელობები" 22.00 „ფსიქო" — „სპილო„. რეჟ. გას ვან სენტი (18). 01.20 მხ. ფილმი „სხვები„. მთ. რ-ში: ნიკოლ კიდმანი (18).

09.00 ანიმაციური ფილმი „ანა და მეფე" 1-26. 10.00 მხ. ფილმი „სამი გოდორა" (ა. ბატალოვი) 11.30 „იმედითა შენითა" 11.45 „კლიპლოტო" 12.40, 13.15, 02.30 ტვ-მარკეტი 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 23.15 ქრონიკა 13.30 მხ. ფილმი „შურისძიების სახელით" (U) (ს. სიგალი) 15.15 თოქ-შოუ „რეაქცია" 17.10 დოკ. სერიალი „მშვიდობით მე-20 საუკუნევ„ მე-3 ს. 18.05 „პირველი ნაბიჯი" 19.30 ვაკაჭი-ნიუსი 20.05 მხ. ფილმი „თითქმის 9 იარდი" (U) (ბ. უილისი) 22.30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. 00.20 „ნადიმი ჯ. კაშიასთან ერთად„ 01.35 სერიალი „ნეშ ბრიჯესი" 03.00 იმედის მელოდიები

09.00 მუსიკა მზეზე 09.30 მულტსერიალი „სქელი ძაღლი მენდოზა" 10.00 საბ. სერიალი „ჩემი მეგობარი უცხოპლანეტელია" 10.30 სერიალი „დაკარგული ქვეყანა„ 11.30 შემეცნებითი პროგრამა „ყველაზე, ყველაზე" 12.30 შემეცნებითი-გასართობი პროგრამა „ფოკუსის ისტორია" 13.00 სერიალი „კარაბინერები" 14.00, 17.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 14.15 მხ. ფილმი „ესენია" (U) 16.15 მუსიკა მზეზე 16.30 „ფარული კამერა" 17.20 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი„ 17.50 შემეცნებითი პროგრამა „ყველაზე, ყველაზე" 18.50 მუსიკა მზეზე 19.00 სერიალი „დაკარგული ქვეყანა„ 20.30 სერიალი „კარაბინერები" 21.30 კრიმ. დრამა „ტაქსის მძღოლი" 22.30 მხ. ფილმი „აკატონე„ (15) (რეჟ. პ. პაზოლინი)

18.00 მინისერიალი „გრაფინია დე მონსორო" მე-3ს. 19.10 დოკ. ფილმი 20.30 სილუეტი 21.05 დოკ. ფილმი 22.00 მხ. ფილმი „უსირცხვილო„ (15)

15.00 ქართული მუსიკა 17.00 მხ. ფილმი „ცხელი ზაფხული" (U) 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს" 19.20 „ცნობილი ადამიანების უცნობი წლები" 19.40 „საწინდარი" 21.00 მხ. ფილმი „მტერი" (U) 22.30, 00.30 ქართული მუსიკა

08.00 "РТР Планета-ს„ პროგრამა 21.00 მკურნალობა პირამიდით 22.30 ინდ. მხ. ფილმი „მოვალეობა უპირველეს ყოვლისა„

11.00 კონცერტი 13.00,19.00 ტვ-შოპი 19.00 კონცერტი 21.00 ტვ-შოპი 22.00 202-ის ვიდეო არტები

08.00 ევრონიუსი 19.00 მულტფილმი „განძთა კუნძული" 1-ლი ს. 19.45 ქართული საესტრადო მუსიკა - ი. სოხაძე 19.50 დოკ. ფილმი „ადამიანის ერთგული მეგობრები. როტვეილერი" 20.15 მუს. კლიპი - ზ. ორაშვილი 20.20 მხ. ფილმი „ომი და მშვიდობა„ 1-ლი ს. 22.20 ევრონიუსი

06.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00 Новости 06.10 Фильм "ПРИКЛЮЧЕНИЯ ГЕКЛЬБЕРРИ ФИННА" 08.20 Играй, гармонь любимая! 09.00 Слово пастыря 09.10 Здоровье 10.10 "Смак" 10.30 Спецрасследование. "Изнанка модельного бизнеса" 11.20 "Любовные истории". Владимир Кузьмин 12.20 История с географией. Фильм "Приключения слона" 13.40 "Звезды эфира". Юрий Левитан 14.30 Дисней-клуб: "Приключения Мики и Дональда" 15.10 Искатели. "Фаворитка Императора" 15.40 Харрисон Форд в комедии "ДЕЛОВАЯ ДЕВУШКА" 17.50 Золотые годы Микки Мауса. Впервые в России 18.10 "Ералаш" 18.40 "Кто хочет стать миллионером?" 19.40 Международный фестиваль юмора "Ялта-2004" 21.00 Время 21.20 "Последний герой". Суперигра 22.40 "Золотой граммофон" 23.40 Ураганный боевик "ЛИВЕНЬ" 01.35 Рене Зеллвегер в комедийном боевике "СЕСТРИЧКА БЕТТИ" 04.00 Ночной триллер "ЧЕРЕПА"

## კვირა 3 ოქტომბერი

08.00, 12.00, 15.00, 20.00, 00.20 მოამბე 08.15 მხ. ფილმი „ლაქა" (U) 10.00 „იმღერე რამე" 10.30 მოგზაურობა სასიტყვეთში 11.00 მრავალჟამიერ 11.30 სპა 12.15 მხ. ფილმი „მოუსვენარი ზაფხული" 14.00 სერიალი „წვრილვარსკვლავთა ღამე" 15.20 სპექტაკლი „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს" 17.45 დოკ. ფილმი 18.15 ქართ. ფოლკლორის ფესტივალი 18.30 არტ-ექსპრესი 18.55 „იმღერე რამე" 19.25 „მთავარ როლში"- რ. ჩხიკვიშვილი 20.35 „ჩემი მშვენიერი ლედი" 20.55 სატ. კინოდარბაზი — დოკ. ფილმი „ლ. ასათიანი" 22.00 ტვ-ლოტო 22.45 „ამბობენ" 23.15 კონცერტი - მ. სეფაშვილი 00.30 მხ. ფილმი „ბოდიში, თქვენ გელით სიკვდილი„ (U)

19.00 მხიარული კარუსელი 19.30 „იმღერე რამე" 20.00 საქართველო არის ესე 20.30 მოგზაურობა სასიტყვეთში 21.00 „დრო და ადამიანები"-აინშტაინი 21.15 „ეთნოგრაფიული ჩანახატი" 21.30 „მიამბეთ თქვენზე„ 22.00 მხ. ფილმი „არ დაიჯერო რომ აღარა ვარ" (U)

08.00 კლასიკა 08.30 მულტსერიალი „დათვების ქალაქის ზღაპრები" 09.00, 12.00, 15.00, 00.10 კურიერი 09.20 მულტფილმი 10.55 მხ. ფილმი 12.20 სიმფსონები 12.50 მხ. ფილმი „ცისფერი უფსკრული" 15.20 მხ. ფილმი „სხვისი შვილები„ 17.00 ველური სამყაროს ამბები 18.00, 21.00, 00.40 კურიერი 18.20 განდგომილი 19.00 მხ. ფილმი „ინკოგნიტო„. მთ. რ-ში: ჯეისონ პატრიკი, ირენ ჟაკობი (U) 22.00 „გაიღიმეთ ფარული კამერაა" 22.40 „ჯეოსელის კინოკლუბი" - „მეექვსე დღე„ 877 45-79-25 არნოლდ შვარცენეგერი, მაიკლ რაპაპორტი (18), „რთული მისია„ 877 45-79-26 ლამ ვაი, ბილი ჩოუ (18) „მადმუაზელ ო" 877 45-79-27 მანტე ნაუპი, ელენა საფონოვა (18). 01.00 მხ. ფილმი „მონმე„ მთ. რ-ში: ევან მაკგრეგორი, ეშლი ჯადი (18)

09.00 ანიმაციური ფილმი „კონკია" 1-26. 09.50 მხ. ფილმი „დუეტები" (გ. პელტროუ) 12.30 12 პლუსი 11.45 „დილის ფოსტა" 12.40, 13.15, 01.15 ტვ-მარკეტი 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 23.15 ქრონიკა 13.15 ქართ. მხ. ფილმი „კუკარაჩა" (U) 15.15 „ნადიმი ჯ. კაშიასთან ერთად„ 16.30 სპ. პროგრამა „ასი" 17.10 დოკ. სერიალი „მშვიდობით მე-20 საუკუნევ„ მე-4ს. 18.05 „ერთხელ ჰოლივუდში" 18.20 „არტ-ბულვარი" 19.30 თამაში „პოლიციის აკადემია" 20.10 სერიალი „თავგადასავალთა კორპორაცია" 21.00 „დროება" 22.30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. 00.20 სერიალი „ნეშ ბრიჯესი" 01.45 იმედის მელოდიები

09.00 მუსიკა მზეზე 09.30 მულტსერიალი „სქელი ძაღლი მენდოზა" 10.00 საბ. სერიალი „ჩემი მეგობარი უცხოპლანეტელია" 10.30 სერიალი „დაკარგული ქვეყანა„ 11.30 შემეცნებითი პროგრამა „ყველაზე, ყველაზე" 12.30 შემეცნებითი-გასართობი პროგრამა „ფოკუსის ისტორია" 13.00 სერიალი „კარაბინერები" 14.00, 17.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 14.15 მხ. ფილმი „ბილი ფინგალი" (15) 16.15 მუსიკა მზეზე 16.30 „ფარული კამერა" 17.20 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი„ 17.50 შემეცნებითი პროგრამა „ყველაზე, ყველაზე" 18.50 მუსიკა მზეზე 19.00 სერიალი „დაკარგული ქვეყანა„ 20.30 ინტ. თამაში „ეტალონი" 21.00 სერიალი „კარაბინერები" 21.30 ფეხბურთი. პრიმერა დივიზიონი. 23.30 მხ. ფილმი „გაიცანით ეს ჩემი ქვრივია„ (18) (ჯეინ ბირკინი).

18.00 მინისერიალი „გრაფინია დე მონსორო" მე-4ს. 19.10 დოკ. ფილმი 20.10 კონცერტი 21.50 მხ. ფილმი „კანონი„ (12)

15.00 გადაცემა „შამარერა" 16.00 ქართული მუსიკა 17.00 მხ. ფილმი „მტერი" (U) 19.00 საბ. გადაცემა „ინკოგნიტო" 20.00 ინდ. მხ. ფილმი „ოთხი უდარდელი" 23.00 „ჯაზ-პარნასი" 23.30 მუსიკა

08.00 "РТР Планета-ს„ პროგრამა 21.00 მკურნალობა პირამიდით 22.30 ინდ. მხ. ფილმი „ბედის გამგებელი„

11.00 კონცერტი 13.00, 19.00 ტვ-შოპი 19.00 კონცერტი 21.00 ტვ-შოპი 22.00 202-ის ვიდეო არტები

08.00 ევრონიუსი 19.00 მულტფილმი „განძთა კუნძული" მე-2 ს. 20.00 ქართული საესტრადო მუსიკა - ი. სოხაძე 20.05 დოკ. ფილმი „ავტომობილის სამყარო" 20.30 მხ. ფილმი „ომი და მშვიდობა„ მე-2 ს. 22.20 ევრონიუსი

06.00, 10.00, 12.00, 15.00 Новости 06.10 Сериал "Все путешествия команды Кусто". "Река королей" 06.40 Дмитрий Певцов в фильме "ПОДЗЕМЕЛЬЕ ВЕДЬМ" 08.20 Армейский магазин 08.50 Дисней-клуб: "Мики, Дональд и Гуффи-спортсмен" 09.10 "В мире животных" 10.10 "Непутевые заметки" с Дм. Крыловым 10.30 Пока все дома 11.10 Бокс. Владимир Кличко - Да Вэррил Уильямсон 12.20 Национальная премия "Учитель года" 13.50 "Анекдоты" 14.20 Фильм Александра Рогожкина "SAPIENCE" 14.30 Дисней-клуб: "Приключения Мики и Дональда" 15.10 Александр Абдулов в детективе "СИЦИЛИАНСКАЯ ЗАЩИТА" 17.00 Живая природа. "Звериная олимпиада" 18.00 Времена 18.55 "КВН - 2004". Высшая лига. Летний кубок 21.00 Время. 21.45 Энтони Хопкинс в комедийном боевике "ПЛОХАЯ КОМПАНИЯ" 00.00 Бокс. Владимир Кличко - Да Вэррил Уильямсон 01.05 Катрин Денев в фильме "ИНДОКИТАЙ" 04.10 Дорожные приключения в фильме "БУФФАЛО-66"

*ინფორმაცია მოგვაწოდა შპს „ინფოზავრმა"*

# მედიცინა

## შეკითხვა ექიმს

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.*

**ვარ 48 წლის ქალი. მაწუხებს უკანა ტანის ტკივილი დეფეკაციის შემდეგ. ტკივილი ჩხვლეტისმაგვარია და დიდხანს მიმყვება. ხშირად მაქვს დიარეა (მაწუხებს ქრონიკული ენტეროკოლიტი და კუჭის დაბალი მჟავიანობა). დეფეკაციისას სისხლი არ მოყვება. დეკემბერში გავიკეთე კოლონოსკოპია — სწორი ნაწლავი სუფთაა. უკანა ტანის ტკივილი სწორი ნაწლავის ნაპრალის ბრალია თუ ბუასილის? ანალურ ხვრელთან გარედან მაქვს წამონაზარდები.**

***ერთგული მკითხველი***

ტკივილი დეფეკაციისას შეიძლება დაკავშირებული იყოს სწორი ნაწლავის ნაპრალთან, ბუასილთან ან სწორი ნაწლავის სხვა პათოლოგიებთან. ანალურ ხვრელთან არსებული „წანაზარდები“ შესაძლოა ბუასილის კვანძები იყოს. საინტერესოა, კოლონოსკოპიური გამოკვლევით რატომ ვერ გახდა შესაძლებელი დიაგნოზის დაზუსტება. გირჩევთ, პროქტოლოგს მიმართოთ. ალბათ დაგჭირდებათ რექტოსკოპიის გაკეთება.

**რამდენიმე წელია, მაქვს ნეკნთაშუა ნევრალგია. გთხოვთ ამიხსნათ, იკურნება თუ არა ეს დაავადება.**

***პატივისცემით, ალექსანდრე ნ., საგარეჯო***

ნეკნთაშუა ნევრალგიის გამომწვევი მიზეზები უცნობია. ყველაზე ხშირად მას გადაცივებას უკავშირებენ, რის შედეგადაც ნერვის ანთება ვითარდება. ზოგჯერ მიზეზი ჰერპეს-ვირუსია. საკმაოდ ხშირად მას იწვევს ხერხემლის, გულმკერდის ნაწილის ოსტეოქონდროზი ან სკოლიოზი. ასეთ შემთხვევაში, პირველ რიგში, ამ პათოლოგიებს უნდა ვუმკურნალოთ.

ნევრალგიის მკურნალობა გულისხმობს ანთების საწინააღმდეგო და ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატების მიღებას და ფიზიოთერაპიას. კონსულტაციისათვის უნდა მიმართოთ თერაპევტს ან ნევროლოგს. ნევრალგია უკურნებელი და საშიში დაავადება ნამდვილად არ არის, თუმცა ზოგჯერ ხანგრძლივად მიმდინარეობს.

**ჩემი ორი თვის პატარა საერთოდ არ სვამს წყალს. როცა ვაძალებ, მეწინააღმდეგება და აფურთხებს. ნორმალურია თუ არა ეს?**

***თქვენი მკითხველი მანანა ქორიძე***

თუ ბავშვი წყალს არ სვამს, ეს იმას ნიშნავს, რომ მას ჰყოფნის სითხის ის რაოდენობა, რომელსაც რძესთან ერთად იღებს. დაძალება საჭირო არ არის. საერთოდ, წყალი პატარას კვებასა და კვებას შორის შუალედში უნდა მიეცეს. 2-3 თვისა დღის განმავლობაში 150 მლ-მდე გადადუღებულ და ოთახის ტემპერატურამდე შეგრილებულ წყალს უნდა სვამდეს, მაგრამ მხოლოდ ნებაყოფლობით. არ შეიძლება ბავშვისთვის დაშვებულ ნორმაზე მეტი წყლის მიცემა, რადგან ამან შეიძლება შეშუპების სინდრომი გამოიწვიოს.

**ჩემს 7 წლის გოგონას დაუდგინეს პიელონეფრიტი. მითხრეს, რომ შეიძლებოდა გაცივებას გამოეწვია. რამდენად საშიშია ეს დაავადება?**

***ა. ლაფერაშვილი, თბილისი***

ორგანიზმის გადაცივება ინფექციის განვითარებას უწყობს ხელს, თავად პიელონეფრიტი კი პათოგენური მიკროორგანიზმების თირკმელში ჩანერგვის შედეგად ვითარდება. პიელონეფრიტი ბავშვთა ასაკში საკმაოდ ხშირია. გოგონები, ვაჟებთან შედარებით, ორჯერ უფრო ხშირად ავადმყოფობენ. დაავადების განვითარების მიზეზი შეიძლება გახდეს შარდის გამოყოფის რეჟიმის დარღვევა, ჰიგიენური წესების დაუცველობა. ორგანიზმში ჩირქოვანი კერის არსებობისას (მაგალითად, ტონზილიტის, ჰაიმორიტის, ადენოიდების...) მიკროორგანიზმები უხვად გამოიყოფა თირკმლებიდან, რაც ასევე იწვევს პიელონეფრიტის განვითარებას. მკურნალობის დროულად დაწყების შემთხვევაში დაავადება 2-3 თვეში განიკურნება, მაგრამ უყურადღებობისას ქრონიკულ ფორმაში გადადის და მკურნალობაც ხანგრძლივი და რთული პროცესია.

## კარაბადინი

**გთავაზობთ შაკიკის მკურნალობის ხალხურ მეთოდს: როცა შეტევა დაგეწყებათ, 2-3 თავი ქართული ნიორი დანაყეთ, მიღებული მასა მოათავსეთ კოლგოტის ნაჭერში, შუბლზე (მტკივან ადგილზე) დაიდეთ და შეიკრით დაახლოებით 10 წუთით. შედეგს აუცილებლად მიიღებთ.**

**გაითვალისწინეთ: თუ ნიორს კანზე ათ წუთზე მეტხანს გააჩერებთ, კანი დაგეწვებათ და შუბლზე ლაქა დაგრჩებათ.**

***მერაბ გოგოლაძე***

**ექიმის კომენტარი:** ნიორი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით მდიდარი მცენარეა და სწორედ ეს განაპირობებს მის გამოყენებას სხვადასხვაგვარი დაავადების მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის. ნივრის ბოლქვში შემავალ ნივთიერებებს აქვს ანტიმიკრობული, სოკოსა და ჭიების საწინააღმდეგო მოქმედება, აძლიერებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის სეკრეციულ და მოტორულ ფუნქციას, ნაღვლის სეკრეციას. ნიორი ნახველის გამათხელებელი და ამოსახველებელი საშუალებაცაა. იგი ასტიმულირებს გულის მუშაობას, აფართოებს კორონალურ სისხლძარღვებს.

ნივრის პრეპარატები გამოიყენება ნაწლავებში დუღილისა და ლპობის პროცესების დასათრგუნად, აგრეთვე ღვიძლის, ზემო სასუნთქი გზების დაავადებების, ქრონიკული ბრონქიტის, ბრონქოექტაზიური დაავადებების, პნევმონიის, ზოგჯერ ბრონქული ასთმის დროს.

ნიორი გამოიყენება პროფილაქტიკისათვის გრიპის ეპიდემიის დროს, ათეროსკლეროზის, ჰიპერტონიული დაავადებისა და გულის ნევროზის პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის.

შაკიკის დროს ნივრის გარეგანი გამოყენება შესაძლოა ნერვულ დაბოლოებებზე მის მასტიმულირებელ ზემოქმედებასთან იყოს დაკავშირებული. ამასთან, ნივრის ეთეროვან ზეთს ძლიერი დიფუზურობა ახასიათებს, რაც იმას ნიშნავს, რომ გარეგანი ხმარებისას იგი ღრმად მდებარე ქსოვილებამდე აღწევს და კლინიკურ ეფექტს იძლევა.

**მკითხველი ითხოვდა ყურის ტკივილის სამკურნალო რეცეპტს. ტკივილისა და ხმაურის დროს ყურში უნდა ჩაიწვეთოთ 3-3 წვეთი ლიმონის სუფთა წვენი. სულ 3-ჯერ დაგჭირდებათ ჩაწვეთება. ეს რეცეპტი ძველი კარაბადინიდან ამოვიწერე. ჩემს მეუღლეს აწუხებდა ყურის შუილი და ტკივილი, ჩავაწვეთე და მას შემდეგ 2 წელი გავიდა, რაც ყური აღარ ასტკივებია. ჩემს მოხუც დედასაც მოურჩინა ყური ლიმონის წვენმა.**

***პატივისცემით, ჟუჟუნა ტუღუში, ქ. ბათუმი***

**ექიმის კომენტარი:** ლიმონის წვენის ძირითადი ნაწილი წყალი და ლიმონმჟავაა, იგი ასევე შეიცავს შაქარს, C, A, $B_1$ და D ვიტამინებს, კალიუმისა და სპილენძის მარილებს და სხვა მიკროელემენტებს. სამკურნალო-პროფილაქტიკური მიზნით ლიმონი გამოიყენება ჰიპოვიტამინოზების დროს. ლიმონის წვენს იყენებენ კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებების, ნივთიერებათა ცვლის დარღვევის, შარდ-კენჭოვანი დაავადების, პოდაგრის, რევმატიზმისა და სხვა დაავადებების დროს. ლიმონის წვენი ეფექტიანია ანგინის, ფარინგიტებისას, გარეგანად გამოიყენება სოკოვანი დაავადების დროს. მას აქვს ანთების საწინააღმდეგო და ქსოვილთა რეგენერაციის მასტიმულირებელი მოქმედება. სავარაუდოა, რომ სწორედ ამ ეფექტთან იყოს დაკავშირებული მისი გამოყენება ოტიტის დროს.

გახსოვდეთ: ყურის პათოლოგიებთან სიფრთხილე გმართებთ და ექიმის კონსულტაციის გარეშე თვითმკურნალობით შეიძლება საქმე სერიოზულ გართულებამდე მივიდეს.

***მოამზადა თამარ მამაცაშვილმა***

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი შეკითხვა მოდის. ყველა მათგანს ჩვენი რუბრიკა ვერ დაიტევს. ამიტომ გადავწყვიტეთ ზოგიერთზე პასუხი „კვირის პალიტრის“ დამატებაში — სამედიცინო ჟურნალ „ოჯახის მკურნალში“ მოგაწოდოთ. ჟურნალმა უკვე შეიძინა უამრავი მკითხველი და საკმაოდ ფართო გამოხმაურებაც პოვა საზოგადოებაში. გავითვალისწინეთ მკითხველის ინტერესები და უფრო მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდების მიზნით ჟურნალის მოცულობა გავზარდეთ — ახლა იგი 60-გვერდიანია.*

## რაზე მეტყველებენ ტუჩები



ძალიან ლამაზია წითელი, ოდნავ ნამიანი (რაც მას ბზინვარებას მატებს) ტუჩი. ამ ტიპის ტუჩის პატრონი სიცოცხლით სავსეა, ყოველთვის სასიამოვნო გუნება აქვს და რაც მთავარია — ჯანმრთელია.

ტუჩის ფერი ბევრ რამეზე მეტყველებს:

**1)** როცა ტუჩი მშრალია და უხეში, ეს იმას ნიშნავს, რომ ორგანიზმს სითხე აკლია, ამიტომ უნდა სვათ მეტი წყალი;

**2)** ფერმკრთალი ტუჩები — ანემიის ნიშანია, საჭიროა ვიტამინების უხვად მიღება, მაგრამ აბების ყლაპვას სჯობს მიეძალოთ ხილს, ბოსტნეულს, მწვანილს;

**3)** მოყავისფრო-მოყვითალო ტუჩის ფერის მიზეზია ნიკოტინი. ამას შეებრძოლებით მხოლოდ სიგარეტის გადაგდებით;

**4)** ტუჩებზე ყვითელი ლაქები — ჰეპატიტის ნიშანია, ამიტომ სასწრაფოდ გაიკეთეთ ანალიზები, მკურნალობას ექიმი დაგინიშნავთ;

**5)** ტუჩზე ყავისფერი ლაქები — კუჭი ცუდად მუშაობს ან ჭიები გყავთ. ამ შემთხვევაშიც ექიმის დახმარება დაგჭირდებათ;

**6)** ლურჯი ფერის ტუჩები გულის დაავადების ნიშანია. თქვენს გულს ჟანგბადი აკლია;

**7)** თუ ტუჩებზე ხშირად გაყრით, ჩნდება პატარ-პატარა ანთებითი კერები, ე.ი. დარღვეულია ორგანიზმში საკვების გადამუშავების ციკლი;

**8)** ტუჩი გიმუქდებათ, გისკდებათ და გიჭრელდებათ, წყლულები ჩნდება — ექიმს მიმართეთ, ვინაიდან გამოსაკვლევია ნაღვლის ბუშტი და კუჭ-ნაწლავი;

**9)** დახეთქილი ტუჩების მიზეზია სიცივეში მათი ნერწყვით დასველება, ხოლო სიცხეში მზეზე დიდხანს გაჩერება — გარგებთ ჰიგიენური პომადა;

10) ტუჩის კუთხეებში გაჩენილი წყლულები მიგანიშნებთ, რომ თქვენს ორგანიზმს ვიტამინი აკლია;

11) ჰერპესი, რომელსაც ხშირად გაცივებას მივაწერთ, გამოწვეულია იმუნიტეტის დაქვეითებით, დაღლილობით, სტრესით;

12) თუ ტუჩები გექერცლებათ და გეწვით, პომადის ალერგია გაქვთ და გამოცვალეთ;

13) ტუჩები გითრთით? რაღაც გაშინებთ, ნერვიულობთ, მიიღეთ დამამშვიდებელი (კატაბალახას წვეთები ან აბები), კონტრასტული შხაპი, დილა-საღამოს ისეირნეთ.

***მირორი***

## სწორად კვების წესები

— დაღლილი ნუ დაჯდებით საჭმელად. რაც არ უნდა მშიერი იყოთ, ჯერ დაისვენეთ და შემდეგ მიირთვით;

— ნუ მიირთმევთ მაშინ, როცა გაღიზიანებული ხართ, ან შეშფოთებულ-შეშინებული, როცა ცუდი ფიქრებით ხართ შეპყრობილი;

— ნუ დაჯდებით საჭმელად იმ ადამიანთან ერთად, ვინც თქვენს ანტიპათიას იწვევს;

— ნუ მიირთმევთ თქვენთვის უცხო კერძს. როცა სუფრაზე ნაცნობი კერძი დევს, თქვენი კუჭიც ხედავს მას თქვენთან ერთად და ემზადება მის გადასამუშავებლად, ხოლო თუ უცხო კერძია, რომლის შემადგენლობაც არ იცით, კუჭი იბნევა, არ იცის, რომელი ფერმენტი გამოიმუშაოს...

***კრესტიანკა***

## ბავშვი არ მოსწევს, თუ...



შეუძლიათ მშობლებს ისეთი ზეგავლენა მოახდინონ შვილზე, რომ მან სიგარეტის მოწევა სკოლის ასაკში არ დაიწყოს?

ფსიქოლოგები ფიქრობენ, რომ შეუძლიათ.

ბავშვი არ მოსწევს, თუ თქვენ ანგარიშს უწევთ მას, პატივს სცემთ მის შეხედულებებს, ძალიან არ ზღუდავთ; მოზარდი მოწევას იწყებს, რათა ქვეყნიერებას დაანახვოს, რომ ის უკვე დიდია: საზოგადოება მოწევის უფლებას აძლევს უფროსებს, მაგრამ უკრძალავს ბავშვებს.

თუ მშობლები დამოუკიდებლობას აჩვევენ მოზარდს, თანდათან უფრო და უფრო მეტი საკითხის გადაწყვეტის უფლებას ანიჭებენ (ვისთან იმეგობროს, რომელ მუსიკას მოუსმინოს, რომელ მოდას მიჰყვეს, როგორი ვარცხნილობა იქონიოს), მას არ ექნება მწვავე მოთხოვნილება, სიგარეტის მოწევით დაამტკიცოს, რომ უკვე დიდია.

ყმაწვილისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ავტორიტეტი თანატოლებში. ხშირად ის მოწევას იწყებს იმისათვის, რომ მეგობრებში გამოცდილი ადამიანის სახელი დაიმკვიდროს. მაგრამ თუ სხვაზე უკეთ იცის კომპიუტერი, უკრავს გიტარაზე, ნაკითხია, ძლიერია სპორტის რომელიმე სახეობაში, ავტორიტეტი ისედაც განაღდებული აქვს და სიგარეტის გაბოლება აღარ სჭირდება.

ნარკოლოგთა გაანგარიშებით, თუ ოჯახში 3 უფროსი მაინც ეწევა, 80%-ით უნდა ვივარაუდოთ, რომ ყმაწვილი 12 წლის ასაკში სიგარეტს გემოს გაუგებს, ხოლო ალბათობა 40%-ს აღწევს, თუ ეწევა თუნდაც ერთი. ამიტომ კარგად დაფიქრდით, იქნებ თავად თქვათ უარი სიგარეტზე, რათა შვილმა არ მოგბაძოთ? ეს ძალიან ძლიერი სვლა იქნება — მოზარდი ამას სათანადოდ შეაფასებს.

ვერ ანებებთ თავს? აუხსენით ბავშვს, როგორი შეცდომა დაუშვით, როცა პირველად მოსწიეთ, როგორი ზიანი მოაქვს ამას თქვენთვის და არავითარ შემთხვევაში არ განაცხადოთ: „მე დიდი ვარ, ჩემთვის შეიძლება, შენ ჯერ პატარა ხარ“. ფსიქოლოგები თვლიან, რომ ასე უფრო წააქეზებთ მოწევისკენ, ვინაიდან მასაც უნდა, რომ მალე გახდეს დიდი!

ყმაწვილს აუხსენით, რომ მოწევა ცივილიზებულ საზოგადოებაში არ არის მოდური. ეს მართლაც ასეა. აშშ-ში არ აძლევენ მოწევის უფლებას საზოგადოებრივ ადგილებსა და ოფისებში. სოლიდური ფირმები სამუშაოდ იღებენ იმ ადამიანებს, ვინც არ აბინძურებს გარემოს სიგარეტის ბოლით. უფროსობას არ სურს, რომ ხელქვეითებმა ხშირად გააცდინონ სამსახური ავადმყოფობის გამო; მწეველები კი უფრო ხშირად რომ ავადმყოფობენ, დიდი ხნის დამტკიცებულია.

შთააგონეთ ბავშვს: არამწეველები — უფრო მაღალი კულტურისა და განვითარებული ინტელექტის ადამიანები არიან!

***ჯენტე***

## დიეტა გულით დაავადებულებისათვის

**ცხიმები**. *რეკომენდებულია:* მცენარეული ზეთები, მცენარეულ ზეთზე დამზადებული უქოლესტერინო მარგარინი; *არ არის რეკომენდებული:* კარაქი და გადამდნარი ცხიმი, ლორი.

**ხორცი**. *რეკომენდებულია:* ქათამი, ინდაური, ხბოს ხორცი, ბოცვერი, ძროხის მჭლე ხორცი, ღვიძლი (თვეში 2-ჯერ); *არ არის რეკომენდებული:* ღორის ხორცი, ბეკონი, ბატი, იხვი.

**რძის პროდუქტები**. რეკომენდებულია უცხიმო კეფირი (მაწონი), იოგურტი, რძე და ყველი. არარეკომენდებულია: შედედებული რძე, ნაღები, ცხიმიანი ყველი.

**თევზი**. რეკომენდებულია: კამბალა, ქაშაყი, მაკრელი, სარდინი, თინუსი, ორაგული, ვირთევზა. არარეკომენდებულია: ხიზილალა, მარილიანი და შებოლილი თევზი.

**ხილი**. *რეკომენდებულია:* ახალი ხილ-ბოსტნეული, ქიშმიში, გარგარის (ჭერმის) ჩირი, კაკალი. *არ არის რეკომენდებული:* ჩიფსები, დაშაქრული ხილი.

***კომსომოლსკაია პრავდა №145***

# მწვანე ჩაი სიცოცხლეს ახანგრძლივებს

სასმელებს შორის იაპონელები პირველობას ანიჭებენ მწვანე ჩაის, რადგან მიაჩნიათ, რომ ის სიცოცხლეს ახანგრძლივებს. იაპონელი მეცნიერები 10 წელი აკვირდებოდნენ 9000 ადამიანს და დაადგინეს, რომ ისინი, რომლებიც დღეში 9-10 ფინჯან მწვანე ჩაის სვამდნენ, საშუალოდ 6-7 წელზე მეტხანს ცოცხლობდნენ, ვიდრე ისინი, რომლებიც 3 ფინჯანს მიირთმევდნენ.



გარდა ამისა, მწვანე ჩაი განსაკუთრებით სასარგებლოა მათთვის, ვისაც კომპიუტერთან აქვს საქმე და უყვარს ტელევიზორის ხანგრძლივად (2-3 საათი) ყურება. თურმე ეს სასმელი ანეიტრალებს მავნე ელექტრომაგნიტურ ველს.

მწვანე ჩაი ხელს უშლის ათეროსკლეროზისა და გულის დაავადებათა განვითარებას, თირკმლებში ცხიმის დაგროვებას, ხელს უწყობს გახდომას და სისხლძარღვების ელასტიკურობას, ორგანიზმიდან გამოაქვს მარილები.

იმ ქვეყნებში, სადაც ძალიან უყვართ მწვანე ჩაი, ისეთი დაავადება, როგორიცაა ჰიპერტონია, ბოლო ადგილზეა.

გთავაზობთ მწვანე ჩაის დაყენების იაპონურ წესს:

1ჩ/კ მწვანე ჩაი ჩაყარეთ ჩაიდანში, დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, გააჩერეთ 5 წუთი და მიირთვით. შაქარი და რძე მწვანე ჩაის არ უხდება. უმჯობესია სვათ თაფლით. ყველაფერთან ერთად, ის ძალიან ეკონომიურია, შეიძლება მისი 2-3-ჯერ დაყენება. ამასთან, სასიამოვნო გემოს მეორე და მესამე დაყენების შემდეგ უფრო შეიგრძნობთ.

**ოჯი**


**გაიზომეთ სისხლში შაქრის შემცველობა ბინიდან გაუსვლელად**

შეიძინეთ!!!
- აპარატები
- ტესტ-ჩხირები
- ერთჯერადი ნემსები
- ავტომატური საჩხვლეტი
- კარდიოლოგიური ფონეიდოსკოპი





შპს „კონტრასტი"
ბორჯომის ქ. 4
☎35-44-05; 34-74-03;
899-19-60-55



**ვმკურნალობთ**

**ქრონიკულ პროსტატიტს**

- ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წთ-ში;
- ექოსკოპია იაპონური აპარატურით;
- კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი", რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

მის: გამსახურდიას (პეკინი) №10 პოლიკლინიკა, კაბ. №7, 10-13სთ-მდე
☎ 8(93) 31 42 35







**სამკურნალო გაერთიანება „ლიგა"**

სექსოპათოლოგიის კლინიკა
ტელ.: 32 21 21

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გაუმჯობესება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:

*პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.*

თბილისი 0186, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11


**გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ბავშვის განვითარების ეტაპების შესახებ. როგორ უნდა მოიქცეს ორსული ქალი?**

**ლ ლებანიძე**

# ბავშვის განვითარება

ბავშვის ფსიქომოტორულ განვითარებას თვალყური დაბადებიდანვე უნდა ადევნოთ. ყოველ ასაკს ახასიათებს პატარის ნერვიული სისტემის, ემოციური სფეროსა და მოძრაობითი აქტების განვითარების სპეციფიკური თავისებურებანი.

*1-დან 6 კვირამდე:* — ახალშობილისთვის დამახასიათებელია „საშვილოსნოსშიგა პოზის" შენარჩუნება: კუნთების მაღალი ტონუსის გამო კიდურები მოხრილი აქვს. მოძრაობა არაკოორდინირებულია. თავს ვერ იჭერს. შესაძლებელია, აღინიშნებოდეს სიელმე, უარყოფითი ემოციები. მე-2-3 კვირაზე, მუცელზე წოლისას, ბავშვი უკვე ცდილობს თავის აწევას, რეაგირებს დაბალ ხმაზე. 1 თვის ასაკში მოძრაობა კოორდინირებული ხდება, სიელმე ქრება. მე-5 კვირაზე პატარა რეაგირებს მსხვილ, მბრწყინავ საგნებზე, ხოლო მე-5 კვირიდან — ხანგრძლივად აფიქსირებს მბრწყინავ საგანს და თვალს აყოლებს მას. კუნთოვანი ჰიპერტონია (მაღალი ტონუსი) ამ პერიოდისთვის ქრება კისრისა და, ნაწილობრივ, ზედა კიდურების არეში. ამავდროულად, შესაძლებელია ბავშვმა პირველად გაიღიმოს.

*2-3 თვე:* — ამ პერიოდისთვის დამახასიათებელია ე.წ. „გაცოცხლების კომპლექსი". ბავშვი იწყებს ღიმილს, შემდეგ სიცილს, ღუღუნსა და ბურტყუნს, მოძრაობა აქტიურდება. 2 თვიდან ბავშვი კარგად იჭერს თავს, აბრუნებს სინათლისკენ და მოძრავი საგნების მიმართულებით. მუცელზე წოლისას წევს ტანის ზედა ნაწილსაც, ამ დროს ეყრდნობა ჯერ იდაყვებს, მერე ხელისგულებს. პატარა ამჟღავნებს თავის დამოკიდებულებას ადამიანების მიმართ, „მოსწონს" მუსიკა, ეტანება სათამაშოებს, საგნებს იდებს პირში.

*3-6 თვე:* — ბავშვის ხელები მთლიანად „თავისუფლდება" კუნთოვანი ჰიპერტონიისგან, რაც მას საშუალებას აძლევს, მიიღოს ნებისმიერი პოზა და თავისუფლად „მოიხმაროს" ზედა კიდურები. მე-4 თვეზე, მუცელზე წოლისას, ტანსა და მუცელს მთლიანად წევს ზემოთ. მე-5 თვიდან შეუძლია ჯდომა საყრდენით, ცდილობს გარემოში გადაადგილებას, იწყებს ცოცვას, იღლიის ქვეშ ხელმოკიდებული დგას, მე-6 თვიდან დამოუკიდებლად ჯდება, ტრიალდება მუცლიდან ზურგზე და პირიქით. თუ ამ პერიოდში პატარას გულმკერდს დაუჭერთ, იგი შეეცდება ნაბიჯების გადადგმას. ბავშვის ემოციური სფეროც სულ უფრო სრულყოფილი ხდება. მე-4-5 თვიდან ცნობს დედას, არ ეკარება სხვა ქალის ძუძუს; პატარა იწყებს მარტივი მარცვლების წარმოთქმას (მა, ბა) და სხვ. იძენს ახალ ჩვევებს: კვების დროს ხელს აშველებს ძუძუს, ბოთლს ან საწოვარას, 6 თვისთვის ის საჭმელს ტუჩებით იღებს.

*6-12 თვე:* — ამ პერიოდის ძირითადი ნიშანია მოძრაობის დახვეწა. თავდაპირველად ბავშვი ურტყამს სათამაშოებს, შემდეგ იწყებს მათ ფიქსირებას, ერთი ხელიდან მეორეში გადატანას. ის თავისუფლად ზის. მე-8 თვიდან დგება მუხლებზე, მჯდომარე მდგომარეობიდან წვება, ბარიერზე ხელმოკიდებული დგება, მე-9 თვიდან ორივე ხელის მოკიდებისას კარგად დადის, კარს აღებს და ხურავს. მე-12 თვიდან დამოუკიდებლად დგას, ის იწყებს ნაბიჯით სიარულს. სიარულის დაწყებისას ხელებს ჯერ წინ იშვერს, მერე განზე შლის, შემდეგ ხრის და ტანს მიატყუპებს. სიარულის ათვისების ბოლო სტადიაზე ბავშვს ხელები ჩამოშვებული აქვს ან ხელში რაიმე საგანი უჭირავს. პატარის ემოციური რეაქციები კიდევ უფრო იხვეწება. 7 თვიდან ბავშვი ეპოტინება სარკეში მის გამოსახულებას, 8 თვიდან ცდილობს ტაშის დაკვრას, ყუთიდან სათამაშოებს იღებს, აგროვებს მათ, განუწყვეტლივ იმეორებს მარცვლებს: ბა-ბა, მა-მა, დე-და და სხვ. შესაძლოა, პირველი სიტყვითაც კი გაგახაროთ. 10 თვიდან შეუძლია გამოაჯავროს ძაღლს, კატას და სხვა ცხოველებს. 11 თვიდან შეკითხვისას მიუთითებს სახის ნაწილებს, სახეს იწმენდს, თმას ივარცხნის, წიგნებს ფურცლავს და ა.შ. ახალი ჩვევებიდან აღსანიშნავია აგრეთვე ფინჯნით დამოუკიდებლად დალევა, ორცხობილისა და პურის ნაჭრების მიყოლება ჩაისთვის და სხვ.



*1- დან 2 წლამდე:* — ბავშვი დიდხანს დადის, შეუძლია წინაღობაზე გადასვლა, ჯოხზე გადაბიჯება, ის იმეორებს ადრე ნასწავლ მოქმედებებს, თოჯინას აჭმევს, აცმევს, ბანს და ვარცხნის, აშენებს სათამაშო სახლს. 2 წლის ასაკში წარმოთქვამს 2-3-სიტყვიან წინადადებას, იგებს ზღაპრებს, შეუძლია დამოუკიდებლად ჭამოს კოვზით ჯერ მყარი, შემდეგ კი — თხიერი საკვები. მოგვიანებით ის ახერხებს ტანსაცმლის ჩაცმა-გახდას მოზრდილის დახმარებით.

*2-3 წელი:* — 2 წლისა და 6 თვის ასაკში ბავშვი არჩევს 4 სხვადასხვა ფერს: წითელს, ლურჯს, ყვითელს და მწვანეს. ხოლო 3 წლის ასაკში — ასახელებს მათ. შეუძლია 10-15 სმ სიმაღლის წინაღობის გადალახვა, თამაში შინაარსიანი ხდება. პატარა იწყებს სხვადასხვა როლის (დედის, ექიმის) თამაშს, აგებს წინადადებებს, იძლევა კითხვებს: „სად?" „როდის?" „რით?" „რატომ"? თვითონ იცვამს, მოგვიანებით კი მოზრდილის დახმარებით შეუძლია ღილებისა და ზონრის შეკვრაც.

*3-4 წელი:* — ამ ასაკში ფსიქიკური განვითარება უფრო მაღალ დონეს აღწევს. ბავშვი ადვილად იმახსოვრებს ლექსებს, უვითარდება შიშის გრძნობა, სილამაზის აღქმა, ყალიბდება ბავშვის „მე", ძნელად ემორჩილება დარიგებას. ეს ე.წ. „პირველი სიჯიუტის" პერიოდია. „მეორე სიჯიუტის" პერიოდი კი თავს იჩენს 6-7 წლის შემდეგ, როდესაც ხშირდება კონფლიქტები მშობლებთან და მასწავლებლებთან...

## რჩევები მომავალ დედებს

ორსულობა ფიზიოლოგიური პროცესია. ამიტომ მისი ნორმალური მიმდინარეობის დროს აუცილებელი არაა საგანგებო დიეტის დაცვა. მთავარია, ნაყოფს არ მოაკლდეს საჭირო ვიტამინები და საკვები ნივთიერებები. ორსულმა უნდა მიიღოს ადვილად შესათვისებელი საკვები, მცირე რაოდენობით და ხშირად. ერიდეთ ცხარე, მარილიან კერძებს.

გთავაზობთ ნუსხას იმ საკვებისას, რომელიც სასარგებლოა როგორც თქვენთვის, ასევე ნაყოფისთვისაც:

ხორცი და ხორცის პროდუქტი, განსაკუთრებით ინდაურის თეთრი ხორცი, ხბოს ხორცი, ძროხის ღვიძლი ან მისგან დამზადებული პაშტეტი, ენა.

ყველანაირი ხილი: ვაშლი, ბანანი და ალუბალი ხომ საუკეთესოა. ერიდეთ ძნელად მოსანელებელ ხილს, მაგ., ხურმას. პატარა მუცლიდანვე „მიაჩვიეთ" რძესა და რძის ნაწარს. მიირთვით რაც შეიძლება ბევრი ხაჭო, ნიგოზი, ქიშმიში, ჭერმის ჩირი, თაფლი.

მარგებელია ბოსტნეული, მწვანილი (განსაკუთრებით, ოხრახუში).

საერთოდ კი, ეცადეთ, მიირთვათ ის, რასაც თქვენი პატარა „მოგთხოვთ".

ორსულობის დროს შესაძლოა წყურვილმა შეგაწუხოთ. თუ ფეხმძიმობა ყოველგვარი გართულების გარეშე მიმდინარეობს, ანუ არ გაწუხებთ შეშუპება, მაღალი არტერიული წნევა და შარდის ანალიზი ნორმალურია, შეგიძლიათ მიიღოთ წყალი სურვილისამებრ. წყალი ნაყოფს განსაკუთრებით სჭირდება ორსულობის პირველი სამი თვის განმავლობაში; ექიმის მითითებით კი, ორსულობის მე-20 კვირიდან შესაძლებელია სითხის რაოდენობის შეზღუდვა. საერთოდ, სითხის ოპტიმალური რაოდენობა დღის განმავლობაში დაახლოებით 1-1,2 ლიტრია.

**მაია მუხიგული**

# განა არ აჯობებს, უცხოეთიდან შემოტანის ნაცვლად ქართული წამლები გადიოდეს მსოფლიო ბაზარზე?

***საქართველოში საეკლესიო-სამონასტრო მედიცინას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. რუისურბნისის მთავარეპისკოპოსის იობის ლოცვა-კურთხევით შეიქმნა სამკურნალო ცენტრი, რომელსაც ბიოლოგი ნინო ქურდაძე ხელმძღვანელობს.***

***— რა დრო დასჭირდა უძველეს რეცეპტთა მოძიება-შესწავლას?***

— რეცეპტების მოძიება და მათი პრაქტიკული გამოცდა წლების მანძილზე მიმდინარეობდა. შესაძლებლობის ფარგლებში რეცეპტების პირვანდელი შემადგენლობა მაქსიმალურად აღვადგინეთ.

წამლების დასამზადებლად 70-მდე სახეობის ბალახი გამოიყენება. მათი ნაწილი საქართველოში არ მოიპოვება და რუსეთიდან შემოგვაქვს.

***— ავადმყოფის რა მონაცემებს ითვალისწინებთ რეცეპტის შერჩევისას?***

— პირველ რიგში მისი ჩივილები (ანამნეზი), კლინიკური დიაგნოსტიკა, ექოსკოპიური და რენტგენოლოგიური გამოკვლევებია გასათვალისწინებელი. შეუძლებელია ავადმყოფის მდგომარეობის შეფასების გარეშე წინასწარ მომზადებული ნახარშის გატანება. მაგალითად, სხვადასხვა მჟავიანობის გასტრიტის, ქოლეცისტიტის შემთხვევაში სხვადასხვა წამალი იხარშება. ქოლეცისტიტის დროს თვითნებურად მხოლოდ უკვდავას ხმარობენ, რომელიც ნაღველმდენი ეფექტით გამოირჩევა, ჩვენ მიერ მოძიებული რეცეპტებში კი გათვალისწინებული სანაღვლე გზების გამაფართოებელი, ანთებითი პროცესის, სანაღვლე გზებში მოპარაზიტე ჭიების (ლამბლიების), ნალექის დამარბილებელი და გამომტანი, სისხლის გამწმენდი საშუალებები.

***— იშვიათ შემთხვევებზე ხომ არ გვიამბობთ?***

— ტუბერკულოზის დროს სხვა ხასიათის კავერნებთან ერთად ფიბროზული კავერნებიც ჩაიკირა და შეხორცდა, რაც რენტგენოგრაფიულადაც დაფიქსირდა. სხვა პაციენტებს კი მრავლობითი ეროზიები აღენიშნებოდათ მთელ კუჭ-ნაწლავის ტრაქტში (საყლაპავში, კუჭში, ნაწლავებში). მკურნალობის შემდეგ გამოკვლევებმა დადებითი პასუხი მოგვცა. ეროზიებისა და წყლულის მკურნალობა სამ ეტაპად ხორციელდება. I ეტაპზე ხდება მისი „გარეცხვა", შემდეგ – აღდგენა და ბოლოს – შეხორცება. 1სმ-მდე წყლული საბოლოოდ 1 თვეში იკურნება.

***— თქვენ მიერ მოძიებული რეცეპტებით რომელ პათოლოგიებს კურნავთ?***

— შესაბამისი ნახარში ძალიან მოკლე დროში მოქმედებს ბრონქიტზე. ეფექტურია ჰეპატიტის წამალი, რომელიც ღვიძლის ფუნქციებს აღადგენს და იმუნიტეტს აძლიერებს. ჭიების წამალი რამდენიმე სახის პარაზიტზე (ენტერობიოზზე,ასკარიდაზე,მახვილაზე, ლამბლიაზე) მოქმედებს.

შედეგები გვაქვს თირკმელების სხვადასხვა პათოლოგიის (ნეფრიტის, პიელონეფრიტის, გლომერულონეფრიტის) დროს.

**მისამართი: ქ. თბილისი, გოგოლის ქუჩა №13, მიღება ყოველდღე 10-დან 17სთ-მდე შაბათ-კვირის გარდა. შაბათ-კვირას – ქ. ხაშური, 9 აპრილის 10. ☎ 4-10-77; 899-74-41-60; 95-38-47 კონსულტაცია უფასო**

# სუკარნოს ქალიშვილი, შესაძლოა, გენერალმა შეცვალოს



ინდონეზიაში საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები ჯერჯერობით ბოლომდე ცნობილი არ არის, მაგრამ შესაძლოა, ამ უდიდეს მუსლიმანურ ქვეყანაში ხელისუფლების სათავეში კვლავ სამხედროები მოვიდნენ. არჩევნებში გამარჯვების იმედი აქვს დიდ პოლიტიკაში 6 თვის წინ მოსულ 55 წლის გენერალ-ლეიტენანტ სუსილო ბამბანგ იუდჰოინოს. მას ამჟამინდელ პრეზიდენტზე, 57 წლის ქალბატონ მეგავათი სუკარნოპუტრიზე გაცილებით მეტმა ამომრჩეველმა მისცა ხმა.

როცა წინა საპარლამენტო არჩევნების წინ სუკარნოპუტრი თავისი დემოკრატიული პარტიის კამპანიას ეწეოდა, მისი ასიათასობით მომხრე სტადიონებზე ერთხმად გაიძახოდა — „მერდეკა!“ (დამოუკიდებლობა). თავის დროზე ამ შეძახილით ეგებებოდნენ მამამისს, ინდონეზიის პირველ პრეზიდენტს, სუკარნოს, რომელსაც სავარძელი 1966 წელს გენერალმა სუჰარტომ დაატოვებინა.

ახლანდელი არჩევნების დროს ამომრჩევლები აღარ ყვიროდნენ, „დამოუკიდებლობაო“, ისინი ქვეყანაში ეკონომიკურ ცვლილებებს მოითხოვდნენ, რასაც მათ გენერალ-ლეიტენანტი სუსილო ბამბანგ იუდჰოინო ჰპირდებათ.

პრეზიდენტმა მეგავათი სუკარნოპუტრიმ ვერც კორუფცია მოსპო და ვერც ეკონომიკას უშველა რამე, ქვეყანა სიღარიბის ზღვარზეა, უმუშევრობამ 9,3%-ს მიაღწია. ინდონეზიას მონატრა სუჰარტოს „რკინის ხელი“. მართალია, 32 წლის მანძილზე ავტორიტარული მმართველობა იყო, მაგრამ ეკონომიკა სწრაფად მიდიოდა წინ.

*ლენტა რუ*

# ბირთვული შემოდგომა

საერთაშორისო სააგენტომ ატომური ენერგიის დარგში, მიიღო რეზოლუცია, რომელიც ირანისგან მოითხოვს ურანის გამამდიდრებელი სამუშაოების შეჩერებას და ობიექტებზე საერთაშორისო ინსპექტორების დაშვებას. აშშ-მა თავისას მიაღწია — ამის დასტურია საერთაშორისო სააგენტოს რეზოლუცია, რომელიც საკმაოდ მკაცრ მოთხოვნებს უყენებს ირანს.

ირანში ურანის გამამდიდრებელი სამუშაოები კარგა ხანია მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია. ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულება არ კრძალავს ურანის გამდიდრებას, მაგრამ თეირანი მაინც არ ტყდებოდა და მხოლოდ ახლახან აღიარა, რომ თითქმის ორი ათეული წელია ამ საქმეს ეწევა. ვაშინგტონი დარწმუნებულია, რომ ირანი უსაფუძვლოდ არ მალავდა ამ ფაქტს და იგი, სამშვიდობო მიზნით კი არა, საკუთარი ბირთვული იარაღის შესაქმნელად სჭირდებოდა.



*ირანის სულიერი ლიდერი აიათოლა ჰომეინი ცდილობს, განსაზღვროს რა ელის ირანს*

ირანის ხელისუფლებამ ატომური ენერგიის დარგში საერთაშორისო სააგენტოს მიერ მიღებული რეზოლუცია შეურაცხმყოფელად მიიჩნია — ჩვენ ულტიმატუმს არ ვიღებთ და სამუშაოებს მხოლოდ საკუთარი სურვილით ვწყვეტთო, — განაცხადა ქვეყნის უშიშროების საბჭოს მდივანმა ჰასან როჰანიმ.

ირანის ექსპრეზიდენტი, ხაშემი რაფსანჯანი, რომელსაც გავლენა არ დაუკარგავს, საერთაშორისო სააგენტოს დაემუქრა, — ურანის გამდიდრების შეწყვეტის მოთხოვნა უკანონოა და ჰააგის სასამართლოში გიჩივლებთო.

ადრე თუ გვიან, ალბათ საქმე იქამდე მივა, რომ აშშ განაცხადებს — მშვიდობიანი გზით ირანი ვერ დავითანხმეთ ბირთვული იარაღის დამუშავების შეწყვეტაზე, ამიტომ ვიდრე ის ამ იარაღს გამოიყენებდეს, ჩვენ უნდა დავასწროთო.

*ვლასტი №39*

# კვერცხები პრემიერ-მინისტრისათვის



ივანო-ფრანკოვსკში თავს დაესხნენ უკრაინის პრემიერ-მინისტრს, პრეზიდენტობის კანდიდატს ვიქტორ იანუკოვიჩს. როგორც ტელეკომპანია „მარნოლია-ტვ“ იტყობინება, იანუკოვიჩი და მისი თანხმლებნი წინასაარჩევნო შეხვედრებს აწყობდნენ უკრაინის რეგიონებში. კარპატისპირეთის უნივერსიტეტში მათ გზა გადაუღობეს ბლოკ „ჩვენი უკრაინის“ მომხრეებმა. ისინი ერთხმად ყვიროდნენ: „იუშჩენკო, იუშჩენკო!“ ვიქტორ იანუკოვიჩს ავტობუსიდან გადმოსვლისას მძიმე საგნები და კვერცხები დაუშინეს. პრემიერი დაეცა. ის დაცვამ მაშინვე მანქანაში ჩასვა და საავადმყოფოსკენ გააქანა.

ამჟამად ვიქტორ იანუკოვიჩის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

კაცი, რომელმაც ლითონის საგანი ესროლა პრემიერს, დააპატიმრეს.

პრეზიდენტობის მეორე კანდიდატის, ვიქტორ იუშჩენკოს საარჩევნო შტაბმა განაცხადა, რომ მათ მომხრეებს არანაირი კავშირი არა აქვთ მომხდართან.

*ნიუს რუ*

# ყაზახეთის პარლამენტს მამა-შვილი გაიყოფს



ყაზახეთში გამართულ საპარლამენტო არჩევნების შედეგებზე დიდად არის დამოკიდებული ასტანის ურთიერთობა დასავლეთთან. ხმათა დაახლოებით 40% მიიღო პრეზიდენტ ნურსულთან ნაზარბაევის პარტიამ „ოტანმა“ და 20% — მისი ქალიშვილის, დარიგა ნაზარბაევას პარტიამ „ასარმა“. ახალ პარლამენტს, ცხადია, მამაშვილი გააკონტროლებს, მაგრამ დასამშვიდებლად მაინც არა აქვთ საქმე.

ყაზახეთის ამჟამინდელი საპარლამენტო არჩევნები დსთ-ში პირველია საქართველოში შარშან მომხდარი ხავერდოვანი რევოლუციის შემდეგ, რომელიც ბევრმა, პოსტსაბჭოთა სივრცეში პოლიტიკური ელიტის შეცვლის დასაწყისად მიიჩნია. არჩევნებამდე დასავლეთმა ასტანას აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწეების — ელიზაბეტ ჯონსისა და ლორენ კრეინერის პირით შეუთვალა — ყაზახეთში სტაბილურობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად დემოკრატიულად ჩაატარებთ არჩევნებსო. ამას მოჰყვა ის, რომ პრეზიდენტმა ნაზარბაევმა ხელი მოაწერა ახალ საარჩევნო კანონს, ვეტო დაადო მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან დაკავშირებულ არაპოპულარულ კანონს, დაუშვა არჩევნებში ოპოზიციური სახალხო პარტია.

ყაზახეთის ოპოზიციას და დასავლეთის წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ არჩევნები მაინც არ იყო დემოკრატიული — პრეზიდენტისა და მისი ქალიშვილის პარტიები არაფერს მოერიდნენ გასამარჯვებლად.



ყაზახეთის ხელისუფლებამ არ შეასრულა დასავლეთის „მთავარი დავალებაც“ — არ გაათავისუფლა ოპოზიციის ლიდერი, პოლიტპატიმარი ჰალიმჯან ჟაკიანოვი და მას საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ მისცა.

*ბი-ბი-სი*

# თურქეთი ევროკავშირთან საქმეს აგვარებს

6 ოქტომბერს ევროკომისიამ უნდა გადაწყვიტოს — ღირს თუ არა საუბრის დაწყება ევროკავშირში ანკარის გაწევრებაზე. კომისია უკმაყოფილოა თურქეთის კანონშემოქმედებითი საქმიანობით. თურქეთი ძალიან წუხს, რომ ევროკავშირი ასე მუქ ფერებში ხედავს ქვეყანაში მიმდინარე სასამართლო რეფორმებს. კომისია თურქეთს აფრთხილებს, დემოკრატიის გზაზე უკან დახევა — ადამიანის უფლებათა დარღვევა — ანკარას ხელს შეუშლის საერთოევროპულ ოჯახში შესვლაშიო. ბევრი ევროპელის თვალში თურქეთი მეტისმეტად დიდი, მეტისმეტად ღარიბი და მეტისმეტად შორეული, ისლამისტურად განწყობილი ქვეყანაა.

თურქეთის პრემიერ-მინისტრი ერდოჰანი ბრიუსელში საგანგებოდ ჩავიდა ევროკომისიის შეხედულების გასაბათილებლად. პრემიერმა ევროკავშირის გაფართოების კომიტეტის თავმჯდომარეს გიუნტერ ფერჰოიგენს განუცხადა, რომ მისი მთავრობა მზადაა სასამართლო კოდექსში მნიშვნელოვანი ლიბერალური შესწორებების შესატანად.

გიუნტერ ფერჰოიგენის თქმით, კომისიას ხელს აღარაფერი შეუშლის ევროკავშირში თურქეთის გაწევრებასთან დაკავშირებით მოლაპარაკების დასაწყებად, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ანკარას წევრობა განაღდებული ჰქონდეს.

*იზვესტია №171*

# ინდოეთმა კარი გაუღო პაკისტანის მოქალაქეებს



ფერვეზ მუშარაფი

მანმოჰან სინგჰი

ინდოეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ პაკისტანის მოქალაქეებს გაუმარტივა ქვეყანაში შესვლის წესი. ეს, უპირველესად, შეეხება აკრედიტებულ პაკისტანელ ჟურნალისტებს, სწავლულებს, ექიმებს, რომლებიც თავიანთ პაციენტებს მიჰყვებიან ინდოეთში, 65 წელზე მეტი ხნის ადამიანებს.

2000 წლიდან ინდოეთსა და პაკისტანს შორის კავშირი პრაქტიკულად გაწყვეტილია. ამის მიზეზი გახდა დელიში, სახელმწიფო დაწესებულებებთან მომხდარი ტერაქტები — ინდოეთის ხელისუფლება ტერაქტებში პაკისტანელ ტერორისტებს ადანაშაულებს.

ინდოეთის საგარეო პოლიტიკის უწყება ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სავიზო რეჟიმის შელავათი არის „კეთილი ნების ჟესტი“, რომლის მიზანია ორი ბირთვული სახელმწიფოს სამშვიდობო კავშირის გაძლიერება. „ვიმედოვნებთ, რომ ისლამაბადი შესაბამის ნაბიჯს გადმოდგამს“, — ნათქვამია ინდოეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

პაკისტანის ხელისუფლება მაინცდამაინც არ იზიარებს თავისი ინდოელი კოლეგების ოპტიმიზმს: თუ მთავარი — ქაშმირის ოლქის — საკითხი არ მოგვარდა, რა აზრი აქვს, გაადვილდება თუ არა ინდოეთში შესასვლელი სავიზო რეჟიმიო.

ექსპერტები ამიტომაც ბევრს არაფერს ელიან ინდოეთის პრემიერ-მინისტრ მანმოჰან სინგჰისა და პაკისტანის პრეზიდენტ ფერვეზ მუშარაფის მომავალში დანიშნული შეხვედრიდან.

*კომერსანტი №174*

## მოკლედ

**აშშ-მა** საბოლოოდ გაუუქმა ლიბიას ეკონომიკური სანქციები. ტრიპოლის უკვე შეუძლია ნავთობის ექსპორტირება, აშშ-თან ავიაკავშირების დამყარება და მის ბანკებში ანაბრების შეტანა. თუმცა კადაფის რეჟიმი კვლავ რჩება ტერორისტთა სპონსორების სიებში.

**ჰაიტის** წყალდიდობას დაახლოებით 1050 კაცის სიცოცხლე შეეწირა. გაეროს მისიის წარმომადგენლების ცნობით, დაღუპულთა რაოდენობა დღითი დღე მატულობს. ქალაქ გონაივის მცხოვრებლები სურსათ-სანოვაგისა და სასმელი წყლის გარეშე არიან დარჩენილები. სასწრაფოდ სჭირდებათ მედიკამენტები და სამედიცინო დახმარება. წყლის დონე თანდათანობით იკლებს, მაგრამ კუნძულის დიდი ნაწილი ჯერაც დატბორილია.

**ბერლინის** პოლიციამ ოფიციალურად აკრძალა ოქტომბრის დასაწყისში ევროპაში პირველი ისლამისტური კონგრესის ჩატარება. ამ ანტისემიტური აქციის თავკაცები ამართლებენ ისლამისტი-თვითმკვლელების ტერაქტებს. ამიტომ დაუშვებლად მიგვაჩნია ბერლინში მისი ჩატარებაო, — აცხადებენ ქალაქის ხელისუფალნი.

**თურქმენეთის** სახელმწიფო ტელევიზიამ მოულოდნელად 2 საათით შეწყვიტა დაგეგმილი გადაცემა, რათა პრეზიდენტ საფარმურატ ნიაზოვისთვის საკუთარი ლექსების წაკითხვის საშუალება მიეცა. მისი ახალი პოეტური კრებული, რომელშიც შევიდა ისეთი ნაწარმოებები, როგორცაა: „ჩემი დემოკრატია“ და „თურქმენი ერის აღორძინება“, ოქტომბერში გამოვა გასაყიდად.

**ბრუნეიში** 20 წლის შემდეგ პირველად შეიკრიბა პარლამენტი. სხდომა ბრუნეის სულთანმა ჰასანალ ბოლკიახმა გახსნა და დეპუტატები გააფრთხილა — სერიოზული შეცდომები არ დაუშვათო. 21-კაციან პარლამენტში შევიდნენ მთავრობის წევრები, დიდი მოხელეები, ბიზნესმენები. რა თქმა უნდა, სულთანი და მისი უმცროსი ძმა.

*გვერდი მოამზადა ნანა ანტონოვა-ილურიძემ*



# „წვიმაც ნავთობის მოდის და ღვინოსაც ნავთის გემო ექნება...“

(დასაწყისი იხ. გვ. 5)

ჩამოსული არიან უცხოელი ექსპერტები, დამკვირვებლები და დასკვნების გამოტანა მათი პრეროგატივაა.

**— ამ ჭაბურღილიდან ბევრი ნავთობი ამოგქონდათ?**

— ეს ჭა უკვე ლიკვიდირებული იყო. აღარაფერს რომ აღარ იძლეოდა, ამიტომ მიდიოდა იქ კაპიტალური რემონტი. ჭა რომ კვდება და ნულზე ჯდება, მერე ვიწყებთ ჩიჩხინს, კაპრემონტს, რომ დამატებით იქნებ რაღაც წამოვიდეს. ამ მდგომარეობაში იყო მეასე ჭაბურღილიც. მოპოვება ნულზე დაეცა და ვცდილობდით, გაგვეღვიძებინა, მაგრამ ისე გაიღვიძა, რომ არავინ ელოდა.

**— სოფელში ამბობენ, რომ ნავთობის ამოხეთქვა თქვენი თანამშრომლების გულგრილობამ გამოიწვია, ზოგი კი ყველაფერ ამას დივერსიად ნათლავს.**

— ვის უნდა განეხორციელებინა დივერსია? იმ მომენტში სამუშაოებს მეც ვესწრებოდი. ის ჭა უნდა ჩაგვეხრჩო — ჯერ ინსტრუმენტი უნდა ამოიღო: საექსპლუატაციო კოლონა, მილი, რომლიდანაც ნავთობი მოდის. მილს რომ ამოიღებ, მასში ისხმება წყალი და მერე დაცემენტდება. ამას ჰქვია ჭის ჩახრჩობა. ნავთობმა მილის ამოღების დროს ამოხეთქა. დაახლოებით ექვსის ნახევარი იქნებოდა. 2600 მეტრის სიღრმეზე რა ფენა სკდება, არავინ იცის. შეიძლება პატარა ნაპრალი გაიხსნას და ნავთობი დიდი წნევით წამოვიდეს.

**— მაინც გაუგებარია, რა სამუშაო მიდიოდა — ჭაბურღილის გამოღვიძების თუ დალუქვის?**

— იქ არავითარი დივერსია არ ყოფილა...

**— რადგან ასეთი რაოდენობით ამოხეთქა, ე. ი. იქ დიდი რაოდენობით ყოფილა ნავთობი...**

— ეს ზუსტად არავინ იცის. აქ დიდი ხნის საბადოა და დასკვნა გეოლოგებმა უნდა გააკეთონ. თუმცა, ფაქტია, რომ მარაგი არის. ვბურღავთ და ვეძებთ. ყველაფერი ეს ბნელ ოთახში კატის დაჭერის მცდელობას ჰგავს.

**— ინგლისელი კომპანიონები თუ გეხმარებიან?**

— ექსპლუატაციასა და ავარიის შედეგების აღმოფხვრაზე უცხოელები მუშაობენ. თავიანთი მოწყობილობები აქვთ ჩამოტანილი.

**— და მაინც, პასუხი ვინ უნდა აგოს, თანაც სოფელმა დიდი მატერიალური ზარალი ნახა.**

— ყველაფერი დაანგარიშდება და ანაზღაურდება...

როგორც ვხედავთ, ავარიის მიზეზებზე ლაპარაკი და დასკვნების გაკეთება ჯერ ნაადრევია. მაგრამ ფაქტია, რომ ნავთობის ამოხეთქვამ სოფელი ძალზე დააზარალა, რაზეც „კვირის პალიტრას“ სოფლის მიერ შექმნილი ავარიის შედეგების გამომკვლევი კომისიის წევრი **ელგუჯა კეტარიშვილი** ესაუბრება:

— სამი დღე ნავთობის წვიმა მოდიოდა ნინოწმინდაში. ციდან წამოსული ნავთობის წვეთები საგარეჯოსაც ეცემოდა. ტყეზე რომ აღარ ვილაპარაკოთ, მოსავალი თითქმის მთლიანად არის გაფუჭებული. მოსაკრეფად გამზადებული ყურძენი აღარ ვარგა. ამისგან რომ ღვინო დააყენო, ვერ დალევ, ყველაფერს ნავთის გემო ექნება. სოდა დაგვირიგეს. პომიდორი ამ სოდით გარეცხეთ და ისე ჭამეთო. სოდით გარეცხილი საჭმელი ვის რად უნდა?

**— სოდა ვინ დაარიგა?**

— კომპანიამ. ფქვილი, რძის ფხვნილი, ბორჯომი და თითო ნამცხვარი დაგვირიგეს. სოფელში წყალი უკვე აღარ ისმება. ნავთობმა სასმელი წყლის სათავეც დააბინძურა. სხვა სოფლებიდან ცისტერნებით ვეზიდებით წყალს და იმას ვიყენებთ. რამდენ ხანს გაგრძელდება ასე, არ ვიცით. გვეუბნებიან, დაწერეთ განცხადებები და ზარალს აგინაზღაურებთო, მაგრამ მარტო ყურძნისა და პომიდვრის ზარალი ხომ არ არის საქმე? ბავშვები იწამლებიან. ჰაერი საშინლად არის დაბინძურებული...

ნინოწმინდის სასოფლო ამბულატორიის თერაპევტის, ზაირა აგულაშვილის თქმით, ავარიის შემდეგ სოფელში ავადმყოფთა რაოდენობამ იმატა — ზოგი ყელის ტკივილს უჩივის, ზოგს თავის ტკივილი აწუხებს. გამწვავდა ქრონიკული დაავადებები. პირღებინების შეგრძნებამ, წნევის აწევამ თუ ნაღვლის ბუშტის გამწვავებამ თითქმის სისტემატური ხასიათი მიიღო.

ერთი სიტყვით, ნინოწმინდაში, ტყისა და ვენახის გარდა, ავარიის შედეგები სოფლის მცხოვრებლებმაც იწვნიეს. ნინოწმინდელი **ტრისტან ფეიქრიშვილი** ამბობს, რომ მისი მეუღლე მძიმედ მოიწამლა და დღემდე მკურნალობს: — ამ ამბის მეორე დღეს ძლიერი ქარი იყო. დილით რომ გამოვედი და ციდან წამოსული შავი წვიმა დავინახე, გული ლამის გამიჩერდა. ეზოში თეთრი „ჟიგული“ მედგა და მთლიანად შავი დამხვდა. მტევანს რომ მოსწყვეტ და წყლიან ჭიქაში ჩადებ, წყალი თავზე ნავთის აპკებს იკეთებს.

**— ზარალის ანაზღაურებას გპირდებიან?**

— გუშინ მოვიდნენ, აღწერა გააკეთეს და წავიდნენ. გაიძახიან, ყველაფერს მივიწონითო. რა უნდა მიიწონონ, განახევრებულია. აღარც რქაწითელი ვარგა და აღარც თავკვერი. ხეხილი კიდევ ჯანდაბას, მთელი სოფლის მოსახლეობა იწამლება. ჩემს მეუღლეს თირკმლები და კუჭი აქვს გაღიზიანებული. ისე ცუდად გახდა, რომ სასწრაფო დახმარების მანქანის გამოძახება დამჭირდა... შემოწმებაზე რომ მოვიდნენ, თქვეს — ჰაერიც სუფთაა და ყურძნის ჭამაც შეიძლებაო. ერთმა, ვითომ ჩვენ რომ გავემხნევებინეთ, მთელი მტევანი შეჭამა. ისე ასტკივდა კუჭი, დამალვა ველარ მოახერხა. ეტყობა, იმ ნავთობს რაღაც ამოჰყვა, თორემ მარტო ნავთი ასე არ წამლავს ხალხს...

**გარსევან ბუხნიკაშვილი,** საგარეჯოს რაიონის გამგებელი: — ჰუმანიტარული დახმარება ნინოწმინდელებს ჯერ კიდევ მანამ დაურიგდათ, ვიდრე ავარიის ლიკვიდაცია მოხდებოდა. პარალელურად, სოფლის ამბულატორიაში მოხდა ექიმების მობილიზება, დიაგნოზის დასმა და საჭირო მედიკამენტების გაცემა, რასაც მთლიანად ნავთობკომპანია ანაზღაურებდა.

**— ერთი სიტყვით, კომპანია ზარალის ანაზღაურებაზე უარს არ ამბობს?**

— კომპანიამ ყველა სახის ზარალი თავის თავზე აიღო — იქნება ეს სოფლის მცხოვრებთა ჯანმრთელობის აღდგენა თუ მატერიალური ზარალი. რაც შეეხება ტყეს, ეკოლოგები იკვლევენ ტყის დაზიანების ხარისხს. კომპანია თავისივე ხარჯებით გაჩეხს გაფუჭებულ ტყეს და მის ნაცვლად ახალი ხეები დაირგვება. სამწუხაროა, რომ იმ მონაკვეთში ტყის აღდგენას ალბათ ათწლეულები დასჭირდება.

**— პასუხისმგებლობა ვინ უნდა იკისროს მომხდართან დაკავშირებით? არსებობს ვერსია, რომ ყოველივე ეს კომპანიის თანამშრომელთა უყურადღებობამ გამოიწვია.**

— გულგრილობა იყო ეს თუ უყურადღებობა, ამას პროკურატურა გადაწყვეტს. ამის გამოვლენით სადაზღვევო კომპანიაც არის დაინტერესებული. ცხადია, მას სულაც არ უნდა აანაზღაუროს ზარალი. ამიტომ ცდილობენ იმის გარკვევას, შესაძლებელი იყო თუ არა ავარიის თავიდან აცილება. ამ დასკვნაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორ განვითარდება მოვლენები და ვის რა პასუხისმგებლობა დაეკისრება.

**— ხალხი იმითაც არის უკმაყოფილო, რომ ავარიის ლიკვიდაციას დიდხანს მოუნდნენ.**

— ძალიან რთული ვითარება გახლდათ. ავარიის ადგილას თავმოყრილი იყო სპეციალისტთა მთელი ჯგუფი და სახანძრო მანქანები. ცეცხლის გაჩენის საშიშროებაც იყო. კიდევ კარგი, ასე არ მოხდა, თორემ ზარალი კატასტროფულ დონეს მიაღწევდა. ნავთობით გაჟღენთილი უზარმაზარი მუხები და წიფლები ასანთის ღერივით აალდებოდა და ცეცხლი მთელ ტყის მასივს მოედებოდა.

თავდაპირველად, აზერბაიჯანელი და ქუვეითელი მენავთობეების გამოძახებას აპირებდნენ. ჩვენმა სპეციალისტებმა კი ნავთობის შეჩერების სამი ვარიანტი შეიმუშავეს. საბედნიეროდ, ყველაზე მარტივმა გაამართლა. ნავთობის ძლიერი ჭავლის ქვეშ ჭაბურღილს მიერთებული მილი მოხსნეს, თოკებით ამოტენეს და ისევ მიუერთეს. ეს სათქმელად არის ადვილი, თორემ საკმარისი იყო მოხსნისას გამოწვეული სულ მცირე ნაპერწკალი, რომ იქაურობა ხალხიანად გადაიბუგებოდა. მილის მიერთების შემდეგ სპეციალური აგრეგატებით მაღალი წნევა გამოიწვიეს და ნავთობი შეაჩერეს...

მოსაჭრელად განწირულ ტყის მასივსა თუ გაფუჭებულ ყურძენს, ცხადია, აღარაფერი ეშველება, მაგრამ მომავალში მსგავსი ინციდენტი რომ არ განმეორდეს, ამისთვის მისი გამომწვევი მიზეზების საფუძვლიანი შესწავლა არის საჭირო. საქართველო-ინგლისის ნავთობკომპანიაში ამ მიზეზებზე არ ლაპარაკობენ. როცა დავუკავშირდით, კომენტარისგან თავი შეიკავეს. ობიექტურ დასკვნას დამოუკიდებელი ექსპერტები თუ გამოიტანენ. არადა, პასუხისმგებელ პირთა გამოვლენა აუცილებელია, რადგან მომავალში მაინც უნდა იყოს დაცული ტყეცა და ადამიანებიც ასეთი უბედურებისგან.

*დავით დევდარიანი*



ავარიის შედეგების ლიკვიდაცია იოლი არ იქნება

# „წყალბადის ბომბებს ვამზადებ, უნდა ავაფეთქო“

(დასაწყისი იხ. გვ. 4)

**— გზაზე იმხელა აღმართებია — პატარძეულთან, სართიჭალასთან...**

— ვისაც გინდა, დავენიძლავები, რომ ისე ჩამოვალ ჩემი სოფლიდან თბილისამდე, დაბლა ფეხს არ ჩამოვადგამ. წნორში ხო ნამყოფი ხარ? იქიდან სიღნაღამდე როგორი აღმართებია, ისიც გეცოდინება. ორჯერ ავედი გაუჩერებლად, ერთხელაც არ ჩამოვსულვარ ველოსიპედიდან.

**— არ გიცდია, ჯუმბერ ლეჟავას მსგავსად, გინესის რეკორდების წიგნში მოხვედრა?**

— ჯუმბერა 2 წლის წასული იყო სამოგზაუროდ, როცა სპორტკომიტეტში მივედი და ვუთხარი: — მაიტა, გამიშვით, ლეჟავას დავეწევი და უკანაც ჩამოვასწრებ-მეთქი(!). არ დამიჯერეს. 48 წლის კაცი ვარ, არც ამინდის ჭირვეულობა მაღელვებს. ამას წინათ, ვიდრე საგარეჯომდე ჩამოვიდოდი, წვიმამ მომისწრო, ორჯერ დავსველდი და გავშრი, მაგრამ არაფერს არ შევფარებივარ. ზამთარ-ზაფხულ ნებისმიერ ამინდში დავდივარ, 1990 წლის მერე ერთი დღეც არ გამიცდენია(!) ზამთარში ცივ წყალში ვბანაობ. დიდი კასრი მაქ სახლში, იქ ჩავვარდები ხოლმე. ერთხელ, ჩემი მეზობლები მიყურებდნენ, ახალგაზრდა ბიჭები არიან. მე ვუთხარი — ეხლა ცივ წყალში უნდა ვიბანაო და გულები არ დაგისკდეთ-მეთქი. რო ჩავხტი კასრში, დააჭყიტეს თვალები. იდგნენ პალტოებში შეფუთულნი და მამჩერებოდნენ... ზაფხულშიც, პაპანაქებაში ისე ვმუშაობ ვენახში, რომ თვალს არ დავახამხამებ. პირიქით, მსიამოვნებს. ჩემზე იძახიან — უსტვენსო!.. მე კიდე მეცინება, დადიან და ჯიბეები წამლებით აქვთ გამოტენილი. ჩემსავით რომ მიხედონ თავს, არაფერი წამოსტკივათ, მაგრამ გაიძახიან, მაგას ნებისყოფა უნდაო... ეხლა მითხარი, მე ვუსტვენ თუ ისინი?!

ერთხელ 23 დღე ვიშიმშილე. ამ პერიოდში სუფრასთანაც ვმჯდარვარ, მწვადისა და ხაშლამის სუნი რო ტრიალებს, როგორი გასაძლებია? მაგრამ ვუძლებდი და ეხლა ჩიტივითა ვარ. თუ რამე წამამტკივა, მასაჟი და იმისი ჯანი. ეხლაც კვირაში ერთი დღე მაინც ვშიმშილობ, ორგანიზმი, როგორც კრისტალი, იგრე სუფთავდება. რო გამოვკეთდი, ერთი პერიოდი ისე გავსუქდი, რო ხეზე ველარ ავდიოდი, მერე დიეტაზე დავჯექი, რა ვი, რა აღარ ჩავიდინე...

ეხლა რამდენიც გინდა ვჭამო, 72 კილოზე ვარ გაჩერებული. დარდი რა არი, არ ვიცი. ამოდენა პრობლემებით გულებ რო იხეთქამენ, არ მესმის. ჩემი თავი ჯერ დაბოღმილი არავის უნახავს. გამოცხადებული მაქ, რომ ვერავითვინ ვერ ვიდარდებ, სამაგისოდ არა მცალია!..

15 წლის წინ სიკვდილს ვნატრობდი. ჩემმა ნებისყოფამ იმდენი შემაძლებინა, რომ დღეს კაჟივითა ვარ. სპორტსმენები რო გადიან დისტანციაზე, თითოს ათი ექიმი დასდევს, მე აღარც ექიმი მახსოვს, აღარც წამალი. 150 კილომეტრი ველოსიპედით ჩემთვის გასეირნებაა, ამის მერე თუ გინდა, ერთი-ერთზე ფეხბურთსაც გეთამაშები...

ბევრი აღარ გაგვიგრძელებია საუბარი. „ვისოცკი“ ბოთლებით გაძეძგილ თავის რკინის „რაშს“ მოახტა და ქიზიყისაკენ გაუტია. დიდხანს გულიანად ვიცინოდით მის მარილიან იუმორზე და უცნაურ კაცზე, რომელიც თავისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ქიზიყი-თბილისის გზას ბაწარივით არის გამოკიდებული. ხუმრობა იქით იყოს და მისი ჯანმრთელობა მასზე ბევრად ახალგაზრდებსაც შეშურდებათ. დადის თავისთვის, ფუტკარივით შრომობს და აგროვებს აქა-იქ გაფანტულ ბოთლებს, სადაც მოუხერხდებათ, იქ რომ ყრიან „კულტურული“ ადამიანები...

...და კიდევ, თუ შესაძლებლობა მისცეს, მართლა აპირებს გინესის რეკორდსმენობას.

*ზვიად სეხნიაშვილი*


მოსწავლეთა საყურადღებოდ!
საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი «მზიური» აცხადებს მოსწავლეთა და სტუდენტთა მიღებას პერსონალური კომპიუტერის შემსწავლელ ჯგუფებში
მიიღებიან V – XI კლასების მოსწავლეები
მის: დ. უზნაძის №70 (ყოფილი კამოს)
☎ 91-03-17; 29-48-61; 95-45-75

სარეპეტიტორო სკოლა
სტს
მოამზადებს აბიტურიენტებს და მოსწავლეებს უმაღლეს სასწავლებელში ჩასაბარებელი ტესტებისათვის ქართული, მათემატიკა, უცხო ენა, ზოგადი უნარ ჩვევები.
ტელ: 22 69 15
www.sts.caucasus.net

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა
25 სექტემბრიდან დაადგინა ლარის მიმართ
უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,8400 |
| ევრო | 2,3024 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | 3,3107 |
| რუსული რუბლი | 0,0631 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,2206 |

„ტრანსტრონსის“ ფირმის
მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, წაბლის ტექსტურით, მუხა, მუქი მუხა, მაკაგონი, წითელი ხე და ა.შ.
ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის“ გვერდით
☎ 26-30-50; 34-49-40; 61-32-37; 899-51-51-09; 899-902-091; ტ/ფაქსი: 966-779

შპს „გეოკორი“
აწარმოებს ბურღვით სამუშაოებს სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად
მის: აკურის ქ. №8 (საორბის სასახლის უკან), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 36-64-02

ფირმა „ფლორანი“
მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები უმაღლესი ხარისხის პროფილით
სხვადასხვა ფერები და საკეტები
დაბალ ფასებში
☎ 38-08-14
26-44-77; 53-21-51
899 25-38-74; 899 20-57-32
მის: გამსახურდიას 44 (ვაგარინის მოედანი, სასტუმრო „ხიბლი“-ს უკან)

# ცხოვრებისეული კურიოზები

## 1. თითი მეც მაქვს!



ასე, სამი ათეული წლის წინ უნივერსიტეტის საღამოს განყოფილებაზე ვსწავლობდი. ახლობელმა ლიფტების სადისპეტჩეროში მიშოვა სამსახური. გახარებული ვიყავი, — ვიჯექი, თან ხელფასს ვიღებდი, თან ვმეცადინეობდი და თანაც საქმე დიდი არაფერი იყო, — გაიჭედებოდა ლიფტი, აინთებოდა ავარიული სიგნალი, დავურეკავდი ხელოსანს და ისიც ოპერატიულად მიდიოდა ავარიის ადგილას. ერთხელაც მეზობლის ქალმა შემოირბინა, — ნატო, ჩვენი ლიფტი არ მუშაობს, მეც ჩემდა ჭირად ისეთი საქმე გამომიჩნდა, ამ ერთ საათში ათჯერ მაინც ავედი და ჩამოვედი მე-12 სართულზე ფეხითო. გაოცებულმა დავხედე საავარიო სიგნალს, — წესრიგში იყო! მაგრამ ხელოსანი მაინც გამოვიძახე და დაინტერესებული თან გავყევი, ნეტა, რა მოხდა-მეთქი. ასე რომ, მე, ის ქალბატონი და ხელოსანი ერთად ავედით მეთორმეტე სართულამდე, სადაც ლიფტის სამართავი მოტორი იყო. მეზობელი შინ შევიდა, ჩვენ კი ლიფტის დათვალიერება განვაგრძეთ. თან ყოველ შემთხვევისათვის ლიფტზე ვაბრახუნებდით, ვინმე გაჭედილი არ იყოს-თქო. კაი ხნის ბრახუნის შემდეგ ქვემოდან მამაკაცმა მიპასუხა. შეწუხებულმა ზემოთ ხსენებული მეზობლის მეუღლის, თამაზის ხმა ვიცანი და კარებს მივვარდი. — თურმე შენი ქმარია ლიფტში გაჭედილი-მეთქი. მოთქმით ჩამომყვა მეშვიდე სართულამდე — იმ საცოდავს როგორ გაუჭირდებოდა, უკვე ერთი საათის გამოსულია სახლიდანო. ერთი სიტყვით, კარი გავაღეთ და ასეთ სურათს წავაწყდით: — ეს ჩვენი „დაზარალებული“ დგას და კისერზე მშვენიერი ქალბატონი ჩამოჰკიდებია. ყველანი დავიბენით, მაგრამ ლიფტში ხელი მაინც შევყავი და გამღებ ავტომატურ ღილაკს თითი დავაჭირე. თამაზმა კი ქალბატონის ხელი კისრიდან მოიშორა, თითები ცხვირწინ დამიტრიალა და მოულოდნელად მიყვირა: — თითი მეც მაქვს, მარა თქვენი შეწუხება არ მინდოდა, რას შეაშინე ეს ხალხი, სართულ-სართულ რომ დარბიხარ, სადისპეტჩეროში დაჯექი, როცა გამიჭირდება, თითს მეც გამოვიყენებო!

***ნატო დოლიძე***

## 2. რეისზე მაგვიანდება



თბილისის ძველ ეზოში გავიზარდე. ყველამ იცის, ასეთ ეზოებში რა ახლოს არიან ოჯახები ერთმანეთთან. ჩვენც ასეთი სიახლოვე გვქონდა. განსაკუთრებით, ჩემს ძმაკაცთან, დათოსთან სტუმრობა მიყვარდა — არაჩვეულებრივი ბებია ჰყავდა — ნანული. გამოასუფთავებდა ოჯახს ნანული ბებია და მოგვიტანდა ბიჭებს ყველაფერს სუფრაზე. სიბერეში ნანული ბებიას სკლეროზი კი შეეპარა, მაგრამ მე ძველებურად ვსტუმრობდი. ერთხელაც შინ, მთვრალმა ავიჩემე, ნანული ბებია უნდა ვნახო-მეთქი. არ მიშვებდნენ, მაგრამ ჩემი გავიტანე, ჩავედი დათოსთან და დამწუხრებული ნანული ბებიას დანახვაზე გადავირიე, — რა დაგემართა-მეთქი?! რა და, ლენინგრადში მინდა წასვლა და ამათ არ მივყავარო, — დაასმინა ოჯახი. მე წაგიყვან-თქვა, შევპირდი. მერე ნანული ბებია მეორე ოთახში გავიდა. დრო ვიხელთე, სახლში გავიპარე და დავიძინე. შუაღამეს გადაშორებული იყო, ზარის ხმამ გამაღვიძა. ტყვიასავით დამძიმებული თავით ავდექი და კარი გავაღე. გავაღე და დათომაც მტაცა ხელი და მომაყარა: — წამოეთრიე და როგორც გინდა, ბებიაჩემი დააწყნარე, სამი საათია სახლში დადის, ბარგს ალაგებს, არც ერთს არ გვაძინებს, ოთარმა ლენინგრადში უნდა წამიყვანოსო. რაღას ვიზამდი. ჩავყევი, ნანული ჩემოდანზე იჯდა და მელოდებოდა. გამოვართვი ჩემოდანი, ჩავდე მანქანაში, ჩავისვი ნანული და გამოვედით ქუჩაში... კარგა ხანს ვიარეთ, ბოლოს ვუთხარი — აეროპორტი დაუკეტავთ-მეთქი. გული დასწყდა, მაგრამ მორჩილად გამომყვა შინ, თუმცა როცა კარი დათომ გაგვიღო — გულამომჯდარმა შესჩივლა, — აეროპორტი დაუკეტავთო.

— ნუ გეშინია, ბებო, ახლა დავრეკე და უკვე გაღებულა, აგერ, ოთარი წაგიყვანსო — მიაგება დათომ...

თვალები გადავატრიალე — რაებს ბოდავ-მეთქი, უცებ ნანულიმ სახელოზე დამქაჩა და გამომიცხადა: — ჩქარა წამო, ოთარ, თუ არა, ეს ჩემი უსაქმური შვილიშვილი ლაპარაკს ვერ დაამთავრებს, რეისზე გვაგვიანდებაო!

***ოთარ ბერაძე***

## 3. თუ სადმე ნახოთ...



კაკაბეთელი თედო პაპა ჯეელობაში ტანთხელი კაცი ყოფილა, მაგრამ ასაკში ჩასუქდა და საკმაოდ მოზრდილი ღიპიც დაედო, თანაც სიარულიც გაუჭირდა, ჯოხით დადიოდა. ერთხელაც სოფლის ცენტრისკენ მიმავალს უსაქმოდ მდგომი ბირჟავიკები წაელაზღანდარნენ.

— თედო პაპავ, აბა, ერთი ალალადა სთქვი, რამდენი ხანია საკუთარი „მამაკაცური ღირსება“ არ დაგინახამსო.

თედო პაპა გაჩერდა, ჯერ თავი გადააქნია, მერე უეცრად ულვაშებში ჩაიცინა და თქვა, — რავი, ბალღებო, კარგა ხანი გავიდა მას შემდეგ, თუ სადმე შაგხვდეთ, სუ პირზე კოცნით მამიკითხეთო...

ნირწამხდარმა ბირჟავიკებმა დაბნეულად შეწყვიტეს სიცილი. თედო პაპამ კი თავისი განუყრელი ჯოხის ბაკაბუკით არხეინად გააგრძელა გზა.

***რევაზ ნიჟარაძე, თბილისი***

## 4. ზნაჩით, პაპა ბაგათი!



კომუნისტების დროს ინგილო ძმაკაცმა დაგვპატიჟა კახში. ძირძველ ქართველებთან ყოფნა გაგვიტკბა. სამ დღეს დილიდან ღამემდე დალოცვილი კახური ღვინით სავსე ჭიქებს ვატრიალებდით. ხმის ჩახლეჩამდე ვმღეროდით მრავალჟამიერს და ერთმანეთს სიყვარულს ვეფიცებოდით. მეოთხე დღეს, როგორც იქნა, მოვიფიქრეთ მასპინძლის მოსვენება და თბილისში წამოსვლა გადავწყვიტეთ. დაგვიშალეს, ნაბახუსევები ხართ, ინსპექცია გაგაჩერებთ და ფულს წაგართმევთო, მაგრამ ვინ დაიშალა? — დავჯექი საჭესთან და მოვდივართ სიმღერ-სიმღერით. ჩვენი სიმთვრალის გამოცნობას რა დიდი ამბავი უნდოდა. მოკლედ, ბელაქანთან გაგვაჩერეს. „პრავის“ ჩამორთმევას რასაკვირველია, ფულის გადახდა სჯობდა და ჩვენც ვაჭრობა დავიწყეთ. დიდი გაწევ-გამოწევის შემდეგ აზერბაიჯანელმა ინსპექტორმა გვკითხა: თქვენთან, თბილისში ასეთ შემთხვევაში რამდენს იღებენო? რა თქმა უნდა, დავუკელი, — 50 მანეთს-მეთქი (არადა 100 მანეთით გვფცქვნიდნენ), მატყუებ, სად მუშაობო? მაშინ ფეხსაცმელების ქარხანაში ვმუშაობდი. ვიფიქრე, ფეხსაცმელები რომ ვახსენო მდიდარი ვეგონები და ბევრ ფულს წამართმევს-თქვა. მოკრძალებით ვუთხარი: სტარში ნაუჩნი სატრუდნიკ, ტოვარიშჩ ინსპექტორ!

...ინსპექტორმა მიყურა, მიყურა და სახეგაბრწყინებულმა წამოიძახა: ზნაჩით უ თებია პაპა ბაგათი! და... 300 მანეთიც წამგლიჯა.

***ლევან სიხარულიძე***

## 5. ტვინი და ენა



პოეზიისა და იუმორის დიდად მოყვარული კაცი, ჯუმათელი ლერი დარჩია დილით ქალაქში წასასვლელად გაემზადა (ლერია ცოტა ენას უკიდებს).

— ბიჭო, ლერია! — გასძახა ცოლმა ლერიას.

— რა იყო, მმედიკო?

— ბაღნებს კატლეტი მოენატრათ და სამი კილო ხორცი მეიტანე!

— აარის, ქაალბატონო მედიკო!

— ბაზარში ლერიამ ყასაბი გააფრთხილა — სამი კილო საქონლის ხორცი შემინახეო. თვითონ კი მეგობრებთან ერთად სასადილოში შევიდა საქეიფოდ.

დღის ბოლოს ნაქეიფარი ლერია ყასაბს მიადგა და ხორცი მოსთხოვა, იმან კი თავში შემოირტყა ხელი:

— უიმე, ლერია, სულ დამავიწყდა!

— დდევილუპეე, მომკლავს მედიკოო! — გადაირია ლერი.

— ლერია, ენა და ტვინი დამრჩა მხოლოდ. ჭკვიანი ქალი მეიფიქრებს და რაღაცას კი გააკეთებს ამისგან, — შესთავაზა ნირწამხდარმა გამყიდველმა.

— მომეციო! — უხალისოდ ჩაიქნია ხელი ლერიამ, ხორცი შინ წაიღო და მაგიდაზე დააგდო. იფიქრა გავიპარებიო, მაგრამ იმ წუთში ცოლის ყვირილიც დაედევნა:

— რა ჯანდაბად მინდა, ბიჭო აი, ენა და ტვინი?!

— მმმედიკო, გგამოგვადგება! — ტტვინი შენ არ გაქ და ენა — მე! — ცოლიც დააწყნარა და გულიც დაიმშვიდა ლერიამ....

***ალეკო მითაიშვილი, ოზურგეთის რაიონი, სოფელი ჯუმათი***

## ყურადღება!

### კურიოზების კონკურსი

**„კვირის პალიტრამ“ მკითხველის პრემია კურიოზების გვერდისთვისაც დააწესა. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ავტორებმა უნდა გამოგზავნონ რედაქციაში კურიოზები, ახალი სასაცილო ამბები, ანეკდოტები. საუკეთესოები გამოქვეყნდება.**

მიანიჭეთ პრემია საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ავტორს. თუ რომელიმე კურიოზმა ან ანეკდოტმა თქვენი მოწონება დაიმსახურა (ყველაზე მეტად), აღნიშნეთ მისი ნომერი ქვითარში და გამოგვიგზავნეთ. თქვენი ხმა არ დაიკარგება და თვის ბოლოს გადაწყვეტს გამარჯვებულის ვინაობას.

ხმები დაითვლება და თვის განმავლობაში ყველაზე მეტი ხმის მფლობელი კურიოზის/ანეკდოტის ავტორი მიიღებს პრემიალურ — 50 ლარს, მომდევნო — 30-ს, ადგილზე გასული ავტორი კი — 20 ლარს.

*ეს ქვითარი „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთში უნდა მოათავსოთ რაიონებში ოთხშაბათის, 29 სექტემბრის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 30 სექტემბრის 13 საათამდე.*

**კურიოზების კონკურსი**

საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ნომერი ________

________________

თქვენი სახელი, გვარი

**კვირის პალიტრა №39**

## მკითხველის საყვარელი ანეკდოტი



**6.** მეგრელები ზუგდიდში დგანან და მათ გაკვირვებას საზღვარი არა აქვს: ხედავენ, ენგურს დამხრჩვალი სვანი მოაქვს — ჯერ ერთი, შემდეგ სამი, კიდევ ორი და ასე...

მერე ერთმა მეგრელმა მოიფიქრა — მოდი, გზაზე გავიდეთ, ვინმე სვანი იქნება იქიდან მომავალი და გვეტყვის, რაშია საქმეო. მართლაც გზაზე გამოჩნდა, სვანი მოდის მანქანით.

— სკანი გული ვაფირო, რაშია საქმე, მოაქვს და მოაქვს ენგურს დამხრჩვალი სვანები, რაღაცა კარგი ამბავი არ უნდა იყოს იქ!

— სი მაარე, როგორ არ არის კარგი ამბავი, თემურ ბაბლუანი ფილმ „ტიტანიკის“ ახალ ვერსიას იღებს — „ტიტანიკი ენგურზე“ ჰქვია ამას, აბა!

***დ. ყიფიანი***

## მილოცვა

**მერიკო სიმონის ას გუნცაძეს!**

ჩვენი ოჯახის პატარა ანგელოზო, გილოცავთ პირველ კლასში შესვლას. გისურვებთ კარგ სწავლას, სახელოვან ქალად გაზრდას.

*დიდი სიყვარულით: ბებო თამარ, ბაბუ ტარიელ გუნცაძეები*

**გიორგი ოზბეთელაშვილს!**

ჩვენო საყვარელო გიორგი, გილოცავთ დაბადების დღეს! გისურვებთ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს და ბედნიერებას შენს საყვარელ დედასთან ერთად. გფარავდეს ღმერთი, მუდამ თან გდევდეს მადლი ღვთისმშობლის, წმინდა გიორგის.

*შენი მაყრა ბებო, მიშა პაპა და გია ძია*

## მადლობა

მადლობა 106-ე საშ. სკოლის (დირექტორი გ. აბრამიშვილი), სასწავლო ნაწილის გამგეებს – **ც. მღებრიშვილს** და **ნ. პაპაშვილს,** სკოლაში ჩვენი გულთბილი მიღებისათვის.

ჩვენო **მარინა მასწავლებელო,** ულრმესი მადლობა თქვენ ენერგიული შრომისათვის. კიდევ ბევრი თაობა აღგეზარდოთ ქართული ტრადიციებით, კიდევ ბევრისთვის ჩაგენერგოთ – არ „მოჰკლან" ქართული სიტყვა. თქვენი ლამაზი ხელით, დიდი შრომის ფასად, მაგრამ უწაკლოდ, მთელი თავისი სიმშვენიერით კიდევ ბევრისთვის გესწავლებინოთ ჩვენი საამაყო მრგლოვანი დამწერლობა და აგეხსნათ სიტყვის სიბრძნე; კიდევ ბევრ პატარასთან შეგესისხლხორცებინოთ საქართველო და ქართული.

გემშვიდობებით მეც და ნათიაც, ღირსეულო ადამიანო, ღირსეულო ქართველო, ღირსეულო პედაგოგო. მარად უმრავლოს საქართველოს თქვენისთანა პედაგოგები და ჩვენი ენა და მამული არასოდეს „მოკვდება". ღმერთმაც დაგლოცოთ და ერმაც!

*პატივისცემით, მ. ქათიბაშვილი*

## ბინები

იყიდება მცხეთის რაიონში, სოფ. მისაქციელში სახლი 3000 კვმ ხეხილიანი ნაკვეთით, ჰესიდან 100 მ-ში. ტელ: 893 13-71-80

სასწრაფოდ! ბორჯომში, პრესტიჟულ ადგილას, IV სამმართველოს წინ, ფიჭვნარში, ახალაშენებული, მონოლითურკარკასიან, ელიტურ 4-სართულიან სახლში, III სართულზე, 5-ოთახიანი ბინა (194კვმ), ფართი აივნების გარეშე, 5 აივნით (25კვმ), ა/ფარეხით (50კვმ) და სარდაფით (50კვმ). ფასი: $39.700-ის ეკვივალენტი ლარებში. ტელ: 96-85-67; 65-02-00; 899 29-19-59. ირაკლი

## გთავაზობთ სამუშაოს

18-25 წლამდე გოგონებს ვთავაზობთ გამგზავრებას ავსტრიაში, გერმანიასა და საფრანგეთში 1 წლით, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18; 7-74-79 (ქუთაისი)

სასიყვარულო პრესის ლიდერი – გაზეთი „სისხლიანი სიყვარულის" რედაქცია სამუშაოდ იწვევს 18-დან 35 წლამდე მანდილოსნებს სარეკლამო აგენტისა და მენეჯერის თანამდებობაზე. მის: თბილისი, კოსტავას ქ. №14, II სართ. ოთახი 210 (შესასვლელი ჭოველიძის ქ. №2-დან). ტელ: 93-49-72; 899-56-32-59

გვაქვს 4 ვაკანსია. სათანამშრომლოდ მივიღებთ განათლებულ, რუსულის მცოდნე ადამიანებს. ვმუშაობთ მსოფლიოში. საუკეთესო თანამშრომლებს ეძლევათ შანსი საზღვარგარეთ მუშაობისა (კომპანიის ხარჯებით). გამომუშავება $200-400 აშშ სტანდარტებით. მიმდინარეობს შერჩევა. იჩქარეთ! მისამართი. მ. „დიდუბე", „სამთო ქიმიის ინსტიტუტი", I სართ. ოთახი 6. ტელ: 34-02-38; 899 90-54-78; მენეჯერი: ბ-ნი დიმიტრი

კომპანია „ჯი-პი-სის" ესაჭიროება მზარეული, მუშაობის გამოცდილებით. სასურველია წარმოადგინოთ სარეკომენდაციო წერილი ყოფილი სამსახურიდან. ინფორმაციისთვის მოგვმართეთ: 94-60-60; 96-71-83

ვითარდება ამერიკული პროგრამა, კადრების მომზადება, ახალი ტექნოლოგიების გათვალისწინებით. გარანტირებულია დასაქმება. 893 16-04-57 საყვარელიძე

გთავაზობთ თანამშრომლობას თანამედროვე მეთოდებით მომუშავე საერთაშორისო განვითარებად კომპანიაში, სადაც ნებისმიერი პროფესიის ადამიანს ეძლევა შანსი, გამოიმუშაოს მზარდი შემოსავალი ფილიალების გაზრდა-ხელმძღვანელობით. სამუშაო გრაფიკი თავისუფალია. ასაკს არა აქვს მნიშვნელობა. მსურველებს ვიწვევთ რეგიონებიდანაც. ინფორმაცია უფასოა. ტელ: 38-15-64 (18-24 სთ)

საერთაშორისო ფირმას ოფისში ესაჭიროება განათლებული, მიზანდასახული ადამიანები, მაღალი ანაზღაურებით. სასურველია რუსული ენის ცოდნა. ტელ: 33-59-23. გია

## მომსახურება

ვაკეთებ რბილი ავეჯის რესტავრაციას, სავარძლებზე, ტახტებზე, მატრასებზე; სკამებზე ნაჭრის შეცვლას, დარბილებას; მეორადი მიხმარების სავარძლებზე ლაქების ამოყვანა, მშრალი წმენდა. ტელ: 76-01-33. გია (საღამოს)

ნათელმხილველი ამიშა კვლავ თბილისშია და აგრძელებს მიღებას ძველ მისამართზე. მკითხაობა, ჯადო-თვალის, წყევლის, ჩაკეტილი ბედის დაზუსტება-მოხსნა, თილისმები, ოჯახური, მეგობრული და პირადი უსიამოვნებების მოგვარება. მიღება მხოლოდ წინასწარი სატელეფონო ჩაწერით: 893 96-94-51

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია – 1 სთ – 12 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 3. ტელ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

ტექსტის აკრეფა, სტილი, კორექტურა, სწრაფად, ხარისხიანად! ტელ: 34-32-79; 899 91-86-81

## მკურნალობა

ისრაელში შემუშავებული მეთოდიკით, გარანტიით იკურნება სკოლიოზი, ოსტეოქონდროზი, ნევროზი, პოსტინსულტური დამბლა, კიფოზი, შაკიკი, დაღლა (კუჭის ქრონიკული აშლილობა), სუბფებრილიტეტი (t = 37,2°C), შიშები, რადიკულიტი, სუიციდის (თვითმკვლელობის) მცდელობები; წონის დაკლება. კონსულტაცია და დიაგნოსტიკა უფასოა. მის: მეტრო „გურამიშვილი", ძმები გარიშვილების ქ. №18. ანატოლი შავიძე. ტელ: 61-65-03; 893 20-68-21

წამალი „მთაწმინდა" კურნავს თმის დაავადებებს: ბუდობრივი ცვენა (ამოდის თმა); ტილები, წილები ისპობა 10 წუთში. ვმკურნალობ ფრჩხილის სოკოს გარანტიით. გვაქვს თმის მცენარეული საპნები, ნატურალური კოსმეტიკური მალამოები; ვაკეთებ მასაჟს (ოსტეოქონდროზი, სკოლიოზი). მის: ჭავჭავაძის პრ. 2/2 (ჩაის სახლთან), სტომატოლოგიური პოლიკლინიკა. ტელ: 30-94-73; 35-32-62; 893 918-917. წამალი „მთაწმინდა" შეგიძლიათ შეიძინოთ PSP აფთიაქებშიც.

ვმკურნალობ თმის ცვენას, ბუდობრივს და ჩვეულებრივს. 10 დღეში ვაჩერებ თმის ცვენას და ჩამოცვენილი თმაც ამოდის. მის: ალმაშენებლის №115, პოლიკლინიკის შენობა, ეზოს ბოლოში, კაბინეტი №19. ტელ: 78-07-94 (ბინა); 95-83-54 (სამს.) ლალი

ტრადიციული მეთოდებით მედიცინის მუშაკი მაყვალა ცინცაძე ამზადებს თვით მუმიოზე მალამოებს, ხსნარებს და საფენებს. მკურნალობს: ოსტეოქონდროზს (მარილებს), სახსრებს, პოლიართრიტს, საშწვერა ნერვის ანთებას, დისკოზს, კისრის, მენჯ-ბარძაყის, მუხლსახსრის ართროზს. მხოლოდ ჰაიმორიტი იკურნება 8-10 დღეში. განკურნება გარანტირებულია. ტელ: 899 20-19-66

ალკოჰოლისგან განკურნება კრემლის ყოფილი ლაბორატორიის მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით (შესაძლებელია პაციენტისგან ფარულადაც). გარდა ამისა, ვმკურნალობ: ნევროზებს, აგრესიულობას, ლოგონევროზს, ენურეზს (შარდის შეუკავებლობა), ღვიძლის დაავადებებს, ფსორიაზს, ბრონქიტებს. შესაძლოა სიმსუქნის მოშორებაც. ტელ: 893 35-45-35 (ნებისმიერ დროს); 99-75-90 (12-17 სთ). მაკა

ალკოჰოლითა და ნარკოტიკით დაბინძურებული ორგანიზმის გაწმენდა, მკურნალობა. ალკოჰოლიზმით გამოწვეული გართულებების მკურნალობა: 1. ნევროზები; 2. ჰეპატიტები; 3. ჰალუცინაციები; 4. არითმიები და ა.შ. მოსკოვის კრემლის ყოფილი ლაბორატორიის სერტიფიცირებული პრეპარატები (მკურნალობა შესაძლებელია პაციენტისგან ფარულადაც). ტელ: 899 22-63-90. ნინო

კუჭ-ნაწლავის პრობლემები: გასტრიტი, ქოლეცისტიტი, ჰეპატიტები (C ჰეპატიტი), მეტეორიზმი (შებერილობა), კოლიტი (გაუვალობა), ჰემოროი (ბუასილი) და ა.შ. მოსკოვის კრემლის ყოფილი ლაბორატორიის სერტიფიცირებული პრეპარატები (აკადემიკოს ვ. ა. ლიხაროვის მეთოდებით). ტელ: 899 22-63-90. ნინო

ალკოჰოლიზმი და მისგან გამოწვეული გართულებები – ნაბახუსევის სინდრომის („პახმელიის") მოხსნა, აგრესიები, შიშები, ჰალუცინაციები, უძილობა, ჰეპატიტები. მკურნალობა შესაძლებელია პაციენტისგან ფარულად. პრეპარატები უსაფრთხოა და მაღალეფექტური. დამზადებულია მცენარეებისაგან და გაჯერებულია ვიტამინებით. ტელ: 53-08-02; 99-75-90 (სამს). თამრიკო

ანტიალკოჰოლი (პაციენტისგან ფარულად) და ანტითამბაქო. სერტიფიცირებული მცენარეული პრეპარატებით, რომლებსაც უკუჩვენება არ გააჩნიათ. დამზადებულია მოსკოვში, აკად. ლიხაროვის ლაბორატორიაში. ტელ: 99-75-90; 899 21-13-66. ლალი

ალერგენების კომპიუტერული დიაგნოსტიკა და ალერგიის მკურნალობა, მეტყველების დარღვევების (ენაბლუობა-ლოგონევროზი) მკურნალობა გერმანული უახლესი აპარატურით ლიცენზირებულ სამედიცინო ცენტრში, მაღალი შედეგებით. მის: ვაჟა-ფშაველას №16, მე-13 სართ (ყოფილი მშენებლობის სამინისტროს შენობა), რეზონანსული თერაპიის ცენტრი. ხელმძღვანელი ექიმი ზურაბ ხაჩიაშვილი. 10-16 სთ. ტელ: 899 97-58-77; 39-58-77

ხალხური მედიცინა – მაქსიმალურად გარანტირებული, უსწრაფესი შედეგებით!!! ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი (დისკის ამოვარდნა) სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები), პოდაგრა, სკოლიოზი, შაკიკი. მკურნალობა ეფექტურია პირველსავე დღეებიდან!!! მიღება რკინიგზის პოლიკლინიკაში, წინასწარი ჩაწერით. ექ. მ. ალექსიშვილი. ტელ: 899 57-16-99; 39-39-97; 61-02-97

აკადემიკოს ლიხაროვის მეთოდებით და ულტრათანამედროვე ტექნოლოგიებით: შიში, ნევროზი, დეპრესია, ჰალუცინაცია, თავის ტკივილები, მაღალი წნევები, ინსულტის შემდგომი პერიოდი, პროსტატიტი, სქესობრივი სისუსტე, სპერმის უხარისხობა, ნაადრევი და უნებლიე სპერმის გამოყოფა. ტელ: 35-17-48. დათა

## განათლება

თბილისის ეკონომიკურ-სამართლებრივი ინსტიტუტი აგრძელებს მსმენელთა მიღებას: 1. სამართალმცოდნეობა; 2. ეკონომიკური; 3. უცხო ენები. უმაღლესდამთავრებულები ჩაირიცხებიან მე-3 კურსზე. ფასი 200 ლარიდან. მის: ს. ეულის ქ., მსხვილგადამხდელთა ინსპექციის შენობის მე-6 სართულზე. ლიფტი მუშაობს. ტელ: 32-06-97; 30-51-30; 893 93-38-15

კომპიუტერული სტუდია „ლაჯი" გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების, უცხო ენების სწრაფ-შემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიით, სწავლის დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის" უკან). ტელ: 98-44-20; 899 14-03-31

ავტოსკოლა ამზადებს ყველა კატეგორიის მძღოლს. სკოლა უზრუნველყოფილია ყველანაირი მარკის მსუბუქი და სატვირთო ავტომობილით. მოდი, ისწავლე, აიღე მართვის მოწმობა! ჩვენი მისამართებია: ლადო ასათიანის №28; მუხიანის დასახლება, I მ/რ, II კორპ. ტელ: 99-53-24; 64-02-10; 899 14-14-84

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დ. უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის ინსტიტუტთან არსებული სკოლა-ლიცეუმი აცხადებს მიღებას X-XI კლასებში. მოსწავლეთა მომზადება მოხდება ტესტური გამოცდებისათვის. ფასი $350. სოლოლაკი, პოლო იაშვილის 22. ტელ. 99-53-75; 33-32-97 (საღამოს)

სტუდია „ესთეტიკა" იწვევს მსურველებს 16-დან 50 წლამდე ყოფაქცევის, ზრდილობის და ეთიკის ნორმების შესასწავლად. გაცნობა, სამსახური, დიპლომატია, კვების, ჩაცმის, დასვენების და გართობის კულტურა (ამ ყველაფრის ცოდნა თქვენი წარმატების საწინდარია). მის: უზნაძის 59. 23-ე სკოლა. ტელ: 56-61-63; 95-73-73; 899 55-16-09

სამეჯლისო ცეკვების სტუდია „გრაცია" იწვევს ბავშვებს 5-დან 15 წლამდე და უფროსებს 15-დან 35 წლამდე ესპანური, ევროპული და ლათინურ-ამერიკული ცეკვების შესასწავლად: ვალსი, ტანგო, სამბა, სალსა და სხვა. მის: უზნაძის 59. 23-ე სკოლა. ტელ: 56-61-63; 95-73-73; 899 55-16-09; 64-46-60

ფირმა „ქართი" აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე: 1. კოსმეტოლოგი-ვიზაჟისტი; 2. მასაჟისტი; 3. საპარიკმახერო. კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის: აღმაშენებლის №115, ეზოში. ტელ: 94-01-82; 95-83-18; 96-22-89

უცხო ენების ფირმა „ელიტა-სკ" იწვევს 15-17 წლის ასაკის მოსწავლეებს ამერიკის, საფრანგეთისა და გერმანიის სკოლებში სასწავლებლად, აკადემიური წლის (10-თვიანი) პროგრამით. მის: თბილისი, ქავთარაძის ქ. №12. ტელ: 30-39-20

მოვამზადებ ფრანგულ ენაში ნებისმიერი დონის მსურველს. სწავლება მიმდინარეობს უახლესი მეთოდით, აუდიო-ვიდეო საშუალებების გამოყენებით. ენის ზოგადი კურსის გარდა მსურველებს ექნებათ საშუალება, გაიღრმავონ ცოდნა მათთვის სასურველ სპეციფიკაში (ეკონომიკა, მედიცინა, იურისპრუდენცია). ტელ: 899 22-30-67

ინგლისური ენის შემსწავლელი კურსები იწვევს ყველა ასაკის მსურველს. სწავლება HEADWAY-ით. ფასი – 15-20 ლარი. მის: ეულის №1, მსხვილგადამხდელთა ინსპექციის შენობის მე-6 სართულზე. ლიფტი მუშაობს. ტელ: 32-06-97; 30-01-30; 893 93-38-15

„კავშირი ადამიანებისთვის, განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ", 2004 წლის 1 ოქტომბრიდან აცხადებს სტუდენტების მიღებას სოციალური თერაპიის სემინარში. სემინარის მიზანია სოციალ-თერაპევტების აღზრდა, რათა მათ შეძლონ მუშაობა განვითარების შეფერხების მქონე მოზრდილ ადამიანებთან. მის: ძმები უბილავების ქ. №8. ტელ: 77-54-85; 77-63-07; 877 41-55-71. ელფოსტა: heim@heim.ge

წარმოებს მოსწავლეთა მიღება კოსმეტიკის კურსებზე. შეისწავლება: სახის კანის დეფექტები, მალამოები, მკვებავი, დეკორატიული, სამკურნალო, კანის გაწმენდა, მასაჟი, ეპილაცია, რძეები, ნიღბები, ლოსიონები და სხვა. გაიცემა სერტიფიკატი. შეღავათები ეხება სტუდენტებს, მრავალშვილიან, ობოლ, უმუშევარ და ლტოლვილთა ოჯახებს. მის: დადიანის №26 ან აღმაშენებლის №90. ტელ: 69-09-19; 95-47-67; 893 33-09-66

## იყიდება

ა/მ „დოჯ-ქარავანი", 1998 წლის, ამერიკიდან ჩამოყვანილი, სრული ეკიპაჟით, კონდიციონერით, ავტომაგნიტოფონით. ტელ: 899 53-53-43. დავითი

ახალი კორეული სატელიტური ანტენა ციფრული მიმღებით. იღებს ქართულ, რუსულ, ევროპულ ტელეარხებს. ჩვენებს ყველგან – ქალაქში, სოფელში, აგარაკზე, მთაში, აგრეთვე საზღვარგარეთ. არხების რაოდენობა – 300. კომპლექტის ფასი – 270 ლარი. მონტაჟი – 40 ლარი. რუსეთის 25 ტელეარხი ფასი – 400-450 ლარი მონტაჟით. ტელ: 899 94-27-04

სმენის აპარატები შეღავათიან ფასად, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით; აგრეთვე ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები გარანტიით. ტელ: 95-95-22 (10-12 სთ); 899 27-38-99; 93-46-74 (20 სთ-ის შემდეგ)


აქსისი
AXIS
ახალი მშენებარე სახლი მცხეთის ქ.17



არაყიშვილის ქ.№14 ტელ: 25 34 34; 91 25 34

## რამაზ ალანიას გახსენება



ძვირფასო რამაზ! ორმოცი დღე გავიდა, რაც გახვედი ამ ქვეყნიდან და მარადიულ სოფელში დაემკვიდრე. უკვე აღარ გაწუხებს ტკივილი, რომელსაც საოცარი მოთმინებით იტანდი. რამდენ უფროსთანდებოდი დღეს, მეუღლეს, შვილს, ნათესავებს, მეგობრებს – არ გინდოდა მათი შეწუხება. ერთმა შენმა მეგობარმა თქვა, – ვარდი იმისა, რომ დიდად ნიჭიერი, განათლებული ადამიანი იყო, დიდი ვაჟკაციც ყოფილა... მეორემ – იშვიათი ამტანი ვნებათაღელვების ცოდნის მქონე პიროვნებაო... მართლაც ასეთი იყავი – მეგობრე, მშვიდი, უშურველი, მოყვასი, ნათელი... ამიტომაც დაგვაკლდი, დაგვაკლდა შენი სიყვარული და ერთგულება...

დაე შენმა ამქვეყნად ნაკეთებმა სიკეთემ გაუნათოს გზა შენს ერთადერთ ვაჟს.

ღმერთმა გაცხონოს.

*მეგობრები*

## ნელი სამხარაძის მოგონება



დიდი დრო არ არის გასული, რაც დაგვტოვე, მაგრამ ესეც საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ შეგვეგრძნო, შენი სახით რა ფასეულობები დავკარგეთ. დრო ყველა ჭრილობას კურნავსო... მაშინ რატომ არ იღლება სევდა, რატომ არ ყუჩდება ის ტკივილი, რომელიც დაგვიტოვე?! გულში სამუდამო სიცარიელე დაუსადგურე. დავკარგე ნუგეში, დავკარგე, მაგრამ ვერ ვპოულობთ. შენი მეგობრები ვლოცულობთ შენი და შენი რამაზის სულისთვის. დაგვიკარგე საფლავზე, ვანთებ სანთლებს და ვიხსენებთ.

უფალს ვთხოვთ, სამუდამო სასუფეველი დაუმკვიდროს შენ და შენს ერთადერთ შვილს.

*შენი კოლეგები*

## ჩვენო უდროოდ წასულო რობერტ!



29 სექტემბერს უშენოდ ვხვდებით შენს დაბადების დღეს. 17 წლის ვაჟკაცი გავიხსენებთ, ჩვენო ერთადერთო იმედო. 15 ოქტომბერს წავიდა შენი ნორჩი სიცოცხლე. წახვედი და ჩვენი სიცოცხლეც თან გაიყოლე. უსამართლოდ დარდი და ტანჯვა დაგვიტოვე გამწარებულ მშობლებს. ვერ ვიჯერებთ, რომ შენს საფლავზე, შენს ნათესავებთან, მეგობრებთან და ახლობლებთან ერთად, ყვავილებით და ცრემლებით ლოცულობით მოსული გვიხედავ. სიხარულის ნაცვლად დიდი დარდი, ტკივილი და ცრემლი გახდა ჩვენი თანამგზავრი.

გვენატრები, შვილო. ვერაფერი ამოივსებს სიცარიელეს, რასაც უშენობა, მოუშუშებელი ტკივილი ჰქვია.

ისლა დაგვრჩენია, ვილოცოთ შენი სპეტაკი სულისთვის. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

*მამა და ვანო ბოკერიძე*

## ნუნუ წერეთშვილი-დავითაშვილის მონატრება



სამი წელი შესრულდება 28 სექტემბერს, რაც შენი ლამაზი სული მარადისობაში გადაინაცვლა. გაუსაძლისია ყოფილა უშენობა, დაგვიტოვე სამუდამო სევდა და მწუხარება.

ჩემო საყვარელო დაიკო ნუნუ, როგორ უსაზღვროდ მენატრები. ყველას უშენოდ დაგვაკლდი. შენს შვილებს, შვილიშვილებს, შენს ნათესავებსა და მეგობრებს.

ღმერთს ვთხოვთ, რომ ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

*შენი ძმა ნიკო, და ელმირა*

## ალიკა ქავთარაძის გახსენება



ალიკა შვილო, 2 ოქტომბერს 30 წელი შეგისრულდებოდა. პირველად ვხვდებით უშენოდ შენს დაბადების დღეს. ამქვეყნიურმა ცხოვრებამ არ გაგიმართლა, მანდ მაინც იყავი ბედნიერი. შენი, რომ ასეც იქნება. მთელი ცხოვრება სიკეთის კეთებაში გავლი, ჩემო სულიერო და ხორციელო ლამაზო შვილო. სამარადჟამოდ დამტოვე ერთი პატარა ნაპერწკალი – ლუკა. ღმერთმა ჰქნას, ვარსკვლავად ქცეულიყოს და მკვდრად არ ჩათვლებოდეს.

დაბადების დღე გილოცავ შენი დედიმშვილები, ბიძაშვილები და მამიდაშვილები.

ჩვენ – მე და შენი მეუღლე ნინო უშენოდ დავრჩით.

*შენი დედიკო მაგული*

## ალიკა (ალექსანდრე) ქავთარაძის გახსენება

ალიკა, მენატრები და მიყვარხარ ისე, როგორც ცოცხალი ადამიანი. ვიცი, ვერასოდეს დაგბრუნებ, მაგრამ ის მოლოდინი სავსე ცდებით, შენ ნაჩუქარი რომ გავლიე, დღესაც თან დამდევს. ისევ გელოდები...

მე და შენ სიკვდილის მეტი ვერავინ და ვერაფერი დაგვაშორებსო, – მეუბნებოდი. მართალიც ყოფილხარ. 14 დეკემბრის ტრაგიკული შემთხვევის მსხვერპლი გახდი. რატომ? რისთვის? ... 2 ოქტომბერს შენი დაბადების დღეა, 30 წლის გახდებოდი...

მოვალ შენს საფლავთან, შევასრულებ თხოვნას და მოვიტან ჩემი ცრემლებით დასველებულ ერთ ვარდს – სამახსოვრო უდიდესი სიყვარულის და მარადიული სინანულის.

გაუნელებელი ტკივილი დაუტოვე შენს ოჯახს, ნათესავებს, მეგობრებს, კოლეგებს. ვილოცავ შენი სულისთვის. ღმერთმა დაგიმკვიდროს ცათა სასუფეველი სიკეთით, სიყვარულით, სილამაზით ავსებულ ნამდვილ ვაჟკაცს.

*შენი მეუღლე ნინო ტყემალაძე*

## ალიკა ქავთარაძის გახსენება

ალიკა, პირველად ვხვდებით უშენოდ შენს დაბადების დღეს, ჩვენო უსაზღვროდ კეთილო, ალალ-მართალო და ნათესავებზე ფანატიკურად შეყვარებულო ვაჟკაცო. 2 ოქტომბერს 30 წელი შესრულდებოდა, მაგრამ შარშანდელი 15 დეკემბერი მუხანათური აღმოჩნდა შენთვის და წამიერმა ტრაგიკულმა შემთხვევამ დაუნდობლად შეწყვიტა შენი წუთისოფლის სტუმრობის 30-ე ზამთარი.

რით ვანუგეშოთ გამწარებული დედაშენი, რომელსაც მეუღლის დაღუპვით გამოწვეული, მარად გაუქარვებელი დარდისა და მწუხარების შემდეგ, ბედმა შვილმკვდარი დედის საშინელი ხვედრი არგუნა? შენ ხომ ძალიან კარგად იცოდი, რომ დედაშენისთვის ამ ქვეყანაზე მზე მხოლოდ შენით ამოდიოდა. რით გავამხნევოთ, რა ვუთხრათ კენტად დარჩენილ შენს მეუღლეს, შენს უსაყვარლეს ნინოს?! შენ ხომ ამქვეყნად ადამიანთა სანუგეშებლად და სიკეთის საკეთებლად იყავი მოვლენილი, რითაც ასე ძალიან ჰგავდი საყვარელ მამას – გრიშა ბიძიას. თურმე ბედისწერაც ორივეს ერთნაირი გქონიათ – ისიც ხომ შენსავით ძალიან ადრე შეუერთდა სულეთის მარადიულ სამყაროს.

სრულიად უდანაშაულოდ, შემთხვევით დაიღუპე, მაგრამ შემთხვევით არაფერი ხდება ამ ქვეყანაზე. უფალმა ერთი ნაბიჯი აღარ გადაგადგმევინა, გამოგარჩია და ზეციურ საუფლოში წაგიყვანა. ჩვენ გვჯერა სულის არსებობისა და რწმენას გვმატებს შენს ოჯახში შენი გარდაცვალების მესამე დღიდან დაწყებული, საჩხერისათვის სრულიად უცხო გარეგნობის ჩიტის სტუმრობა. თუ არა სასწაულს, სხვას რას მივაწეროთ ის ამბავი, რომ ეს პაწაწინა არსება დეკემბრის სუსხიან ღამეებში, უკუნეთ სიბნელეში მოდიოდა შენს ცხედართან, თავს დაგტრიალებდა და ხალხს არ ერიდებოდა, ხოლო შენი დაკრძალვის შემდეგ თითქმის ყოველკვირეულად სტუმრობს დედაშენს?! გულისტკივილით, სევდითა და ცრემლებით აღვნიშნავთ შენს დაბადების დღეს. შენ ხომ ძალიან გიყვარდა ბიძაშვილებთან, დეიდაშვილებთან და მამიდაშვილებთან ყოფნა. ასაკით უმცროსს ყველა გათამამებდით და შენც გაასკეცებულად პასუხობდი დიდ სიყვარულს. „საფირმო“ სადღეგრძელოც შენებური, გულიანი დაგვიტოვე – ამ გაჭირვებულ ცხოვრებაში სინდისნამუსშერჩენილი ხალხის სადღეგრძელო.

მსუბუქი ყოფილიყოს შენს გულზე დაყრილი მშობლიური სავანის წმინდა გიორგის მიწა. ნათელში იყოს მარადიულობაში გადასული შენი ლამაზი სული, ჩვენო ლექსო, ჩვენო მარად მოუშუშებელი და უკურნებელო ტკივილო.

*ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები*

## ირმა მთიულიშვილი-გოგალაშვილის მონატრება



მოვიდა შენი დაბადების დღე უშენოდ. 2 ოქტომბერს ოცდაცამეტი წელი შეგისრულდებოდა. უშენოდ ძნელია სიცოცხლე. უდედოდ ყოფნა უჭირს პატარა ვაჟიკოს. ცხოვრება გრძელდება, მაგრამ უშენობა ძველებურად გვტკივა.

ლამაზი იყო შენი სიცოცხლე და ასეთი ლამაზი ემახსოვრები სამუდამოდ დეიდებს, დეიდაშვილებს.

უშენობა ცხოვრების უდიდესი ტკივილია მშობლებისათვის, ძმებისათვის. შენს საფლავზე ათენ-აღამებს შენი მეუღლე, სიტყვები ვერ იტევენ მონატრებას.

*ალიკა და ოლიკო ვარსიმაშვილები ოჯახებით*

## ეთერ მოკვერაშვილი-ცერცვაძის ხსოვნას!



2 ოქტომბერი შენი დაბადების დღეა, თანაკლასელებისთვის მუდამ ახლობელო და საყვარელო ეთო. უცბად გამოგვაკლდი. უკურნებელმა სენმა წაგვართვა შენი თავი.

ცხოვრების ორომტრიალმა ყველა ჩვენ-ჩვენი გზით გვატარა, ჩვენი წილი ტკივილი და სიხარული გვარგუნა, ერთად გატარებული ბავშვობის წლები კი ფერუცვლელი დაგვიტოვა. გაფრენილი წლების მიუხედავად, ერთმანეთისთვის „ბავშვებად“ დარჩენილებს კარგად გვახსოვს შენი დინჯი, დამაჯერებლობით მონაყოლი გაკვეთილები. ადამიანებთან ურთიერთობის საოცარი უნარი გქონდა. ყველას მიმართ გულისხმიერი, სხვისი გაჭირვებით შეწუხებული, ყველაზე მზრუნველი, ყურადღებიანი და მოყვარული იყავი. სიტყვები უძლურია შენს სიკეთესა და სითბოზე სასაუბროდ.

საშინლად გვზარავს შენზე წარსულში ლაპარაკი. როგორ გვინდა, რომ ისევ ჩვენ გვერდით იყო.

ისლა დაგვრჩენია, მოვიდეთ შენს საფლავთან ცრემლებით, სანთლებით, ყვავილებით და ბევრი ვილოცოთ შენზე.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული

*თანაკლასელები*

## ლუბა ღვინჯილიას და აკაკი ადამიას ხსოვნას!

მე-12 ოქტომბერი დგება თქვენ გარეშე. 11 წელი... უსაშველოდ გაჭიმული დროა იმისათვის, რომ უთქვენოდ გაგვეძლო და საოცრად მცირე, იმისათვის, რომ უთქვენობით გამოწვეული ტკივილი ოდნავ მაინც გაგვყუჩებოდა ან თქვენი მონატრება გაგვნელებოდა...



მშობლის დაკარგვა ყველასათვის და ყოველთვის ტრაგედიაა, მაგრამ როდესაც დედაც და მამაც ერთდროულად გეცლება ხელიდან, როდესაც მათ სრულიად ჯანმრთელებს დაუნდობლად, სასტიკად გიკლავენ საკუთარ ნაოფლარ, ნაამაგარ ეზოში და როდესაც ოთხი შვილის გამზრდელ მშობლებს ერთ ცრემლს ვერ გააყოლებ საფლავში, ხელებს ვერ მოეფერები უკანასკნელად და თვალებს ვერ დაუკოცნი გამოსამშვიდობებლად, ეს ტრაგედიაზე გაცილებით მეტია.

.... 11 წელი მოწყურებულები ვუყვებით ერთმანეთს თქვენზე ნანახ სიზმრებს, დახარბებულები ვაგროვებთ ნათესავებში თქვენს ფოტოებს და ნატვრად დაგვაქვს თქვენს გულმკერდზე დაყრილი მიწის მოფერება.... როდესაც თბილისიდან ჩამოსული უფროსი შვილიშვილი ფრიადებით ავსებულ უნივერსიტეტის მატრიკულს გიჩვენებდათ ხოლმე, თქვენი ბედნიერი სახეების დანახვაზე ამბობდა: ეს ხუთიანები ყველაზე მეტად თქვენთვის მიხარიაო. დღესაც ასეა... ჩვენი ყველა გამარჯვება, წინსვლა და მიღწევა თქვენს ნათელ და შეუბღალავ ხსოვნას ეძღვნება. ჩვენი სიმართლე, სიკეთე და სიყვარული იმ გზის გაგრძელებაა, რომელზედაც თქვენ დაგვაყენეთ.

და კიდევ... იმ ქვეყნად ჯავრად რომ გაიყოლეთ სამშობიაროდ წაყვანილი ქალიშვილის ამბავი... დღეს 11 წლის ცქრიალა, აშოლტილი ქეთევანი დედის მოყოლილ ამბებს უნახავ ბებია-ბაბუაზე ყურადღებით ისმენს და თავისი ჭკვიანი თვალებით ესათუთება თქვენს სურათს და ბოლოს... ის ბიჭი დაიბადა, რომელსაც ასე ძლიერ ნატრობდით, – „პატარა აკაკი ადამია“ იქნებაო. ჰოდა არის თავისი ბაბუის მოსახელე აკაკი ადამია, ქართული გენის, ქართული კაიკაცობის მატარებელი, ლენინგრადში დაბადებული, თბილისში გაზრდილი, სოხუმში დაბრუნების მომლოდინე...

დაე, ნათელში ამყოფოს უფალმა თქვენი სულები.

## იმედა ადამაშვილის მონატრება



3 ოქტომბერს 27 წლის უნდა გამხდარიყავი, ჩვენო სპორტსმენო ვაჟკაცო იმედა. მესამედ ვხვდებით შენს დაბადების დღეს უშენოდ. შენი საფლავის წინაშე მუხლს ვიდრეკთ. შენი მოღვაწეობით უნდა გვეამაყა არა მარტო ჩვენ, არამედ მთელ საქართველოს, იმ ავადმოსაგონარ 27 აპრილს ტრაგიკულად რომ არ დაგვღუპვოდი. შენი მონატრება დიდი გრძნობაა და ეს გრძნობა გაუსაძლისი, დიდი ტკივილია.

24 წელი რა ცოტაა, მაგრამ შენ უამრავი ადამიანის სიყვარული დაიმსახურე და უამრავი ადამიანის ცრემლი და სიყვარული გაიყოლე მარადიულ სასუფეველში. ძნელია იმის წარმოდგენა, თუ რა სიმძიმე დაგვიტოვე ყველას. ძალიან გვენატრები, იმედო.

იძინე ტკბილად შენს მშობლიურ გომარეთის მიწაში, ჩვენო საყვარელო ვაჟკაცო იმედო.

*დედ-მამა და ახლობლები*

## კახა გვაჯაიას ტკივილიანი მონატრება



26 სექტემბერი შენი დაბადების დღეა, ჩვენო საყვარელო, სანატრელო მეუღლევ და მამავ. რაოდენ გულდასაწყვეტია, რომ ვერ მოესწარი 35 წლის შესრულებას. 19 მარტი საბედისწერო აღმოჩნდა შენთვის და უეცრად, ტრაგიკულად დასრულდა შენი სიცოცხლე. არ დაგცალდა, მოზიარე ყოფილიყავი ყველა იმ სიხარულისა, რაც მომავალში უნდა მოხდეს შენი შვილების ცხოვრებაში. უკვე 6 თვეა, ცალად დაიარება შენი ნინო. შენთან ერთად ის თავის ერთადერთ, ნამდვილ სიყვარულს გამოეთხოვა და მხოლოდ შენზე მოგონებებით და ბავშვებით სულდგმულობს.

ძნელია, კახა, უშენოდ ჩემი ცხოვრება. ყოველდღე გელოდები, მგონია ისევ დაბრუნდები. ვერ შევეჩვიე უშენობას. შენმა არყოფნამ ისე შემცვალა, რომ შემაყვარა ის ცხოვრება, რომლითაც შენ ცხოვრობ. რამხელა იმედი იყავი... რასაც გული გრძნობს, ენა ვერ იტყვის.

ჩვენო საყვარელო მამიკო, შენ ყოველთვის ჩვენთან ხარ, შენს ხსოვნას დავიწყება არ უწერია. ბოლოს კი, უზომო გულისტკივილით გვინდა მოგილოცოთ დაბადების დღე. 35 სანთელს აგინთებთ.

ღმერთს ვთხოვთ, ნათელში ამყოფოს შენი კეთილი და სპეტაკი სული.

*მეუღლე ნინო და შვილები – თამუნა და ნიკა*

## სანდრო ცერცვაძის გახსენება



სანდრო, შვილო, ვერ წარმოვიდგენდი, თუკი შენი გახსენების დაწერა მომიწევდა. თუკი რამ არის გარდაუვალი ამ წუთისოფელში, ეს სიკვდილია. მოულოდნელი, თავზარდამცემი ამბავი შევიტყვეთ – 30 წლის ახალგაზრდის სიცოცხლე სამუდამოდ შეწყდა. ასე იყო 5 წლის წინ, 28 სექტემბერი.

ჩემო სანდრო, შენ ხომ ნახევრად ჩემი გაზრდილი იყავი (დეიდა), წახვედი და უმძიმესი დარდი და ტკივილი დაგვიტოვე, რომელსაც დრო ვერაფერს შველის. უსაზღვროდ გვენატრები, ჩემო საყვარელო, მართალო, ჩემო თბილო და ტკბილო შვილო სანდრო. შენ ხომ ჩემი ერთადერთი იმედი იყავი. რამდენი წელიც არ უნდა გავიდეს, არ დაგივიწყებთ არც შენ და არც შენს ადგილსამყოფელს.

ღმერთს ვთხოვთ, ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

*შენი ლია დიდა, ფარნა ბიძია, მშობლები, და*

## იური შველიძის მონატრება



უკვე ორმოცი დღე გავიდა, რაც შენ აღარ ხარ შენ აღარ ხარ შენს სიყვარულით და ალალი შრომით შექმნილ ოჯახში. ფიზიკურად შესანიშნავი ვაჟკაცი, ზნეობრივადაც სპეტაკი, მოსიყვარულე და მეტად მგრძნობიარე მეუღლე, მამა და ბაბუა იყავი, ყველა გაჭირვებულის ხელის გამწოდებელი და დამხმარე. გამორჩეული იყავი სანათესაოსა და სამეგობროში, ვაჟკაცობით, რაინდული სულით, შრომისმოყვარეობით, ერთგულებითა და საოცარი სიკეთით. რაც ამქვეყნად სიწმინდე, ერთგულება, პატიოსნება და სიკეთე დაგროვილა, ყველა შენს პიროვნებაში იყო თავმოყრილი.

შენს ძლიერ მკლავებს აფარებდი ძმისშვილებსაც. შენმა სათუთმა გულმა ვერ აიტანა ის ტკივილი, რაც პირველი ძმისშვილის, თამუნას ნაადრევმა სიკვდილმა მოგიტანა და მის წლისთავზე გიმტყუნა ასე ყველას სიყვარულით სავსე გულმა.

შენს ლამაზ გენს სიკვდილი არ უწერია. იგი გრძელდება შენს ორ შვილსა და ოთხ შვილიშვილში, რომლებიც შენგან ლამაზად დაწყებულ სიცოცხლეს სახელოვნად გააგრძელებენ.

ყველას გვიჭირს უშენოდ. ნამდვილად ყველას დააკლდი. გვენატრები.

მუხლმოდრეკილი ვილოცებ, რათა ნათელში მიმყოფოს ღმერთმა შენი ცად ამაღლებული, სპეტაკი სული.

*რძალი ნუნუ გოგსაძე*

## გურამ დადვანის გახსენება



გავიდა უზომოდ ტკივილიანი და შენი დიდი მონატრებით აღსავსე წელიწადი. უშენობა საოცრად უჭირს შენს ოჯახს – მას ხომ შენი გულის სითბო და კეთილი ღიმილი, თანადგომა და იმედი მოაკლდა. შენ აქ სხვასაც არავის დავიწყებიხარ, არამცთუ ჩვენ.

დარდით დაიფერფლნენ შენი მშობლები, ენატრები შვილებს, რომლებიც თვალცრემლიანები შეჰყურებენ შენს საფლავის ქვას.

იძინე მშვიდად, კეთილო და სიკეთის მთესველო კაცო. ყვავილები, წმინდა სანთელი და ჩვენი ლოცვა არასოდეს მოაკლდება შენს საფლავს. შენ შენს ოჯახთან იქნები მარადის.

*შენი უბედური ოჯახი*

## რობერტ ბასიშვილის გახსენება

ბატონო რობერტ, წელს პირველად დაირეკა ზარი უთქვენოდ, თბილისის მე-17 საშუალო სკოლაში, რასაც თქვენი მეუღლის, რძლისა და შვილიშვილის გულისტკივილი, სევდა და ცრემლები მოჰყვა. რა ულმობელი ყოფილა წუთისოფელი. ღმერთს ვერ შევცოდავთ.

გინთებენ უამრავ სანთელს, რათა გაბრწყინდეს თქვენი სპეტაკი სული. წახვედით და თან გაიყოლეთ ოჯახის და ახლობლების დიდი სიყვარული. ტკბილი მოგონებებით გიგონებთ ყოველთვის.

*თქვენი ახლობელი – რამინ გაბელაიას ოჯახი*

## იური ადამიას გახსენება



4 ოქტომბერს გადის უშენოდ ყოფნის 40 დღე, ტკივილიანი და ცრემლებით სავსე. ჩვენ უძლურნი აღმოვჩნდით შენი სასიკვდილო დიაგნოზის წინაშე, რომელსაც 13 წელი ვაჟკაცურად ებრძოდი.

40 დღე ძალიან მცირეა მომხდარის გასათვითცნობიერებლად. შენი წასვლით უსაზღვროდ დიდი სიცარიელე დაგვიტოვე. გვიჭირს უშენობა, შენზე წარსულში ლაპარაკი. ჩვენი ცხოვრება შენზე მოგონებებს ჩაეხლართა. ვიხსენებთ შენს საყვარელ ფრაზებს, ჟესტებს, ვეფერებით შენს სურათებს. შენ ის ტკივილი ხარ, რომელსაც ვეღარასოდეს მოვინელებთ, შენ ხომ მზრუნველი და მოსიყვარულე მეუღლე, არაჩვეულებრივი მამა და უსაყვარლესი ბაბუნიკო იყავი შენი შვილიშვილებისთვის. ცხოვრება კი თავისი გზით მიდის, იძულებულნი ვართ ვიცხოვროთ უშენოდ და გვჯერა, რომ უფალი შენნაირ ალალსა და პატიოსან კაცს ნათელში მიგიჩენს მარადიულ სასუფეველს.

*მეუღლე, შვილები, შვილიშვილები*

## გიორგი ძიძიკაშვილის მონატრება



ჩემო ძვირფასო მამა! 2 გაუსაძლისი წელი გავიდა უშენოდ. როგორ მჭირდება, მამა, შენი გამხნევება, თანადგომა, შენ კი წახვედი და დაგვიტოვე უზომო ტკივილი, სიცარიელე, რომელსაც დრო ვერაფრით ამოავსებს.

მშვენიერი სულის ადამიანი, ზომიერებით გამორჩეული, სხვისი თანამგრძნობი, ჭირისა თუ ლხინის მოზიარე – ასეთად დარჩება გიორგი ძიძიკაშვილი ყველას ხსოვნაში, ვისთანაც მას თუნდაც ერთი საათი გაუტარებია.

ჩვენმა ანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა მარადიულ სასუფეველში.

*თეა ძიძიკაშვილი*

## ომარ შარაშენიძის მონატრება



*რა ამაყი და რა ბედნიერი*
*ვიყავი შენებრ ვაჟკაცის გვერდით,*
*გახარებული და კმაყოფილი,*
*ჩვენი ოჯახით და ჩვენი ხვედრით...*
*შენს ვაჟკაცობას ვითა ვკადრებდი,*
*ხმამაღლა სიტყვა შენთვის რომ მეთქვა,*
*ვიცოდი შენი სულისკვეთება,*
*შენი მგზნებარე გულისა ფეთქვა...*
*ჩვენი ოთხი წლის განშორებისა*
*დრომ სუნთქვასავით გადაიარა,*
*ზეციურ საქართველოში წახველ,*
*მე კი გამიჩნდა გულში იარა!..*
*ეჰ, მონატრება ისე დიდია,*
*არ აქვს საწყაო, არც ზომა-წონა,*
*ყოველ ცისმარე ვნატრობ, ომარი,*
*ჩვენი შეხვედრის დრო როდის მოვა...*
*დიდი, პატარა, შენს სულსა ვფიცავთ,*
*გვიყვარხარ ყველას, არ გვავიწყდები,*
*ჩვენ დღესაც ისევ შენით ვამაყობთ,*
*ჩვენ შორისა ხარ, არ დამიწდები!..*
*უკვდავებაში გადაინაცვლე,*
*დავრჩა ვაჟკაცის კარგი სახელი,*
*იძინე ტკბილად, ჩემო სიცოცხლევ,*
*თავზე გვირგვინად გედგას ნათელი!..*

*მარად შენი თაყვანისმცემელი – შენი მეუღლე, ლეილა სიხუაშვილი-შარაშენიძისა*

## გივი პაპუაშვილის მონატრება



2001 წლის 28 სექტემბერი – აქ დასრულდა სიცოცხლე ახალგაზრდა კაცისა, რომელიც ყველას სიყვარულში ბოლომდე იხარჯებოდა – შვილის, ოჯახის, ახლობლების, მეგობრების.

სამი წელი გავიდა უშენოდ – დრო, რომელმაც ტკივილით, უძირო სევდით, დიდი მონატრებით ცხოვრება მასწავლა. მხოლოდ 34 წელი – ასეთი იყო შენი ვიზიტი დედამიწაზე და მაინც, მადლობელი ვარ ღმერთის იმ წლებისთვის, ჩემს ცხოვრებას რომ ალამაზებდი. შენს სიცოცხლეს კი შენი თოთხმეტი წლის გიორგი აგრძელებს, რომელშიც მყარად დევს მამისეული ძლიერი ბუნება, სიკეთე, კაცურკაცობის კოდი.

გივი, ძალიან გვაკლიხარ, გენატრები, სანთელს ვანთებთ და უფალს ვევედრებით, ნათელში გვიმყოფოს შენი ლამაზი სული. ამინ!

*შენი ია და გიორგი*

გარდაბნის რაიონის, ლელამშხის მიკროსაბჭოს, საბავშვო ბაღის თანამშრომლები და იქ მცხოვრები ოჯახები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ლელამშხის საბჭოს თავმჯდომარე



**მურმან ვასილის ძე ონიანი**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.



მეუღლე მერი არაბული, შვილი მამუკა, დედა ბაბულია, ძმა მამუკა, ბიძა, მამიდა, დეიდები, ქვისლები ოჯახებით იუწყებიან

**გივი შოთას ძე გურულის**

გარდაცვალებას.

*პანაშვიდი:* 26-27 სექტემბერს, 17 საათზე;

*გამოსვენება:* 28 სექტემბერს, 14 საათზე.

მისამართი: ვაჟა-ფშაველას მე-5 კვარტალი, მე-3 კორპუსი, ბინა №43.

# ცოცხალი ხატები მრევლს შორის დადიან

ვანის რაიონში სულ სხვა მასალისთვის ჩასულმა აღმოვაჩინე ჩემი რესპონდენტი, რომელზეც მითხრეს: „საიქიოში მოგზაურობის შემდეგ მისნობის ნიჭი მიეცა, მაგრამ რად გინდა, პირზე ბოქლომი აქვს დადებული. ათასში ერთხელ, ვის გაფრთხილებასაც თავად ჩათვლის საჭიროდ, იმას თუ ეტყვის რამეს... მილიონიც რომ გადაუხადო, ვერაფერს დააცდენინებ“.

მასთან შეხვედრა მოვინდომე, მაგრამ ჩემმა მასპინძლებმა გამაფრთხილეს, — შეიძლება ჭიშკრიდანვე გამოგაბრუნოს უკანო.



რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, შავოსან ქალბატონთან მომიწევდა შეხვედრა და როგორ გავოცდი, როცა ტრაქტორზე „ამხედრებული“ ჯერ კიდევ ახალგაზრდა მამაკაცი დამანახვეს...

რომ უთხრეს, — სტუმრები გელოდებიანო, — მოგვიახლოვდა, მოგვესალმა, უშეცდომოდ ამოიცნო, რომ მე ვიყავი მასთან საუბრის მოსურნე და ღიმილით შემომხედა: — არ მიყვარს ჟურნალისტებთან საუბარი, თითქოს არც გისმენენ და რასაც შენ ეუბნები, იმას კი არ წერენ, არამედ იმას, რაც მათ უნდათო.

გეფიცებით, კაცი პირველად მხედავდა და არც შეეძლო იმ სიტუაციაში ვინმეს მოესწრო და ეთქვა, რომ ჟურნალისტი ვიყავი, მას მართლა ჰქონდა იდუმალი ხედვა...

შინ მიგვიწვია. კოპწია იმერული სუფრაც გაშალა. პირველი ჭიქაც ტრადიციულად მშვიდობისა თქვა, ოღონდ ასე: — ამ ქვეყნის და მშვიდობის შემოქმედ ღმერთს გაუმარჯოსო და ზეცად აღაპყრო თვალი. მერე საუბარზე სხვების დასწრება არ ისურვა და ბაღში მიმიწვია. სანამ ლაპარაკს დაიწყებდა, ფერადი, დეკორატიული გვირილების თაიგული შეკრა და წინ დამიდო:

— ვიცი, არ გიყვარს, როცა ყვავილებს გჩუქნიან, არც ოთახის ყვავილები გაქვს შინ — ესაა შენი ჯიუტი ხასიათის მიზეზი... ყვავილები საუკეთესო მეგობრები არიან, ყურადღებასაც მოითხოვენ, მაგრამ თავადაც გავსებენ ენერგიით, სასიყვარულოდ განგაწყობენ, ალერსს განდომებენ... მოკლედ, თუ გინდა მარტო არ დარჩე, ყვავილები უნდა შეიყვარო და შეიტანო შინ, ისინი სიყვარულს გასწავლიან და ადამიანებისკენ სავალ გზებს გაგიხსნიან...

მონუსხულივით ვუსმენდი, მართალი იყო — ყვავილი მხოლოდ ბაღში, ან მინდორში მიყვარს „შორიდან საჭვრეტად“, არც ქოთნის ყვავილების მოშენება მიცდია ოდესმე.

— ბავშვობიდანვე მაქვს სუსტი, მანკიანი გული. ექიმებმა უთხრეს ჩემს მშობლებს — თუ ოპერაციას არ გაუკეთებთ, 20 წლამდეც ვერ მიაღწევსო. გაჭირვებულები ვიყავით, ოპერაციის ფული რომც გვქონოდა, მოსკოვში ვინ იყო ჩემი წამყვანი და პატრონი?!.. მოკლედ, სასიკვდილოდ გადადებულივით მიყურებდნენ სულ... გული ისე ხშირად მახსენებდა თავს, მეც შევეჩვიე სიკვდილზე ფიქრს და ისე „გავუშინაურდი“, მისი შიში გამიქრა...

საავადმყოფოში ხშირად ვიწექი, ჩემი მომავალი მეუღლე იქ გავიცანი, ექთანი იყო. ღამეებს მითევდა, ვლაპარაკობდით და ერთმანეთი შეგვიყვარდა. ცალი ფეხი სამარეში მედგა და როგორ გავუბედავდი თქმას, ცოლად გამომყევი-მეთქი. თავად მითხრა: — ისე მიყვარხარ, შენ გვერდით ერთი დღის სიცოცხლე მირჩევნია, სხვასთან საუკუნო ცხოვრებასო.

არ აძლევდნენ ნებას მშობლები, არ დაიშალა და გამომყვა. მე 30-ს ვიყავი მიღწეული, ეთერი 25 წლისა იყო...

სიყვარულზე დიდი მკურნალი არაფერი ყოფილა ქვეყანაზე. მომავლის იმედმა ძალა შემმატა. ორი გოგო შეგვეძინა — ეკა და მაკა. ამის შემდეგ სულ აღარ მეშინოდა სიკვდილის, ეგ კია, არ მინდოდა — ლამაზია სიცოცხლე, არა მგონია, სამოთხეც კი ასე ლამაზი იყოს-მეთქი.

...რახან ხშირად ვხდებოდი ცუდად, ეთერმა გადადო თავი და 1996 წელს საბერძნეთში წავიდა სამუშაოდ. მოსამსახურედ დაუდგა იქაურ მდიდრებს, ისე შეაყვარა მათ თავი, დაეხმარნენ საჭირო თანხის თავმოყრაში და 1999 წელს ოპერაცია გერმანიაში გამიკეთეს... ურთულესი ოპერაციის დროს კლინიკური სიკვდილი მქონდა.

...„გამოვედი“ სხეულიდან და საკუთარ თავს ზემოდან დავაცქერდი.

მერე კი, როგორც ქარში ფოთოლი, ისე დამატრიალა რაღაც ძალამ და მწვანე შუქით განათებულ გვირაბში ჩამითრია.

დანახვით არავინ დამინახავს, თუმცა ხმა კი მესმოდა — დააბრუნეთ უკან, როცა სიმართლეს დაინახავს, გულიც აღარ ეტკინებაო.

...ოპერაციის მერე ისე მალე მოვმჯობინდი, ექიმებს თავადვე უკვირდათ შედეგი.

საქართველოში დაბრუნებული ეკლესიაში შევედი უფლისთვის მადლიერების ნიშნად სანთლის ასანთებად და... „გაცოცხლებული“ ხატები დავინახე. ჰო, ისინი ცოცხლები არიან და მრევლს შორის დადიან, იცი, რამდენჯერ დამინახავს გაჭირვებულთან „ჩამოსული“ წმინდა ნინო, წმინდა ბარბარე, წმინდა ნიკოლოზი?!. თავიანთ მადლიან ხელს ადებენ მტკივან ადგილებზე რწმენით მოსულებს...

რამდენად დაუჯერებელიც არ უნდა იყოს, მას შემდეგ ადამიანისთვის დაფარულ უხილავ სამყაროს ვხედავ. იმ განზომილებას, სადაც არ არის დაყოფილი წარსული, ახლანდელი და მომავალი, არც ცოცხალთა და გარდაცვლილთა სამყოფელს შორისაა რკინის ფარდა...

მე ვიცი, როგორ გიცხოვრია წარსულში, მაგრამ არ გეტყვი, რადგან არ გესიამოვნება ბევრი რამის გახსენება და გული გეტკინება, ახლანდელი თავადაც იცი და მომავლის ცოდნასაც იშვიათად მოაქვს ვინმესთვის ბედნიერება.

სიცოცხლე ხანმოკლეა და არ არის საჭირო მისი შიშით გატარება, ავის მოლოდინით ცხოვრება. მთავარია, სიყვარულით აივსო სული, ღმერთს არ უღალატო და სიხარული მოვა...

ყველაზე ყველაფერი ვიცი... ჩვენს ქვეყანაზეც, რომელსაც კიდევ ბევრი განსაცდელის გადატანა მოუწევს, რადგან მართლაც ძალიან ლამაზი და მადლიანია საქართველო, ბევრი მტერიც და მოშურნეც ჰყავს, მაგრამ... მაინც გადარჩება, ხშირად ვხედავ როგორ მოჰყვება ცისარტყელას კიბეს დედამიწისკენ ღვთისმშობელი და უდიდესი მადლი მოაქვს თან...

თქვენს გაზეთში რა დაწერე, იცი?! — ბოროტი ძალა ცდილობს ახლა ადამიანების ცდუნებას და ის სოციალური სიდუხჭირე — შიმშილი, უმუშევრობა, უფულობა — მისგან მოდის, რათა რაც შეიძლება მეტ ადამიანს აფიქრებინოს ქურდობა, მრუშობა, ყაჩაღობა, სამშობლოსა და რწმენის გაყიდვა...

მოდი, მეტს ნულარაფერს მათქმევინებ...

ამის შემდეგ ბატონმა დავითმა საუბარი დაასრულა.

მისგან წამოსული უფრო ხშირად ვფიქრობ სამყაროსა და მისი შემოქმედის იდუმალებაზე...

***ინგა ჯაყელი***

# ქალმა ბაყაყი გააჩინა?

მსოფლიოს პრესაში ახალი სენსაციური ამბავი გავრცელდა — ირანში ქალმა ბაყაყი გააჩინაო! ირანელმა ექიმმა, რომელმაც პირადად ნახა ახალშობილი, განაცხადა, რომ ახალშობილ არსებას ადამიანის ენა და თითები აქვს.



ჟურნალისტები მეცნიერებს სთხოვენ, მთელ მსოფლიოს ამცნონ — ეს სამედიცინო საოცრებაა თუ მორიგი სიცრუე. გერმანელმა ჟურნალისტებმა გამოიკვლიეს, რომ ისტორიამ იცის არაერთი შემთხვევა, როცა ადამიანი ამტკიცებდა, — ჩემს სხეულში ბაყაყი ცხოვრობსო. XVII ს-ში მცხოვრები გერმანელი კატარინა ჰაისრანი ამბობდა, შემთხვევით თავკომბალა გადავყლაპე და მას შემდეგ ჩემი სხეულიდან ბაყაყები ხტებიანო. ექიმებმა შეამოწმეს კატარინა, მაგრამ ბაყაყი ვერსად უპოვეს. ერთ, 1694 წლის ნახატზე, გამოსახულია ვინმე თეოდორ დიდერლაინი, რომელიც აღებინებს და მისგან მოძვრება 4 ბაყაყი და 21 ტრიტონი.

რაც შეეხება ირანელ მშობიარეს, ქალი ამტკიცებს, რომ გუბურაში ცურვისას შეუძვრა თავკომბალა და... მერე გააჩინა ბაყაყი.

***მეგაპოლის-ექსპრესი №34***

ჩვენ გვწერენ

# მივიწყებული სახლის აჩრდილი

— ჩემს სოფელში ბევრი მიტოვებული სახლია. ზოგიერთი მათგანი ჩემს ბავშვობაშიც კი დაცარიელებული იყო. მახსოვს, ბავშვები ვერიდებოდით ასეთ შენობებთან გავლასაც კი. რომ წამოვიზარდე, გავიგე, ზოგიერთ მეზობელს ჩვენი ოჯახისთვის ჰქონდა ჩაბარებული თავისი კარმიდამო. ბაბუაც ხშირად დამავალებდა ხოლმე, გაიქეცი, ამა და ამ სახლს შეხედე, ეზოში საქონელი ხომ არ შესულაო... მეც გავრბოდი დავალების შესასრულებლად, თან შიშიც დამრევდა ხელს, თითქოს წინასწარ ვგრძნობდი, იქ რაღაც უცნაური მელოდა...



ერთ წვიმიან დღეს შინისკენ მივიჩქაროდი, რატომღაც თვალი ერთ-ერთი მიტოვებული სახლისკენ გამექცა. გაოცებული დავრჩი. ეზოში ლამაზი ქალი დადიოდა, მერე ჭრიალით აიარა კიბე და ცარიელ სახლში გაუჩინარდა. გავიფიქრე, ალბათ ვინმე უცხო ჩამოვიდა სოფელში და წვიმას აქ შეაფარა თავი-მეთქი. ჯერ არ ვაპირებდი შეხმიანებას, მერე შემებრალა უცნობი, ვინ იცის, სულ დასველდა, ზის მარტოდმარტო ამ სახლში და შეშინებული გვიყურებს უცნობებს, მოდი, ავალ, ჩვენთან მოვიწვევ-მეთქი.

კარს მივადექი და დავაკაკუნე. ხელის შეხებაზე კარი გაიღო და ის ქალი დავინახე. შემომხედა. გაყინული, უემოციო სახე ჰქონდა. ეჭვი გამიჩნდა, რომ არ ესმოდა, რას ვეუბნებოდი, მაგრამ იმდენად სანდომიანი ქალი იყო, თანაგრძნობით განვეწყვე. ის არ მობრუნებულა, ახლა ფანჯარაში იყურებოდა.

— ქალბატონო, ამ სახლში ყოფნას, არ გირჩევნიათ, ჩვენთან წამობრძანდეთ, აქ წვიმაც ჩამოდის. თუ შორი მგზავრი ხართ, ღამესაც გაგათევინებთ, — ვუთხარი და რამდენადაც შემეძლო, თბილად გავუღიმე.

თავი ნელა მოაბრუნა. შევნიშნე, თვალთან ცრემლი უბრწყინავდა, მერეღა დავაკვირდი: ვარცხნილობა ძველმოდური ჰქონდა, წელში გამოყვანილი კაბა ეცვა, წელს ქვემოთ ფართო. ასეთი ნაჭრის ქვედატანი, ბებიაჩემის ძველ სკივრშიც მენახა. მგონი, ბებია ამაზე ამბობდა: აფსუს, ადრე რა კარგი ქსოვილები გამოდიოდა, ამისთანა შტაპელი რახანია, აღარსად მინახავსო. უცნობი ქალი ფეხზე იდგა. გრძელი, ლამაზი თითები ჰქონდა, ალისფერთვლიანი ბეჭედი ეკეთა.

მიახლოება დავაპირე. უცებ შევჩერდი, რადგან სიცივე ვიგრძენი. უხმოდ მოვბრუნდი და სახლისკენ ისე მოვკურცხლე, უკან არც მიმიხედავს. იმ საღამოს ბაბუაჩემი ანთებული ლამპით დადიოდა მეზობლის კარმიდამოში და უცნობს ეძებდა... ვერავინ იპოვა.

რამდენიმე დღე გავიდა. ბებიაჩემმა დილით საქონელი გაუშვა საძოვარზე და მანაც შენიშნა რაღაც უცნაური. შორიდან ვერ გაარჩია. მიუახლოვდა სახლს. აივანზე იდგა ქალი და გასცქეროდა ხალხით გადავსილ ეზო-შუკებს. ბებიას შეკივლება ჩვენც გავიგეთ, გარეთ გავცვივდით. ბებია ფერდაკარგული მორბოდა დაღმართში და გაიძახოდა:

— თინიკო იყო, თინიკო... ნამდვილად ის იყო, ღმერთო, შენ მიშველე! ნეტავ, რატომ გამოგვეცხადა, ბეჩა...

თინიკო თურმე იმავე წელს მოუყვანიათ რძლად ჩვენს სოფელში, ბებია რომ გათხოვდა. მეგობრობდნენ, შვილებსაც ერთად ზრდიდნენ, ერთად ქსოვდნენ, კაბებსაც ერთნაირად იკერავდნენ. მისხალ-მისხალ უვლიდნენ ეზო-კარს. ქალი სულ ახალგაზრდა გარდაიცვალა. საწყალი, ამბობდა თურმე: ვიცი, ავად ვარ, მაგრამ ერთი რამ მიხარია, ორი ვაჟის დედა ვარ და უშვილძიროდ არ მივდივარო.

იმ ღამეს არავის დაგვეძინა. დაცარიელებული ეზო-კარი ალბათ არც თინიკოს სულს ასვენებს და თვალცრემლიანი ამიტომაც დაუბრუნდა თავის ნასახლარს...

***ნანა გაჩეჩილაძე***

# სტალინი მუდამ ჩვენთანაა



რამდენიმე თვეა, რაც ქალაქ სოჭის ერთ-ერთი სასტუმრო განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცა, რადგან ამ სასტუმროს ჰოლის ფანჯრის მინაზე დროდადრო გამოჩნდება ხოლმე სტალინის გამოსახულება.

სასტუმრო „ლაზურნაიას“ ყოველთვის უამრავი ადამიანი სტუმრობს, განსაკუთრებით კი — ზაფხულობით. არც წლევანდელი სეზონი იყო გამონაკლისი. ივლისის შუა რიცხვებში ერთ-ერთმა სტუმარმა მორიგეს შესჩივლა, — წუხელ, ჰოლის ფანჯრის მინაზე გარკვევით დავინახე სტალინის სახეო. ადმინისტრაციამ ყურადღება არ მიაქცია ტურისტის ნათქვამს — ნასვამ კაცს ვინ იცის, რა არ მოეჩვენებაო, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ უკვე სხვა ნომრის მცხოვრები მიადგა ადმინისტრაციას მსგავსი განცხადებით...

ჯერ იფიქრეს — სასტუმროს რომელიმე თანამშრომელი ამგვარად ცდილობს დამსვენებლების გართობას და ღამღამობით ჩუმად ხატავს სტალინის სახესო. ამიტომ ოთახში, ფანჯრის პირდაპირ დააყენეს ვიდეომოთვალთვალე, რომელიც ყოველღამე, 1-დან 4 საათამდე (სხვათა შორის, ეს იყო გენერალისიმუსის საყვარელი სასეირნო დრო) აფიქსირებდა სტალინის თავის გამოსახულებას მინაზე.

ამ უნიკალური მოვლენის თაობაზე ხმები სწრაფად გავრცელდა. სასტუმროს ტურისტები მოაწყდნენ. ყველას უნდოდა ღამეული სტალინის ხილვა. თავგაბეზრებული ადმინისტრაცია შეეცადა ზომების მიღებას — მინა სპეციალური ხსნარით დაამუშავეს, მაგრამ ამან არ უშველა, შემდეგ მინა შეცვალეს — სტალინი კვლავ „მოდიოდა“ ღამღამობით.

პარანორმალური მოვლენების სპეციალისტები დაინტერესდნენ ამ სასწაულით. ერთ-ერთმა მათგანმა განაცხადა: „რაღაც გარკვეულ სივრცეში თავმოყრილია ბიოლოგიური ენერგია. ეს გახლავთ ერთგვარი მეხსიერება იმათ შესახებ, ვინც ამ ადგილებში ოდესღაც იმყოფებოდა და დატოვა ბიოგამოსხივება, რომელიც დროდადრო ჩნდება მინაზე ან კედელზე. რატომ ნახულობენ ხოლმე ძველ ციხესიმაგრეებსა და სასახლეებში მოჩვენებებს? იმიტომ, რომ ათობით თაობამ ისე დაასხივა იქაურობა ენერგიით, რომ კედლები ახლა უკვე თვითონ გამოსცემენ მავანთა მსგავს ნათებებს, კერძოდ კი მათ სილუეტებს, რომელთაც უფრო ძლიერი ბიოენერგია ჰქონდათ.“

ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც ასე მოხდა. ზუსტად „ლაზურნაიას“ თავზე, ტყეში, კლდეზე, აღმართულია სტალინის საყვარელი აგარაკი, სადაც იგი ხშირად ისვენებდა. ბელადის ენერგეტიკა თითქმის არ არის შესწავლილი, მაგრამ ერთი კი ცხადია — მას უთუოდ ძალიან ძლიერი ბიოენერგია ჰქონდა...

***სპიდ-ინფო №17***

**„საზალლო-სალალო“ გვერდის პასუხები**

I. თაფლი

II. მე-4, მე-5 და მე-7 დეტალები

III. **აბა გამოიცანი**

1) — დ); 2) — გ); 3) — დ); 4) — ა); 5) — გ).

# საფრანგეთში ყველაზე მეტი ტყუპი ცხოვრობს



საფრანგეთის დედაქალაქის მახლობელ პაწია სოფელ პლეკადეში, ყოველწლიურ ფესტივალზე, თავი მოიყარა ტყუპის (ორ-ორი ან სამ-სამი) 1500-მა ოჯახმა. ეს ადგილი შემთხვევით არ აურჩევიათ ზეიმის ჩასატარებლად. ამ, მთელ ქვეყანაში რჩეულ სოფელში ყველაზე მეტი ტყუპი დაიბადა! ამ ფაქტს მეცნიერები ჯერჯერობით ვერ ხსნიან. უკვე საუკუნეა, რაც ყოველ წელიწადს, ყოველი მეორე ქალი ორ-ორ, სამ-სამ და ზოგჯერ ოთხ ბავშვსაც კი შობს. უმრავლეს შემთხვევაში პაწიები ბუნებრივი გზით იბადებიან და არა საკეისრო კვეთის მეშვეობით. ფესტივალის დღეებში ფოტოკორესპონდენტებს თვალს უჭრელებდათ უამრავი ერთნაირი ადამიანის ხილვა.

***ოტდოხნი! №38***

# მაიასტომელთა მოკითხვა



დიდ ბრიტანეთში, უილტშირის ხორბლის ყანაში, გამოჩნდა უცხოპლანეტელთა ცივილიზაციის მორიგი გზავნილი. თუმცა, ასეთ გზავნილებს აქაურები კარგა ხანია შეეჩვივნენ. რამდენიმე დღის წინ მოსახლეობა მართლაც დატკბა უზარმაზარი გამოსახულებით, რომელიც ძალიან ჰგავს მაიას ტომის ინდიელთა კალენდარს და 2012 წელს ქვეყნის დასასრულს გვიწინასწარმეტყველებს.

ინგლისში აქამდე ჯერ არავის უნახავს ასეთი ვეებერთელა და რთული გამოსახულება. თანაც, წინა საღამოს ყანა ჩვეულებრივად მწვანედ ღაღანებდა, დილით კი ალაგ-ალაგ უცნაური ორნამენტი გამოჩნდა. ეს მინდორი ნეოლითის ხანის სამარხებიდან ასეული მეტრის დაშორებით არის გადაშლილი. მოსახლეობა აქ გამუდმებით ხედავს თეთრსამოსიან მოჩვენებას.

ამ უჩვეულო მოვლენის გამო უილტშირს უამრავი ხალხი მიაწყდა. ექსპერტთა აზრით, მსგავსი მოზაიკის შესაქმნელად რამდენიმე დღეა საჭირო.

მაიას ცივილიზაციამ, რომელმაც გადაწყვიტა, თავი შეგვახსენოს, დაგვიტოვა ჯუნგლებსა და უდაბნოებში დაკარგული გრანდიოზული პირამიდები და ქალაქები, უნიკალური ნაწერები და იდუმალებანი. მაიას მიერ შედგენილი კალენდარი მთავრდება 2012 წელს, რომლის შემდეგაც, მათი ღრმა რწმენით, თურმე აღარ იარსებებს ჩვენი სამყარო...

***ნიუ ზუიქი***

# „მოკრძალებული“ ქორწილი



გასულ კვირას ბრუნეიში „მოკრძალებული“ ქორწილი გადაიხადეს — ტახტის მემკვიდრემ, 30 წლის პრინცმა ალ-მუჰთალ ბილ ბოლკიახმა ცოლად შეირთო 17 წლის სკოლის მოსწავლე სარა პენგირან სალეჰი. ნორჩი პატარძალი, სასახლის პრესსამსახურის მტკიცებით, „გამოირჩევა სინაზით, ჭკუითა და ოპტიმიზმით“. თუმცა, როგორც სასახლის მოშურნენი ამბობენ, პატარძალს ერთი ნაკლი აქვს — ის არ არის ცნობილი გვარისა. მაგრამ ამას არ დაუბრკოლებია პრინცი, რომელმაც გოგონა 3 წლის წინ გაიცნო, თავდავიწყებით შეუყვარდა და დღედაღამ იმ წუთზე ოცნებობდა, როცა შეეძლებოდა მომხიბვლელი სარას ცოლად მოყვანა.

ჭორიკანებს საჭორაო მიეცათ. ბრუნეის ბევრ ცნობილ ოჯახს ნატვრად ჰქონდა გადაქცეული პრინცის სიძეობა.

ალ-მუჰთალ ბილ ბოლკიახს მემკვიდრეობით მამის 40-მილიარდიანი ქონება ელის.

მიუხედავად წარმომავლობისა და სიმდიდრისა, პრინცი მეტად თავმდაბალი ადამიანია. ოქსფორდში სწავლისას მან თანაკურსელებს დაუმალა ვინაობა და თავი ომარ ჰასამად გააცნო. ასე რომ, პრინცი ნამდვილი სტუდენტური ცხოვრებით ცხოვრობდა, დადიოდა კლუბებში, ცეკვებზე, წვეულებებზე. სწორედ ერთ-ერთ წვეულებაზე დაადგა თვალი 14 წლის სარას. „შენ ჩემი გულის მფლობელი გახდი, მომავალში მთელი ბრუნეის მბრძანებელი იქნები“, ასე აუხსნა სიყვარული პრინცმა გოგონას.

ქორწილი ორი კვირა გაგრძელდა და 5 მილიონი დოლარი დაჯდა. შესაძლოა, სულთანს მეტიც დაეხარჯა, მაგრამ ოჯახურმა ქონებამ საგრძნობლად იკლო მისი უმცროსი ძმის, ჯეფრის მიზეზით, რომელსაც თავმდაბალს და მომჭირნეს ვერ უწოდებ.

...მაგრამ ორი ათასმა სტუმარმა ვერ იგრძნო, რომ ხარჯები შემცირებული იყო, თუმცა მათ წინასწარ მოუბოდიშეს იმის გამო, რომ ქორწილი მოკრძალებული იქნებოდა...

პრინცი საცოლეს მოოქრული „როლს როისით“ ესტუმრა, მთელი ქორწილიც ასე მოოქრული გახლდათ...

***ოჯი***

# უჩვეულო კედები

ჩაკ ტეილორმა შექმნა საფირმო კედები ჯონ ლენონის სიმღერებისა და ნახატების მიხედვით. კედებზე გამოსახულია ლენონის მიერ შესრულებული ავტოპორტრეტი და მისი სიმღერის ნაწყვეტი, რომელიც პაციფისტურ იდეალებს უწევს პროპაგანდას.

ტეილორის ჩანაფიქრით, კედების გამოშვებას მანამ არ შეწყვეტს, ვიდრე ჩვენს პლანეტაზე მშვიდობა და სიკეთე არ დაისადგურებს. როგორც ჩანს, ეს მეტად ხანგრძლივი პროცესია. ერთი წყვილის ფასია 60 ევრო. გაყიდული ფეხსაცმლის მთელი შემოსავალი საქველმოქმედოდ მოხმარდება მეომარ ქვეყნებს შორის ახალგაზრდობის დამეგობრების საქმეს.

***მეგაპოლის-ექსპრესი***

# რწყილებმა კვიპროსის რადიო გათიშეს

კვიპროსის სახელმწიფო იძულებული გახდა, პირდაპირი მაუწყებლობა შეეწყვიტა რწყილების შემოსევის გამო.

რადიოსადგურის ირგვლივ უამრავმა უპატრონო კატამ დაიდო ბინა — რამაც რწყილები მიიზიდა. მედიკოსების მტკიცებით, რწყილების მიზეზით, ერთი მეორის მიყოლებით დაავადდნენ რადიოსადგურის თანამშრომლები. აუცილებელი გახდა დეზინფექციის გაკეთება. კვიპროსის რადიოსადგურის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ სტუდიის დეზინფექციასთან დაკავშირებით შეწყდება პირდაპირი მაუწყებლობა და მხოლოდ ჩანაწერები გადაიცემა. „ვერაფერი მოვუხერხეთ ამ გაველურებულ კატებს. ისინი წარამარა შემორბიან სტუდიაში, სახურავზეც დარბიან. ერთხელ კატა სახურავის ხვრელიდან სტუდიაში ჩამოვარდა და დიქტორს თავზე დაეცა“.

რადიოს თანამშრომლები შიშობენ, რომ დეზინფექცია მხოლოდ დროებით დააშოშმინებს კატებს. როდესაც რწყილები მოშორდებათ, ახალი ძალით შეუტევენ რადიოსადგურს.

***დენგი №34***

# გონდოლიერები გაიფიცნენ...

ვენეციაში უჩვეულო გაფიცვა მოხდა: ქალაქის ქუჩებში, უფრო სწორად, არხებში, გამოვიდნენ გონდოლიერები, ადამიანები, რომლებიც იტალიის ამ მშვენიერი ქალაქის სიმბოლოდ არიან აღიარებული. ისინი გაიფიცნენ... ქუჩებში, ანუ არხებში საცობების გამო. გაფიცვა დიდი ხანია მწიფდებოდა. ფორმალური მიზეზი იყო ახლახან მომხდარი დიდი ავარია: ჰოლანდიელი ტურისტების გონდოლას შეეჯახა წყლის ტაქსი (კაპორეტო). ყველა მგზავრი წყალში აღმოჩნდა და ძლივს გადაარჩინეს დახრჩობას. გონდოლიერები ამტკიცებენ, რომ უამრავი ადამიანის სიცოცხლეა საფრთხეში, ვინაიდან წყალზე საშინელი მოძრაობაა, არხები კი ვიწროა. ბოლო 10 წლის მანძილზე მხოლოდ დიდ არხზე, ვენეციის მთავარ წყლის არტერიაზე, რომელიც 4 კმ-ზეა გადაჭიმული, 7 ადამიანი დაიღუპა. ვენეციის მერი პაოლო კოსტა ამბობს, რომ ძალიან ძნელია ზომების მიღება, ვინაიდან წყალზე მოცურავეთა მხოლოდ 6% არის გონდოლიერი, დანარჩენებს ცურვის უფლება არა აქვთ...

***ჯენტე***



# კატების რესტორანი

ნიუ-იორკის ყველაზე ფეშენებელურ ქუჩაზე, მეხუთე ავენიუზე, გაიხსნა მსოფლიოში პირველი რესტორანი კატებისთვის, რომელსაც შესაფერისი სახელი ჰქვია — „მიაუ-მიქსი“. რესტორანი ფისოებს ექვსთავიან მენიუს სთავაზობს, თითოეული კერძი სულ რაღაც ორი დოლარი ღირს.

„მიაუ-მიქსში“ წახემსება შეუძლიათ კატების პატრონებსაც. რესტორანი მათ, ცხადია, ცალკე მენიუს სთავაზობს. შინაური ცხოველების მოყვარულები დიდი მოწონებით შეხვდნენ „მიაუ-მიქსის“ გახსნას.

***იტოგი №34***

# ტელევიზორი ხელს უშლის კონცენტრირებაში

მეცნიერებმა კვლევის შედეგად დაადგინეს, რომ რაც უფრო დიდხანს უყურებს ბავშვი ტელევიზორს, სწავლისას მით მეტი პრობლემის დაძლევა მოუწევს, მათ შორის ერთ-ერთი — კონცენტრირებაა.

თუ ბავშვი ამ „ყუთთან“ დღეში 3 საათზე მეტხანს ატარებს, პრობლემათა რისკი 30%-მდე ეზრდება მასთან შედარებით, ვინც საერთოდ არ უყურებს ტელევიზორს. ამიტომაც მეცნიერები ურჩევენ მშობლებს — აუკრძალონ 2 წლის პატარებს ტელევიზორის ყურება, ხოლო 3-დან 5 წლამდე ასაკის ბავშვებს ნება დართონ, უყურონ სატელევიზიო გადაცემებს დღეში არა უმეტეს 1,5-2 საათისა.

***ლიზა №38***

# ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“



**შევსების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის უჯრებში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში სიუზან სარანდონის სიტყვებს ამოიკითხავთ.**

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ს | ა | ო | ც | ა | რ | ი | ა | პ | ა | ლ | ი | ტ | რ | ი | ს | ფ | ე | რ | თ | ა | გ | ა | მ | ა |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ი | ა | | ი | ნ | უ | ა | ო | ა | ნ | ა | ნ | ნ | ო | ი | პ | ა | ე | | ა | ა | ნ | ი | რ | ა |

**ს.** თანამოსახელე; **ა.** რა ერქვა სიონიის მგელთა ხროვის მეთაურს რედიარდ კიპლინგის ნაწარმოებში „მაუგლი“; **ო.** ნორვეგიის დედაქალაქი; **ც.** პლანეტის მეორენაირი სახელწოდება; **ა.** ბავშვის სარწეველა საწოლი; **რ.** ბირმის დედაქალაქი; **ი.** იაპონური მხატვრობა, ყვავილების, ფოთლებისა და ტოტებისაგან გამოსახულების შექმნა; **ა.** ინგლისის უძველესი სახელწოდება; **პ.** ჩეხეთის დედაქალაქი; **ა.** ყაჩაღი, რომელსაც მცხეთაში დაუდგეს ძეგლი; **ლ.** შენობაში ამოყვანილი ღია აივანი; **ი.** ქალაქ ტროას მეორენაირი სახელწოდება; **ტ.** ესტონეთის დედაქალაქი; **რ.** პოპოვის გამოგონება; **ი.** სუფთა მოგება ძიუდოში; **ს.** თავის ქალის კანი თმიანად, რომელსაც ნადავლის სახით აჭრიდნენ მოკლულ მტერს ინდიელები; **ფ.** ედმონ დანტესის მეგობარი აბატი; **ე.** მწვავე შეხლა-შემოხლა; **რ.** საქართველოს ერთ-ერთი კუთხე; **თ.** ირანის დედაქალაქი; **ა.** ადამიანის მთავარი არტერია; **გ.** რა ერქვა დათა თუთაშხიას შვილს; **ა.** კარტოფილის სამშობლო; **მ.** დაასახელეთ კანადელი ნედ ლენდის პროფესია, რომელიც პროფესორ არონაკსთან ერთად მოხვდა კაპიტანი ნემოს „ნაუტილუსზე“; **ა.** ტროპიკული ხილი.

***წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:***

**ჩ.** ჩამიჩი; **ვ.** ვიერი; **ე.** ერუდიტი; **ნ.** ნეი; **თ.** თემიდა; **ა.** აკელა; **ნ.** ნუდიზმი; **ე.** ეროსი; **რ.** რურუა; **თ.** თაობა; **ა.** ასმათი; **დ.** დიანა; **ა.** აზნაური; **რ.** რატუშა; **მ.** მეისონი; **ო.** ოსკარი; **ი.** იპონი; **წ.** წესი; **ყ.** ყვირილა; **ე.** ელვა; **ნ.** ნიაგარა; **თ.** თარაზო.

**გამუქებულ უჯრებში იკითხება: მე უიმედო რომანტიკოსი ვარ.**

# ქართველი ვარ, ქართველი...

**— იქნებ გვიპასუხოთ, რა ეროვნებისაა სოზარ სუბარი? ეს გვარი ქართული წარმოშობის ნამდვილად არ არის.**

***ალექსანდრე ჯიქია***

კითხვას უპასუხებს **სოზარ სუბარი**, სახალხო დამცველი:

— რატომ ჰგონია შეკითხვის ავტორს, რომ სუბარი ქართული გვარი არ არის. ქართველი ვარ, სვანი. ვისაც აქამდე ჩემი საქმიანობისთვის თვალი მიუდევნებია, ის მიცნობს, როგორც სუბელიანს. თუმცა მე გვარი არ გადამიკეთებია, პირიქით, ძველი, ისტორიული გვარი დავიბრუნე.

დავინტერესდი საკუთარი გვარის წარმოშობითა და ფესვებით და დავადგინე, რომ 1933 წლამდე ჩვენ სუბარები ვყოფილვართ. მერე ორი გვარი გაერთიანებულა და ჩემი წინაპარი სუბელიანად დაწერილა. ასე რომ, მე თავდაპირველი გვარი დავიბრუნე. ყველა დამადასტურებელი საბუთი მაქვს იმისა, რომ ეს ასეა. უკვე ათამდე სუბელიანმა დაიბრუნა ძველი გვარი, ხოლო პირველი ბავშვი, რომელიც ამ გვარით დაიბადა, ჩემი შვილი ნინი გახლავთ.

# ყველაზე გავლენიანი ქალბატონების რეიტინგი...

**— ამ ბოლო დროს მსოფლიოში ქალის როლი ერთიორად გაიზარდა. ვიცი, რომ ყველაზე მდიდარი ხალხის ათეულში WAL-MART-ის მაღაზიების ქსელის მეპატრონე ქალბატონიც შევიდა. საინტერესოა, ვინ არის მსოფლიოში ყველაზე გავლენიანი ქალი?**

***თინა ბაღათურია***



— ცნობილი ამერიკული ჟურნალი Forbes-ი რეგულარულად აქვეყნებს სხვადასხვა რეიტინგს. ამ ორიოდე თვის წინ ჟურნალმა 300 გავლენიანი ქალბატონიდან 100 შეარჩია შემდეგი კრიტერიუმებით: რა სახის ფინანსურ ოპერაციებს აკონტროლებენ და რამდენად ხშირად წერს მათზე პრესა.

გავლენიანთა შორის პოლიტიკოსი ქალები ლიდერობენ. პირველი ადგილი ასეულში უჭირავს კონდოლიზა რაისს, ამერიკის პრეზიდენტის მრჩეველს ეროვნული უშიშროების საკითხებში. მეორე ადგილი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილეს, უ ის ერგო. მესამე ადგილზეა ინდოეთის ნაციონალური კონგრესის ლიდერი სონია განდი. მერვე-მეცხრე ადგილები გაინაწილეს ინდონეზიის პრეზიდენტმა მეგავათი სუკარნოპუტრიმ და ფილიპინების პრეზიდენტმა გლორია მაკაპაგალო აროიომ. ქალბატონების ელიტურ ასეულში 55 ამერიკელია, მათ შორის პირველი ლედი ლორა ბუში და სენატორი ჰილარი კლინტონი.

# იარაღის რეგისტრაციის ვადის გაგრძელება გამარტივდა...

**— შევიძინე სპორტული პისტოლეტი („სტარტოვკა“). საჭიროა თუ არა მისი ფლობისა და ტარების ნებართვა?**

***ვანო მაკალათია***

კითხვაზე უპასუხებს **ზურაბ ციცქიშვილი**, შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოს სანებართვო განყოფილების უფროსი:



— თავდაპირველად, გაცნობებთ, რომ გაიოლდა რეგისტრირებული იარაღის მეორადი რეგისტრაცია. კანონით, ყოველ სამ წელიწადში ერთხელ ნებისმიერი იარაღის მფლობელს უნდა გაეგრძელებინა რეგისტრაციის ვადა. ამისთვის საჭირო იყო ჯანმრთელობის ცნობა და სხვა დოკუმენტები, რაც თანხებსა და შესაბამისად, სხვადასხვა პრობლემასთან იყო დაკავშირებული. ამიტომ ეს პროცედურა გამარტივდა და ამიერიდან რეგისტრაციის ვადის გაგრძელებისთვის იარაღის მფლობელებმა უნდა წარმოადგინონ: განცხადება ვადის გაგრძელების შესახებ; ერთი ფოტოსურათი; პირადობის მოწმობა; რეგისტრაციის მოწმობის ქსეროასლი. აქვე აღვნიშნავ, რომ პისტოლეტის, ან რევოლვერის, შაშხანის, გაზისა და საფანტის იარაღის რეგისტრაცია კვლავ ცენტრალიზებული წესით, შინაგან საქმეთა სამინისტროს სანებართვო სამსახურში ხდება. ამჟამად ამ წესის გამარტივებაზეც ვმუშაობთ.

2003 წლის 1-ელი ივლისის „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სპორტული პისტოლეტი, ე. წ. „სტარტოვკა“ სავალდებულო რეგისტრაციას არ ექვემდებარება. ამ იარაღის წარმოება რუსეთმა შეაჩერა კიდეც. ამდენად, თუ შეკითხვის ავტორს აქვს ძველი მოდელი, რომელშიც კაფსულები იდება და გასროლისას მხოლოდ ხმის ეფექტს იძლევა, იგი ყოვლად უვნებელი იარაღია და არც იმ სპორტული იარაღების ჩამონათვალში შედის, რომლის რეგისტრაციაც ზემოთ ნახსენები კანონით სავალდებულოა.

***რუბრიკა მოამზადა რუსუდან ჟორჟოლიანმა***

**ძვირფასო მკითხველო, „ანიდან ჰოემდე“ ეცდება თქვენი შეკითხვები უპასუხოდ არ დატოვოს, და ყველა მათგანზე კომპეტენტური პასუხი გასცეს...**

# სიტყვათა კონა

**კუკი** — 1. (საუბ.) დედოფალა, თოჯინა. 2. (ძვ.) უკანალი, საჯდომი (ცხოველისა). ძაღლი კუკზე იჯდა.
**კუკილი** — კუკზე ჯდომა.
**კუკნა** — 1. კუკზე ჯდომა, ჩაცუცქება. 2. ძალიან პატარა, ერთი ციცქნა.
**კუკნის** (საუბ.) — პატარ-პატარა ლუკმებით ჭამს.
**კუკრუჭანა** — იგივეა, რაც გორგომიჭელა (ჩურჩხელა ერთგვარი).
**კუკუ** — პანღური (კუკუ ამოჰკრეს).
**კუკუზნაკი** — კუდუსუნის ბოლო.
**კუკუნახი** (კუთხ.) — ბნელი, შავი.
**კუკური** — იგივეა, რაც კოკორი. 2. მსხვილი წვეთი (ოფლისა).
**კუკუშელა** — საყველედ შედედებული რძე.
**კუკუხო** — თეძოს ძვლები.
**კულა** — ვიწროყელიანი, მუცლიანი სასმისი ღვინისა (სმის დროს ღვინო რაკრაკით გადმოდის).
**კულავ** — 1. (ძვ.) იგივეა, რაც კვლავ. 2. (კუთხ.) უწინ, წინათ.
**კულავს** (კუთხ.) — იგივეა, რაც ნაბავს.
**კულიჩი** (რუს.-ბერძნ.) — მრგვალი და მაღალი ტკბილი ნამცხვარი.
**კულმუხო** — მაღალი მრავალწლოვანი სამკურნალო ბალახი.
**კულუხი** (ისტ.) — ღვინის საბატონო გადასახადი.
**კუმეტი** — ძალიან ბნელი (ღამე); ძალიან შავი — კუნაპეტი.
**კუმისი** (თურქ.) — ცხენის (აგრეთვე აქლემის) რძისაგან დამზადებული სასმელი.

# კვირის «მინიკალენდარი»

**„კვირის პალიტრა“ დაბადების დღეს ულოცავს ამ კვირაში დაბადებულ მკითხველებს. სახელგანთქმული ადამიანების მინიკალენდარი კი ასეთია:**



**27 სექტემბერი**
**ლუდოვიკო XII** საფრანგეთის მეფე
**28 სექტემბერი**
**ირაკლი ანდრონიკოვი** (ანდრონიკაშვილი) მწერალი, ლიტერატურათმცოდნე; **ბრიჟიტ ბარდო**, მსახიობი; **მარჩელო მასტროიანი**, მსახიობი; **გვინეტ პელტროუ**, მსახიობი; **პროსპერ მერიმე**, მწერალი; **მირა სორვინო**, მსახიობი; **მიკა ჰაკინენი**, „ფორმულა 1“-ის ავტომრბოლელი.
**29 სექტემბერი:**
**ნიკო ლორთქიფანიძე**, მწერალი; **ლეხ ვალენსა**, პოლონეთის პრეზიდენტი (1990-95წწ.); **მიქელანჯელო ანტონიონი**, რეჟისორი; **სილვიო ბერლუსკონი**, იტალიის პრემიერ-მინისტრი, მედიამაგნატი; **სტენლი კრამერი**, რეჟისორი; **ნიკოლაი ოსტროვსკი**, მწერალი; **ენრიკო ფერმი**, ფიზიკოსი, ატომური და ნეიტრონული ფიზიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ნობელის პრემიის ლაურეატი.
**30 სექტემბერი:**
**ჯანსუღ ჩარკვიანი**, პოეტი; **მონიკა ბელუჩი**, მსახიობი; **მარტინა ჰინგისი**, ჩოგბურთელი;
**1 ოქტომბერი**
**უილიამ ბოინგი**, ავიაკონსტრუქტორი; **ჯიმი კარტერი**, აშშ-ის პრეზიდენტი (1977-81წწ.); **ფილიპ ნუარე**, მსახიობი; **ოლეგ ეფრემოვი**, მსახიობი.
**2 ოქტომბერი**
**გოდერძი ჩოხელი**, მწერალი, კინორეჟისორი; **მაჰათმა განდი**, ინდოეთის ნაციონალურ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი; **სტინგი**, მომღერალი, კომპოზიტორი; **დონა კარანი**, მოდელიერი;
**3 ოქტომბერი**
**ლუი არაგონი**, მწერალი; **სერგეი ესენინი**, პოეტი; **არმენ ჯიგარხანიანი**, მსახიობი.

# ზოგი ბენზინგასამართი სადგური დაიხურება, ზოგი კი დაჯარიმდება

**— ჩემი საცხოვრებელი სახლის პირდაპირ, დაახლოებით 5 მეტრის დაშორებით მდებარე ავტოფარეხი ერთდროულად საწვავის სათავსოცაა და კუსტარული ბენზინგასამართიც. რამდენად კანონიერია საცხოვრებელი სახლიდან 5 მეტრის დაშორებით ასეთი ობიექტის მუშაობა?**

***თინა პაპავა***

შეკითხვას უპასუხებს **დავით მესხიშვილი**, საქართველოს სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის სამსახურის უფროსი:

— მოქალაქემ უნდა მიმართოს წერილობითი განცხადებით რაიონის ან ქალაქის სანიტარულ ინსპექციას. ადგილზე მივა სპეციალისტთა ჯგუფი, რომელიც შეისწავლის, რამდენად კანონიერად მუშაობს ესა თუ ის ბენზინგასამართი სადგური. რაც შეეხება კონკრეტულ შეკითხვას, ნამდვილად უკანონობაა საცხოვრებელი სახლიდან 5 მეტრში ბენზინგასამართი სადგურის აშენება.

ამჟამად, როგორც იცით, მიმდინარეობს ბენზინგასამართი სადგურების შესწავლა. უკანონო ობიექტების ნუსხა 15 ოქტომბრამდე ოფიციალურად არ გამოცხადდება. ჩვენი დასკვნის საფუძველზე უკანონოდ აშენებული ბეზინგასამართი სადგურების ნაწილი დაიხურება, ხოლო დანარჩენები სხვადასხვა ნორმის (სანიაღვრე არხების, სპეცტანსაცმლის, საპირფარეშოს უქონლობა) დარღვევისათვის სიმძიმის მიხედვით დაჯარიმდებიან. თუ არ დაემორჩილებიან სადამსჯელო ღონისძიებებს, დაჯარიმდებიან 2.500 ლარით, შემდეგ კი მუშაობა აეკრძალებათ. ექსპლუატაციის შეუჩერებლობის შემთხვევაში კი საქმე პროკურატურას გადაეცემა.

# ისან-სამგორში მალე გარე ვაჭრობა აიკრძალება...

**— აიკრძალა თუ არა გარე ვაჭრობა? თუ აიკრძალა, რატომ არ მოქმედებს ეს აკრძალვა ვარკეთილის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე?**

***თემურ აბაშიძე***

კითხვაზე უპასუხებს **ზურაბ ადამია**, ისანი-სამგორის რაიონის გამგებელი:

— უკანონო ვაჭრობა არა მხოლოდ ვარკეთილის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე, ჩვენს გამგეობაში შემომავალ სხვა ტერიტორიულ ერთეულებშიც მიმდინარეობს. სამწუხაროდ, გარე მოვაჭრეებთან „ბრძოლა“ არც ისე იოლია. არსებობს ორი სახის გარე მოვაჭრე — პირველი, რომელსაც ამ საქმიანობაზე ოფიციალურად აქვს ნებართვა აღებული და ბიუჯეტში გადასახადიც შეაქვს და მეორე, რომელსაც არც ერთი აქვს და არც მეორეს ასრულებს. მიუხედავად არაერთი გაფრთხილებისა, ვერ მოვახერხეთ ჩვენს რაიონში ამ მხრივ წესრიგის დამყარება. უახლოეს 10 დღეში დაგეგმილი გვაქვს არა მხოლოდ ვარკეთილის მეტროსთან, არამედ სხვა უბნებშიც უკანონო გარე ვაჭრობის აკრძალვა. ღონისძიებაში ჩართული იქნება როგორც რაიონული, ასევე საპატრულო პოლიცია. მათ გარეშე ვერაფერს გავხდებით, წინააღმდეგ შემთხვევაში, ნახევარ საათში გარე მოვაჭრეები ისევ თავიანთ ადგილებს დაუბრუნდებიან. ასე რომ, ეს პრობლემა უახლეს მომავალში მოგვარდება და ქალაქის ეს ნაწილიც მეტ-ნაკლებად გასუფთავდება.






CMYK

# უეფას ჯგუფურ ეტაპამდე ერთი ნაბიჯიღა გვაშორებს

ხუთშაბათს თბილისის „დინამო" თავის უახლეს ისტორიაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შეხვედრას გამართავს. კრაკოვის „ვისლასთან" თუნდაც მინიმალური ანგარიშით გამარჯვება „დინამოელებს" უეფას თასის ჯგუფური ეტაპის საგზურს მოუტანს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ფეხბურთელების მონაწილეობით, მინიმუმ ოთხი მატჩის ნახვა გარანტირებული გვექნება.

შეგახსენებთ, რომ წელს უეფას თასის გათამაშება ახალი ფორმატით გაიმართება. პოლონური ბარიერის გადალახვის შემთხვევაში, ჩვენი ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი ხუთგუნდიან ჯგუფში მოხვდება და ორი გასვლითი და ორიც საშინაო მატჩის გამართვა მოუწევს.

თუმცა, იქამდე, ჯერ კრაკოველთა დამარცხებაა საჭირო, რომლებიც რაკილა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპს ვერ შესწვდნენ, ახლა უეფას „ჯგუფურში" მოხვედრას ეშურებიან და ამისათვის, თბილისურ მატჩში ფრეც დააკმაყოფილებთ. არადა, პირველ შეხვედრაში 2:0 დაწინაურების შემდეგ, „დინამოელებს" ხუთ წუთში სამი ბურთი რომ არ გაეშვათ, საკუთარ მოედანზე



გია გეგუჩაძე: გამარჯვებისთვის ცდას არ დავაკლებთ

თუნდაც ფრედ დამთავრებული შეხვედრაც მისაღები შედეგი იქნებოდა ჩვენთვის.

სამწუხაროდ, „დინამომ" უპირატესობის შენარჩუნება ვერ მოახერხა და 30 სექტემბერს, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე უცილობელი გამარჯვება ესაჭიროება. აღსანიშნავია, რომ პოლონეთში გამგზავრებამდეც და ხუთშაბათს გასამართ შეხვედრამდეც, თბილისურმა კლუბმა „გენერალური რეპეტიცია" საკუთარ მოედანზე გამართა. მაშინ „დინამომ" ფოთის „კოლხეთთან" წაივარჯიშა — 4:0, ამჯერად კი თბილისელთა თავკაცმა რამდენიმე წამყვანი მოთამაშის გარეშე ჩაატარა გორის „დილასთან" შეხვედრა და მიუხედავად იმისა, რომ ისევ დიდი ანგარიშით (3:0) იმარჯვა, თამაშის ხარისხით არცთუ კმაყოფილი უნდა დარჩენილიყო.

„დინამოს" მთავარ მწვრთნელს — გია გეგუჩაძეს გორელებთან მატჩის შემდეგ გავესაუბრეთ:

— ეს შეხვედრა „დინამომ" რამდენიმე წამყვანი მოთამაშის გარეშე ჩაატარა და არცთუ დამაჯერებელი თამაში გარკვეულწილად ამის ბრალიცაა, თუმცა, თუ ჩვენ მიერ ჩემპიონატში ჩატარებულ მატჩებს გადახედავთ, დარწმუნდებით, რომ ერთი და იმავე შემადგენლობით ერთხელაც არ გვითამაშია.

**— ირაკლი ზოიძის ტრავმა უდიდესი დანაკლისია „დინამოსათვის". ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრის შემთხვევაში, ხომ არ აპირებთ ახალი მეკარით, თუნდაც ბოლო დროის ჩინებულად მოთამაშე აკაკი დევაძით გაძლიერებას?**

— ბუნებრივია, ძალიან შეწუხებული ვართ ზოიძის ტრავმით, მაგრამ მე ასე კატეგორიულად არ დავაყენებდი საკითხს. ჩვენ კარგად ვიცით მამალაძის შესაძლებლობები. მას შეუძლია მაღალ დონეზე თამაში და არავითარი საფუძველი არ გვაქვს, უნდობლობა გამოვუცხადოთ. რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, ამაზე მოგვიანებით ვისაუბროთ.

**— კრაკოვის მატჩში, ხუთი წუთის განმავლობაში სამი გოლი გაუშვით...**

— „ვისლა" ძალიან ძლიერი გუნდია. განსაკუთრებით შეტევასა და ნახევარდაცვას გამოვყოფდი, რომლებიც მაღალი კლასის ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული. შესაბამისად, უდიდესი ყურადღება გვმართებს დაცვაში და ამასთანავე, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ გოლი გვაქვს გასატანი.

რაც შეეხება თქვენ მიერ ნახსენებ მონაკვეთებს, როდესაც ზედიზედ რამდენიმე ბურთი გავუშვით, მას უამრავი მიზეზი შეიძლება ჰქონდეს. მოდუნებას, კონცენტრაციის დაკარგვას ძალზე ცუდი შედეგები მოაქვს. 2:0-ს ვიგებდით და ფაქტობრივად, მეტოქის მხრიდან სერიოზული დაწოლაც არ ყოფილა. ამ ყოველივემ არცთუ სახარბიელოდ იმოქმედა მოთამაშეთა ფსიქოლოგიურ განწყობაზე და...

**— ღმერთმა ქნას და, თუ ჯგუფურ ეტაპზე მოვხვდით, ეს უკვე სერიოზული წარმატება იქნება. ალბათ, „დინამოშიც" არაერთი სიახლის მოწმენი გავხდებით...**

— რამდენჯერმე აღვნიშნე, რომ „ვისლა" უძლიერესი მეტოქეა, თუმცა წარმატების შანსი თანაბრად გვაქვს და ვიმედოვნებ, მატჩი ჩვენთვის სასურველი შედეგით დასრულდება. წინასწარ კი სამომავლო სიახლეებზე საუბარი ნაადრევად მიმაჩნია.

**— გუნდში როგორი განწყობაა?**

— ფეხბურთელებს ბოლომდე აქვთ გათავისებული თუ რაოდენ დიდია 30 სექტემბრის გამარჯვების ფასი. მთელი სერიოზულობით ვემზადებით, გულშემატკივარიც გვერდში გვიდგას, ეს კი უდიდესი სტიმულია მოთამაშეთათვის. გამარჯვებისათვის ცდას არ დავაკლებთ, დანარჩენს კი მომავალი მატჩი გვიჩვენებს...

# ვერის ბაღმა დიდ ბილიარდს უმასპინძლა

გასულ კვირას თბილისმა დიდ საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა ბილიარდში „კავკასიის თასზე", რომელშიც მონაწილეობდნენ უკრაინის, აზერბაიჯანის, ყაზახეთის, რუსეთის, სომხეთის, ბელორუსიის და საქართველოს გუნდები. ტურნირმა მაღალ დონეზე და საინტერესო ბრძოლაში ჩაიარა. ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზში შეკრებილი მაყურებელი მოთამაშეების მაღალი ოსტატობისა და დახვეწილი თამაშის მოწმე გახდა.

ტურნირის გამარჯვებულია უკრაინის წარმომადგენელი ალექსანდრე პალამარი, რომელმაც ჩემპიონის ტიტულთან ერთად შეჯიბრების ლაურეატისთვის განკუთვნილი საპრიზო თანხა — 7.000 დოლარიც მოიპოვა. მეორეზე ასევე უკრაინელი სერგეი პეტრაში გავიდა და 3.500 დოლარით დაჯილდოვდა. მესამე-მეოთხე ადგილები და 3.000 დოლარი თანაბრად გაიყვეს ქართველმა ივა არჩვაძემ და ყაზახმა კანიბეკ საგინდიკოვმა. ასპარეზობის ორგანიზატორთა განცხადებით, „კავკასიის თასი" ტრადიციული გახდება.




# „ჩვიდმეტიანებს" გოლი არ ეყოთ

საქართველოს 17-წლამდელთა საფეხბურთო ნაკრებისათვის ალენ ჟირესის სტუმრობა უიღბლო გამოდგა. ევროპის ჩემპიონატზე ... ჯგუფის უკანასკნელ შეხვედრაში, ქართველ ფეხბურთელებს ფრეც ჰყოფნიდათ მომდევნო ეტაპზე გასასვლელად, მაგრამ მასპინძელ ფინეთის ნაკრებს ვერაფერი მოუხერხეს და მინიმალური სხვაობით 0:1 დამარცხდნენ.

არავინ იფიქროს, თამაზ კოსტავას შეგირდების წაგებას მართლაც ჟირესის მატჩზე ყოფნას ვაბრალებდეთ. მეტიც, იმის მიუხედავად, რომ საეჭვოა, ამ ასაკის ფეხბურთელთაგან, ჯერჯერობით რომელიმე გამოადგეს ქვეყნის უპირველეს გუნდს, ფრანგი სპეციალისტი ქართული ფეხბურთის ხვალინდელ დღესაც აკვირდება და ეს მისასალმებელი ფაქტია.

ქართველმა ჭაბუკებმა კი მართლაც კარგად დაიწყეს გათამაშება და პირველ ტურში, მაკედონიასთან 4:1 გამარჯვების შემდეგ, ჯგუფის ფავორიტ საბერძნეთს დაუზავდნენ — 0:0. რაც შეეხება გადამწყვეტ მატჩს, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ის ქართველთათვის უიღბლოდ წარიმართა. მასპინძელთაგან მოპოვებული თუნდაც ერთი ქულა ჩვენს ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის შემდგომი ეტაპის საგზურს გაუნაღდებდა, მაგრამ...

სამწუხაროდ, ფინელი ოიალას მიერ 35-ე წუთზე გატანილი ბურთი ერთადერთი აღმოჩნდა მატჩში. პარალელურად მიმდინარე შეხვედრაში კი ბერძნები მაკედონიას დაუზავდნენ და ჯგუფიდან სწორედ საბერძნეთისა და ფინეთის ნაკრები გუნდები გავიდნენ.

... გაშვებულ გოლამდეც და მის შემდეგაც, თამაზ კოსტავას ფეხბურთელებს არაერთხელ შეეძლოთ მეტოქის კარის დალაშქვრა, მაგრამ ფინელთა მეკარე ჩინებულად ირჯებოდა და არც ფორტუნამ აქცია ზურგი მასპინძლებს. დასანანია, რომ ჩვენს ნაკრებს ერთადერთი ბურთი დააკლდა შემდგომ ეტაპზე გასასვლელად. ქართველი ფეხბურთელები ნამდვილად არ იმსახურებდნენ ფინელებთან მარცხს, მაგრამ სამწუხაროდ, ასე მოხდა და ამის ერთ-ერთ მიზეზად ფიზიკური მომზადებაც შეიძლება მივიჩნიოთ.

17 წლის ბიჭებისათვის ოთხ დღეში სამი შეხვედრის ჩატარება იოლი არაა და ამან, ბუნებრივია, დაღი დაასვა მათ თამაშს, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ მეტოქესაც იმავე რეჟიმში უხდებოდა „მუშაობა" და ამიტომ, მარცხის მხოლოდ ამისთვის გადაბრალება შეცდომა იქნებოდა.

ასეა თუ ისე, საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები ნაადრევად გამოეთიშა ევროპის ჩემპიონატს. ბიჭებმა ძალზე მტკივნეულად განიცადეს მარცხი. იმის მიუხედავად, რომ საკმაო უპირატესობას ფლობდნენ, მისი რეალიზება ვერ მოახერხეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სამომავლოდ, თითოეულ შეხვედრას, მეტი კონცენტრაციითა და ყურადღებით უნდა მიუდგნენ.

**რატი შელეგია**

# ჟირესი უკრაინულ „სალას" დააჭაშნიკებს?

**შევჩენკოს შეტევას კალაძის გარეშე დავხვდებით**



უკრაინელებთან კალაძე ვერ დაგვეხმარება



ჟირესის შტაბს დიდი ბრძოლა მოუწევს

დიდი ხანი არ არის, რაც „მსოფლიო-2006"-ის შესარჩევი მატჩები ჩატარდა და უკვე მორიგი ტურის შეხვედრები ახლოვდება. „ჩვენი" ჯგუფის ლიდერი საქართველოს ნაკრები 13 ოქტომბერს ლვოვში უკრაინელებს გაეჯიბრება და იქ კიდევ ერთხელ მოუწევს დამტკიცება, თუ რამდენად ლოგიკურია მისი დაწინაურება „სიკვდილის ჯგუფში", როგორც უწოდებენ სპეციალისტები და გულშემატკივრები ჩვენი ნაკრების მეტოქეებთან ერთად თავმოყრილ მარაქას.

ალენ ჟირესს ოპტიმალური შემადგენლობა არ ეყოლება, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ უკრაინელებიც სრული საბრძოლო კონტინგენტით გვიპირისპირდებიან. თითო-ოროლა ტრავმირებული მოთამაშე ყველა გუნდს ჰყავს, მაგრამ ნებისმიერი მათგანი ასეთი შემთხვევებისთვის ყოველთვის მზად უნდა იყოს. ქართველთა მწვრთნელმა საუკრაინო მატჩისთვის გუნდის კაპიტანი კახა კალაძე მოისაკლისა. ორი გაფრთხილების გამო ერთი მატჩით დისკვალიფიცირებული კალაძის არყოფნა, რომელიც უკრაინულ ფეხბურთს შესანიშნავად იცნობს და პრაქტიკულად ერთადერთია, ვისაც შევჩენკოს ასე თუ ისე განეიტრალება შეუძლია, ჩვენთვის დიდი დანაკლისია; მაგრამ სხვა გზა არ არის, ჟირესი უნდა დაეყრდნოს დაცვის ხაზის შემდეგ მოთამაშეებს: ხიზანიშვილს, ხიზანეიშვილს, მჟავანაძეს, კვირკველიას, სალუქვაძეს... ერთადერთი, ვინც ზემოთ ჩამოთვლილთაგან სტაბილურად თამაშობს ძირითადში, ლეგიონერთა მხრივ მჟავანაძეა. ოთარ ხიზანეიშვილმა დიდი ხანი არ არის, რაც მოსკოვის „დინამოს" სასტარტო შემადგენლობაში დაიმკვიდრა ადგილი, მაგრამ იგი მშვენიერ ფორმაშია. პრობლემები აქვს გლაზგოს „რეინჯერსში" ზურაბ ხიზანიშვილს, რომელიც შოტლანდიელთა მწვრთნელის, ალექს მაკლიშის უცნაური ექსპერიმენტების წყალობით ხშირად ზის სათადარიგოთა სკამზე. ეს ფსიქოლოგიურად უარყოფითად მოქმედებს, თორემ ხიზანიშვილის ოსტატობაში ეჭვიც არ გვეპარება. მთავარია, თავად დამშვიდდეს და ჩვეული თავდადებით მოეკიდოს ნაკრებში თამაშს. კალაძის არყოფნაში ჟირესმა შესაძლოა მალხაზ ასათიანი დახიოს დაცვის ცენტრში, რომლისთვისაც ეს ამპლუა სულაც არ არის უცხო. ამ პოზიციაზე ასათიანმა ჩემპიონთა ლიგის შარშანდელ გათამაშებაშიც იასპარეზა და „ლოკომოტივის" მწვრთნელის სიომინის ქებაც დაიმსახურა. ჟირესს დაცვაში მშვენიერ ფორმაში მყოფი სალუქვაძე და კვირკველიაც ჰყავს, რომლებმაც ნაკრებში თამაში „დინამოში" კარგი გამოსვლით დაიმსახურეს. კვირკველია პირველი გუნდის სტაბილური წევრია და ვფიქრობ, უკრაინელთა მარჯვენა ფლანგს სერიოზული ხიფათი ელის მისი სახით, სალუქვაძემ კი ალბანეთთან თავგანწირული თამაშით დაამტკიცა, რომ მაღალ დონეზე ასპარეზობა ძალუძს. კანდიდატთა შორისაა კიდევ ერთი „დინამოელი" დავით ჭიჭვეიშვილი, მაგრამ ნაკლებად სავარაუდოა, რომ ლვოვში ჟირესმა იგი ძირითადში გაამწესოს.

ნახევარდაცვაში ქართველებს კანკავა, კობიაშვილი, ცქიტიშვილი, ნემსაძე, ჯამარაული და ბურდული ჰყავთ. აქედან კობიაშვილის და ცქიტიშვილის თამაში ეჭვს არ იწვევს, კანკავა, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ 18 წლისაა, მხცოვანი ოსტატივით ირჯება და რაც მალე მიიღებს ასეთი დონის მატჩებში გამოცდილებას, მით უკეთესი. მისთვის ავტორიტეტები არ არსებობენ, ყველას წინააღმდეგ გულიანად ირჯება და ბოლო წუთამდე მაქსიმალურად იხარჯება. ჯამარაული უკვე ვეტერანია, მაგრამ ჟირესი დიდ ნდობას უცხადებს, მით უმეტეს, გოჩა დონეცკის „მეტალურგში" თამაშობს და უკრაინულ ფეხბურთში შინაურ კაცად ითვლება. კიდევ ერთი ვეტერანი, „დინამოს" კაპიტანი ნემსაძე ბოლო ხანს არ ჩანს ნაკრებში, მაგრამ იგი პირველი გუნდის ყველაზე სტაჟიანი წევრია და ურიგო არ იქნება, თუ ფრანგი სპეციალისტი შეკრებაზე გამოიძახებს. არ დაგავიწყდეთ ასათიანიც, რომელსაც თავისი უნივერსალიზმის წყალობით თითქმის ნებისმიერ პოზიციაზე შეუძლია თამაში. შესაძლოა ჟირესმა მას ნახევარდაცვის ცენტრალური რგოლი ანდოს. ამათ გარდა უკვე ნაკრების კარს „უკაკუნებს" ახალგაზრდა „დინამოელი" კახა ალადაშვილიც.

თავდასხმის ხაზშიც გვაქვს დანაკლისი. მიხეილ აშვეთიამ ამას წინათ სერიოზული ტრავმა მიიღო და ამ სეზონში გუნდს ვერაფრით დაეხმარება. წინა ხაზის მოთამაშეებში გამოცდილებითა და ოსტატობით შოთა არველაძე გამოირჩევა. „რეინჯერსის" ფორვარდი, ასაკის მიუხედავად, ძალთა ნაკლებობას არ უჩივის და მეტოქეთა კარისთვის ყოველთვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს. არანაკლებ გამოცდილია იაშვილიც, რომელმაც ალბანელებთან ბრწყინვალედ ითამაშა და საუკეთესო ფეხბურთელის პრიზიც დაისახურა. უკრაინელებს მისი შეჩერება ძალიან გაუჭირდებათ. ჟირესს კიდევ ერთი მრისხანე იარაღი ჰყავს თავდასხმაში გიორგი დემეტრაძის სახით, რომელიც უკრაინის ჩემპიონატში ასპარეზობს და წინათ კიევის „დინამოშიც" უთამაშია. ყველაზე უკეთ ჩვენი მომავალი მეტოქის დაცვის ხაზს სწორედ იგი იცნობს და შესაძლოა ყოველივე ეს ჟირესის კოზირადაც იქცეს.

ახლა ჩვენს გოლკიპერებზეც ვთქვათ, რომელთა კარგ თამაშზე ძალზე ბევრი იქნება დამოკიდებული. ჟირესის ფავორიტია აკაკი დევაძე, რომელიც ფაქტობრივად მეორედ დაუბრუნდა დიდ ფეხბურთს და დაამტკიცა, რომ მისი ნდობა ყველაზე რთულ სიტუაციებშიც შეიძლება. ხაზზე მას ბადალი არ ჰყავს. გამოსვლებზე მეტი სითამამით რომ ითამაშოს, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ მეკარის პრობლემა მოხსნილი გვექნება. დევაძის გარდა კანდიდატთა შორის ლომაია, გვარამაძე და ზოიძე არიან. ლომაია ამჟამად რუსეთის ლიგის „ხიმკიში" თამაშობს, მაგრამ სათამაშო პრაქტიკის უქონლობის გამო ჟირესი მის ძირითადში დაყენებას ვერ რისკავს. „ხიმკი" მისი შესაფერისი გუნდი ნამდვილად არ გახლავთ და თუკი „დინამომ" უეფას ჯგუფურ ტურნირში მოხვედრა შეძლო (ეს 30 სექტემბერს, „ვისლასთან" მატჩის შემდეგ გაირკვევა), ეგებ იფიქრონ „დინამოს" ხელმძღვანელებმა და იგი თბილისურ კლუბში გადმოიყვანონ. გვარამაძეს რაც შეეხება, მას ნაკრებში ადრეც უთამაშია, მაგრამ ბოლო დროს ქვეყნის პირველი გუნდის მაისური აღარ ჩაუცვამს. ყოველ შემთხვევაში, იგი სათადარიგოთა შორის ერთ-ერთი კანდიდატურაა.

ასეთია უკრაინელებთან ქართველთა სავარაუდო შემადგენლობის არასრული სია. ალენ ჟირესი კანდიდატთა ვინაობას ალბათ „დინამო" — „ვისლას" მატჩის შემდეგ გამოაცხადებს და ნაკრების წევრებს 5 ოქტომბრისთვის სასტუმრო „ბატესტაში" შეკრებს. ფეხბურთის ფედერაციის პრესატაშის, ეკა გაბაშვილის თქმით, ქართული დელეგაცია უკრაინაში 11 ოქტომბერს გაემგზავრება. 12-ში ახალგაზრდული ნაკრები ქალაქ ნოვოსტროიში შეერკინება მეტოქეს, 13 ოქტომბერს კი ლვოვში, თბილისის დროით 20 საათსა და 15 წუთზე. საქართველოს ეროვნული ნაკრები უკრაინის პირველ გუნდს დაუპირისპირდება.

**ზვიად სეხნიაშვილი**

## №38 (416) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

თემას — „აქტუალური პრობლემა“ — 611 რესპონდენტი გამოეხმაურა. 8 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 239-მა ქალმა და 364-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„პირველ რიგში რომელი პრობლემა უნდა მოაგვაროს საქართველოს ხელისუფლებამ?“**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, „ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა“ ბოლო პერიოდის პრობლემათა შორის კვლავაც „ლიდერია“. რესპონდენტთა 35,8%-მა შეაფასა იგი მაქსიმალური — 8 ქულით. თუმცა, მინიმალური — 1 ქულა მკითხველთა 5,5%-მა დაუწერა. **6,07** საშუალო ქულით „ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა“ პირველ ადგილზეა.

როგორც ჩანს, რესპონდენტთათვის კვლავაც აქტუალურია დასაქმების პრობლემა — მკითხველთა დაახლოებით 31%-მა შეაფასა ეს პრობლემა მაქსიმალური ქულით და უნდა ითქვას, რომ ყველაზე ნაკლები რაოდენობის მინიმალური ქულა (3,8%) სწორედ მას ხვდა წილად.

მიუხედავად იმისა, რომ ივნისის თვეში ჩატარებული გამოკითხვის შედეგებით მკითხველმა ხელისუფლების ყველაზე დიდ წარმატებად კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა დაასახელა, დღეს, როგორც ვხედავთ, კორუფციის აღმოფხვრა მაინც ერთ-ერთ აქტუალურ, მოუგვარებელ პრობლემად რჩება. მაშინ მეორე ადგილზე „კრიმინალებთან ბრძოლა“ იყო. დღეს კი, როგორც ვხედავთ, „კრიმინოგენული მდგომარეობის გამოსწორება,“ შედარებით ნაკლებად აწუხებთ რესპონდენტებს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს პრობლემაა ყველაზე მცირე რაოდენობის მაქსიმალური ქულების (2,0%) მფლობელი.

შეგახსენებთ, რომ იმავე, ივნისის გამოკითხვის შედეგებით, აღმოჩნდა, რომ ხელისუფლება ყველაზე წარუმატებელი სამუშაო ადგილების შექმნაშია.

### აქტუალური პრობლემა




საპრიზოს ზუსტად არც ერთი ბარათი-რეიტინგი არ დაემთხვა. ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი ქუთაისელი 54 წლის **გულნაზ თევზაძეა.** მან, საპრიზო ვარიანტისგან განსხვავებით, „ენერგოკრიზისის დაძლევას“ ერთის ნაცვლად — ორი (მეშვიდე ადგილი) მიაკუთვნა, ხოლო „ადამიანის უფლებების დაცვას“ პირიქით — ორის ნაცვლად — ერთი (მერვე ადგილი).

გამარჯვებულს ვულოცავთ და პრიზის — 100 ლარის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 29 სექტემბერს, 17 საათზე.

**როგორ ხდება ყველაზე მიახლოებული ვარიანტის გამოვლენა:**

**პირველ რიგში, მიახლოებულად ითვლება ის ვარიანტი, სადაც განსხვავება ბოლო ადგილებზე გასულ გრაფებშია (მაგ. თუ ადგილები აქვთ შეცვლილი 1 და 2 ქულას (VIII–VII ადგილებს), თუ ასეთი ბარათი არ აღმოჩნდება, მოგების შემდეგი პრეტენდენტია ბარათი, სადაც ადგილები აქვთ შეცვლილი 2-სა და 3 ქულას (VII–VI ადგილებს), შემდეგ — 3-სა და 4 ქულას (VI–V ადგილებს), 4-სა და 5-ს (V–IV ადგილებს) და ა. შ. 7-8-მდე (II–I ადგილებამდე). თუ არ არსებობს ასეთი ბარათები (სადაც განსხვავება გვერდიგვერდ მდებარე გრაფებს შორისაა), შემდეგ ხდება გადამოწმება ერთის გამოტოვებით. მაგალითად, 1 და 3 (VIII და VI ადგილები), 2 და 4 (VII და V ადგილები) და ასე შემდეგ. საგულისხმოა, რომ მიახლოებულის გამოვლენა იწყება ბოლო ადგილებიდან.**

## №39 (417) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

# 100 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

✱ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, უპასუხოთ დამატებით კითხვასა და **«მკითხველის პრემიას».**

**№39 (417) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მოათავსეთ ოთხშაბათის, 29 სექტემბრის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 30 სექტემბრის 13 საათამდე.**

©თბილისი

**ყურადღება! რეიტინგის ბარათები პარალელურად იბეჭდება ჟურნალ „რეიტინგშიც“. თქვენ შეგიძლიათ შეავსოთ ისინი და მითითებულ ვადებში გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. აღნიშნული ბარათებით ისევე მიიღებთ მონაწილეობას კონკურსში, როგორც „კვირის პალიტრიდან“ ამოჭრილი ბარათებით.**

თემა №39(417) — პოსტისთვის შესაფერისნი

**თქვენი აზრით, ვინ შეეფერება თავის პოსტს ყველაზე მეტად** (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

**№39(417) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | | ქულა |
|---|---|---|
| 1 | კოტე კემულარია — უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე | |
| 2 | ზურაბ ჭიაბერაშვილი — თბილისის მერი | |
| 3 | კახა ლომაია — განათლებისა და მეცნიერების მინისტრი | |
| 4 | ზურაბ ჟვანია — პრემიერ-მინისტრი | |
| 5 | ზურაბ ადეიშვილი — გენერალური პროკურორი | |
| 6 | გიორგი ბარამიძე — თავდაცვის მინისტრი | |
| 7 | კახა ბენდუქიძე — ეკონომიკის მინისტრი | |
| 8 | ნიკა გილაური — სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი | |

**დამატებითი კითხვა**

**თქვენი აზრით, როგორია დღეს პრესის თავისუფლების ხარისხი ვარდების რევოლუციამდელთან შედარებით?**

| | | |
|---|---|---|
| 1. | ბევრად უფრო მაღალი | |
| 2. | მაღალი | |
| 3. | თითქმის იგივე | |
| 4. | დაბალი | |
| 5. | ბევრად უფრო დაბალი | |
| 6. | მიჭირს პასუხის გაცემა | |

*(შესაბამისი უჯრა გადახაზეთ)*

**მკითხველის პრემია**

დაასახელეთ ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი

✓ ______________________

______________________
თქვენი სახელი, გვარი

______________________
ქალაქი (რაიონი)

__________ ასაკი __________ ტელეფონი

**ყურადღება! თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ბარათს ავსებთ, გთხოვთ, დამატებით კითხვასა და „მკითხველის პრემიაში“ მხოლოდ ერთხელ (ერთ ბარათში) დააფიქსიროთ თქვენი აზრი.**

**დამატებითი კითხვის შედეგები**

## იმსახურებენ თუ არა თქვენს ნდობას საპატრულო პოლიციის თანამშრომლები?




1. დიახ
2. არა
3. მიჭირს პასუხის გაცემა

*დამატებით კითხვას 515 მკითხველი გამოეხმაურა*

# ფოტოანტიკვარი © ფოტოანტიკვარი



აბა, ვინ ვარ ახლა მე?

______________________

— თეთრკანიანი კი ვარ, მაგრამ ჩემი გული აფრიკას ეკუთვნის...

„კვირის პალიტრის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული „ფოტოანტიკვარის“ გმირი, კახურ ქუდსა და შემოდგომის ფოთლებით მოჩითულ თეთრ ნაბადში გამოწყობილი ბიჭუნა — „ვის უნდა“ შემოდგომის ნობათი“-ო რომ გვეკითხება, თითქმის ყველა მკითხველმა ამოიცნო — თეატრისა და კინოს მსახიობი, ტელეშოუებისა და სარეკლამო რგოლების ნაცნობი სახე, უცხოური ფილმების გამხმოვანებელი. ეს არასრული ჩამონათვალია პოპულარული მსახიობის **დუტა სხირტლაძის** საქმიანობისა და ამის დასტურია მკითხველთა 97%-ის მიერ მოწოდებული ბარათები. თუმცა ზოგიერთებმა მასში მედეა მეზვრიშვილიც ამოიცნეს.




*ზურა ნიკოლაიშვილის მეგობრული შარჟი*



დუტა სხირტლაძე, 4 წლის

## ფოტო განცხადებისთვის



— მეც თოჯინა ვარ, ოღონდ მარში...

### ეს იცოდით?..

ინდურ პატრიარქალურ სოფელ – კხანპურ ჯაბილში ყოველმა მამაკაცმა ულვაში უნდა ატაროს. თუ ერთი თვის მანძილზე მამაკაცს ულვაში არ დაამშვენებს, მას საკმაოდ სოლიდურ ჯარიმას გადაახდევინებენ. თუ ჯარიმამაც არ უშველა, რამდენიმე თვით დააპატიმრებენ, თუ არც ამან გაჭრა, ცოლის შერთვის უფლებას ართმევენ.

28/IX

სავსე მთვარე

### წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. კაქტუსი; 4. ინფანტი; 6. აკიდო; 7. იმაგო; 8. არილი; 9. იპონი; 10. იუბილე; 13. აკორდი; 16. ბრიჯი; 18. მორავია; 19. ნარგილე; 20. იუნგა; 22. მდაბიო; 23. სიბილა; 25. კირხე; 27. ლიონი; 28. ნიაია; 29. დაისი; 30. იაპონია; 31. ალგებრა;

**შვეულად:** 1. კარდინალი; 2. იანიჩარი; 3. პირამიდონი; 4. იოვოვიჩი; 5. ინვესტორი; 11. ბარდა; 12 ლუვრი; 14. კორტი; 15. რეიდი; 16. ბაი; 17. ინა; 21. ნარკომანია; 22. მიხალკოვი; 24. ამბრაზურა; 25. კოლონადა; 26. ეპილაცია.





**თარაზულად:** 1. მცენარე, რომელიც ნიკოტინს შეიცავს; 4. ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს ვიწრო ზოლი საფრანგეთისა და იტალიის ტერიტორიაზე; 6. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში; 7. საბერძნეთის დედაქალაქი; 8. მოხარშული ზეთი; 9. მარჯნის კუნძული; 10. ებრაული ენა; 13. გემით ტვირთის გადაზიდვის საფასური; 16. ნაკეცები ქსოვილზე; 18. სახის მანჭვა; 19. ვარჯიში, წვრთნა; 20. მდინარე ჩინეთში; 22. საგაზეთო წერილი; 23. ფერადი ლითონის სიფრიფანა ფურცელი; 25. ლუთერანული ეკლესია; 27. მაღალი ხარისხის მინა; 28. ჩეხური ავტომობილი; 29. ზოგ მუსლიმანურ ქვეყანაში, რომელიმე უფროსის ან სასულიერო პირის მოადგილე; 30. მხარე საქართველოში; 31. გადაჭარბებული თავმოყვარეობა.

**შვეულად:** 1. შინაგან სნეულებათა ექიმი; 2. აშშ-ის შტატი; 3. კერძო, ფასიანი მასწავლებელი; 4. ფესვის ამოღების ნიშანი; 5. მკვიდრი, ძირძველი მოსახლე; 11. ქიმიური ელემენტი, ლითონი; 12. მხედველობის ორგანო; 14. კამბოჯის ფულის ერთეული; 15. კლდიანი ღრმა ხევი; 16. წილი; 17. ვაზის მწკრივი; 21. მედიცინის დარგი; 22. ძვ. ინდური სამწერლო ენა; 24. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 25. მრგვლად გახეხილი (არაწახნაგოვანი) ძვირფასი ქვა; 26. წარწერა საფლავის ქვაზე.

შეადგინა ვანო კაჭახიძე

## ბრუკ შილდსი მარტო თავის გოგონაზე საუბრობს



მას შემდეგ, რაც დედა გახდა, (1 წელზე მეტია) ბრუკ შილდსმა ყველა ღონე იხმარა, რომ მისი კარიერა უკანა პლანზე არ გადასულიყო. ის აგრძელებს სერიალებში გადაღებებს და თეატრალურ დადგმებშიც მონაწილეობს. მაგრამ, ამავდროულად ვერავინ იტყვის, რომ მის ქალიშვილს დედის ყურადღება აკლია. ბრუკი მასთან ატარებს მთელ თავის თავისუფალ დროს: ასეირნებს, ეთამაშება, რეგულარულად დაჰყავს მიღებაზე პედიატრთან, თავად უმზადებს საჭმელს. მეგობრებთან და ნაცნობებთან მსახიობი მარტო თავის ქალიშვილზე საუბრობს. „შვილის გაჩენამ ბევრ რამეზე ამიხილა თვალი, ისეთ რამეებზე, რაზეც ადრე არც კი დავფიქრებულვარ. ჩემი როანი შესანიშნავი გოგონაა, ის ძალიან ჭკვიანი, კეთილი და ლამაზია, კარგად არის განწყობილი ადამიანების მიმართ, არ იცის უცხოობა და ყველას უცინის. მე ვგიჟდები ჩემს გოგონაზე!“ — ამბობს ვარსკვლავი.

ყურადღება: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©

**39** **უფასო განცხადების ქვითარი**

განცხადების ტექსტი ________________________________

________________________________

________________________________

________________________________

________________________________

________________________________

________________________________

სიტყვა და საქმე

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება*

№39 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 30 სექტემბრის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

*„კვირის პალიტრის“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში – მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.*

***„კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.***

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.
რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
**რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.**
მთ. რედაქტორი გიორგი თევდორაშვილი
მთ. რედაქტორის მოადგილეები ნუცა დუმბაძე, ლია იაკობაშვილი
სარედაქციო კოლეგია
მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)
ტელ: რედაქცია: 33-39-54
რეკლამა, ფაქსი: 33-50-32; 98-74-44
news@kvirispalitra.com
www.kvirispalitra.ge
სარეგისტრაციო ნომერი © 1518
„კვირის პალიტრა“ გამოდის ორშაბათობით
გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.